ნოდარ დუმბაძე

ძმობილობის ყანონი

ტკივილი მარჯვენა მხრიდან დაეწყო. უცებ გულის ფიცრისკენ დაიძრა
და მარცხენა ძუძუს ქვეშ გაჩერდა. მერე თითქოს ვიღაცამ მკერდი
გადაუხსნა, შიგ დაკოჟრილი ხელი ჩაუყო და გული ყურძნის
მტევანივით დაუწურა. წურავდა ნელა, დიდი მონდომებით: ერთი და
ორი, ორი და სამი, სამი და ოთხი... ბოლოს ისე მოუჭირა ხელი, ისე
დაწურა, სისხლის ნატამალიც აღარ დაუტოვა შიგ და ასე გამომშრალი
და დაჭყლეტილი მიაგდო სადღაც კუთხეში, – გული გაჩერდა. არა, კი არ
გაჩერდა, ჯერ ფანჯრის მინაზე შემსკდარ ბეღურასავით ჩავარდა ქვევით,
აფართხალდა, გაიბრძოლა და შემდეგ გაჩერდა, მაგრამ გულის
გაჩერება სიკვდილი არ ყოფილა, ეს ყოფილა უზომო შიშისაგან ფართოდ
გახელილი თვალები და დაუსრულებელი მოლოდინი იმისა,
ამუშავდება თუ არა ისევ წყეული გული, ამუშავდება თუ არა?!

– გულის წყევლა არ შეიძლება, ბატონო, გულს მოფერება
და სულის ბერვა უნდა ცეცხლზე შემდგარ რძესავით.

– ჭირსა შიგან გამაგრება... – თქვა ექთანმა.

– ქალბატონო, რა დროს მხატვრული ლიტერატურაა, მიშველეთ!

– ნადია, ანალგინი, ახლავე დაგიყუჩდებათ!

– ნასვამია, ექიმო!

– კარდიოგრამა! – ავადმყოფი გაკოჭეს.

– რა ხდება? – იკითხა ექიმმა.

– ძალიან ღრმაა, ბატონო, ამას რა აკრეფს?!

– გტკივათ?

– ან გამიყუჩეთ, ან მომკალით!

– პრომიდოლი!

– ეს რა უქნიათ, როგორ მიულურსმავთ საწყალი! –
შეიბრალა ვიღაცამ და ნავი ნაპირზე ამოაჩოჩა.

– ამომაძვრეთ ლურსმნები, თორემ მოვკვდები! – ითხოვა ავადმყოფმა.

– იაშვილი სად არის? – იკითხა ერთ-ერთმა დამხვდურმა.

– აქ ვარ, ბატონო!

– ამოაძვრე ლურსმნები! – ბრძანა იმ დამხვდურმა.

– ძალიან ღრმადაა, ბატონო!

– მაშინ ყველამ ერთად ამოვაძროთ... აბა, ერთი, ორი და სამიიი!!!

– ღმერთო, ნუთუ ვერ ამოაძრობენ? – გაიფიქრა ავადმყოფმა და
ხელი შეაშველა დამხვდურებს.

– არ გაინძრე! – გააფრთხილა ავადმყოფი ერთმა დამხვდურმა, მერე ისევ თავის ამხანაგებს მიუბრუნდა, – აბა, კიდევ ერთხელ, ერთი, ორი და სააამიიი!!!

კიდევ ათასი წელი გავიდა. კბილებით ექაჩებოდნენ ლურსმნებს დამხვდურები.

– ამოვიდა? – იკითხა უფროსმა.

– ამოვიდა! – თქვეს მისმა ქვეშევრდომებმა.

– რამდენზე?

– სამოცზე ამოვიდა, ბატონო!

– წნევას მოეშვით, ახლა გულს მიხედეთ!

– მაჯა ორმოცდაათია.

– მგონი, გამოძვრა, – თქვა მან, რომელიც მონიტორს უყურებდა.

– გადაგორდა! – თქვა ავადმყოფმა.

– რა გადაგორდა? – იკითხა გაკვირვებულმა ექიმმა და ავადმყოფს შიშველ მკერდზე ყური დაადო.

– ბორბალი გადაგორდა! – გაიმეორა ავადმყოფმა.

– საიდან? – ჰკითხა ექიმმა ათრთოლებული ხმით.

– აი, აქედან გადაგორდა, ბატონო, – თქვა ავადმყოფმა, მარცხენა მხარეს გულთან ხელი დაიდო და გაიღიმა. ექიმმა შვებით ამოისუნთქა და ცივი ოფლით დაცვარული შუბლი მოწმინდა ავადმყოფს.

– მგონი, გადავრჩით! – თქვა მერე და ახლა ცხელი ოფლით დაცვარული საკუთარი შუბლი მოიწმინდა.

– რა დროს ამის ინფარქტი იყო?! – იკითხა ვიღაცამ და

აკანკალებული ხელებით პაპიროსი ამოიღო კოლოფიდან.

ავადმყოფმა ერთხელ კიდევ სცადა თვალის გახელა, რათა დაენახა ამ გულუბრყვილო შეკითხვის პატრონი, მაგრამ ქუთუთოებზე რომ

ტყვიის ფირფიტები ეწყო, იმაზე კიდევ თითო ფირფიტა დაემატებინა ვიღაცას.

* * *

ხუთი წუთის შემდეგ:

– გაგიყუჩდათ? – ავადმყოფმა თვალის გახელა დააპირა, რათა დაენახა ამ გულუბრყვილო შეკითხვის პატრონი, მაგრამ ქუთუთოებზე ტყვიის მძიმე და ცივი ფირფიტები ეწყო.

– მორფი! – თქვა გაწბილებულმა ექიმმა და ტელეფონს ეცა.

– მე ვარ, ანთელავა, მონიტორი გაანთავისუფლეთ და დეფიბრილატორი მოამზადეთ, სწრაფად!

– მომკალით! – ისევ ითხოვა ავადმყოფმა.

– აზოტი! – ბრძანა ექიმმა.

ავადმყოფმა იგრძნო, როგორ დაადეს სახეზე სველი დოლბანდი, როგორ აიყვანეს ფრთხილად, ნავში ჩააწვინეს და ზღვაში შეაცურეს...

ზღვა ოდნავ ღელავდა და ნავი ზანტად ირწეოდა. უცებ მენავემ მკერდზე უზარმაზარი ბრტყელთავიანი ბლაგვი ლურსმანი დაადო და ნავის სკამზე დააჭედა მუშტის ძლიერი დარტყმით.

– რატომ დამაჭედე, შე უღმერთო? – დაიკვნესა ავადმყოფმა.

– რომ არ გადმოვარდე ნავიდან. – უპასუხა მენავემ.

და ახლა ხელ-ფეხი დაუჭედა ისეთივე ბრტყელთავა და ჟანგიანი ლურსმნებით, მერე ადგა და ნავის კიჩოდან წყალში გადაეშვა.

– არ მიმატოვო, ძვირფასო, თორემ ამ ლურსმნებს ვინღა ამომაძრობს? – შესტირა მარტოდ დარჩენილმა და გაკვირვებულმა ავადმყოფმა მენავეს.

– იქ, იმ ნაპირზე, ამოგიღებენ! – უპასუხა მენავემ და გაცურა.

მისი ხმა შორიდან მოისმა. ახლა ნაპირიდან ესმოდა ავადმყოფს ყრუ შეძახილები, მაგრამ ვერ გარკვეულიყო, ემშვიდობებოდნენ, აფრთხილებდნენ, ამხნევებდნენ, ანუგეშებდნენ თუ მოთქვამდნენ...

ბოლოს ყველა ხმა მიწყნარდა, დადნა, დაიკარგა და დარჩა მხოლოდ უსაშველო ტკივილი, მოლოდინი, უსაზღვრო ზღვა და თვითონ, ნავზე მილურსმული და ყველასაგან მიტოვებული.

– ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაისთვის დამიტევებ მე! – თქვა ავადმყოფმა, თქვა და იმავე წამს მიხვდა, რომ ეს სიტყვები მას არ ეკუთვნოდა, ამიტომ არც ღმერთისაგან მათი გაგონების იმედი უნდა ჰქონოდა. ნავი კი ირწეოდა და ირწეოდა ზანტად ლურჯ ტალღებზე. ზუსტად ათასი წლის შემდეგ ბიძგი და ამ ბიძგისაგან გამოწვეული აუტანელი ტკივილი იგრძნო ავადმყოფმა. ნავი მეორე ნაპირს მიადგა. უამრავი ხალხი შემოეხვია ნავს:

404 405

ვინცა ხართ ლამაზი,
მესროლეთ აბაზი,
ტანანინა, ტანანინა, ჰე!..

აივნებიდან ხურდა ფულმა ხოშკაკალივით ითქრიალა და ბზრიალბზრიალით აჟღარუნდა ქვაფენილზე.

ბავშვები ისე დაესივნენ ხურდას, როგორც დამშეული ბეღურები საკენკს.

– ჰა, ჯიბგირებო, არ მომპაროთ, აი!

– ზოგი შავია, ძია ბაბაიანც!

– რაც შავია, გაახურე და შუბლზე დაიკარი, რაც თეთრია, მაიტა!

– ამას რა ვუყო, რეშკაზეა!

– მოიტა, ჯიბეში გადაბრუნდება.

– ვა, რამდენია?!

– ნუ გეშინია, მამაშენის ჯამაგირზე მეტი არ იქნება!

– მჭðèÿ, ñóêâ, ãîñòâíü ãåíüçè èç ëèô÷èêâ!

ფულის მოგროვება დამთავრდა. ბაბაიანცმა ქამარი მოიშვა, ხურდა ფული შარვლის შიდა ჯიბეში ჩაიყარა, გულის ჯიბიდან რვად გაკეცილი გაზეთი ამოიღო, მიწაზე გაშალა, ცეცხლი წაუკიდა ასანთით, ცოტა ხანს აცადა, გაზეთი რომ მთლიანად დაიფერფლა, ის ფერფლი ხელისგულზე მოაგროვა, ზედ დაიფურთხა და მეორე ხელისგულით სრესა დაუწყო, მერე ორთავე ხელი სახეზე ჩამოისვა და პირწავარდნილ ოტელოს დაემსგავსა.

– ÿòåëëã, âûõîãè! – ბრძანა ოტელომ, ძაღლი ოტელოსკენ მიცუნცულდა, ოტელო დაიხარა და ყური პრიალა შავ დრუნჩთან მიუტანა, ძაღლმა, ანუ იაგომ სამჯერ ჩაჰყეფა ყურში ოტელოს და უკანა თათებზე დადგა.
– ოჰ! – ამოიგმინა ოტელომ და მაყურებელს ახედა:

– იაგო ამბობს, რომ ჩემი ცოლი დეზდემონა, ყვარობს კასიოს! – მერე შეწუხებული სახით ისევ დაიხარა ძაღლისკენ და ისევ მიადო

დრუნჩზე ყური. ძაღლმა კვლავ სამჯერ ჩაჰყეფა ყურში. ამჟამად უფრო გაავებითა და ხმამაღლა, ვიდრე პირველად.

ოტელო ჯერ გაშტერდა, ცოტა ხანს ასე იყო, რთული სიტუაცია შეაფასა და უცებ გიჟივით გადაიხარხარა.
– ხა, ხა, ხა, არა და არა, მამაძაღლო!

ვიდრე არ მომცემ რამე საბუთს, ვერ დავიჯერებ!

სტელა გაიქცა, მარიას მოცეკვავე კინტოებით მოხატული ბაღდადური ცხვირსახოცი გამოართვა და ოტელოს მიურბენინა. ოტელომ ცხვირსა-

... მერე მოვიდა უჩვეულო, მაკურნებელი სიმთვრალე. საოცრად თბილი, მსუბუქი და ვარდისფერი, სატკივარი სადღაც გაქრა. მოვიდა მაკურნებელი სიმთვრალე და თან გაიყოლა ავადმყოფი, ოღონდ ზღვით კი არა, არამედ სულ სხვა გზით, უსაშველოდ ხვეული და დაქანებული კიბით. საოცარი ის იყო მხოლოდ, როდესაც ავადმყოფი ამ კიბეზე ეშვებოდა, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ზევით იწევდა და მაღლდებოდა თანდათან.
2

ეზოში კოჭლი ავეტიკა შემოვიდა ღიღინით. გადმოშვებულ შავ ხალათზე მაგრად შემოჭერილ ბაწარში ყავრისაგან გამოთლილი ბებუთი ჰქონდა გაჩრილი. უკან მხარზე არღანგადაკიდებული ქალი მოსდევდა, ქალს კი – ფრანგული თეთრი ბალონკა, რომელსაც შუბლზე ჩამოშლილი ქათქათა ბეწვიდან ფოლაქისოდენა და მუგუზალივით შავი თვალები ისე უპრიალებდა, გეგონებოდათ, ბუჩქებიდან შეშინებული აბრაგი იმზირებაო.

ბაბაიანცი და მისი მოხეტიალე თეატრი შუა ეზოში დაბანაკდა. ბაბაიანცმა კმაყოფილი ღიმილით მოავლო თვალი ოთხსართულიანი სახლის აივნებზე სარეცხივით გადმოფენილ დიასახლისებს. მარცხენა

ხელით ყავრის ბებუთის ტარს დაეყრდნო ამაყად, ხოლო მარჯვენათი სალამი და ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა ბანოვანებს და თავისი თეატრის რეპერტუარი გამოაცხადა:

– თბილისის პატივცემულო პუბლიკავ და არისტოკრატიავ! დღეს თქვენ ნახამთ საქართველოს პუბლიჩნი არტისტის, ავეტიკ ბაბაიანცის, პალევოი ტეატრის, ახალი ტრაგედიის „ოტელოს“, თანამედროვე ვარიანტს. ასრულებენ:

ოტელო – ავეტიკ ბაბაიანცი.
დეზდემონა – მარია პავლოვნა. იაგო
– ბალონკა, ანუ სტელა. ბილეთის
ფასი აბაზი. ეåíüχè âïåð¸ì!
– უვერტიურას არღანზე უკრამს მარია – ნ÷èíé, ìóðõ! –

მარიამ არღნის სახელური დაატრიალა. არღანმა საამურად დაიკვნესა და ბაბაიანცმა დაიწყო:

ბუზი მოდის ბაღდადიდან,
ბუზი მოდის ბაღდადიდან,
ტანანა, ტანანა, ტანანა, ტანანა,
ტანანინა, ტანანინა, ჰეი!..
406 407

– ოლია, აბა, შენ იცი, ბავშვი დედასთან წაიყვანე ხონში, – ქალი აკანკალებული ხელებით ჩემოდანში თეთრეულსა და თბილ საცვალს ალაგებდა, თან ოლიას შესცქეროდა მუდარით სავსე თვალებით.
– ნუ გეშინია, ანიკო! – ოლია ტიროდა.
– ხვალვე!
– არ გინდათ, ქალბატონო ანიკო, ანდერძები და ეგეთი რამეები,

აკი გითხარით, ქმრის თაობაზე ერთ-ორ შეკითხვას მოგცემენ და მორჩა. რაც უფრო ადრე წავალთ, მით უფრო ჩქარა დავბრუნდებით, – აჩქარებდა კაცი.

– ჩემი და ჩემი შვილის ცოდვა იყოს თქვენს კისერზე, – თქვა ქალმა და ჩემოდანის დახურვა დაიწყო. ხელები ისე უთრთოდა, ვერაფრით საკეტის ენა ჭრილში ვერ მოახვედრა. მაშინ კაცი მიეხმარა. ქალი განზე გადგა. კაცმა ჩემოდანი დახურა და ქალს მიაწოდა.
– ცოტა მოუჩქარეთ, გათენდა, ქალბატონო ანიკო!
– სადაური ქალბატონი ვარ მე, თუ კიდევ ერთი წვეთი ადამიანის

სისხლი შეგრჩენია, თქვი, სახლში არ დამხვდა-თქო, ხვალ კი დავიკარგები, დავდნები, ავორთქლდები, ქვესკნელში ჩავძვრები... – ქალის ხმაში სულ პატარა, იმედიანი ბგერა გაჩნდა.
– ეგ არ გამოვა! – თქვა კაცმა.

– მაშინ ერთი წუთიც მაცალე, ბიჭს დავემშვიდობები, – სთხოვა ქალმა.

– უკვე მესამედ ემშვიდობები! – გაახსენა კაცმა. ქალი საწოლი ოთახისაკენ წავიდა. მამაკაცი ზურგით აეფარა კარს. – მოვრჩით, ყველაფერს თავისი წესი აქვს...

– ერთხელ კიდევ! – ხმის კანკალით გაუმეორა თხოვნა ქალმა.

– მოვრჩით! – მოკლედ მოუჭრა კაცმა.

– ცოლ-შვილი არ გყავს, შე უღმერთო? – ჰკითხა იმედდაკარგული ხმით ქალმა.

– არცა მყავს და არც მეყოლება, თავისუფალი კაცი ვარ!

– ცალყბად ჩაიცინა კაცმა.

– თავისუფალი კი არა, მონა ხარ, შე უბედურო, ცვედანი, ტაკიმასხარა, კომედიანტი და ნაძირალა. – იფეთქა ქალმა.

– ნაძირალა და მასხარა ვინ არის, იქ გაირკვევა, ახლა ფეხი გამოადგი, ვიდრე რამე მიკადრებია. – გაფითრდა კაცი.

– ჯერაც არაფერი გიკადრებია.

– სამშობლოს მოღალატეს სხვანაირად არ ექცევიან.

– შენ რა იცი, სამშობლო რაა, შე მაწანწალა!

– ეგ სიტყვები დაიმახსოვრე, დედაკაცო!

ხოცს დახედა და გაშრა.

– სწორედ ის არის, მე რომ კახპას ვაჩუქე შარშან! – თქვა განწირული ხმით ოტელომ და აკაციის ხეს სამჯერ მიუჩაჩქუნა თავი.

დამფრთხალი ბეღურები ჟივილ-ხივილით გადაფრთქიალდნენ მეორე აკაციაზე.

– մ ÷ðèÿ, âûõîòè! – დაუძახა დეზდემონას ოტელომ.

დეზდემონამ არღანი აკაციას მიაყუდა და ოტელოს მიუახლოვდა თავდახრილი.

– დეზდემონავ, რა უყავ იგი ცხვირსახოცი, მე რომ გაჩუქე!?

– ჰკითხა ოტელომ და გამომცდელი თვალით შეხედა.

– rû ÷åçî ïðèòèðåøüñÿ, îòêóòå çíàòü, çòå òâîé

ïëàòîê, íåòîñü ñàì ïîòåðÿë èëè ñóíóë êóòà-òî, à

òåïåðü ìåíÿ òåðçàøü! – ეცა დეზდემონა.

– არარაობავ, დედაკაცი უნდა გერქვას შენ, ტროცკისტ კასიოს ანაცვალე შენ ჩემი თავი?!! – გაცოფდა ოტელო და ყელში სწვდა დეზდემონას.

– ºîëåçî÷å, ïóðàê! – გააშვებია ხელი დეზდემონამ და თვითონ გაწვა ფრთხილად წინასწარდაგებულ შალზე. ოტელომ ისევ

გადაიხარხარა, მერე დაიჩოქა, მკერდზე ყური დაადო დეზდემონას და რომ დარწმუნდა მკვდარიაო, თავში წაიშინა ხელი. მერე ქამრიდან იშიშვლა ყავრის ბებუთი, იღლიაში გაირჭო თერმომეტრივით და გვერდზე მიუწვა დეზდემონას. იაგომ დრო იხელთა, ფეხი აიშვირა და აკაციაზე მიყუდებულ არღანს მიაშარდა.

ტრაგედია დამთავრდა.
– ბრავო, ბაბაიანც! – გრიალებდნენ აივნები.
– ბრავო, ოტელო! – ზრიალებდნენ შუშაბანდები.
– ბრავო, მარია! – გრიალებდა მთელი შენობა.
– ბრავო, დეზდემონა! – კიოდნენ დიასახლისები.
– ბრავო, სტელა, ბრავო, იაგო! – კიოდნენ ბავშვები.
* * *

სასადილო ოთახში შუქი ენთო. ოთახში სამნი ლაპარაკობდნენ, ძალიან ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით, ისე, თითქოს ვიღაც მეოთხის გაღვიძების ეშინიათო. კედლის საათმა ორჯერ ჩამოჰკრა. ღამის ორი საათი იყო.
– ცოტა მოუჩქარეთ, ქალბატონო, სხვაგანაც ვართ მისასვლელი.
– თქვა მამაკაცმა გაპარული ხმით.
408 409
* * *

– თქვენს ბავშვს გულის მანკი აქვს და მწვავე ნევროზიც, – თქვა ექიმმა.
– საიდან? – დაბნეულად იკითხა დეიდა ოლიამ.
– შეძენილი მანკია, რამე მძიმე ტრამვა ხომ არ გადაუტანია?
– არა, ბატონო!
– რა ხნისაა?
– ცხრის.
– გასაკვირია პირდაპირ.
* * *

მატარებელი მწვანე მუხლუხოსავით გაბობღდა თბილისის სადგურიდან. დეიდა ოლიამ ბაჩანას ტანზე გახადა, ღამის გრძელი პერანგი ჩააცვა და ზედა საწოლზე დააწვინა. სასთუმლად ვეებერთელა ტყავის ჩემოდანი დაუდო და თვითონ ქვევით მოთავსდა, ფანჯარასთან.
– დაიძინე! – უთხრა დეიდა ოლიამ. ბაჩანა კედლისკენ გადაბრუნდა. ვაგონი საერთო იყო, ხალხით გაჭედილი და აქოთებული.
– რა უნდა თქვა ძილის წინ, ბაჩანა? – შეახსენა დეიდა ოლიამ.
– ძილი ნებისა, ბატონებო! – გაუღიმა ბაჩანამ მგზავრებს და ისევ კედლისკენ გადაბრუნდა.
– დედა, რა ზრდილობიანი ყოფილა ეს ბაღანა, – გაუკვირდა ერთ მგზავრს, – აბა, ჩემები სულ მამაძაღლოს ეძახიან ერთმანეთს ძილის წინ, მე რომ ვარ იქ, ისე, თქვენი შვილია, ქალბატონო? – ჰკითხა ოლიას.
– დიახ.
– ოხ, – მოუწონა მგზავრმა, – კი მაგრამ, რომ არ გგავთ სულ, მამას ჰგავს, ალბათ?
– დიახ.

– სწორი ყოფილა აბა, დედა ნახე, მამა ნახეო, – თქვა მგზავრმა.
– დიახ. – გაუღიმა დეიდა ოლიამ.
დდდმ – დდდმ – დდდმ.
დდდმ – დდდმ – დდდმ... – აგრუხუნდნენ ბორბლები ლიანდაგზე.
– აბა, შტორები ჩამოუშვით! – თავი შემოყო კუპეში გამცილებელმა.
– რა მოხდა? – იკითხა დეიდა ოლიამ.
– ზაჰესია! – აუხსნა ვიღაცამ.
– მერე რა?
– მახსოვს. – კაცმა ქალს მკლავში მოჰკიდა ხელი და სადარბაზოს კარისაკენ წაიყვანა.
– ოლია! – თქვა ქალმა.
– ჩემო ანიკო! – მერე დუმილი ჩამოვარდა და უცებ ორი ქალის თავშეუკავებელმა ქვითინმა აავსო ოთახი.
– ანდრო, შენი ოხერი დედა ვატირე ჩემი აქ გამოგზავნისთვის! – კბილები დააღრჭიალა კაცმა, – კარგი ახლა, მეც კაცი ვარ, ბოლოს და ბოლოს, – მიუბრუნდა ქალებს და ყელში მომდგარი ბურთი ძლივს გადააგორა ნერწყვით. – მორჩით!!!
. . . . . .
ბავშვი კარის მძლავრმა გაჯახუნებამ გამოაღვიძა. იგი სწრაფად წამოჯდა ლოგინზე და დედის საწოლს გახედა. ლოგინი ცარიელი იყო.
– დედა! – დაიძახა ბავშვმა. ხმა არავინ გასცა.
– დედა! – გაიმეორა მან წყნარად და ხელი დედის საბნის ქვეშ შეაცურა. ლოგინი ჯერ კიდევ თბილი იყო.
შიში ფეხის ტერფებიდან დაიწყო, მუხლები გაიარა და მუცლის არეში შემვრა, მერე ფილტვები შებოჭა და ბოლოს თვალებში ჩაბუდდა. ბავშვი საწოლიდან გადმოვიდა, გრძელი კოჭებამდე თეთრი პერანგი ეცვა, ფეხშიშველი მივიდა სასადილო ოთახის კართან და ხელი ჰკრა კარს.
სასადილო ოთახში, დაბალ ტახტზე ხელებში თავჩარგული დეიდა ოლია იჯდა და მხრები უთახთახებდა. ბავშვი მიუახლოვდა, მის წინ დადგა და ჩურჩულით ჰკითხა:
– დეიდა ოლია, ჩემი დედა სად არის? – ქალს თავი არ აუღია.
– დეიდა ოლია, სად არის ჩემი დედა? – გაუმეორა ბავშვმა კითხვა და მხარზე შეახო გამხდარი, ცივი და ოფლიანი ხელი.
– შენი დედა, ბაჩანა... – ქალს ხმა ჩაუწყდა.
– ჩემი დედა რა იქნა?! – ქალი წამოდგა, ბავშვი მკერდში ჩაიკრა
და პირზე ხელი ააფარა, ეს შემზარავი კითხვა რომ არ გაეგონა. ქალს ბავშვის ხმა აღარ ესმოდა, მაგრამ ხელისგულზე ტუჩების მოძრაობით გრძნობდა, რომ ბავშვი დაჟინებით იმეორებდა ერთსა და იმავე კითხვას. ბავშვი გაცივდა და ოფლად გაიღვარა, ტუჩები აღარ მოძრაობდნენ.

– ღმერთო, ნუთუ ვერ ხედავ ამას და თუ ხედავ, სად ხარ?!
– თქვა ქალმა და ბავშვის წინ მუხლებზე დაეშვა.
410 411

– თქვა კაცმა, რომელსაც ბაჩანას ზრდილობა გაუკვირდა.
მატარებელი კი კივილით მიქროდა. ქუჩაში უპატრონოდ დაყრილ ბავშვებივით ტოვებდა წუთიან და ორწუთიან სადგურებს.

– მოემზადეთ, ნახევარ საათში სამტრედია იქნება. გაჩერება სამი წუთი! – საწოლებზე გასაღების კაკუნით ჩამოიარა გამცილებელმა.
– სამტრედია! – მოადგა იგი ბაჩანას კუპეს.

– ნამეტანი ჩქარია დღეს თქვენი მატარებელი და ბილეთებზე ფულის დამატება ხომ არ მოგვიწევს? – იკითხა ისევ იმ მგზავრმა, ბაჩანას ზრდილობა რომ მოეწონა.

– მაგი სადგურის უფროსს ჰკითხე, რომ ჩახვალ, – დაუღრინა გამცილებელმა.
– დამხვდება თუ? – მოგონილი გულუბრყვილობით ჰკითხა მგზავრმა.
– თუ არ დაავიწყდა მთავრობას შეტყობინება, დაგხვდება, ალბათ.
– აგდებულად უპასუხა გამცილებელმა.
– გულმავიწყობაში ვერ დაემდურები ჩვენს მთავრობას, ცხრაას

ხუთში ვის ვუყარე კენჭი ილორის ჯვარის ეზოში გამართულ მიტინგზე, იგი ახსოვს მაგას.

– ნუ გადაგიკიდია ენა ხურჯინივით მხარზე და ღმერთს მადლობა შესწირე, ყრუი რომ ვარ! – დაამადლა გამცილებელმა. მგზავრმა ენას მოუკლო, მატარებელმა – სვლას.
– ქალბატონო, თქვენ მგონი სამტრედიაში ჩადიხართ! – ხელი

შეახო მუხლზე ჩათვლემილ დეიდა ოლიას ახალგაზრდა მგზავრმა.
– ქალბატონო! – დეიდა ოლია შეკრთა და თვალი გაახილა.
– რა ბრძანეთ?
– მგონი, სამტრედიაში აპირებდით ჩასვლას.
– დიახ.

– უკვე ჩავდივართ! – დეიდა ოლია გველნაკბენივით წამოხტა და ბაჩანას საწოლს მიაწყდა.

– ადექი, ბაჩანა, ჩავდივართ! – ბაჩანა შეიშმუშნა და საწოლზე წამოჯდა.

დ-დმ, დ-დმ, დ-დმ, – მატარებელი ახლა ერთი მუხლის ჩაგდებით მღეროდა.

– მალე, ბაჩანა! – აჩქარებდა დეიდა ოლია და ხელჩანთას ამზადებდა, ბაჩანამ ხელი სასთუმლისკენ წაიღო და გაშტერდა...
– დეიდა ოლია, რა იქნა დედაჩემი?!

– რას ამბობ, ბაჩანა? – ხმის კანკალით თქვა დეიდა ოლიამ და საფეთქლებზე წაივლო ხელი. გაკვირვებული მგზავრები ხან ბაჩანას

უყურებდნენ, ხან მიტკალივით გათეთრებულ დეიდა ოლიას.
– დივერსიის ეშინიათ, – განმარტა იმავე ხმამ.
– დივერსია, დივერსია, დივერსია... – გაიმეორა ძილღვიძილში ბაჩანამ,

– ნეტავ რა არის დივერსია, რომ გავიღვიძებ, უეჭველად ვკითხავ დეიდა ოლიას, – გაიფიქრა ბაჩანამ, მერე სიფხიზლე გაუგორდა სადღაც ჭრელი ბურთივით და მატარებლის ბორბლების საამო დაგადუგში დაეკარგა.

... ღამით დედა მოვიდა, ფრთხილად გამოაცალა ბაჩანას სასთუმლიდან ჩემოდანი და ძალიან რბილი, ფაფუკი ბალიში დაუდო. ბაჩანა შეიშმუშნა. დედა ყოველთვის უსწორებდა სასთუმალს, ამიტომ თვალიც არ გაუხელია, პირიქით, საბანი თავზე წაიხურა.

– ბალიშზე დადე, შვილო, თავი, ბალიშზე, – ესმის ბაჩანას დედის ჩურჩული და მორჩილად სწევს თავს. – დაიძინე, გენაცვალე, დაიძინე.

– ბაჩანამ ლოყაზე ხელის მოთათუნებაც კი იგრძნო. ეხამუშა დედის ხელი, ცოტა უხეში მოეჩვენა, მაგრამ იქნებ მამაა და როგორც ყოველთვის საჩუქარს უდებს ბალიშის ქვეშ...
დდდმ, დდდმ, დდდმ... – მღერის მატარებელი.

სძინავს ბაჩანას მშვიდი ძილით. სძინავს და ფერად სიზმარს ხედავს: პიონერთა სასახლის სარკეებიან დარბაზში გამწკრივებულ თეთრპერანგიან და ალისფერ ყელსახვევიან რაზმელებში დგას. გაუგონარი დღეა: ხოზე დიასი და დოლორეს იბარური, ესპანელი რესპუბლიკანელი ბავშვების ნაჩუქარ ფოჩიან ქუდებს ურიგებენ პიონერებს... დოლორეს იბარური, შავგვრემანი, მაღალი და უსაშველოდ ლამაზი ქალი, ბასკი ბიჭის სახელით გადასცემს ბაჩანას ფოჩიან ქუდს.
– იყავ მზად! – ეუბნება დოლორეს იბარური.
– მზად ვარ! – ეუბნება ბაჩანა და სალამს აძლევს.

– სალუტ! – პასუხობს დოლორესი შეკრული მუშტით, მერე ხელს უთათუნებს ლოყაზე და უღიმის.
* * *

მატარებელი გიჟივით გამოვარდა წიფის გვირაბიდან. მარელისის დაფეთებული მგზავრები კივილით გააპო შუაში და შეუჩერებლად გაქანდა სამტრედიისაკენ.
– ასე თუ იარა, ერთ საათში სამტრედიაში ვიქნებით, ბატონო! –
თქვა ხრინწიანი ხმით წვირიანი დოლბანდით ყელშეხვეულმა მგზავრმა.

– იქაც რომ არ გაჩერდეს? – იკითხა შეშფოთებულმა
დეიდა ოლიამ.

– რაღაც უბედური ვაგონი ჩაგვიბეს მცხეთაში, სამხედროები იდგნენ კიბეზე, წყალზე ვიყავი ჩასული და ჩემი თვალით დავინახე მაგენი

და, რა თქმა უნდა, შარდის სუნი იდგა. სული რომ არ შეხუთვოდა, ბაჩანამ ძალიან ფრთხილი მოძრაობით საბანი ცხვირზე წაიფარა, შემდეგ მარცხენა ხელი მარჯვენა ხელის მაჯისაკენ გააპარა. გული დაახლოებით

ისე ძგერდა, როგორც ბავშვობისას. დახუჭობანას თამაშის დროს, თვალდახუჭული და შუბლით კედელს მიყრდნობილი ბაჩანა რომ ითვლიდა ხოლმე: – ერთი, ერთ-ნახევარი, ორი, ორ-ნახევარი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, შვიდ-ნახევარი, რვაააა-ნაააა-ხეეე-ვააა-რიი, ცხრა და ათი! – ბაჩანამ მაჯას ხელი გაუშვა და ახლა მკერდზე დაიდო. მკერდში სამარისებური სიჩუმე იდგა, ამიტომ ისევ მაჯაზე იტაცა ხელი, გული მუშაობდა. ფრთხილად ამოყო ცხვირი საბნიდან. კვლავ ეცა მძაფრი სუნი.

– ფანჯარა! – თქვა ბაჩანამ.

– რაო? – იკითხა მის გვერდით საწოლმა.

– მგონი, ცოცხალია, – თქვა მეორე საწოლმა.

– ყველა მკვდარი ჩვენთან რომ შემოჰყავთ, მამაძალი, პალატაა თუ მორგი?! – განაწყენებული ხმით თქვა პირველმა საწოლმა.

– ამბობენ, მწერალიაო, – თქვა მეორე საწოლმა.

– თუ მწერალია, მთაწმინდაზე წაიყვანონ, აქ რას მოჰყავთ?! – უპასუხა პირველმა საწოლმა. ბაჩანას ყველაფერი ესმოდა, მაგრამ ახლა მისთვის მთავარი ჰაერი იყო, სუფთა ჰაერი და მეტი არაფერი.

– ფანჯარა! – გაიმეორა მან.

– ან ფანჯარა არ მოსწონს, ან ჰაერი, – მიუბრუნდა პირველი საწოლი მეორეს.

– ჰაერი! – თქვა ბაჩანამ.

– ჩვენ, ბატონო, ადგომისა და განძრევის უფლება არ გვაქვს ჯერ,

– მოახსენა მეორე საწოლმა, – სხვა გზა არ არის, ვიდრე ექთანი მობრძანდება, იმავე ჰაერით უნდა ისარგებლოთ, რომლითაც მე და პატივცემული ბულიკა ვსუნთქავთ, – აუხსნა მეორე საწოლმა. ბაჩანა მიხვდა, რომ პირველ საწოლს ბულიკა ერქვა, ახლა საჭირო იყო მეორე საწოლის ვინაობის გაგება.

– დრო! – თქვა ბაჩანამ.

– მე მგონი ის დროა, მამაო პირჯვარს იწერდეს და ღმერთს მადლობას სწირავდეს, – თქვა პირველმა საწოლმა. ბაჩანამ თვალი მეორე საწოლისაკენ გააპარა და ჭაღარაშერეულ შავ წვერს მოჰკრა თვალი. – მღვდელია, – გაიფიქრა ბაჩანამ და ისევ დრო იკითხა.

– დილის ცხრა საათია! – უპასუხა მეორე საწოლმა.

– საუკუნე ხომ არ გაინტერესებთ, ბატონო? – ჰკითხა პირველმა საწოლმა.

– დეიდა ოლია, ჩემოდანი დედამ წაიღო. სად არის ჩემი დედა?! –

ოლიამ იგრძნო, რომ წინა ღამის ისტორია მეორდებოდა, განცვიფრებული, შიშველი ბავშვი საწოლიდან გადმოიყვანა, გულში ჩაიკრა, ხელი პირზე ააფარა და პირდაპირ იატაკზე დაეშვა.

– მიშველეთ, ხალხო! – თქვა მან. მატარებელი გაჩერდა.

* * *

სამტრედიის სადგურის მორიგემ სამჯერ ჩამოჰკრა ზარს და როდესაც მეორე ლიანდაგზე ჩამომდგარმა მატარებელმა ზანტად ჩაიარა

და სადგურს გასცდა, ხელი ზარის ენაზე გამობმულ ბაწარზე შეაცივდა. მის წინ, ცარიელ ბაქანზე ორი ადამიანი იდგა: ერთი – თმაგაშლილი, უპალტოო შეშლილი სახის ქალი და მეორე – ფეხშიშველი, კოჭებამდე თეთრ პერანგში ჩაფართხუნებული, გაკვირვებული ბიჭი. ისინი ხელიხელჩაკიდებული იდგნენ და არ იძვროდნენ. დაბნეულმა მორიგემ ანგარიშმიუცემლად გამოქაჩა ბაწარი, მერე ისევ და ისევ და ღამის ჩამკვდარი სიჩუმე ზარის გაბმულმა ზრიალმა აავსო.

დზინ, ნაუ... ნაუ, დზინ, დზინ, ნაუ, დზინ, ნაუ...

– ზოსიმე, გადი და გააჩერე, ის მღვდელი ისევ მთვრალი მოეთრია სამორიგეოდ?! – უთხრა სადგურის მორიგემ თავის თანაშემწეს და წითელქუდიანი თავი ფანჯარაში გამოყო.

ქალი და ბავშვი კვლავ ბაქანზე იდგნენ. ზარი კი გაბმულად რეკდა – დზინ, ნაუ, დზინ, ნაუ, დზინ, ნაუ, დზინ, დზინ.

3

სიკვდილის ხელიდან გამოგლეჯილი ავადმყოფი იმ ცნობისმოყვარე ბავშვს ჰგავს, ცირკში რომ მიიყვანენ, სულ წინა რიგში დასვამენ და უცებ საოცრებებით სავსე ფარდის იქედან რომ ფრაკგაპრიალებული, თმაგადალესილი ანტერპრენიორი აღმოცენდება და გამოაცხადებს:

– პატივცემულო მოქალაქენო, ცირკის ადმინისტრაცია უზომო ბოდიშს იხდის თქვენს წინაშე. ილუზიონისტის უეცარი ავადმყოფობის გამო სანახაობა არ შედგება!..

* * *

პალატა სამსაწოლიანი იყო. შიგ ერთმანეთში გაზავებული იოდოფორმის, სპირტის, ქაფურის, ახლად მორეცხილი ნესტიანი იატაკის

414 415

დაღლილი ქუთუთოები მისით დაეხუჭა.

– ან გვაშაყირებს, ან ბოდავს! – თქვა ბულიკამ.

– მაგას ჟანგბადი აკლია და მეხსიერების ძაფი უწყდება. მეც ასე

ვიყავი, – თქვა მეორე საწოლმა. – როგორმე ფანჯარა უნდა გავუღოთ. ბაჩანამ იგრძნო, როგორ აივსო ოთახი კვლავ ვარდისფერი ნისლით და როგორ დაეშვა ისევ ხვეულ კიბეზე.

– თქვენ რა გქვიათ, პატივცემულო? – მოესმა შორიდან ბაჩანას ბულიკას კითხვა და შეჩერდა.

– მე ბაჩანა მქვია, ბატონო, რამიშვილი! – უნდოდა ეპასუხა

ბაჩანას, მაგრამ ისე შორს ეჩვენა შემკითხველი, მიხვდა, რომ ხმას ვერ მიაწვდენდა და ხელი ჩაიქნია. ყვირილის თავი არ ჰქონდა.

– იძინებს, აცალე! – მოესმა ახლა მეორე საწოლის ხმა ბაჩანას უფრო შორიდან.

– არ ვიძინებ, კიბეზე ვეშვები და დამაბრუნეთ, თუ შეგიძლიათო,

– უნდოდა ეთხოვა ბაჩანას მისთვის, მაგრამ ვარდისფერმა ნისლმა ისე დაათრო, ენას ვეღარ აბრუნებდა. ამიტომ სულ რომ არ დაჰკარგოდა ამ ადამიანების ხმა, კიბეზე ჩამოჯდა.

– დაიძინა! – თქვა ბულიკამ.

ბაჩანას არ ეძინა, ბაჩანას ყველაფერი ესმოდა.

* * *

ბულიკას საწოლის ქვეშიდან ვირთხა გამოძვრა, ცხვირი მაღლა ასწია, ჰაერი დაყნოსა და ულვაშები ააცმაცუნა.

– გამობრძანდა! – თქვა ¹ 2 ავადმყოფმა.

– მარტოა თუ შემადგენლობით? – იკითხა ბულიკამ.

– ჯერ მარტოა. – უპასუხა ¹ 2 ავადმყოფმა.

– ნახე, ეგ ჩვენი მწერალი ხომ არ მომკვდარა, მაგან მკვდრის

სუნზე იცის გამოსვლა, – თქვა ბულიკამ და თავი ფრთხილად გადმოჰყო, რათა საკუთარი საწოლის ქვეშ ვირთხა დაენახა. საწოლი აჭრიალდა, ვირთხამ ყურები ცქვიტა და სოროს ეცა, მარტო კუდს შეასწრო თვალი ბულიკამ.

– წავიდა! – თქვა გულდაწყვეტილმა.

– ახლავე დაბრუნდება, – თქვა მეორე ავადმყოფმა, კარადიდან ერთი ნატეხი შაქარი აიღო და შუა პალატაში გააგორა. ახლავე გეახლებათ, შემადგენლობით, – დასძინა.

– მაინც გახედე, ის ჩვენი მწერალი ხომ არ მომკვდარა. – ისევ გაიმეორა ბულიკამ, მეორე ავადმყოფი ბაჩანას საწოლს დააკვირდა. ავადმყოფები ან მაშინ ხუმრობენ, როდესაც კვდებიან და საშველს ვერ ხედავენ, ან მაშინ, როდესაც უკვე ყოჩაღად არიან. ბაჩანას ახსოვდა რომელი საუკუნე იყო, მაგრამ ახლა ამ ყოჩაღი ავადმყოფის სახე აინტერესებდა, რომლის საწოლი ბაჩანას საწოლის ფეხებში იდგა და ავადმყოფს მელოტი თავის კოტორის გარდა არაფერი არ უჩანდა. თეთრი, ჩაკეცილი ბალიშის ორი აცქვეტილი ყური მის თავს ვირის,

ჩოჩორის თუ კურდღლის ფორმას აძლევდა. ბაჩანას უნებურად გაეღიმა და რომ მეზობელი არ გაენაწყენებინა, მაინც იკითხა:

– რომელი საუკუნეა?

– ეგ ძალიან შორიდან მოდის, აი მამაო! – გაეხმიანა პასუხის ნაცვლად მეორე საწოლს ბულიკა, – მე ეგრე შორს არ წავსულვარ...

– შენ, ბიჭო, მარტო უკანა კედელზე გქონდა იშემია, ამას ბაგრატის ტაძარივით ყველა კედელი დანგრეული ჰქონდა, – აუხსნა მეორე საწოლმა.

– რაღაი ეგრეა, თქვენთვის ახალი წელთაღრიცხვით პირველი საუკუნის პირველი დღეა, პატივცემულო! – დაუდგინა თარიღი ბაჩანას პირველმა საწოლმა.

ბაჩანამ არაფერი უპასუხა, პალატას დაუწყო თვალიერება:

კარი, საწოლი, საწოლი, ორი დაბალი კარადა, ზედ დალაგებული მაწვნიანი ქილებით, უამრავი წამლებით, და ხელსახოცგადაფარებული ხილით. თეთრი კედლები, ერთი დიდი ფანჯარა და ერთიც საერთო მაგიდა, წყლიანი გრაფინითა და დამჭკნარი ვარდებით. ¹ 2 საწოლის ქვეშ თეთრი გედივით ყელმოღერებული ღამის ქოთანი. ¹ 1 საწოლის ქვეშ რა ხდებოდა, ბაჩანა ვერ ხედავდა. თვითონ ბაჩანა ¹ 3 იყო. ასე დანომრა საწოლები. ¹ 1 საწოლის ავადმყოფი თავისი მელოტი თავითა და ბალიშის აცქვეტილი ყურებით ახლა თეთრ ვირს უფრო ჰგავდა, ვიდრე კურდღელს. ¹ 2 საწოლის ავადმყოფი კი საკმაოდ სიმპათიური ეჩვენა ბაჩანას. პროფილის მიხედვით, რომელსაც ბაჩანა

ხედავდა, მას სწორი ცხვირი, გამხდარი, გამოკვეთილი ყვრიმალები და გამოკვეთილი ნიკაპი ჰქონდა, რომელსაც ძალიან ხშირი, ჭაღარაშერეული წვერი უმშვენებდა. – ნეტავ რომელი რიცხვია ან რომელი თვე. წელიც არ ახსოვდა ბაჩანას, რომელი წელი იყო. უამრავზე უამრავი შეკითხვა აწუხებდა ახლა ბაჩანას და რაღაი თვითონ არც ერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემის უნარი არ ჰქონდა, ახლა ყველა ამ შეკითხვაზე

პასუხის გაცემას მის ოთახში ლოგინზე გაკრული ორი უცნობი კაცისაგან ელოდა. ჯანდაბას, ყველა შეკითხვას არ ჩივის ბაჩანა, რამდენიმეზე ან ერთ შეკითხვაზე მაინც უპასუხონ ამ კეთილშობილმა ადამიანებმა.
– რომელი წელია? – იკითხა უცებ ბაჩანამ ანგარიშმიუცემლად და
416 417
გაახსენა მეორე ავადმყოფმა.
– კაცი ვარო, მაგან უნდა თქვას. უფასო შაქარს ჭამს, თანაც

ლექსებს ვუკითხავთ, არც ინფარქტი აწუხებს, არც სტენოკარდია, არც ტახიკარდია, ნახე, რა გოჭივით არის დამრგვალებული.
– აქ კარგი პირობებია სამაგისოდ, – დაეთანხმა მეორე ავადმყოფი.

– ახლა ეგ რომ ვინმე უცხოელმა კორესპონდენტმა ნახოს, ხომ გაგვჭიმავს „გოლოს ამერიკაში“, საბჭოთა ავადმყოფებს ვირთხები უკანასკნელ შაქრის ნატეხს პირიდან გლეჯავენო, – შეწუხდა ბულიკა.

– თუ საკითხს სოციალურ და ისტორიულ ასპექტში განვიხილავთ, თან ანტისანიტარიას გამოვრიცხავთ, ობიექტურად და ლოგიკურად ვირთხა იქ ჩნდება, სადაც ჭარბი პროდუქტია. საერთოდ კი, ცოფი და ჩუმა რომ არ იცოდეს, დალოცვილმა, მაგიც ღვთის შვილია. – თქვა მეორე ავადმყოფმა.

– ახლა შენ ისევ ჩხუბი არ დამიწყო, უღმერთო ხარო და იმ შენ ღმერთს რა ვუთხარი, ვირთხა რომ გააჩინა. ეგეთ საქმეს რომ აკეთებ,

თან ინსტრუქცია უნდა გამოაყოლო. აბა, რა არის ამ ქვეყანაზე ვირთხის დანიშნულება: მუზიკას უკრავს? – არა, – ღვინოსა სვამს? – არა, – ტუფლებს აპაჩინკებს? – არა, – მღერის? – არა, – ტოლმას აკეთებს?

– არა, მაშ, რას აკეთებს? შაქარს ხრავს, იატაკს ხრავს, მიწას ხრავს, რკინას ხრავს, ხოლერას აჩენს, ჩუმას აჩენს, ცოფს აჩენს, მეტს რას აკეთებს, ჰო, ცურცლავს. სულ ეგ არის შენი ღმერთის შექმნილი?

თფუ, მაგის ბინძური დედა ვატირე! – გადააფურთხა ბულიკამ და კედლისაკენ გადაბრუნდა.

– ბრიყვო, ღმერთმა ვირთხა იმიტომ გააჩინა, რომ შენისთანა უმეცარისათვის ეჩვენებინა, აი, რა შემიძლიაო, – აუხსნა მეორე ავადმყოფმა. – და თუ ენას კბილს არ დააჭერ, შეიძლება სიკვდილის შემდეგ შენი სული ვირთხაში გადაასახლოს, – დაემუქრა.

– მაგისთვის ერთი ვირთხა არ ეყოფოდა დალოცვილს? – დაურბილდა ხმა შეშინებულ ბულიკას.

– ახლა აიღე და შაქარი გადაუგდე, მე აღარა მაქვს, – გათამამდა მეორე ავადმყოფი.

– კანფეტი რომ გადავუგდო, „Пãêîâãÿ øåéêã“ პრიშჩიკებს ხომ

არ დააყრის?– იკითხა ზიზღით ბულიკამ და ისევ გადმობრუნდა. ვირთხებმა ადგილი შეინაცვლეს და ახლა მეორე ავადმყოფის განჯინასთან აცმაცუნებდნენ რაღაცის ნამცეცებს.

– ღვთის შვილია ყოველივე ბუნებისმიერი და ამიტომ სრულ ჰარმონიაში უნდა ვიყოთ ერთმანეთთან. – დასძინა მეორე ავადმყოფმა. ვირთხები ახლა ბაჩანას კარადას მიადგნენ, მაგრამ ბაჩანა, როგორც ბაჩანა გულაღმა იწვა და უსისხლო ხელები მკერდზე ჰქონდა დაკრეფილი.

– მუცელზე ზეწარი ადი-ჩამოდის, – თქვა მეორე ავადმყოფმა, – ქუთუთოებსაც ამოძრავებს.

– თუ ზეწარი ადი-ჩამოდის, ესე იგი სუნთქამს, თუ სუნთქამს, ესე

იგი გული მუშაობს, თუ ქუთუთოებს ამოძრავებს, ესე იგი არ ძინამს, თუ არ ძინამს, ესე იგი ესმის, თუ ესმის, ესე იგი ხმა უნდა ამაიღოს, თუ ხმას არ ამაიღებს, ესე იგი ამ ქვეყნისა არ არის, – დაასკვნა ბულიკამ. – პატივცემულო მწერალო, ცოცხალი ბრძანდებით?

– ცოცხალი ვარ, აგერ შუა კიბეზე ვზივარ და გელოდებით, როდის ამომიყვანთო, – უნდოდა ეთქვა ბაჩანას, მაგრამ ეს მხოლოდ ფიქრი იყო, ფიქრი კი ვერა და ვერ აღწევდა ბულიკას ყურამდე.

– ეგ თუ გამოძვრა, ღმერთს ვიწამებ, – მიუბრუნდა ბულიკა მეორე ავადმყოფს.

– გამოძვრა! – თქვა მეორე ავადმყოფმა, – შემადგენლობით მობრძანდება. – ვირთხა ამჟამად მეუღლისა და ორი წრუწუნას თანხლებით გამობრძანდა, ბულიკას გედივით ყელმოღერებულ ღამის ქოთანს საპატიო წრე დაარტყა და იატაკზე გაგორებულ შაქარს დაურიდებლად მიადგა. სოროში წაღებითაც კი არ შეუწუხებია თავი. ჯალაბს დაუძახა და იქვე დაუწყეს შაქარს ღრღნა რიგრიგობით.

– იცის ამ შობელძაღლმა, ადგომის თავი რომ არა გვაქვს, თორემ

ეგრე უნამუსოდ ვეფხვიც არ მოგვექცეოდა. – სინანულით გადააქნია თავი ბულიკამ. – ვირთხამ შაქარს თავი მიანება, უკანა თათებზე დაჯდა და ბულიკას გახედა ცნობისმოყვარეობით.

– ესმის ყველაფერი ამ ვირიშვილს, – თქვა და ვირთხას თვალი აარიდა ბულიკამ.

მწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო
უასაკოთაც და უსულთ შორის და
უცხოველეს სხვათა ენათა არს
მნიშვნელობა მათი საუბრის...

წაიკითხა გამოთქმით მეორე ავადმყოფმა.

– ეგ ვეფხისტყაოსანია? – ჰკითხა ბულიკამ.
– არა, ვეფხისტყაოსანი ეგ არის:

რა ესმოდათ მღერა ყრმისა
სმენად მხეცნი მოვიდიან.
– 27. ნ. დუმბაძე, ტ. II
418 419

– ფანჯარა გაუღეთ, წეღან გონს მოვიდა და ჰაერი მოითხოვა,
– გაახსენდა მეორე ავადმყოფს.

ჟენია სწრაფად წამოდგა და ორთავე სარკმელი გაფეთქა, ოთახში გრილი, მაცოცხლებელი აკაციის სუნით გაჟღენთილი ჰაერი შემოვარდა. პალატა გაზაფხულით აივსო.

. . . . . .

– ამოდი, ამოდი, ამოდი, – ჩაესმა კიბეზე მჯდომ ბაჩანას ვიღაცის ძალიან ნაცნობი ხმა. ბაჩანა ადგა და ვარდისფერ ბურუსს აჰყვა ზევით. კიბე აყვავებული აკაციებით გარშემორტყმულ მდელოზე

ამოდიოდა. სისხლისფერი ყაყაჩოებით მოჩითულ მდელოზე ღრუბელივით თეთრი, ფაფარგაშლილი კვიცი იდგა და ფლოქვს ისე სცემდა მიწაზე, თითქოს ხელს უქნევდა ბაჩანას.
– მოდი! – მოესმა ბაჩანას კვლავ, – მოდი და შემაჯექ! – ბაჩანა

გადაევლო უბელო კვიცს და რომ არ გადმოვარდნილიყო, ფაფარში ჩარგო თავი და მკლავები ყელზე შემოაჭდო. კვიცი გაქანდა და მისი ფლოქვების თქარათქურზე მიხვდა ბაჩანა, რომ იგი დაუნალავი იყო. კვიცი თეთრ საყდართან შედგა და ათი ათასი სხვადასხვა ზომის ზარის ხმით დაიჭიხვინა. მაშინ საყდრის ორთავე კარი გაიღო და შიგნიდან მზე მარიამი გამობრძანდა პატარა ბავშვით ხელში. „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი“, – გაიფიქრა ბაჩანამ და მუხლებზე დაეშვა...

თვალი რომ გაახილა ბაჩანამ, თავზე თეთრ, სპეტაკ ხალათში გახვეული ექთანი ადგა და მაჯას უსინჯავდა. ბაჩანა გრძნობდა, როგორ მიედინებოდა სისხლი ძარღვებში და როგორ უჭირდა იქ, სადღაც გულთან გავლა, მაგრამ არ ჩერდებოდა, საოცარი სიჯიუტით მაინც მიდიოდა და აწვებოდა კედლებს. სისხლი უკვე კი არ მიედინებოდა, კი

არ მიიზლაზნებოდა მდორედ, არამედ ჩქეფდა საფეთქლებში და მაჯებში. ჩქეფდა ისე, რომ გულიც, მაჯებიცა და საფეთქლებიც სტკიოდა ბაჩანას, მაგრამ ეს სულ სხვა, განსხვავებული ტკივილი იყო. და ბაჩანა მიხვდა, რომ სადღაც წასული სიცოცხლე შემობრუნდა, ოთახის კარი შემოაღო, საწოლზე ჩამოუჯდა და მკერდზე შეახო ხელი. ბაჩანამ ყველაფერი ეს ჯერ იგრძნო, მერე გაიგონა და ბოლოს დაინახა.
– გამარჯობა! – უთხრა მან სიცოცხლეს და გაუღიმა.

– გამარჯობათ! – აღმოხდა ექთანსა და ორთავე ავადმყოფს. მოულოდნელობა, სიხარული და გაკვირვება, ყველაფერი ერთად იყო ამ გამარჯობაში.
– გამარჯობათ! – გაიმეორა ბაჩანამ და ახლა მათ გაუღიმა.

ახალი ავადმყოფი, ჯერ არაპროდუქტიული გახლდათ, ამიტომ კვლავ მეორე ავადმყოფის კარადას ეწვივნენ და რაღაი იქაც არაფერი დახვდათ, კარადის ფეხს დაუწყეს ღრღნა გულისწამღებად.

– აუჰ, თქვენი სინსილა გაწყდა! – იკივლა უცებ მეორე ავადმყოფმა და ისეთი სიძლიერით მოუქნია ფეხსაცმელი, რომ შეშინებულმა ბულიკამ გულზე იტაცა ხელი.
– ჰარმონიას ნუ დაარღვევ, მამაო! – უთხრა მან ირონიით და ენის ქვეშ ნიტროგლიცერინი ამოიდო.
– რაშია საქმე? – იკითხა ხმაურზე შემოსულმა ექთანმა.
– ქალბატონო ჟენია! – დაიწყო აღელვებულმა მეორე ავადმყოფმა,
– ან სათაგური მოგვიტანეთ, ან თაგვის შაქარი, ან დაგვიცავით ამ საზიზღარი ცხოველებისაგან.
– რა გაქვთ მხედველობაში, ბატონო? – ჰკითხა გაკვირვებულმა ექთანმა.
– ცხადია, ვაჟა-ფშაველას „სათაგურს“ არ გთხოვთ, ვირთხებისაგან დაგვიცავით, აუტანელია უკვე მათი ცქერა.
– როგორ გეკადრებათ, ბატონო, ოცდაათი წელია აქ ვმსახურობ და ჯერ არავითარი თაგვი არ შემხვედრია.
– ეგ თაგვი არ არის, ვირთხაა, – აუხსნა ბულიკამ.
– მით უმეტეს! – თქვა ექთანმა.
– გეუბნებით, ვირთხაა, ქალბატონო ჟენია, – დაჟინებით გაუმეორა მეორე ავადმყოფმა.
– ეს ვისია? – სიტყვა ბანზე აუგდო ექთანმა და შუა ოთახში ამობრუნებული ფეხსაცმელი აიღო.
– ჩემი, ბატონო, ვირთხას ვესროლე, – აუხსნა მეორე ავადმყოფმა.
– აკი, არა კაც ჰკლაო, მამაო? – ჰკითხა ექთანმა.
– თქვენი დასაცინი არაფერი აქვს მაგ აღთქმას, ქალბატონო

ჟენია, და ისე, დროა, თქვენი ხნის ქალმა ვირთხა და კაცი გაარჩიოს ერთმანეთში. – იწყინა მეორე ავადმყოფმა.

– ჩემს ხნოვანებას თქვენ არავინ გეკითხებათ და მე ვირთხების ექთანი არ გახლავართ, თუ წამალი გნებავთ, მითხარით, თაგვის შაქარი და სათაგური კი საწყობის გამგეს მოკითხეთ. – გაკაპასდა ექთანი.

– ახლა, ჩვენ, ბატონო, მწერალი გვყავს პალატაში, მალე გონს მოვა ალბათ, ყველაფერს თავისი თვალით ნახავს და გაგჭიმავთ გაზეთში.

– დაემუქრა ბულიკა. ექთანი ბაჩანასაკენ მიბრუნდა, მერე მივიდა, საწოლზე ჩამოჯდა და მისი უსიცოცხლო მაჯა აიღო ხელში.

– ისე მაგის მტერი გაიჭიმა, როგორც ეს ვინმეს გაზეთში გაჭიმავს აწი. – თქვა ჟენიამ და ამოიოხრა.

420 421

მაგრამ ექთანს არ გაუგონია.

– ჩვენ აქ, ვიდრე თქვენ ამ ქვეყანას მობრუნდებოდით, ვირთხის თაობაზე გვქონდა კამათი, პატივცემულო, – აუხსნა ვითარება მეორე ავადმყოფმა.

– რომელი ვირთხის? – გაუკვირდა ბაჩანას.

– მალე გეახლებათ თავად და გაიცნობთ, ახლა კი, ვიდრე მოსულა, ერთმანეთი გავიცნოთ. მე ორთაჭალის სამების ეკლესიის მოძღვარი მამა იორამ კანდელაკი გახლავართ, ეს კი ვაკელი მეჯღანე ავთანდილ ანუ ბულიკ გოგილაშვილი.

– ბულიკა რაღა არის? – იკითხა ბაჩანამ.

– ბავშვობაში ბულკის მაგივრად ბულიკას ვამბობდი და ზედმეტ სახელად შემარქვეს, თქვენც ეგრე დამიძახეთ, – აუხსნა ბულიკამ.

– ძალიან სასიამოვნო, მე ბაჩანა რამიშვილი გახლავართ, მწერალი.

– ეგ უკვე ვიცით, ინფარქტი რისგან მოგივიდათ?

– არ ვიცი, ღმერთმანი! – ამოიოხრა ბაჩანამ.

– ჰა, იმას ხომ არ ურტყამდით? – ჰკითხა ბულიკამ და ყელზე წკიპურტი გაირტყა ორჯერ, – ამბობენ, მწერლებს ძალიან უყვართო!

– არა, რას ბრძანებთ! – გაუღიმა ბაჩანამ.

– სულ არა? – გაუკვირდა ბულიკას.

– სულ როგორ არა?! – ბულიკაზე უფრო გაუკვირდა ბაჩანას.

– მეც არა ვთქვი, თუ არა სვამს, როგორ წერს-მეთქი, მაინც რამდენს?

– ერთს, ორს, სამს, ოთხს.

– ჭიქას თუ?

– ბოთლს! – თქვა ბაჩანამ.

– კაცი თქვენ ყოფილხართ, – შეაწყვეტინა ბულიკამ, – ახლა ცოტა ხანს კამპოტზე მოგიწევთ გადასვლა, აი.

– მე მგონი, ცოტა ხანს კი არა, სამუდამოდ! – თქვა მამა იორამმა.

– რას ამბობ, ახლავე თავს მოვიკლავ! – შეიცხადა ბულიკამ.

– თავიდან რომ კამპოტი გესვა, ახლა აქ არ იქნებოდი, – უთხრა

მამა იორამმა.

– შენ რომ კამპოტს სვამდი, იმიტომ არ გორაობ ჩემ გვერდით, აი! – ნიშნის მოგებით გაუცინა ბულიკამ.

– ალბათ, ასე იქნება! – თქვა ბაჩანამ.

– ისე კი სწორია, ერთი თქვენსავით მწერალი ნაცნობი მყავდა,

ტუფლებს ვუკერებდი, თვითონ ამბობდა, პოეტი ვარო. რამდენი მთვრალსა მნახამდა, იმდენი ყვავივით დამჩხაოდა:

– დაბრუნდა, – თქვა ბულიკამ.

– დავბრუნდი! – თქვა ბაჩანამ.

– სად ბრძანდებოდით? – დაინტერესდა ბულიკა.

– ალბათ, ბეთლემში, – გაუცინა ბაჩანამ.

– აუ, ეს ისევ იქ არის, – წაუხდა ხასიათი ბულიკას.

– არა, მართლა დავბრუნდი, – დაამშვიდა ბაჩანამ, – რამდენი დღეა, ქალბატონო, ასე რომ ვარ? – მიუბრუნდა ექთანს ბაჩანა.

– ერთი დღე და ერთი ღამეა. – უპასუხა ექთანმა, თან სასთუმალი გაუსწორა.

– გმადლობთ, ქალბატონო.

– თავს როგორა გრძნობთ, ბატონო? – ბაჩანა ჩაფიქრდა, უფრო

სწორად, გაყუჩდა და საკუთარ სხეულში ჩაიხედა. გული ხანგამოშვებით უცემდა, მაგრამ ისე სუსტად აღარა. მას ესმოდა საკუთარი გულის ცემა. მერე ხელები და ფეხები გაატოკა. მხოლოდ ზეწრის შრიალი გაიგონა, საწოლიც ვერ იგრძნო სხეულის ქვეშ. რაღაც ჰაერში გამოკიდულის, მსუბუქი, მაგრამ სასიამოვნო გრძნობა დაეუფლა, – ალბათ ეს არის უწონობის მდგომარეობა, – გაიფიქრა ბაჩანამ.

– თავს როგორ გრძნობთ? – გაიმეორა კითხვა ექთანმა.

– კოსმონავტივით, – ისე უპასუხა ბაჩანამ, თითქოს მთელი მისი შეგნებული ცხოვრება კოსმოსში გაეტარებინოს.

– გული ხომ აღარ გტკივათ? – ისევ ჰკითხა ექთანმა.

– ოდნავ, მაგრამ ეს სხვა ტკივილია, ის არ არის, მაშინ რომ...

– ვიცი... – შეაწყვეტინა ექთანმა. – მე ახლა გეპარინს და პანტაპონს გაგიკეთებთ. ახლა თქვენ ბევრი ძილი, სიმშვიდე და დასვენება გჭირდებათ, საღამოს პროფესორი გეახლებათ. ახლა კი დაისვენეთ, ბევრი არ ილაპარაკოთ და არ გაინძრეთ.

– სულ არ გავინძრე?

– სულ!

– რომ გავინძრე? – ექთანი ჩაფიქრდა, თითქოს მას უნდა

გადაეწყვიტა, განძრეულიყო თუ არა ავადმყოფი და ბოლოს წყნარად, მაგრამ შემზარავი სიმართლითა და შეუვალობით უთხრა:

– მოკვდებით, ბატონო! – ბაჩანამ ძლივს გადააგორა ნერწყვი გამშრალ

ყელში. ექთანმა ორი ნემსი გაუკეთა და ნანემსარზე სათბური

დაადო. – თუ რამე დაგჭირდეთ, დამიძახეთ, თქვენ კი, – მიუბრუნდა დანარჩენ ავადმყოფებს, – სედუქსენი მიიღეთ და დაიძინეთ, სხვა პალატებშიც კი ნახულობენ რაღაც-რაღაცეებს, მაგრამ ქვეყანას კი არ ანგრევენ! – თქვა და გავიდა.

– ყველაფერს პროფესორს მოვახსენებ! – დააწია ხმა ბულიკამ, 422 423

ჩვენი ჯვარისწერა აღარ ახსოვსო, ესე იგი ურევსო, ის რა იცოდა, რომ ჭკუაზე სწორედ მაშინ ვიყავი, მაგას რომ ვამბობდი. – ბულიკამ უცებ საუბარი შეწყვიტა და ბაჩანას მიაშტერდა.

ბაჩანა თვალდახუჭული იწვა, სახეზე უზომო ნეტარება ეხატა და მშვიდად, ზომიერად სუნთქავდა.

– ვა, ეს რა კარგი ვინმეა, რა ჩქარა მიდი-მოდის, – მიუბრუნდა მამა იორამს განაწყენებული ბულიკა.

– აცალე, ეტყობა პანტაპონი მოერია და მიაძინა. – თქვა მოძღვარმა. ვარდისფერ ნისლში გახვეული ბაჩანა კვლავ უსაშველოდ ხვეული კიბით ეშვებოდა სადღაც ქვევით, მაგრამ ამჯერად უფრო საღად და ნათლად გრძნობდა, თუ როგორ მაღლდებოდა.

4

– ა, შენ, ბიძია, მიმართვა, ჩოხატაურში გადი, რენტგენზე გაეშუქე და სურათიც გადაიღე, არ მომწონს შენი აპრიალებული თვალები და ალეწილი ღაწვები. – ბაჩანამ მიმართვა შუაში გაკეცა და შარვლის ჯიბეში ჩაიდო.

– რა მჭირს, ევგენი ბიძია? – ჰკითხა მშვიდად ექიმს.

– რამდენი ხანია, სიცხეებს რომ გაძლევს?

– ერთი თვე იქნება.

– ოფლის დენაც გაქვს, ხომ?

– ხელისგულები მიოფლიანდება, ევგენი ბიძია, ღამღამობით კი

სულ ოფლში ვცურავ. – თქვა ბაჩანამ და სველი ხელისგულები შარვლის ტოტებზე შეიხოცა.

– გახველებს?

– ხანდახან და ძაღლივით, – ცალყბად გაუღიმა ბაჩანამ.

– სისხლი ხომ არ შეგიმჩნევია ნახველში? – ექიმი თვალს არ აცილებდა ბაჩანას ჩაყვითლებულ წარბებს და შეფაკლულ ლოყებს.

– გასულ კვირას ამომყვა სულ ცოტა, – თქვა ბაჩანამ და ფრჩხილზე აჩვენა, რამხელა იყო ის ამოყოლილი სისხლი.

– სად იყავი, შვილო, ამდენ ხანს?! – ხმა გაებზარა ექიმს.

– რა მჭირს, ევგენი ბიძია? – შიში შეეპარა ბაჩანას.

– სურათს ვნახავ და მერე გეტყვი. – შეყოყმანდა ექიმი.

– რა ჰქვია ამ ავადმყოფობას?

– ინფილტრატი, უფრო გართულებულს – ბრონქოდენიტი.

– ქართულად რა ჰქვია, ევგენი ბიძია? – არ მოეშვა ბაჩანა.

ექიმმა არაფერი უპასუხა, მაგიდას მიუჯდა და ქაღალდებში
დაიწყო ნუ სვამ, ბულიკ, ნაპიტოკებს, სიბერეში დაგიტოკებსო...

სიბერემდე ვინ გაცალა, ჯერ ოცდაათი წლისა ვარ, უკვე ინვალიდი,
დამეჯერებია მაინც, მაგრამ ეგეც, როგორც ყველა პოეტი, გიჟი მეგონა
და ყურს არ ვუგდებდი, – ამოიოხრა ბულიკამ, – ღვინო კიდევ
არაფერი, კარგი ქალივით ყოველღამე პაპიროსი მესიზმრება, მოკლედ,
ამ ინფარქტის შემდეგ ßèçíü ïðîõîžèò ìèìî, რა!!!

– შიში იცის, ბატონო, ინფარქტმა, საძაგელი შიში, თქვენ ხომ
არ გეშინიათ? – ჰკითხა ბაჩანას მამა იორამმა.

– კი, ძალიან მეშინია, ბატონო იორამ, პირდაპირ აყვანილი
ვყავარ შიშს, – არ დაუმალა ბაჩანამ.

– ნუ გეშინიათ, ეგ ყველაფერი გაგივლის. ჯერ ნარკოზის ქვეშა
ხართ, – აუხსნა ბულიკამ, – რამერუმეები ხომ არ
გელანდებათ, ვიღაცეებს ხომ არ ხედავთ? – ბაჩანა ჩაფიქრდა.
– ვხედავ, – თქვა ბოლოს.

– ეგეც იცის, ლაპარაკიც იცის ხმამაღალი, რაც საიდუმლო გაქვთ,
ყველაფერს იტყვით, საყვარელი თუ გყავთ, ფრთხილად იყავით,
ცოლთან იმის სახელი არ წამოგცდეთ, ეგეც იცის, – ბაჩანას გაეღიმა.
– გმადლობთ, რომ გამაფრთხილეთ, ბატონო.
– საერთოდ, ჭკვიანმა კაცმა, – განაგრძო ბულიკამ, – ისეთი

საყვარელი უნდა გაიჩინოს ხოლმე, რომელსაც მისი საკუთარი ცოლის
სახელი ჰქვიან. აი, მე, მაგალითად, თქვენს მდგომარეობაში რომ
ვიყავი, ესე იგი კოსმონავტივით, სულ სვეტაჯან, სვეტაჯანს ვიძახდი,
ჩემი სიცოცხლე ხარ-მეთქი. ამ დროს ჩემი ცოლი სვეტა სასთუმალთან
მეჯდა და სულ მუშტისოდენა ცრემლებსა ღვრიდა – ვაიმე, ბულიკჯან,
ეგ როგორ გყვარებივარ და არ ვიცოდიო, მე კი არხეინად ვბოდავდი და
სულ ჩემს საყვარელ სვეტაზე ვფიქრობდი და თუ მამის სახელიც
ერთნაირი აქვთ, გინდამც სამოთხეში გიცხოვრია, მიუხედავად ამისა,
ერთი იაღლიში მაინც მომივიდა, მამა იორამია მოწმე, – თქვა ბულიკამ
ცოტა ხნის დუმილის შემდეგ.
– რა იაღლიში? – დაინტერესდა ბაჩანა.
– ერთხელაც, როცა ვბოდავდი, თურმე ეგეთი რამე მითქვამს: –

სვეტაჯან, ხომ იცი, ხიდან ჩამოვარდნილი პირველი მსხალი ღორისაამეთქი,
ესე იგი ჩემს ცოლსა ვგულისხმობდი ღორში, მაგრამ ნუ გეშინია, აქედან თუ
ცოცხალი გამოვედი, უეჭველად შენ შეგირთავ ცოლადმეთქი,

– ეგ რომ ჩემმა ნამდვილმა ცოლმა სვეტამ გაიგონა, სულ თქვენი
საწოლის რკინაზე ურტყა თავი, მაშინ ცარიელი იყო, – ვაიმე, 424
425
ჰკითხა ბაჩანას სახეშეშლილმა. ბაჩანამ ვერ გაუძლო ექიმის ყურებას

და საექიმო პუნქტის კარი გაიხურა.
* * *

– აგრაფინა ბიცოლა, მომეცი ორი ბოთლი გემატოგენი, კვირას ატამს გავყიდი ჩოხატაურში და მოგართმევ ფულს, – სთხოვა ბაჩანამ პრავიზორ ქალს, ყველა რომ გავიდა აფთიაქიდან, მერე.

– რად გინდა, ბიჭო, გემატოგენი, მაგას ჭლექიანები სვამენ, – გაუკვირდა პრავიზორ აგრაფინას. ბაჩანას ჟრუანტელმა დაუარა ტანში,

ხელისგულებში ოფლმა გამოჟონა და მუხლები მოუდუნდა, ასე პირდაპირ და ხმამაღლა, ამ შემზარავი ავადმყოფობის სახელი ჯერ მისთვის არავის ეთქვა.

– ბაბუაჩემ ლომკაცასათვის მჭირდება, ევგენი ექიმმა ურჩია, სისუსტეს უხდებაო.

– კი, შვილო, მოგცემ, მაგრამ რა ასხია ამის ფასი თქვენს ატამს?

– ეჭვი შეეპარა პრავიზორს.

– ძვირია?

– ცხრა მანეთი და სამოცი კაპიკი ღირს ბოთლი.

– მაშინ ერთი ბოთლი მომეცი და ფულს კვირას მოგართმევ.

– რა მოგივიდა, ბიჭო, რავა ბაიასავით გაყვითლდი? – ჰკითხა შეწუხებულმა აგრაფინამ და გემატოგენი გადასცა.

– ასე ვარ მე ყვითელი ყოველთვის, არაფერი არ მომსვლია, – უპასუხა ბაჩანამ. გემატოგენი გამოართვა და შიგ აფთიაქში რომ არ წაქცეულიყო, გარეთ გამოვიდა და აფთიაქის დამპალ კიბეზე ჩამოჯდა.
* * *

– გამარჯობა, გლახუნა ბიძია!

– გაგიმარჯოს, მაგრამ რომ ვერ გიცანი? – თვალები მოჭუტა ფერმის გამგემ.

– ბაჩანა ვარ მე, ლომკაცა რამიშვილის ბადიში.

– აუ, რა ვაჟკაცი მოსწრებიხარ! – გაუკვირდა გლახუნას, – რას შვება გაჭირვებული ლომკაცა, როგორაა?

– რა ქნას?!

– რაც მაგან ოქროსავით შვილები დაკარგა, კიდევ როგორ უდგას სული პირში, შენ რომლის ხარ?

– უფროსის.

უაზროდ ქექვა.

– რაა მაგის წამალი? – შეუცვალა კითხვა ბაჩანამ.

– პენიცილინი და სულფიდინი, – თავაუღებლად უპასუხა ექიმმა.

– იშოვება?

– ათი ათასი მანეთი ღირს მაგი წამალი თბილისში, ბაჩანა! – უთხრა ექიმმა და განცვიფრებულ ბიჭს თვალებში შეხედა.

– მერე სადაა ამდენი ფული? – ექიმმა მხრები აიჩეჩა და ხელები გაშალა უმწეოდ.

– კიდევ რაა მაგის წამალი, ევგენი ბიძია?

– კარაქი, რძე, ხორცი, თევზის ქონი, ხიზილალა, კვერცხი, შაქარი, თაფლი, სითბო და ბახმარო... ესაა მაგის წამალი. – ბაჩანას პირი გაუშრა, ყველაფერი, რაც ევგენი ექიმმა ჩამოთვალა, წამალზე სამჯერ უფრო ძვირი იყო. იგი დიდხანს იდგა გაშტერებული ოთახში, მერე ჯიბიდან რენტგენის მიმართვა ამოიღო, ფრთხილად გაშალა, მაგიდაზე დაუდო და კარისაკენ წავიდა.
– სად მიდიხარ, ბიჭო? – გააჩერა ექიმმა.
– წავალ, ევგენი ბიძია, მე თვითონ მივხედავ ჩემ სატკივარს, – თქვა ბაჩანამ დაკარგული ხმით.

– მოიცა, აფთიაქში შედი და გემატოგენი იყიდე, დღეში სამჯერ დალიე, თითო ჩაის კოვზი, უხდება მაგი, – ევგენიმ ჯიბიდან თუმანი ამოიღო და ბაჩანას გაუწოდა. ბაჩანამ ფული გამოართვა და რენტგენის მიმართვას დაუდო გვერდით.

– ფულს ბაბუაჩემი მომცემს, ევგენი ბიძია, თქვენი დიდი მადლობელი ვარ, – ბაჩანამ საექიმო პუნქტის კარი გააღო.
– მაშინ, ბაბუაშენ ლომკაცას უთხარი, მოვიდეს ჩემთან.
– ბაბუაჩემი ლომკაცა ავადაა, ვერ დადის, – იცრუა ბაჩანამ.
– მაშინ უთხარი, რომ... – ექიმს გული ყელში მოაწვა.
– რა ვუთხრა? – შეაშველა სიტყვა ბაჩანამ.
– უთხარი, რომ... – ექიმს ისევ ჩაუწყდა ხმა. მერე, როგორც იქნა, თავს მოერია, – არ შეშინდე, ბიძია, ჯერ არაა გვიანი, შენ ისეთი მაგარი ბიჭი ხარ, მაგი ავადმყოფობა ვერაფერს გიზამს...

– ბაბუაჩემ ლომკაცას რა ვუთხრა, ევგენი ბიძია? – გაუმეორა ბაჩანამ კითხვა ექიმს.
– რა უთხრა და უთხარი, რომ გაყიდოს მაგ უბედურმა

საცხოვრებელი სახლი, ეზო, კარი, ნალია, სული, ხორცი და პენიცილინი გიშოვოს, გეყურება შენ?! – იფეთქა უცებ ექიმმა და ნიკაპი აუკანკალდა. მერე მივარდა ფულს და რენტგენის მიმართვას, ნაკუწ-ნაკუწად აქცია და ჭერში აყარა, – კაცი ვარ ახლა მე და ექიმი მქვია, ბიჭო?! – 426 427

გაუწბილებიხარ, უბეში გაგზრდი, ბიძია, თხის რძით გაგზრდი, მახარე, ჩიტის რძეს არ მოგაკლებ, ნიავს არ გაგაკარებ, სუ, ბიძია, სუ, ისე გაგხდი ორ თვეში, სამწლიან ბუღას კისერს უგრიხავდე, გაჩერდი აწი, შე მამაძაღლო, კი მოვერევით მაგ სატკივარს მე და შენ, ორი კაცი ერთად სიკვდილს კი არა, ღმერთს წააქცევს, თუ დაეტაკა, გაჩერდი აწი, მე შენ გეუბნები...

ბაჩანა დიდი ხანია გაჩერებული იყო და აღარ ტიროდა, მაგრამ ახლა გლახუნა ქერქაძე ტიროდა ბავშვივით და კაცი არ იყო მისი გამჩერებელი.
* * *

ოცდასამი სული ძროხა, ორი მოზვერი, ოცდაშვიდი თხა, სამი ცხენი და ერთი ტახი ჰყავდა 1943 წლის ზაფხულში მთაში გარეკილი ქვენობნის კოლმეურნეობას. ეს იყო მისი სახორცეც და სარძევე საქონელი.

ბახმაროს გადმოღმა, ჩხაკოურას ფერდზე იდგა ფერმა. საკუთარ საქონელსაც ატანდნენ ხოლმე გლეხები მწყემსებს ფერმაში ზაფხულობით, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, უშობელსა და დეკეულს. აბა, გაგანია ომსა და შიმშილში სამი-ოთხი თვით მეწველ ძროხას ვინ შეელეოდა, ორი ძაღლი და სამი კაცი დარაჯობდა ასოცი კომლის ამ საცოდავ ავლა-დიდებას: ფერმის გამგე – გლახუნა ქერქაძე, სიპიტო გუდავაძე და იონა ორაგველიძე. ბაჩანა მეოთხე იყო, მაგრამ მას კაცად არავინ თვლიდა.

ერთადერთი ტახი, რომელიც ფერმაში ერია, გლახუნა ქერქაძის საკუთრებას წარმოადგენდა. სწორედ ამ ტახის კოდვა ჰქონდათ დღეს მწყემსებს.

ორი წლის გათქვირული ტახი ბაიბურშიც არ იყო, რა დღე ელოდა და ახორის გვერდით გადაღვრილ ქვაბების ნარეცხსა და ნაგავში

იჩიჩქნებოდა მოკლე დრუნჩით. ჯიშიანი და ღონიერი იყო მამაძაღლი, სადაც დრუნჩს დაჰკრავდა, ისეთი კვალი გაჰქონდა, გეგონებოდა, გუთნიანმა ტრაქტორმა გაიარაო. ვიდრე ტახი დედამიწის გულს აბრუნებდა და უზომო კმაყოფილებით ღრუტუნებდა, გლახუნა ქერქაძე ფარდულის სვეტზე ჩამოკიდებული ლაგამის ღვედზე უმართავდა პირს სამართებელს.

– ცოდვაა, გლახუნა ბიძია, ნუ დაკოდავ! – უკანასკნელად სთხოვა ბაჩანამ.

– მაგას მაინც არაფერში არგია, ბიძია, მაგი ყვაჯები, მარტო

– აკაკის ხარ აბა, მახარე?

– კი, აკაკისი ვარ.

– ო, რა მამა გყავდა, ბიჭო, შენხელა რომ იყო, დათვი გამოყავდა უმანოდან შიშველი ხელით. რაო, რა დაგაბარა ლომკაცამ, ისე, ტყუილად არ მოხვიდოდი შენ.

– ფერმაში უნდა წამიყვანო ამ ზაფხულს, გლახუნა ბიძია, მწყემსად.

– პატარა ხარ, ბიძია შენ, ვერ გაუძლებ ჯერ თხის და უშობელის დევნას.

– ახლა არ თქვი, გლახუნა ბიძია, მამაშენს შენხელას დათვი გამოყავდა უმანოდანო?!

– მამაშენი ნაპატიები იყო, ბიჭო და შენ რას გავხარ, ქუდი რომ გესროლოს კაცმა, წაიქცევი. მაინც რამდენი წლის ხარ?

– თხუთმეტის!

– მერედა გიშვებს ბაბუაშენი ლომკაცა?

– შენ თუ ეტყვი თანხმობას, კი გამიშვებს.

– მაგას რაფერ ვეტყვი, ბიძია, არ იცის ლომკაცამ, როგორი სამუშაოა მთაში თუ რა?

– უნდა წამიყვანო, გლახუნა ბიძია.

– ვერა, ბიძია! – თავი გაიქნია გლახუნამ. ბაჩანას ქვედა ტუჩი გვერდზე გაექცა და თვალები ცრემლით აევსო.

– ნუ გამაწბილებ, გლახუნა ბიძია.

– რა გჭირს ასეთი, ბიჭო, მთაში რომ გარბიხარ? – გაუკვირდა გლახუნას ბიჭის ასეთი დაჟინებული თხოვნა.

– ჭლექი მჭირს, გლახუნა ბიძია! – ბაჩანამ ცრემლი გადაყლაპა და სველი ხელისგულებით მოისრისა თვალები.

– გაჩუმდი, ბიჭო, ვინ გაიგონა მასეთი ხუმრობა?! – გაუჯავრდა გლახუნა და პირზე ხელი მიაფარა.

– ევგენი ექიმმა მითხრა, ბევრი რძე გჭირდებაო, კარაქი გჭირდებაო, მთის ჰაერი გჭირდებაო და მოერევი მაგ სატკივარს შენო...

– ვაი, მოგიკვდეს ჩემი თავი! – ამოიგმინა გლახუნა ქერქაძემ და ბაჩანას გახურებული თავი მკერდზე მიიკრა.

– რა ვქნა ახლა მე, რომ გამიცივდე იმ ტყე-ღრეში და თოვლჭყაპში, რომ მომიკვდე, რა ვუთხრა ისედაც გაუბედურებულ ბაბუაშენს, რა ვქნა, შენ მოგიკვდეს გლახუნა ბიძია, მთაში და ტყეში კი არა, შენ ახლა ბამბაში და ბუმბულში გჭირდება შენახვა და მოვლა მუმიასავით.

– არ გამაწბილო, გლახუნა ბიძია! – ამოუჯდა გული ბაჩანას და ორთავე ხელი წელზე შემოხვია გლახუნა ქერქაძეს პატარა ბავშვივით.

– არა, ბიძია, არა, შენ შემოგევლოს გლახუნას თავი, სიკვდილს

ამოაძრო, გულზე დაიბნია და მკლავების დაკაპიწება დაიწყო.

– რას უყურებ, ბიჭო, მოფხანე! – შეუძახა ბაჩანას.

ბაჩანამ ტახის წინ დაიჩოქა და მუცელი მოფხანა, ტახმა, ვიდრე მთლიანად არ მოხიკა სიმინდის კაკალი, ბაჩანასათვის ყურადღება არ მიუქცევია. სიმინდის ტკვერა რომ დაამთავრა, უცებ გაიტრუნა, თვალები მოჭუტა და უზენაესი სიამოვნებისაგან დაიკვნესა. ერთხანს ასე იდგა, მერე თითქოს წინა პოჭოკები მოჭრესო, მუხლებზე დაეცა, გვერდზე გადაგორდა და უკანა ფეხები გაფშიკა.

– აუ, ორი კაკალი ყვითელი სიმინდისთვის რა ოქროსავით ორ კაკალს კარგავ, შე უბედურო! – შეიცხადა იონამ და უკანა ბარკალზე მარყუჟიანი ბაწარი წამოაცვა. ღორს ყურიც არ გაუპარტყუნებია. იწვა

თვალებმინაბული და სიამოვნებისაგან კრუსუნებდა. ბაჩანა ახლა ორივე ხელით ფხანდა მუცელს.

მერე კი გაიქაჩა ტახი, იონამ რომ მეორე ფეხიც გაუკოჭა, მაგრამ უკვე გვიან იყო. სიპიტო მხედარივით აჯდა ზევიდან, იონა კი ისე

ჩაფრენოდა ყურებში, მაჯებს თუ მოაჭრიდა ვინმე, თორემ ხელის გამშვები მაგი არ იყო.

ბაჩანა განზე გადგა და გულის ფანცქალით ელოდა, რა მოხდებოდა. ღორი ჯერ მაინც თავშეკავებულად ჭყიოდა, რადგან გლახუნა თბილი წყლით ბანდა საოპერაციო ადგილს.

– პირი ეიკარი, გლახუნა, ინფექცია არ შეეჭრას! – ჭკუა დაარიგა სიპიტომ.

– ნუ აგილესია ენა სამართებელივით, შენს საქმეს მიხედე, ვიწყებ!

– გააფრთხილა გლახუნამ სიპიტო და ღორს სამართებელი დაუსვა ყვაჯების პარკზე. ერთი მაგარი შეკივლება შეიკივლა ღორმა, მაგრამ გარეთ გამოვარდნილი ყვაჯი რომ მოქაჩა იონამ, ძარღვი რომ გადაუჭრა და გამოუსკვნა, მერე ნაჭრილობევში ერთი მჯიღი ნაცარი რომ შეაყარა და იმ უღმერთოდ დიდი მახათით ამოკერვა დაუწყო, მაშინ კი გადელდა საცოდავი. მაღლა ცას და დაბლა დედამიწას ანგრევდა მისი განწირული წივილ-კივილი.

– არ ჩამოიღო ცა მიწაზე ამ შობელძაღლმა? – თქვა სიპიტომ და

რაც შეეძლო, ღონივრად მოუჭირა მუცელზე მუხლები.

– საინტერესოა, შენ რას იზამდი ამ დროს! – უთხრა ოფლში გაღვარულმა იონამ.

– დაიწყე ხომ თავიდან?! – გააფრთხილა სიპიტომ.

– მაგი არა და მე რომ სტალინი ვიყო, – შეცვალა თემა იონამ, –

ომს რომ მოვიგებდი, მერე დავუძახებდი, შენ ხარ ჩემი ბატონი, გლახუნას და ზუსტად ასე დავაკოდიებდი ჰიტლერს და მის ამხანაგებს, – თქვა კაკალა დათრიხინობს ამ ტყეში და რომ დავკოდავ, ჭამის მეტი საფიქრებელი აღარაფერი ექნება. ახლა რომ აქვს, სამ ამდენ ხორცს შეისხამს ორ თვეში. – დაამშვიდა გლახუნამ ბაჩანა.

– გლახუნა, მარტო კაკალა სიპიტოც კი დათრიხინობს ამ ტყეში, მაგრამ მაგის გულისთვის არავის დაუკოდავს, – გამოექომაგა ღორს იონა ორაგველიძე.

– იონა უჯიშო, დროზე რომ დაეკოდე პატრონს, ხომ არ

გაგიჩნდებოდა ბიკტორა თავგასიებული, ჩვიდმეტი წლის მუტრუკი ვაშლს და მსხალს რომ ვერ არჩევს ერთმანეთში? – გამოვიდა ფარდულიდან სახეაფაკლებული სიპიტო, – მე რომ შენ ადგილზე ვიყო, ვიყარყუმებდი კი არა, ვთხოვდი გლახუნას და იმ ტახის ყვაჯებს აქეთ გადმოვამაგინებიებდი.

– ღორის ნაგრამო სიპიტო, იგი ჩემი ბიჭი, ვაშლს და მსხალს რომ ვერ არჩევს ერთმანეთში, ხიდანაა გადმოვარდნილი და შენ რომ მიდღემჩი ფეხი არაფერზე დაგცდენია და ცხრა წელიწადი რომ იჯექი პირველ კლასში, რაფერ იყო მაგი? – გაახსენა სიპიტოს იონამ ბავშვობა.

– დაკოდე აწი, გლახუნა, მაგი უპატრონო ღორი, თორემ, ხედავ, რავა ჯანჯუხასავით ამოარო ენა ძროხის ნაკელში, ამ შობელძაღლმა!

– სთხოვა სიპიტომ გლახუნას.

– გლახუნა, თქვი ახლა შენ, ვინაა მტყუანი ჩვენ შორის?!
– დაუძახა იონამ მოწმედ გლახუნას.

– ორივეს ძირში გაქვთ ენა მოსაჭრელი და ამ ღორს რომ მოვრჩები, მოგხედავთ მერე. – შეარიგა გლახუნამ სიპიტო და იონა. მერე ღვედზე გამართულ სამართებელს ცერა ფრჩხილზე გაუსინჯა პირი და ფარდულთან მობუღრავე ტახს გახედა.

– გეყოფათ ახლა ლაზღანდარობა და მიხედეთ იმ ტახს, – მიუბრუნდა გლახუნა იონას.

– ჩვენ ორი დავაკავებთ, გლახუნა, მაგ ტახს, ვერ ხედავ, მთა რომ გაბურღა და გაღმა გადის?! – შეიცხადა იონამ.
– მიდი, ბიჭო, მუცელზე მოფხანე! – ასწავლა გლახუნამ ბაჩანას.
ბაჩანა ფარდულში შევიდა და ერთი პეშვი ყვითელი სიმინდი გამოიტანა.

– ღუტუ, ღუტუ, – დაუძახა, ტახმა დრუნჩი ასწია, პატარა თვალები მიაპყრო ბაჩანას და როდესაც მიწაზე დაყრილ სიმინდს მოჰკრა თვალი, როხროხითა და ყურების პარტყუნით გამოიქცა ბაჩანასკენ.

– რავა მისი ფეხით მორბის ეშაფოტზე მაგი უბედური? – შეეცოდა იონას და ბაწარი გაამზადა. სიპიტომ თბილი წყალი და ღადარი გამოიტანა ფარდულიდან. გლახუნამ სამართებელი გაკეცა, ქამარში გაირჭო, კეხის ქეჩიდან ყაჭის ძაფაცმული უშველებელი საწუღე მახათი
430 431

მადლით. შეხედე, როგორ შეისხა ფერი და ხორცი. აწი თუ გინდა, დათვს დააჭიდე... – უთხრა იონამ გლახუნას, ბაჩანა რომ თვალს მიეფარა.

გლახუნას თითქოს არ გაუგონიაო, ისე მოკიდა ხელი დერგს და წავიდა ძროხების მოსაწველად.

ერთი საათის შემდეგ ქვენობნის საკოლმეურნეო ფერმის საქონელი ბღავილით, ღნავილითა და პეტელით შეეფინა მწვანედ აბიბინებულ ჩხაკოურას მთის კალთას.
* * *

საღამოს ფერმაში კოლმეურნეობის თავმჯდომარე გერვასი ფაცაცია ამოვიდა. ბატალიონის ორი, ავტომატით შეიარაღებული კაცი ამოჰყვა. გრილი საღამო იყო. სადგომის წინ გაჩაღებულ კოცონს უსხდნენ ყველანი და ხმადაბლა მასლაათობდნენ. შეშა ფიჭვისა და ნაძვის იყო, ამიტომ ჰაერში კვარისა და საკმევლის საამო სუნი ტრიალებდა. ცეცხლზე შემდგარ ქვაბში თავდაყირა ჩამხობილი თიკანი იხარშებოდა. ძაღლები უმიზეზოდ დარბოდნენ და ყეფდნენ. თავს აწონებდნენ მწყემსებს და ერთგული სამსახურისთვის გასამრჯელოდ გემრიელ ძვალს ელოდებოდნენ.
– კიდევ რა ხდება ქვევით? – ჰკითხა გლახუნამ თავმჯდომარეს და ოთხად გაკეცილი გაზეთი დაუბრუნა.
– რას მეკითხები? – ახედა ცეცხლზე მიფიცხებულმა გერვასიმ და

მუხლზე დადებულ მაუზერს ტარი მოუსინჯა.

– რაც ქონება დავტოვეთ სოფელში, შენ იმას არაფერს წაუმატებდი, ომის ამბავს გეკითხება, – ჩაერია ლაპარაკში იონა.

– ომის ამბავი ასეთია, გააცია ფუტი გერმანიამ! – თქვა თავმჯდომარემ და ისევ მოსინჯა მაუზერის ტარი.

– გაწიე, კაცო, მაგი გოჭის ფეხი იქით, არ გაგივარდეს, თორემ ამოგილესავ ღომით, – უთხრა სიპიტომ და გვერდზე გაიჩოჩა, – თქვი აწი, როგორ გააცივა ფუტი გერმანიამ! – თავმჯდომარემ მაუზერი მუხლიდან მოიხსნა და ჯირკზე ჩამოდო.

– არ იცი, რაფერ აციებენ ფუტს? – მიუბრუნდა იგი სიპიტოს, – სმოლენსკთან ჩეისვარა, კურსკთან ჩეისვარა, მოსკოვთან ჩეისვარა, – ჩამოთვალა თითებზე, – კიდე სად ჩეისვარა? – ჰკითხა საკუთარ თავს და რომ ვეღარ გაიხსენა, ხელი ჩაიქნია, – საერთოდ ჩეისვარა, რუმინიას, ჩეხოსლოვაკიას და იტალიას ჯაჭვით ძლივს აკავებს...
– საით იქაჩებიან? – შეიცხადა სიპიტომ.

იონამ და ისე მოქაჩა ყურები გადარეულ ღორს, დრუნჩი მიწაში ჩაარგვევინა. გლახუნა მეორე ყვაჯზე გადავიდა.

– სხვისი არ ვიცი და ჰიტლერს, მგონი, დასაკოდი არაფერი ჰქონია, ცოლ-შვილი მაგას არ ყოლია თურმე და როგორც ხალხი ჩივა, არც უნდა თურმე... – გასცა სიპიტომ რაიხსტაგის კანცლერის საიდუმლოება.

– საერთოდ, კაციჭამიობა დაკოდილ ხალხს ხასიათში ჰქონია თურმე. აღა-მაჰმად-ხანი რომ იყო, თბილისი ქე რომ გადაწვა, იგიც დაკოდილი ყოფილა თურმე, – დაუმოწმა იონამ, – გოგირდის აბანოები მოარჩენდა ეგონა და რომ აღარ მოუხდა, იმაზე გაბოროტებულს გადაუწვია თბილისი.
– ახლა შაჰის კარვის საიდუმლოება გასცა იონამ.
– გოგირდის წყალს რომ მაგი ამოყავდეს, ბიჭო, გაკეთდებოდა

ეფროსინე სანიკიძე, მთლად ეზოში ამოუდის გოგირდის აბანო, – თქვა გლახუნამ, უკანასკნელი ნაკერი დაადო ღორს, ყაჭის ძაფი სამართებლით მიაჭრა, სისხლიანი ხელის ზურგით შუბლზე ოფლი მოიწმინდა და წელის ათრევით წამოდგა.

– ჰე, გაუშვით ახლა ხელი! – გასცა განკარგულება.
მწყემსებმა ხელი გაუშვეს ღორს და განზე გადგნენ.

ღორს ერთხანს არ სჯეროდა ჯოჯოხეთის დასასრული და ისევ განაგრძობდა გულისწამღებ ჭვიტინს, მერე თავისუფლება რომ იგრძნო, უცებ წამოვარდა, ერთი შებანცალდა და კურტუმოს უხერხული ქნევით გაქანდა ტყისკენ.

– ჩვენ რომ ადამიანები ვიყოთ, კი უნდა დაგვეძინებია არყით ოპერაციის წინ, – თქვა ბაჩანამ და გლახუნას გამოშვერილ,

სისხლიან ხელებზე თუნგიდან თბილი წყალი დაუსხა.

– შენ მოგეცა მაგის ცოდვა, გლახუნა ქერქაძე, ახლა რომ ნეზვი ღორი შეხვდეს მაგას ტყეში, ხომ მოეჭრა თავი?! – მიუბრუნდა გლახუნას სიპიტო და ტყისკენ ძუნძულით მიმავალ ღორს გახედა სევდიანი თვალებით.

– გეყოფათ ახლა ყბაჩანგურობა, მოწველეთ ის გამხმარი საქონელი, თუ აქვთ რამე და გამორეკეთ გარეთ, – შეუტია გლახუნამ, – წადი, ბიჭო, შენ რომ მიჩერებიხარ იმ ღორს უკანალზე და გენოიეს თხა

გამოწველე დღეს, შენი თხის რძე აღარ დაილევა, ხვალ თიკანს ელოდება და ხსენია ახლა მაგის რძე. წვეთი არ დატოვო ქოთანში, ისე დალიე, თორემ დაგამხობ იმ ქოთანს თავზე, რაღაცა მამაძაღლობას გატყობ ამ ბოლო ხანს, ძალიან გაუთამამდი იმ შენ სატკივარს, – გაუჯავრდა ბაჩანას გლახუნა. ბაჩანა უხმოდ წავიდა გენოიეს თხის მოსაწველად.

– ღმერთი ას წელიწადს გაცოცხლებს, გლახუნა, ამ ბაღანას

– შენ იცი, – დაჰყვა ფერმის გამგის ნებას თავმჯდომარე.

– ამ პირველი სასმისით ჩვენს პარტიას და პოლიტბიუროს გაუმარჯოს, დიდი სტალინის მეთაურობით, – თქვა გერვასიმ და ჯამი პირში გადაიმხო.

– გაუმარჯოს! – ისევ ერთხმად თქვა ყველამ.

– ამ მეორე სასმისით ჩვენს მთავრობას გაუმარჯოს, დიდი სტალინის მეთაურობით! – მიაყოლა სადღეგრძელოს სადღეგრძელო თავმჯდომარემ. ეს სადღეგრძელოც ერთსულოვნად დაილია.

– ახლა ჩვენს წითელ არმიას გაუმარჯოს, დიდი სტალინის მეთაურობით, – თქვა ახალი სადღეგრძელო თავმჯდომარემ.

– ღმერთმა გაუმარჯოს!

– ღმერთმა დააბრმაოს მაგენისაკენ ნასროლი ტყვია!

– სუყველა ცოცხალი დააბრუნოს გამჩენმა!

– მაგენის ტყვია არ აცდენოდეს მიზანს!

– ღმერთმა ხელი მოუმართოს!

– მშვიდობა ყოფილიყოს ქვეყანაზე!

ეს სადღეგრძელო რატომღაც ყველამ ცალ-ცალკე თქვა.

– ახლა კიდევ დიდი სტალინის მეთაურობით...

– გერვასი! – შეაწყვეტინა თავმჯდომარეს სიტყვა იონამ, – მე კი გამოვშტერდი უკვე და სანამ წავქცეულვარ, დაგვილიე ამ ბიჭის სადღეგრძელო. სტალინს და პარტიას ლოცვა-კურთხევა არ აკლია და ხვთის წყალობით უშენოდაც კარგად უძღვებიან თავის საქმეს.

– არაა მაგი მართალი, იონა ორაგველიძე! – იწყინა თავმჯდომარემ,

– ჩვენი ხელის შეწყობაც რომ არ ჰქონდეს მთავრობას... – იონამ ისევ შეაწყვეტინა სიტყვა.

– შენი ხელის შეწყობა ისაა, ჩემო გერვასი, ასეთ ბაღნებს

ჯანმრთელს და ძვალმაგარს რომ დაუზრდი სახელმწიფოს.

– კი ხარ მაგაში მართალი, შენ ნუ მომიკვდები! – გატყდა თავმჯდომარე. – აბა, შენ გაგიმარჯოს, ბაჩანა რამიშვილო! დღეიდან იწამე ღმერთი და ამ კაცის ფეხის ნაკვალევი კოცნე, აგერ რომ ზის,

– უთხრა მან და მის გვერდით მჯდომ გლახუნა ქერქაძეს მხარზე დაადო ხელი. – შვილი ხარ ახლა შენ მაგისი, ფრონტზე რომ დაკარგა, იმის მაგიერი. ამას ძეგლს არავინ დაუდგამს და ორდენს არავინ მისცემს, შენ უნდა იყო მაგის ძეგლიც და ორდენიც. თუ მიხვდები, რასაც თვალს მიუწევ და გადაავლებ ამ ქვეყანაზე, შენია ყველაფერი. მილიონობით კაცი რომ წვება ახლა ტყვიით გულგაგლეჯილი, თან არაფერი არ მიაქვთ, ყველაფერს შენ და შენს ტოლ ბიჭებს უტოვებენ. მიხედვა უნდა ამ ცრემლით ჩამქრალ კერიებს, ობლად დარჩენილ

– იქით! – ხელით აჩვენა გერმანიისკენ თავმჯდომარემ.

– იქით, კისერი უტეხიათ! – დამშვიდდა სიპიტო.

– მაინც, როდის გათავდებაო ეს ოხერი ომი, სტალინი არაფერს არ ჩივა რადიოში?

– მალე გავიმარჯვებთო, კი თქვა, მაგრამ დრო არ დაუთქვამს.

– გაშალა გერვასიმ ხელები.

– დათქვას, მერე, მაგის ნება არაა? – გაუკვირდა იონას.

– ჰიტლერთან ომი თქვენ ღორის კოდვა ხომ არ გგონიათ?

– გაამართლა სტალინი გერვასიმ.

– არც ღორის კოდვაა მთლად იოლი საქმე, გერვასი! – დაიცვა საკუთარი პროფესია გლახუნამ.

– ჩვენ აქ, ამ დილით დადებითად გადავწყვიტეთ ერთი საკითხი, ამხანაგო გერვასი! – ოფიციალური ტონით უთხრა სიპიტომ.

– რა საკითხი? – დაინტერესდა თავმჯდომარე.

– ჰიტლერის და მისი ამხანაგების დაკოდვას ვაპირებთ, ომი რომ გათავდება, მერე, – აუხსნა ბაჩანამ.

– ომის დამთავრებას რას უყურებთ თქვენ, ბიძია, თუ რამე სიკეთეს აპირებთ, ახლა ქენით, თორემ ომი რომ დამთავრდება, ჟუკოვი დაგითმობთ თქვენ მაგას დასაკოდავად? – გაეცინა გერვასის.

სიპიტომ ქვაბი გადმოდგა ცეცხლიდან და უკვე მოხარშული თიკანი ჭლიკით ამოათრია მდუღარედან. დაფნის ფოთლით და ხახვის სუნით შეზავებული ოხშივარი სახეში ეცა ბაჩანას და თავბრუ დაახვია.

– მოაჩოჩეთ, ბიჭებო, მაგი გუდა აქეთ! – დაავალა გერვასიმ

ბატალიონის წევრებს და ღვინის ჩამოსასხმელად მოემზადა. გლახუნამ ჯამები ჩამოარიგა. ყველა რიგრიგობით მიდიოდა გერვასისთან და მორიდებით უშვერდა ჯამს ჩალამკალმის ყელიდან საამოდ მორაკრაკე იზაბელას. ბაჩანაც მიადგა ჯამით ხელში გერვასის. გერვასიმ გლახუნას

გახედა, გლახუნამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. გერვასიმ

ჩალამკალმის ტუჩს ცერი ააცილა და იზაბელა კრიმანჭულით გადმობრძანდა ბაჩანას ჯამში. პირველად გერვასიმ შეახო ტუჩი ჯამს.

– დაილოცოს შენი ფესვი! – აღმოხდა კმაყოფილებით. ეს აღტაცება სადღეგრძელოდ ჩაეთვალა გერვასის.

– დაილოცოს! – თქვა ერთხმად ყველამ და თითქოს არასდროს ღვინო არ შეხებიაო, ისე ამოამშრალეს ჯამები. მეორეჯერ რომ ჩამორიგდა ღვინო და ბაჩანამაც რომ გაიშვირა ხელი, გერვასიმ კვლავ გლახუნას გახედა. გლახუნამ ისევ დაუქნია თავი.

– ნამეტანს ხომ არ ვშვრებით, გლახუნა? – გააფრთხილა გერვასიმ.

– სამს დალევს კიდევ! – თქვა გლახუნამ.

– სადაა მერე უდღეური მამამისი? – იკითხა სიპიტომ და მჯიღზე იკბინა.

– ჯარშია დაკარგული და რა ქნას?.. – ხელები გაშალა ბატალიონის წევრმა.

– აგია თქვენი პასუხი?! – ცეცხლში შეასხა ღვინო სიპიტომ.

– ქვემო ჭალაში გაგვექცა ამას წინებზე, ერთი კვირის თავზე კი

ენა მოჭრა უდანაშაულო ბონდოია ცქიფურიშვილს, შენ დამასმინეო. ამაღლებაში ოდა დაუწვა ქარცივაძის ქვრივს, სახლში რომ არ შეუშვა. ცოფიანი მგელივით მოსარიდებელი და საშიშია ახლა მაგი.

– მოკვდეს უნდა მაგი და თქვენ თუ არ შეგიძლიათ, მაშინ მოგვეცით მაგი იარაღი და ჩვენ ვიზამთ მაგ საქმეს, – თქვა უცებ გლახუნა ქერქაძემ და რატომღაც ბაჩანას შეხედა. ბაჩანამ თვალი გაუსწორა ცეცხლზე აპრიალებულ გლახუნას თვალებს და ტანში ჟრუანტელმა დაუარა.

– ნაბეღლავის ფერმაში გამოჩენილა ამას წინებზე, ორი საპანე ყველი წაუღია, არაა გამორიცხული, თქვენთანაც რომ ამოვიდეს. თუ რამე გაქვთ სახელმწიფოსთვის ჩასაბარებელი, ხვალ ჩამოიტანეთ სოფელში... – თქვა გერვასიმ და ფეხზე წამოდგა.

– ახია თქვენზე, თოფები რომ ჩამოგვართვით, – თქვა სიპიტომ.

– მაგ საქმეს ახლა ვერ გავარჩევთ ჩვენ, ერთი ოცი წველა ყველი

და ორი თიკანი გამატანეთ, მეტს ვერ წავიღებთ ჩვენ, – დაავალა გერვასიმ გლახუნას. მერე ბატალიონის წევრებს მიუბრუნდა, – წასვლის დროა, დილაზე სოფელში უნდა ვიყოთ... – თვითონ ცხენისაკენ წავიდა.

– კი მაგრამ, მანუჩარა კიკვაძეს არაფერს უტოვებ, ყველაფერი შენ მიგაქვს? – ჰკითხა გესლიანად იონა ორაგველიძემ.

– იონა ენამყრალო, საბავშვო ბაღისთვის მიმაქვს მაგი ყველაფერი, შენი პირდაფჩენილი შვილიშვილი თინაიეც იმ საბავშვო ბაღში დატლიკინობს, როდის იყო მე საკოლმეურნეო ქონებას რომ ვჭამდი?!

– ეწყინა თავმჯდომარეს იონას უადგილო ხუმრობა.
– გეხუმრე, შე კაცო! – შერცხვა იონას, – ... ისე მაინცდამაინც

ნუ გამოიდებ თავს, შენ წინ რომ თავმჯდომარე გვყავდა, ისიც მასე ამბობდა, მერე ის თიკნები საბავშვო ბაღში კი არა, მის ეზოში დაპეტელობდნენ, – არ შეარჩინა სიტყვა მაინც.
– იონა, როგორ ვინატრო ახლა ყაჩაღობა, მაგი ენა რომ ამოგმწვადო!

– ჩაიქნია ხელი თავმჯდომარემ და ცხენს უნაგირის მოსართავები მოუჭირა.
რაც თქვა, ყველაფერი გაუხაზირეს მწყემსებმა.

– ამაღამ ცხენებს ჩამოვრეკავთ და დანარჩენს ხვალ ჩამოვიტანთ, ბავშვებს, ქვრივებს და ოხრებს, გაუმარგლავ ყანას და უპატრონოდ დარჩენილ მიწას. ჩვენ კი ვიბრუნებთ ამ ნაპარტახალ ქვეყანას, მაგრამ მაგის ხელახლა აშენების ძალა და ღონე გვეყოფა თუ არა, კაციშვილმა არ იცის. შენ და შენისთანა ბიჭებმა უნდა ააღორძინოს ყველაფერი. ერთი სათხოვარი გვაქვს თქვენთან, აგერ, ვისაც გვხედავ ყველას, ნაქალაქარს თუ ნასოფლარს ნუღარ დაარქმევთ ნურაფერს, დაივიწყეთ მაგი სახელები. თქვენ მერე რომ თაობა მოვა, თქვენი მონაყოლით თუ არა, ისე ომი რაა, არასდროს არ გაეგოს...

გერვასიმ მკლავები გაშალა და მთვარის გვირგვინდადგმულ მთებს შეავლო თვალი.

– ამის მადლი და სილამაზე არ დაგვიწყებოდეთ. ქვეყნის სიყვარულს საყველპურად და საარშიყოდ ნუ გაიხდით, სამშობლო როსკიპი ქალი არაა, მთვრალს რომ მოგენატრება და მაშინ გაიხსენებ, სამშობლო ტაძარია სალოცავი. მუხლზე დაჩოქილი უნდა იდგე მის საკურთხეველთან, ცალი ხელით პირჯვარს უნდა იწერდე, მეორეთი კი ხმალს იქნევდე, ეშმაკები რომ არ დაეპატრონონ... და კიდევ ერთი, შესაწირავის მიტანა ვერავინ ვერ უნდა მოგასწროს ამ ტაძართან. სხვა სიტყვა და სათხოვარი არ მაქვს მე, – თქვა გერვასიმ და ჯამი სასოებით მიიტანა პირთან.
– გერვასი ფაცაცია, სხვის ნალაპარაკევს თუ არ ჩივოდი და

ყველაფერი, რაც ახლა შენი პირიდან ამოვიდა, შენი გადადუღებულია, იგი ხელი გამიხმეს, მეორედ თუ არ აგირჩიო თავმჯდომარედ, – აღტაცება ვერ დამალა იონა ორაგველიძემ.
– კენჭის საყრელად არ ამოვსულვარ მე აქ! – უპასუხა გერვასიმ,
– არც ეს ორი კაცი მახლავს ტყუილა უბრალოდ.

– რაშია საქმე, გერვასი, დაპატიმრებას ხომ არ გვიპირებ?
– გაიცინა სიპიტომ.
– მთლად გაცოფდა ის შობელმაღლი... – თქვა გერვასიმ.
– ვიზეა ლაპარაკი, გერვასი? – ჰკითხა გლახუნამ.
– ვიზეა და მანუჩარა კიკვაძეზე.

– რა გახდა მაგის დაგრილება, სამი წელი გავიდა, რაც ჯარიდან

გამოიქცა და ვეღარ დაიჭირეთ? – მიუბრუნდა იონა ბატალიონის წევრებს.
– ძნელია ტყეში კაცის დაჭერა, – იმართლა თავი ერთმა.
– ცუდად აღოღდა ამ ბოლო დროს, ყოველდღე იცვლის სადგომს,

ადრე კიდევ ინახავდა ხალხი შიშით თუ რიდით, სანამ სისხლში გაისვრიდა ხელს, ახლა აღარავინ აღარ იკარებს. სურებში აღარ მიესვლება, ორი უასაკო ბავშვი გააბახა და სიფილისი დამართა, – თქვა ბატალიონის მეორე წევრმა. – ერთის დედა ჭკუაზე გადავიდა საწყალი...
436 437

ახორში თავგანწირული ბღავილი გაისმა. ბაჩანას დოლია თხა თიკანს იგებდა.
* * *

გარიჟრაჟზე დაბრუნებულ მწყემსებს ელდა ეცათ. ტყვიით შუბლგახვრეტილი და კბილებდაკრეჭილი ძაღლები ჩამქრალ ცეცხლთან ეყარნენ, ბოსლებში კი მშიერი და მოუწველავი საქონელი ბღაოდა.

გლახუნა არსად არ ჩანდა. დაზაფრული მწყემსები აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, მაგრამ გლახუნა ქერქაძის ალი და კვალი გამქრალიყო. ბაჩანას ორი თვის შემდეგ ისევ გამოჟონა ცივმა ოფლმა ხელისგულებში.

სიპიტო გუდავაძეს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ენა დაება, მუნჯივით დაიზმუვლა და პირდაპირ მიწაზე დაჯდა.

– მანუჩარა კიკვაძის ნახელავია! – თქვა იონა ორაგველიძემ და უბელო ცხენს მოახტა.
– სად მიდიხარ? – ძლივს ამოღერღა სიპიტომ.

– მოსწრებაზეა ახლა საქმე! – უპასუხა იონამ და ცხენი გიჟივით დააქანა თავქვე.

ბაჩანა ახორის სვეტზე ჩამოკიდებულ ხურჯინს ეცა. მაუზერი ადგილზე იყო. ბაჩანას ხმა არ ამოუღია. მივიდა სიპიტოსთან, გვერდით მიუჯდა და ცივი ხელი მუხლზე დაადო.
– არ წახვიდე, ბიჭო! – უთხრა სიპიტომ და სველი შუბლი მოიწმინდა.

ბაჩანა გრძნობდა, როგორ უცახცახებდა სიპიტოს მუხლი მისი ხელისქვეშ და მიხვდა, რომ სიპიტოს მასზე უფრო ეშინოდა.

– ნუ გეშინია, სიპიტო ბიძია! – უთხრა მან სიპიტოს დაკარგული ხმით. სიპიტომ უხერხულად გაიღიმა და აცახცახებული მუხლი გაშალა.
– რავა ნუ მეშინია, ბიძია, – თქვა მან უცებ და ტირილი დაიწყო.
* * *

ზურგზე ყველით სავსე გოდორმოკიდებული გლახუნა წინ მიდიოდა ბარბაცით. კვალში მანუჩარა კიკვაძე მისდევდა, ფეხზე შეყენებული თოფით.

– აუჩქარე ფეხი, გლახუნა, ჩემთან არ გაგივა მაგი სენთი! – ხელი ჰკრა მანუჩარამ. გლახუნამ ტუჩზე იკბინა.

როგორ დაადგა თავზე ეს პირუტყვი, როგორ დაუხოცა ცხვირწინ შვილივით დაზრდილი ძაღლები, როგორ აჰკიდა ამხელა ტვირთი, ან – უთხრა გერვასის გლახუნამ.

– აბა, ფრთხილად იყავით და მშვიდობით! – თქვა გერვასიმ და ცხენზე შეჯდა.

– გერვასი! – გააჩერა გლახუნამ.

– რა იყო, გლახუნა? – მოაბრუნა ცხენი თავმჯდომარემ.

– დაგვიტოვე მაგი მაუზერი.

– მერე, მე რა ვქნა? – გაუკვირდა გერვასის.

– თქვენ მაგი ორი ავტომატიც გეყოფათ ერთ გზაზე, მაუზერს კი იმ კვირას ჩამოგიტან, – გერვასი შეყოყმანდა.

– არ უნდა მაგას ფიქრი, გადაწყვიტე აწი! – დააჩქარა გლახუნამ. გერვასიმ უხალისოდ ჩამოიხსნა მხარიღლივ გადაკიდებული მაუზერი და გლახუნას გადასცა.

– არ გჩუქნი იცოდე, უნდა დამიბრუნო, – დასძინა.

– ამის ხმას გაიგონებ შენ, გერვასი! – უთხრა გლახუნამ და

მაუზერი ჩამოართვა, – წაიღე, ბიჭო და ჩადევი იმ ხურჯინში, – მიუბრუნდა გლახუნა ბაჩანას. ბაჩანამ მაუზერი ჩამოართვა და ახორის სვეტზე ჩამოკიდებული ხურჯინის ცარიელ თვალში ჩააცურა. გერვასიმ და ბატალიონის წევრებმა ცხენები შეაბრუნეს, თავქვე დაეშვნენ და სამი მხედარი ღამის ნისლში შეცურდა.

ერთხანს გარკვევით ისმოდა ცხენთა ფლოქვების არეული თქარათქური, შემდეგ ისიც მიწყნარდა და ჩხაკოურას ფერდობზე მარტოდ დარჩენილი ოთხი მწყემსის ფიქრი, დარდი და წუხილი გაიყოლა ბარში.

– წადით ახლა, ცხენები ჩამორეკეთ, – მიუბრუნდა გლახუნა მწყემსებს, – ამ დილით ვნახე, ზოტის მხარეს არიან გადასული, ორისამი საათი დაგჭირდებათ, თუ კარგად ივლით. აგი ბიჭიც გაიყოლეთ, კვარი წაიღეთ თან! – სიპიტო გუდავაძემ მხარზე ბაწარი გადაიკიდა, ქამარში წალდი გაირჭო და კვარს ცეცხლი მოუკიდა. გლახუნა ახორში შევიდა.

– არაა, გლახუნა, მაგი საქმე ასე საჩქარო, უთენიაზე წავიდოდით და ჩამოვრეკავდით იმ ცხენებს, სად ვიხრაგუნოთ ახლა ამ წკვარამში და ფშკერნალში?! – გასძახა სიპიტომ ახორში შესულ გლახუნას.

– მე რაც გითხარით, იგი გააკეთეთ, სიპიტო გუდავაძე, არ უნდა მაგას მიტინგობია! – ახორიდან უპასუხა გლახუნამ.

– აგი ბაღანა არ გეცოდება მაინც? – სცადა სიპიტომ გლახუნას გულის აჩუყება.

– არაფერი არ უჭირს, შეაჩვიოს აწი მუხლი და თვალი ღამეს, –

მწყემსები უხმოდ შეტრიალდნენ და ძუნძულით შეუდგნენ მთაში მიმავალ ბილიკს. ბაჩანა მგლის ლეკვივით აედევნა წინ წასულებს.

ისევ რომ წამოდგა, სისხლი ღვარად ჩამოსდიოდა სახიდან.

– მომკალი, შე აჯილღას გაგდებულო, არ ვარ მე აქედან ფეხის მომცვლელი, – თქვა გლახუნამ და ისევ ჩაჯდა ტალახში.

– ტყუილა ფიქრობ მაგას, გლახუნა ბატონო, სანამ ადგილზე არ მიგატანიებ მაგ ყველს, არ გაღირსებ სიკვდილს, – გააწბილა მანუჩარამ.

– ვის ებრძვი, მანუჩარა უდღეურო, თუ იცი? – გააფრთხილა გლახუნამ.

– თქვენ გებრძვით, გლახუნა ბატონო, ბოლშევიკებს. ოცდაორი

წელია დაბოგინობთ მამაჩემის ნასახლარზე და მამულში... გეყოთ აწი, ჩვენი დრო მოვიდა, – დაცინვით უპასუხა მანუჩარამ.

– ვინ ხართ, ბიჭო, თქვენ?

– მე და გერმანია.

– სადაა მერე გერმანია?

– მოვა, გლახუნა, მოვა და იმ ჭადარზე, შენ რომ მპირდები

ჩამოკიდებას, თქვენ ჩამოგკიდებთ ყველას, წინ თქვენი რაიკომის მდივანს წაგიმძღვარებთ წითელი დროშით... ადექი ახლა!

– მკვდარს თუ წამიღებ აქედან, არ ვიცი, მანუჩარა კიკვაძე, ცოცხალი თავით აღარ წამოგყვები, თავმოსაჭრელად და სირცხვილად ისიც მეყოფა, აქამდე რომ მოგყევი... – მანუჩარა კიკვაძე მიხვდა, რომ კიდევ ერთი კაცის ცოდვა უნდა აეკიდებია კისერზე.

– შეტრიალდი აბა, და ილოცე, თუ იცი ლოცვა, მაინც ღვთის

შვილი ხარ და ერთი ტალახიდან ვართ მოზელილი, – მისცა შეღავათი სიკვდილის წინ მანუჩარა კიკვაძემ გლახუნა ქერქაძეს. გლახუნამ მუხლებზე დაიჩოქა და აღაპყრო ცაში ხელები:

– ღმერთო მაღალო, ამ საღამოს შეგპირდი, რომ ჩემი ხელით მოკვდებოდა ეს ბინძური თესლის ნაყოფი, ახლა ისე შემიტრიალე ცხოვრება, ამის ტყვიით უნდა მომკლა, ნუ მიზამ მაგას, შენ გეკუთვნის ჩემი სიცოცხლე და შენ წაიღე შენი ხელით, გამიხეთქე გული, თუ ხარ სადმე და თუ გესმის ჩემი... და თუ მე და ეს ხვადაგი მართლა ერთი ტალახიდან ვართ მოზელილი, მაშინ წაიღე შენი ნაბოძები სიცოცხლე, აღარ მარგია არაფერში...

ჩხაკოურას ტყეში სამი ტყვია გავარდა ზედიზედ. გლახუნა ისევ იმ გუბეში ჩაემხო სახით, წეღან რომ მთვარე დაინახა შიგ, დედამიწის

მეორე მხრიდან მზირალი. და ვიდრე სიკვდილი მოვიდოდა, საოცარი სიცხადით იგრძნო, როგორ გახსნა დედამიწამ უბე და როგორ მიიღო თავის წიაღში, მერე როგორ შეკრა ნელ-ნელა პირი, როგორ ჩამოუსვა ქუთუთოებზე ვეებერთელა ხელისგული და როგორ დახურა ცა უსაშველოდ შავი ნაბდით.

როგორ აიძულა გაჰყოლოდა, ამის დარდი ჰკლავდა გლახუნას. სისხლმა

შეაშინა, შეჩვენებულმა, ძაღლის სისხლმა. სისხლის მეტი რა უნახავს გლახუნას, მაგრამ სხვაა თოფით დადენილი სისხლი, ვაი სირცხვილო, ვაი დედასა, გლახუნა! ან ის მაუზერი რად უნდოდა, ხურჯინში შესანახავად? ვაი სირცხვილო, გლახუნა. როგორ ვერ მოასწრო ხურჯინთან მისვლა, მაგრამ გვერდით არ მოცილებია ხვადაგი, ანდა მაგას სროლას დაასწრებს კაცი? ვაი სირცხვილო... ბოღმა, ცრემლი და სირცხვილი ახრჩობდა გლახუნას, – გასკდი, გულო! – ინატრა გლახუნამ, მაგრამ არ გასკდა გული, გული გასკდა კი არა, ფეხს აუჩქარა გლახუნამ. ვაი, სირცხვილო. გუბე შეხვდა გლახუნას გზაში,

სავსე მთვარე ჩანდა შიგ, ისე ჩანდა, გეგონებოდა დედამიწა ჩანგრეულა და ის მთვარე დედამიწის მეორე მხრიდან იმზირებაო. აი, ახლა ფეხს ჩადგამს გლახუნა ამ ორმოში და თავისი ტვირთით ჩაიქცევა, ჩაიმსხვრევა და ჩაიკარგება შიგ. გლახუნამ ფეხი ჩადგა ორმოში იმ იმედით, რომ დედამიწის გულს გაიარდა... მაგრამ წაიფორხილა და პირდაპირ გუბეში ჩაჯდა მუხლმოკვეთილი.

– ადექი, შე ზანტაკო! – შეუტია მანუჩარა კიკვაძემ. გლახუნა წამოდგა და მანუჩარას თვალებში შეხედა.

– გლახუნა ქერქაძე, ხომ ხნავს ძალა აღმართს? – ჰკითხა მანუჩარამ და თეთრი კბილები გამოაჩინა. – რაო, მაინც იმ თქვენმა მათხოვარმა

თავმჯდომარემ და იმ ორმა ჩასვრილმა ბატალიონის წევრმა, ჩემ მოსაკლავად ამოვიდნენ? მერედა იქ არ ვიყავი? სამივე შაშვივით მეჯდა სამიზნეზე. თუ დიდი გული ჰქონდათ, ტყეში რატომ არ შემოვიდნენ, მაგრამ იცოდნენ, თავის დისკოებიანად რომ შევტენიდი იმ ავტომატებს უკანალში, – მანუჩარამ ისევ გამოაჩინა თეთრი კბილები და ხრინწიანი ხმით ჩაიხითხითა.
– განწირული კაცის სიცილია მაგი, შენ რომ იცინი, მანუჩარა კიკვაძე! – ხმა ამოიღო გლახუნამ.

– მაგაზე, ომი რომ გათავდება, მერე ვილაპარაკოთ, გლახუნა, ახლა გოდორი მოიკიდე, ფეხი გამოადგი, წყალში და ტალახში წოლის დროს და საშუალებას მერეც მოგცემენ ბოლშევიკები, ალბათ,

წყალტუბოში გაგაგზავნიან უფასო პუტიოვკით, საბჭოთა ხელისუფლების წინაშე დამსახურებისათვის.

– ომის შემდეგ, ზნედაცემულო მანუჩარა, მანამდე თუ არ ამოგხადეს სული, ჩოხატაურში რომ ყველაზე მაღალი ჭადარია, იმაზე ჩამოგკიდებ ფეხით, ჩემი ხელით ავქნი ასო-ასოდ მაგ შენ სიფილისით დამპალ მძორს და მარილს დავაყრი ზედ, – უთხრა გლახუნამ და სახეში შეაფურთხა. მანუჩარა გაშრა, მერე უცებ გაშლილი ხელი გააწნა გლახუნას ცხვირ-პირში და იგი მოწყვეტილი ჩაემხო სახით გუბეში.
440 441

მკვრივი აღნაგობის კაცი იდგა. ცალ ხელში თოფი ეჭირა, მეორეთი თხმელის ნოღაზე იყო მიყრდნობილი. ბიჭს გული ამოუვარდა ბუდიდან.

– ვინ ხარ, ბიჭო, შენ? – ჰკითხა კაცმა ზემოდან. ბიჭმა ენა ვერ მოაბრუნა პირში. – მუნჯი ხარ? – ჰკითხა კაცმა, ბიჭმა რომ ხმა არ გასცა.

– ჩხაკოურელი ვარ მე! – ძლივს ამოღერღა ბიჭმა.

– სად მიდიხარ?

– ზოტში!

– ვისთან?

– ნათესავებთან.

– თათარი ხარ?

– კი, თათარი ვარ! – კაცი დაფიქრდა, პატარა ყოყმანის შემდეგ ჰკითხა და თან გამომცდელი მზერა მიაპყრო:

– თქვენ გადმოღმა რომ ქვენობნის ფერმაა, იქ ხომ არ გამოგივლია?

– კაცი თვალს არ აცილებდა ბიჭს.

– შორია იგი ფერმა ჩვენგან, მე გადმოღმიდან წამოვედი, მოკლეზე,

– უპასუხა ბიჭმა და გამხმარი ტუჩები აილოკა, – თქვენ ვინ ბრძანდებით, ბატონო? – ჰკითხა თავის მხრივ.

– ტყის მცველი ვარ, ქვენობნის ფერმაში მივდივარ, საქმე მაქვს მწყემსებთან, რა გაქვს მაგ ხურჯინში? – ბიჭს საქციელი წაუხდა, რადგან არ იცოდა, რა ჰქონდა ხურჯინში. ბიჭმა ხურჯინისაკენ წაიღო ხელი და მარჯვენა თვალში ჩააცურა, ხელში ნაქურჩელადაცობილი ბოთლი მოჰყვა. ამოიღო და მწვანეზე დადო.

– რაა, ბიჭო, მაგი? – ჰკითხა კაცმა.

– არაყია, ბატონო!

– არაყს სვამ თითის სიგრძე ღლაპი?

– ცოტას! – გაუღიმა ბიჭმა და ახლა გვიმრის ფოთოლში გახვეული ერთი წველა თხის ყველი ამოაყოლა ხელს, მერე ნახევარი კვერი და ბოლოს მშრალად მოხარშული თიკნის ხორცი.

– წაგვიხემსია აბა, მე და შენ! – თქვა კაცმა და კოდმეზე დაეშვა.

– მობრძანდით! – მიიპატიჟა ბიჭმა და ხურჯინზე დაჯდა.

– აბა, ქვენობნის ფერმაზე არ გამოგივლია? – ისევ ჰკითხა კაცმა, მწვანეზე გაშლილ პურმარილთან ფეხი მოირთხა და თოფი კალთაზე დაიდო, გარდიგარდმო. ბიჭმა უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია და ხელების ცახცახი რომ დაემალა, ზედ დააჯდა ორთავე ხელს. კაცი თავაუღებლად შეუდგა ჭამას.

– გატეხე, ბიჭო, ლუკმა, მარტო ხომ არ ვჭამ! – მიუბრუნდა ბიჭს და არყის ბოთლი შეანჯღრია ხელში.

* * *

სიპიტო გუდავაძემ, იონა ორაგველიძემ, გერვასი ფაცაციამ და ორმა ბატალიონის წევრმა ჩამოასვენეს ნაშუაღამევს გლახუნა ქერქაძე ფერმაში. არც ერთი სიტყვა არ თქმულა, არც ერთი წვეთი ცრემლი

არ დაღვრილა. თვალდამშრალი და კრიჭაშეკრული კაცები გათენებას ელოდნენ.

მხოლოდ გათენებისას შეამჩნია იონა ორაგველიძემ, რომ ბაჩანა ფერმიდან გამქრალიყო.

– მაგის დაკარგვა გვინდოდა ახლა?! – თქვა სასოწარკვეთილმა სიპიტომ და ორთავე ხელი გამეტებით დაირტყა მუხლზე.
– ბაჩანა! – დაიძახა უცებ.

– ბაჩანა! – აჰყვა იონა ორაგველიძე და შემდეგ ოთხივე მხარეს დაირხა შეშფოთებული ძახილი:
– ბაჩანაა, ბაჩანაა, ბაჩანაა!!!

ექო ერთი მთის ფერდიდან მეორე მთის ფერდს მიასკდა. მერე ხევში გადაინაცვლა, კლდე და ღრე მოიარა, ტყეში შევარდა და რომ ვეღარსად მიაგნო, ისევ ფერმის ეზოში მდგარ, სახეშეშლილ, შეშფოთებულ და იმედგაცრუებულ კაცებს დაუბრუნდა.
* * *

მზე რომ ამოიწურა, ტყიდან მხარზე ხურჯინგადაკიდებული ბიჭი გამოვიდა და წყაროს პირას ჩამოჯდა. დაცვეთილი ქალამნები გაიხადა, ერთხანს ხელში ატრიალა, მერე გვერდზე მოისროლა და დასიებული ფეხები ყინულიან წყალს შეუშვირა. პირიც დაიბანა ბიჭმა, მერე სველ ბალახზე წამოწვა გულაღმა, თავი ხურჯინზე ჩამოდო და ცაში აიხედა. ქორი საირაოზე გამოსულიყო და ლამაზად დატორტმანებდა ლილისფერ ცაზე.

– ახლა იქედან გადმომახედა?! – ინატრა ბიჭმა, – ალბათ, ხელისგულივით ჩანს ყველაფერი, – ბიჭმა თვალები დახუჭა და ასე იწვა დიდხანს გარინდებული, დაძინებული ეგონებოდა უცხოს. დიდი დრო გავიდა. ბიჭი გულაღმა იწვა თვალდახუჭული და არაფერზე არ ფიქრობდა.

უცებ კოდმეზე ღორღი ჩამოიშალა და ხრიალით დაეშვა ბილიკზე. ბიჭი სწრაფად წამოჯდა და მაღლა აიხედა. კოდმეზე წვერგაუპარსავი, მზისგან გარუჯული, ხმელი სახის, ოდნავ წინ ყბაგამოწეული და
442 443

გრძნობდა მხოლოდ, როგორ უძაგძაგებდა ხელში მაუზერი, როგორ ამტვრევდა ორთავე მაჯას და როგორ ცდილობდა გასხლტომოდა ვერცხლის ტარზე შეციებული ხელიდან. მერე, როდესაც მაუზერმა ძაგძაგი შესწყვიტა, ბიჭმა საშინელი სისუსტე იგრძნო. მკლავები ერთბაშად მოსწყდა და მაუზერმა მანუჩარა კიკვაძის დასახიჩრებულ თავთან გაადინა ზღართანი.

ბიჭმა მკვდარს ზურგი შეაქცია, მიწაზე დაეშვა, მუხლებში თავი ჩარგო და ტყეში დაკარგული მგლის ლეკვივით დაიწყო ყმუილი.
* * *

შუაღამისას ლომკაცა რამიშვილმა გახელებული ბრახუნი გაიგონა

კარზე. იგი საცვლების ამარა წამოდგა, ჭრაქი აანთო და
კართან დადგა.
– რომელი ხარ?! – იკითხა ხმამაღლა.
– მე ვარ, ბაჩანა! – თქვა კარს იქით მდგარმა კაცმა.
– არ ხარ შენ ბაჩანა! – შვილიშვილის ხმა ვერ იცნო და
გულმა რეჩხი უყო ლომკაცას.
– მე ვარ, ბაბუა, გამიღე კარი! – გაიმეორა კაცმა. ლომკაცა
რამიშვილმა ურდული გასწია და კარი გააღო. პარმაღში
ფეხებდაგლეჯილი, მხრებჩამოყრილი და თავჩაქინდრული ბაჩანა იდგა.
– შემოდი! – უთხრა ლომკაცამ. ბაჩანა არ განძრეულა. მაშინ
ლომკაცამ ხელი მოკიდა შვილიშვილს და ოთახში შეიყვანა.
ჭრაქი მრგვალ მაგიდაზე დადგა, თვითონ კი სკამზე დაეშვა.
– რა გჭირს, ბაბუა? – ჰკითხა დაზაფრული ხმით.
– კაცი მოვკალი! – თქვა ბაჩანამ და ნიკაპი აუკანკალდა.
ლომკაცა რამიშვილს სახე მოებრიცა და ხელი მარცხენა ძუძუზე
დაიდო. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა და არავინ იცის,
რამდენ ხანს გაგრძელდა იგი.
– ხუთი წელიწადი ტყუილა გიკითხე, ბაბუა, სახარება? – ჰკითხა
ხმადაკარგულმა ლომკაცა რამიშვილმა, სახე რომ გაუსწორდა და
ტკივილმა რომ გაუარა მარცხენა ძუძუსთან. შვილიშვილს ხმა არ
ამოუღია, იდგა თავდახრილი და გაოფლილ ხელისგულებს
იმშრალებდა შარვლის ტოტებზე.
– უდანაშაულო კაცი მოკალი? – დაარღვია დუმილი ისევ ლომკაცამ
და პასუხის მოლოდინში სუნთქვა შეეკრა.
– გლახუნა ქერქაძის მკვლელი მოვკალი, ბაბუა! – ლომკაცას
განცვიფრებისაგან თვალები გაუფართოვდა, წამოდგომა დააპირა, მაგრამ
– ცოფიანია, ალბათ! – თქვა.
– კია ცოფიანი! – უპასუხა ბიჭმა. კაცმა ბოთლის ყელი ხელისგულით
გაწმინდა და პირში გადაიმხო. უცებ ხველება აუვარდა.
– მოგიკვდა გამომხდელი! – თქვა პირგამოთუთქულმა და
თავი მარცხენა ხელის იდაყვში ჩარგო სულის მოსათქმელად.
– ღმერთო, ახლა მომეცი ძალა და მერე მომკალი! – ინატრა
ბიჭმა და ხელი ხურჯინის მარცხენა თვალში შეაცურა. მერე ადგა და
ხელი გამართა. სული რომ მოითქვა, კაცმა ბიჭს ახედა და ქვედა ყბა
ჩამოუვარდა. მის წინ სახეშეშლილი მაუზერგამართული ბიჭი იდგა.
– ადექი, მანუჩარა კიკვაძე! – უთხრა ბიჭმა და თვალი
თვალში გაუყარა, მანუჩარა კიკვაძე ვერ ადგა.
– ადექი, მანუჩარა გათახსირებულო! – გაუმეორა ბიჭმა
ხრინწიანი ხმით.
– ვინ ხარ, ბიჭო შენ და რისთვის მკლავ?! – ჰკითხა მანუჩარამ,

ხმა რომ დაუბრუნდა.

– გლახუნა ვარ მე ქერქაძე! – მანუჩარამ ისევ დაკარგა მეტყველება.

– გლახუნა ვარ მე ქერქაძე და ჩემი ხელიდან უნდა მოკვდე შენ!

– გაიმეორა ბიჭმა და მაუზერის სიმძიმით დაბუჟებულ ხელს მარცხენა ხელი შეაშველა. მანუჩარამ მუხლებზე დაიჩოქა და ოფლად გაღვარული თავი წყლიდან ამოსული კაცივით გაიქნია.

– არ შეცდე, ბიჭო, არ შეიძლება შენი ხნის ბაღანეს ხელიდან

კაცის სიკვდილი... – ხმა აუთრთოლდა მანუჩარას, – არ მესროლო, როგორ გინდა მერე მკვლელის სახელით დაღდასმულს სიცოცხლე და მიწაზე სიარული?..

– შენ, შენ როგორ ცხოვრობ და სუნთქავ ამ ქვეყანაზე?..

– ვინ გითხრა მერე, რომ ვცხოვრობ და ვსუნთქავ?

– მოკვდი, მანუჩარა! – თქვა ბიჭმა და ხელები გამართა.

– რა გქვია, ბიჭო და ვინ მოგიყვანა ჩემდა სიკვდილად, მითხარი მაინც, – შეევედრა მანუჩარა და ისე იკბინა ტუჩზე, სისხლმა გამოჟონა.

– გლახუნა ვარ მე ქერქაძე! – გაუმეორა ბიჭმა.

მანუჩარამ კვლავ ჰკითხა რაღაც, მაგრამ ბიჭს აღარაფერი ესმოდა. ყურებში უსაშველო გუგუნი ჩაუდგა, გული ბუდიდან ამოუვარდა, მის მკერდსა და საფეთქლებში უზარმაზარი რკინის უროებს გაჰქონდათ დაგადუგი და ბიჭმა იგრძნო უცებ, რომ სმენასთან ერთად მხედველობასაც ჰკარგავდა, რადგან მისკენ ფორთხვით წამოსული მანუჩარას შეშლილი სახე ჯერ გაორდა, მერე გასამდა და ბოლოს კალასავით გალღვა.

ბიჭმა მაუზერს ფეხი გამოუშალა...

სროლის ხმა არ გაუგონია, არც ტყვიების რაოდენობა
დაუთვლია. 444 445 5

როდესაც პროფესორი ანთელავა პალატაში შემოვიდა, პალატის ექიმისა და ექთანის თანხლებით, ბაჩანა თვალდახუჭული იწვა და საკუთარ გულისცემას უგდებდა ყურს. გული ახლა უფრო ღონივრად სცემდა. მეტი მონდომებით ქაჩავდა სისხლს ძარღვებიდან და აწვდიდა

ბაჩანას დაბინდულ გონებას. ბაჩანა ხვდებოდა, რომ მისი გული, სისხლი და გონება ნელ-ნელა ძალას იკრებდა. მან პროფესორის შემოსვლაც იგრძნო, მაგრამ იმდენად სასიამოვნო იყო მისთვის ქვეყნად მობრუნების განცდა, რომ თავი მოიმძინარა.

– გამარჯობათ! – თქვა პროფესორმა.

– პატივცემულ პროფესორს ჩვენი სალამი! – წამოიწია ლოგინზე ბულიკა.

– იცოცხლეთ, ბატონო! – მიესალმა მამა იორამი.

– როგორ ბრძანდებით? – ჰკითხა ორთავეს ერთად პროფესორმა

და მათი ავადმყოფობის ისტორიებს გადახედა გულდასმით. – მალე რეაბილიტაციაში გადაგიყვანთ! – თქვა კმაყოფილმა და ისტორიები

ლოგინის თავებზე ჩამოკიდა.

– მე რეაბილიტაციაზე უფრო ამნისტია მაწყობს, პატივცემულო პროფესორო, თავს კარგადა ვგრძნობ, თუ გამიშვებთ, დღესვე წავალ: სამი დღეა საპირფარეშოში ჩემი ფეხით დავდივარ, – სთხოვა ბულიკამ

და თავისი ჯანმრთელობის სადემონსტრაციოდ შიშველი ფეხები გადმოყო საწოლიდან.

– მე ხომ გაგაფრთხილეთ, ჯერ არ გაუშვათ-მეთქი, – მიუბრუნდა პროფესორი პალატის ექიმს.

– ხომ ვერ დავაბამ, ბატონო? – ხელები გაშალა პალატის ექიმმა.

– უნდა დააბათ, თქვენი ადგომა ჯერ არ შეიძლება, რა, ღამის

ქოთანს ვერ შეეგუეთ? – ჰკითხა ბულიკას და ხელის მსუბუქი წაკვრით ლოგინზე გადააქცია.

– რას ამბობთ, ბატონო, შევეჩვიე, მაგრამ აქ ძალიან პატივცემულ საზოგადოებას ვაწუხებ...

– არა უშავს! – დაამშვიდა პროფესორმა.

– ეგეც არ იყოს, ნამუსი მაწუხებს, ჩემი ავადმყოფობის გამო, ალბათ, ნახევარი ვაკე უკვე ფეხშიშველი დადის...

– თქვენ გინდათ, რომ მთელმა ვაკემ იაროს ფეხშიშველა?

– შეუქო ხელობა პროფესორმა.

– ბოდიში, პატივცემულო, მოვრჩი ბაზარს, – მიხვდა ბულიკა

ექიმის ორაზროვან სიტყვებს და თითქოს მთელი ვაკე მართლაც მისი მუხლებმა უღალატეს.

– მანუჩარა კიკვაძე მოკალი?! – ჰკითხა ჩურჩულით.

– მანუჩარა!

ლომკაცამ თავს ძალა დაატანა, ადგა, კართან მივიდა და მოიხურა. მერე შვილიშვილს მიუახლოვდა და მისი ოფლად გაღვარული თავი მკერდზე მიიკრა.

– ნახა მაგი ამბავი ვინმემ, ბაბუა? – ჰკითხა ყურში. შვილიშვილმა უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია.

– ორი ღმერთი მყავდა, ბაბუა, შენ და გლახუნა, ერთი ღმერთი მომიკლა მანუჩარამ... – შვილიშვილმა თაკარა ხელი შეახო ბაბუას დაკოჟრილ და გაციებულ ხელს.

– კარგად დაფიქრდი, ბაბუა, სხვისი დაღვრილი სისხლი არ დაიბრალო, მაგი ნამეტანი ძნელი საქმეა... – თქვა ფიქრში წასულმა ლომკაცამ და უცებ იგრძნო, როგორ გადმოიღვარა შვილიშვილის თაკარა ხელიდან მის ბებერ ძარღვებში მდუღარე სისხლი, როგორ აჩქეფდა, როგორ დაიარა მთელი სხეული, როგორ შევარდა ცხელ ნაკადად ჯერ გულსა და შემდეგ საფეთქლებში. ლომკაცამ თვალებში ჩახედა შვილიშვილს, დიდხანს, დიდხანს უყურა. ეს არ იყო მისი თხუთმეტი წლის ავადმყოფი

დაეტოვებინა მისი სხეული, სადღაც გამქრალიყო, დაკარგულიყო და მის ნაცვლად ახალი, სისხლით დადაღული, მაგრამ საოცრად ძლიერი სული ჩასახლებულიყო შიგ. ლომკაცამ ვერ გაუძლო შვილიშვილის აბრიალებული თვალების ცქერას, თვალი აარიდა და თავი დახარა. იგი უთქმელად მიხვდა, რას ეკითხებოდა შვილიშვილის თაკარა ხელი,

რას ეკითხებოდნენ შვილიშვილის აბრიალებული თვალები და მიხვდა, რომ ახლა მხოლოდ მის პასუხზე იყო დამოკიდებული მისი ნაგრამის შემდგომი ცხოვრება.

– კი, ბაბუა, მოვკლავდი!!! – თქვა ლომკაცამ და ისევ ჩაიკრა მკერდში შვილიშვილი. ბაჩანა უცებ მოეშვა, მოდუნდა, ხელიდან დაუცურდა ბაბუას და იატაკზე დაჯდა.

– ღმერთო მაღალო, რაღა ამ პატარა ბავშვის სხეულში ჩასახლდი შურისძიებად. – თქვა ლომკაცამ და შვილიშვილის გვერდით დაეშვა იატაკზე.

... და როდესაც გარიჟრაჟზე სახეშეშლილმა სიპიტო გუდავაძემ ლომკაცას სახლის კარი შეაღო, ბაბუა და შვილიშვილი კვლავ იატაკზე ისხდნენ და ტიროდნენ. შვილიშვილი ხმამაღლა ტიროდა, ბაბუა კი – ჩუმად, მხოლოდ ცრემლით.

446 447

სკამზე ჩამოჯდა.

– საერთოდ არ მძინავს, ბატონო ნოდარ.

– როგორ?

– ცხადი ძილი მაქვს, ექიმო, სიზმრებს ვხედავ.

– მაინც როგორ სიზმრებს ხედავთ?

– ხან ცუდს, ხანაც კარგს.

– ეცადეთ, ძილის წინ კარგ რამეზე იფიქროთ, მაშინ სიზმარიც კარგი გექნებათ, – ასწავლა ექიმმა.

– როგორ ფიქრობთ, ბატონო პროფესორო, გადავრჩი? – ჰკითხა ბაჩანამ.

– მე სწორედ მაგის საკითხავად მოვედი თქვენთან! – უპასუხა ექიმმა.

ბაჩანა დაიბნა.

– მე, მე მგონი... მე მგონი, უკეთ ვარ...

– მაშინ, იმედი უნდა ვიქონიოთ, – თქვა პროფესორმა და გადახდილ მკერდზე ფონენდოსკოპი დაადო.

– რას შვება, ექიმო? – ჰკითხა ბაჩანამ შემკრთალი ხმით.

– რაც მთავარია, მესმის, გუშინ არ მესმოდა, – თქვა პროფესორმა და წამოდგა, წასასვლელად მოემზადა.

– თუ გადავრჩი, თქვენ ორ ოქროს ბიუსტს შევუკვეთავ, – უთხრა ღიმილით ბაჩანამ.

– ორი რად გინდათ?

– ერთს თქვენ მოგართმევთ, მეორეს საწერ მაგიდაზე დავიდგამ და ვილოცებ.

– გოგილაშვილი თქვენზე პრაქტიკულია, მხოლოდ ერთ ოქროს ბიუსტს შემპირდა, – გაიცინა ექიმმა.

– ... და ორი ბრილიანტის საყურეც, თქვენი ცოლისათვის, თან მთელი სიცოცხლე ტუფლების უფასო რემონტი! – დაუმატა ბულიკამ.

– აგაშენა ღმერთმა, ახლა წავალ, ცოლს გავაფრთხილებ, ყურის ბიბილოები გაიხვრიტოს. თქვენ რას მპირდებით, მამაო იორამ?

– თქვენ სიგრძე სანთელს და ლოცვა-კურთხევას.

– არ დაგავიწყდეთ, ინფარქტმა გულმავიწყობა იცის. სხვა რამე ხომ არ გაწუხებთ? – თქვა მოვალეობის მოხდის მიზნით პროფესორმა.

– ვირთხაზე გვინდოდა რამე გვეთქვა, მაგრამ დღეს თქვენი მოსვლით ისე გაგვახარეთ, ვითომც არა გვყოლია... – თქვა ბულიკამ და ექთანისაკენ გააპარა თვალი.

– რა ვირთხა? – იკითხა განცვიფრებულმა პროფესორმა.

– ქრონიკული ალკოჰოლიზმისაგან ელანდება, პატივცემულო გამოჯანმრთელების მომლოდინე ყოფილიყოს, ისე ფრთხილად დადო თავი სასთუმალზე და გაიტრუნა.

– კათალიკოსმა დამირეკა დღეს, თქვენი ჯანმრთელობა იკითხა, მამაო იორამ, რა გადავცე? – მიუბრუნდა პროფესორი ორთაჭალის სამების ეკლესიის მოძღვარს ღიმილით.

– შენი ლოცვით და კურთხევით არ ღებულობს-თქო მაცხოვარი, ასე გადაეცით, ბატონო! – თქვა კათალიკოსის ყურადღებით გულაჩუყებულმა მოძღვარმა და თვალები ცრემლით აევსო.

– გამოდის, რომ ჩვენ არაფერ შუაში ვყოფილვართ! – განგებ იწყინა პროფესორმა.

– თქვენ, ექიმებს, ჯოჯოხეთის კარი გაბარიათ, კათალიკოსს კი – სამოთხისა, ბატონო პროფესორო, – თავი იმართლა მამა იორამმა და პირჯვარი გამოისახა.

– საიქიოს ერთი კარი აქვს, მამაო, და სწორედ ის კარი გვაბარია ექიმებს. ჯოჯოხეთი და სამოთხე ეს უკვე ქვეგანყოფილებებია და სად გაგანაწილებს მაცხოვარი, მისი საქმეა, ჩვენი საქმეა, საიქიოს კარი დროზე ადრე არ გაგიღოთ, – უპასუხა პროფესორმა.

მამა იორამმა უხერხულად ჩაახველა და გაჩუმდა.

– გñ¸ ñïèò? – იკითხა პროფესორმა და ბაჩანას მაჯა აიღო ხელში.

– ოცდაოთხი საათი სძინავს, ბატონო! – უპასუხა პალატის ექიმმა.

– რაც მეტს იძინებს, უკეთესია. – თქვა ექიმმა და ბაჩანას

სასთუმალთან ჩამოკიდებული ავადმყოფობის ისტორია ჩამოიღო.

– როეს და ქოლესტერინს დაუკლია, – თქვა კმაყოფილმა,
– ექსტრა სისტოლები მაინც აქვს, რას აძლევთ?

– ერალდინმა ყველაზე კარგი შედეგი მოგვცა, – უპასუხა პალატის ექიმმა.

– ტკივილი?

– სუსტი!

– პერიოდულობა?

– თუ ღვიძავს, ნახევარ საათში ერთხელ.

– პანტაპონი არ შეუწყვიტოთ, – პროფესორმა მკერდზე ზეწარი გადახადა ბაჩანას ძალიან ფრთხილად და მარცხენა ძუძუს ზემოთ დააკვირდა დაჟინებით. დიდხანს უყურა, ბოლოს შვებით ამოისუნთქა.

– რა ბედნიერებაა, ანევრიზმა რომ არ განუვითარდა, – ბაჩანამ თვალი გაახილა.

– გამარჯობათ, ბატონო პროფესორო! – თქვა მან.

– თქვენ არ გძინავთ? – გაუკვირდა ექიმს და ექთანის მოწოდებულ

448 449

– ÿåêñîò, ãíîèìùèê! – უპასუხა სანინსპექციის უფროსმა და კარი გაიჯახუნა.

– სიკსოტი და ანონიმშჩიკი მამაშენია, შენ თვითონ კი – კრისი!

– მიაყოლა ბულიკამ ზურგში.

* * *

ცოტა ხნის შემდეგ პალატაში ჟენია შემოვიდა გახაზირებული ნემსით. ბაჩანას მიუახლოვდა და ბარძაყზე ზეწარი გადახადა.

– ზოგიერთ ავადმყოფს პანტაპონი ენაზე უნდა გაუკეთო, ბევრი რომ არ იტლიკინოს! – თქვა თავისთვის.

– თუ ჩემზე ამბობ, ჟენია, მაგისთვის მე სხვა ადგილი მაქვს,

– მიასწავლა ბულიკამ.

ჟენიამ არაფერი არ უპასუხა. ბაჩანას ფეხის კუნთში ნემსი გაუკეთა, ნანემსარი დაუზილა და უხმოდ გავიდა.

ცოტა ხნის შემდეგ კვლავ შემობრუნდა.

– ბატონო ბაჩანა, ვიღაც კაცია თქვენს სანახავად მოსული.

– ვინ ვარო?

– ახლო ნათესავი ვარო!

– თუ თქვენ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ, მოვიდეს, – უთხრა ბაჩანამ.

ჟენია გავიდა და ვიღაც დაბალი, მოკლეხელებიანი, ქერა და ჭორფლიანი კაცი შემოიყვანა.

– მხოლოდ ხუთი წუთი, – გააფრთხილა ჟენიამ შემოყვანილი.

– თვალის დახამხამება! – უპასუხა შემოყვანილმა და ბაჩანას საწოლთან მდგარ სკამზე ჩამოჯდა მიუპატიჟებლად.

– გამარჯობათ, პატივცემულო ბაჩანა! – მიესალმა უცნობი და

მზრუნველად დაადო ხელი მუხლზე.

– გაგიმარჯოთ! – უპასუხა დაბნეულმა ბაჩანამ.

– ვერ მიცანით, ხომ? – ჰკითხა უცნობმა, ბაჩანამ მახსოვრობა დაძაბა, მაგრამ ვერ იცნო ქერა კაცი.

– ვერც ახლა? – ჰკითხა უცნობმა და პროფილით დაჯდა. ბაჩანამ უხერხულად გაიღიმა.

– იქნებ როგორმე გამახსენოთ თავი, – სთხოვა.

– სოხუმი, ჩერნიავკა, ვენეციის ხიდი, მეცამეტე სკოლა. დეიდა თქვენები მარო, ნინა, თამარა, დეიდაშვილები ნელი, ზულეიკა, დოდო, კოკა... – ჩამოთვალა უცხომ თითებზე.

– თქვენი თავი გამახსენეთ, ბატონო, თორემ დეიდაშვილები და პროფესორო, – თვალები გადმოქაჩა მოულოდნელობისაგან დამფრთხალმა ექთანმა.

– კარგი, მე ბელაია გარიაჩკა მაქვს და მელანდება, ამას?!! – ხელი გაიშვირა მღვდლისაკენ შეურაცხყოფილმა ბულიკამ.

– ღვთის წინაშე კი არაფერს აშავებს... გამოვა, შაქარს დაკვნეტს...

– დაიწყო სიტყვების ღეჭვა მოძღვარმა.

– ახლავე სანინსპექტორს დაუძახეთ! – გასცა განკარგულება ექიმმა.

– თაგვის შაქარზეა წასული, ბატონო! – მოახსენა პალატის ექიმმა.

– თაგვის შაქარი რა ოხრობაა, ÷òî ýòî â ðåñïóáëèêåíñêîé

ÿîëüíèöå ñòîëüêî ìûøåé ðåçâåëîñü, ÷òî ó íèõ ìåæå

ñâîé ðåöèïî?! – გაგიჟდა პროფესორი.

– თაგვის შაქარი საწამლავია, ბატონო! – აუხსნა პალატის ექიმმა.

– მიშიაკი! – უთარგმნა ექთანმა.

– êåêîé ïîçîð, ÿåçîÿðåçèå! – თქვა ექიმმა და დაუმშვიდობებლად გავიდა პალატიდან.

– არ უნდა მეთქვა? – იკითხა შეწუხებულმა ბულიკამ.

– გინდა თქვი, გინდა – არა, ფაქტი სახეზეა, ცოტაც მოეცადა,

თავისი თვალით ნახავდა, – თქვა მამა იორამმა და ბულიკას საწოლის ქვემოდან გამომძვრალ ვირთხას შაქარი გადაუგდო.

ერთი საათის შემდეგ პალატაში საავადმყოფოს მთავარი ექიმი, სამნეო ნაწილის გამგე, სანინსპექციის უფროსი, ორი სანიტარი, პალატის ექიმი და ექთანი ჟენია შემოლაგდნენ.

– სად არის ვირთხა! – იკითხა მკაცრად სანინსპექციის უფროსმა.

– აქ არის! – უპასუხა ბულიკამ და მარჯვენა თვალის ქვედა ქუთუთო ჩამოიქაჩა თითით.

– პროვოკატორობთ, არა? – მიუბრუნდა ბულიკას სამნეო ნაწილის გამგე.

– მაშ, ეს შაქარი მე დავკვნიტე? – ჰკითხა ბულიკამ და შუა

ოთახში გაგორებულ დახრულ შაქრის კვნიტზე მიუთითა. სანიტრები

საწოლების ქვეშ შეცვივდნენ და თაგვის შაქრით ამოავსეს ოთახის ყველა კუნჭული.

– ცოტა ძველი კია ეგ თაგვის შაქარი, მაგრამ არა უშავს, ხვალამდე ვაცალოთ და თუ არ იმოქმედა, ხვალ კატას მოგიყვანთ, – დაამშვიდა ავადმყოფები სანინსპექციის უფროსმა. მერე სანიტრებს მიუბრუნდა.

– ცოტა ჩემს კაბინეტშიც შეიტანეთ, იქაც გამოუხრავთ კარადა. კიდევ რას უჩივით?! – მიუბრუნდა ავადმყოფებს.

– ამერიკას სამხრეთ კორეიდან ჯარები რატომ არ გაჰყავს? –

იჩივლა ბულიკამ.

დამეძინება, – გააფრთხილა ბაჩანამ. დარახველიძემ ერთხელ კიდევ გახედა ბულიკას და მოძღვარს, ყურს ხომ არ გვიგდებენო, მერე დაიწყო.

– კი იცით თქვენ, რესპუბლიკაში როგორი დაძაბული მდგომარეობაა. იქ ოპერა დაწვეს, აქ – უნივერმაღი, ბომბი ისროლეს თქვენთან, ჩვენთან და ქუთაისში... იმან თავი მოიკლაო, ამან ვენები გადაიჭრაო, ძალიან ნერვიული ატმოსფეროა რესპუბლიკაში ამ კადრების შერჩევის საკითხთან დაკავშირებით და ხორციც არ იშოვება ბაზარში... მაინცდამაინც...

– ყველის საკითხი როგორაა? – გაუღიმა ბაჩანამ.

– თქვენ ხუმრობთ, ბატონო ბაჩანა, მაგი თქვენი პროფესიაა, მაგრამ იმ ხორცს და ყველს ძროხა იძლევა ორივეს...

– რამე ახალი ჯიში გამოიყვანეთ თუ? – სერიოზულად ჰკითხა ბაჩანამ. დარახველიძემ ერთხანს უყურა ბაჩანას, ხომ არ დამცინისო, მაგრამ ბაჩანას წარბიც არ შეუხრია, ისე გაუსწორა თვალი.

– მე სულ სხვა საკითხზე გეახელით!

– ცეცხლგამძლე ოპერის და უნივერმაღის პროექტი ხომ არ გაქვთ და არ გიმტკიცებენ? – შეუნაცვლა კითხვა ბაჩანამ. დარახველიძეს

ისევ გამოჟონა ოფლმა შუბლზე, მერე ისევ გაიხედა ავადმყოფებისაკენ, ხომ არ მიყურებენო და ჯიბიდან ორი კონვერტი ამოაცურა.

– აფხაზეთის ხელმძღვანელობასთან უნდა მიგვეგზავნოთ, ბატონო ბაჩანა, ან სოხუმის რაიკომის მდივანთან უნდა მიგვიწეროთ წერილი.

– კი მაგრამ, მე რა შუაში ვარ?! – გაუკვირდა ბაჩანას.

– ჰუმანური მწერალი თქვენ ხართ, ბატონო, დეპუტატი და ცეკას წევრი თქვენ ხართ, აბა სხვასთან ვისთან უნდა მივიდე? – ბაჩანაზე უფრო გაუკვირდა დარახველიძეს.

– თქვენ სად მუშაობთ? – ჰკითხა უცებ ბაჩანამ.

– მე აფხაზეთის თამბაქოს დამზადების უფროსი ვარ.

– კი მაგრამ, რა უნდა მიგიწეროთ ან რესპუბლიკის ხელმძღვანელთან,

ან რაიკომის მდივანთან?

– მთელი ქალაქი იმას ლაპარაკობს, პურს არ ტეხენო უერთმანეთოდ, ერთად სწავლობდნენ სკოლაშიო...

– თქვენ ჩემთან ვინ გამოგაგზავნათ?

– ვისაც მაგისთვის კარგი უნდა... ეს ერთი კონვერტი თქვენია, მეორე კი ვინც თქვენ გაგიხარდებათ, იმისია, – თქვა დარახველიძემ

და კონვერტები, რომელშიც ორი შემნახველი სალაროს წიგნაკი იდო, სასთუმალს ქვეშ ამოუდო ბაჩანას.

– თქვენ რა, მოგხსნეს?

დეიდები ისედაც მახსოვს, – შეწუხდა ბაჩანა.

– მე ნუგზარი ვარ დარახველიძე, არ გახსოვთ, თქვენმა დეიდა ნინამ რომ მონათლა ჩემი და და ლუიზა რომ დაარქვა...

– მომკალით და არ მახსოვს, – შერცხვა ბაჩანას.

– იმის შემდეგ სულ ჰქვია და ჰქვია ჩემს დას ლუიზა.

– ძალიან სასიამოვნოა! – თქვა ბაჩანამ და ახლა ლუიზას გახსენება დაიწყო და ვერსად რომ ვერ მიაგნო, ხელი ჩაიქნია გუნებაში.

– ჰოდა, იმის ძმა ვარ მე, ნუგზარ დარახველიძე, – გაანათა წყვდიადით მოცული გაუგებრობა უცნობმა.

– რა გნებავთ, ბატონო ნუგზარ? – ჰკითხა ბაჩანამ.

– როგორ ბრძანდებით, ბატონო ბაჩანა? შეწუხებულია მთელი ერი.

– აბა, როგორ ვიქნები?! – ამოიოხრა ბაჩანამ.

– მშვენივრად გამოიყურებით, ღმერთმა კარგად გამყოფოთ, ფერი კარგი გაქვთ და... ცოტა ხორცი კი დაგიკლიათ, კაცმა რომ თქვას, მაგრამ ამას წინათ ტელევიზორში გნახეთ, ჩვენმა აქტივმა, ძალიან ბევრი ვიცინეთ, რასაა რომ არ იტყვის თქვენი ენა, განსაკუთრებით

ანტიპოდებს რომ ეხებოდით, ჰოდა, ცოტა მოკეთებული მეჩვენეთ მაშინ, თფუ, თფუ, თვალი არ გეცეთ და მოყვარეს რომ გაუხარდება და მტერს რომ ეწყინება, ისე გამოიყურებით, ყოველ შემთხვევაში, ასე არ სჯობია? – ისევ მოუთათუნა მუხლზე ხელი უცნობმა.

– თქვენ როგორ ბრძანდებით, თქვენი და ლუიზა... – ჰკითხა ზრდილობისათვის ბაჩანამ.

– ძალიან ცუდად, მეტი რომ არ შეიძლება, ისე ცუდად, – ოფლი მოიწმინდა შუბლიდან ნუგზარ დარახველიძემ.

– რა გჭირთ? – შეწუხდა ბაჩანა.

– ამათთან კი მეუხერხულება ცოტა... – თქვა დარახველიძემ და ბულიკასა და იორამს გადახედა.

– ამათ ადგომის უფლება არ აქვთ, მე – მით უმეტეს, თუ რამე

გაქვთ სათქმელი, ამათ თანდასწრებით მოგიწევთ თქმა, –

აუხსნა მდგომარეობა ბაჩანამ.

– ჩვენი თავი შემოგევლოს! – თქვა ბულიკამ, ზეწარი თავზე წაიფარა და კედლისაკენ გადაბრუნდა. მამა იორამმაც იგივე გააკეთა. ნუგზარ დარახველიძე ერთხანს იშმუშნებოდა, მერე, როგორც იქნა, გადაწყვიტა...

– ისეთი არაფერია, ბატონო ბაჩანა, ერთი თქვენი ლამაზი ხელის მოწერა და...

– თუ დროზე არ მეტყვით, პანტაპონი მაქვს გაკეთებული და

შემოსავალი.

– კიდევ რაო კომისიამ?

– ახლა სახლში მომადგნენ და სახლის შემოწმება დამიწყეს. ორსართულიანი სახლი რატომ გაქვსო, თვითონ რომ ჰკითხო ჩვენს მთავრობას, დღე და ღამე კარგი კომპოზიტორივით ნოტებს უგზავნის ამერიკას, ჩემს შინაურ საქმეებში ნუ ერევიო და მე მთლად სახლში შემომივარდნენ. ორი სართული რა არის? სართულის ნორმა ორ მეტრნახევარია. ჩემი პირველი სართული კი ორი მეტრი და ორმოცდარვა სანტიმეტრია...

– ორ სანტიმეტრს რა მნიშვნელობა აქვს? – გაეცინა ბაჩანას.

– როგორ გეკადრებათ, ბატონო ბაჩანა, ორი სანტიმეტრია ტყვია

და კამეჩს აქცევს მაგი, ორი სანტიმეტრი არ იყო ის ტყვია, გვარს არ დავასახელებ და ერთი რაიკომის მდივანი გააგორა შარშან? მაგას ნუ ეტყვით თქვენს მეგობარს, ისე გამახსენდა, სიტყვაზე... ახლა ზევით რვა ოთახი დამითვალეს, ქართველი კაცი ისე რომ დაწვრილმანდება, ზალას ოთახად ჩაგითვლის, იმას რა უნდა ელაპარაკო, კიდევ კარგი ლოჯი და საბილიარდო რომ არ მიათვალეს. მაგაზეც მადლობელი ვარ... ბატონო ბაჩანა, კრისტალი ვარ და ნუ გამწირავს, თქვენი სიტყვა კანონია მაგისთვის. ორი სიტყვა... ჩემი გაფუჭება თქვენი შეურაცხყოფაა.

– ჩემი რატომ? – თვალი გაახილა ბაჩანამ.

– როგორ? ჩემი ახლო ნათესავი რომ ხართ ახლა თქვენ და

ვინმემ გაგაფუჭოთ, ჩემი შეურაცხყოფა არ იქნება მაგი? – შეიცხადა დარახველიძემ, – ბაჩანამ ისევ გადაავლო გონების თვალი სანათესაოს და დარახველიძის მსგავსი რომ ვერაფერი იპოვა, გულზე მოეშვა.

– თუმანზე კაცს იჭერს მაგი მამაძაღლი და ჩემს ადგილს მილიონად ყიდის? – გაცხარდა უცებ დარახველიძე.

– რამდენად? – გაუკვირდა ბაჩანას.

– ნახევარ მილიონად! – დაუკლო დარახველიძემ.

– ასეთს რას შოულობთ?

– მე რას ვშოულობ, ბატონო ბაჩანა, ნახევარი მაგის ამხანაგებს მიაქვთ, ანგელოზებივით რომ ნაბავენ თვალებს რაიკომის ბიუროზე,

გაუჩხრიკეთ ერთი ჯიბეები და ნახავთ, თუ არ ექნება მაგენის ფულს ნიკოტინის სუნი, ტყვილია მაგი, ფულს სუნი არ აქვსო, ისეთი სუნი აქვს, ბალიშის ქვეშ რომ ამოიდო მაგი, მაინც აქვს სუნი... – ბაჩანამ ბალიშის ქვეშ შეიყო ხელი და კონვერტები მოსინჯა. დარახველიძემ თვალი აარიდა.

– რომ მოვრჩები, მერე ვილაპარაკოთ! – თქვა ბაჩანამ.

– ჩემი მოხსნა ასე ადვილი არ არის, ბატონო ბაჩანა, მაგრამ პატარა ხელის წაკვრა ყველას სჭირდება... იმასაც, ვინც მე ხელს

მკრავს ახლა... – პანტაპონმა მოქმედება დაიწყო, ბაჩანას ქუთუთოები დაუმძიმდა, შეკითხვების თავი აღარ ჰქონდა, ერჩია, ყური ეგდო ხიდან ჩამოვარდნილი ნათესავისათვის.

– მაინც რა მოხდა? – ჰკითხა ბაჩანამ და თვალები მილულა. დარახველიძე მიხვდა, რომ ოქროს დროს ფლანგავდა და ლაპარაკს მოუჩქარა.

– როგორ რა მოხდა, ბატონო ბაჩანა? რევიზია გამომიგზავნა...
– პალატაში ჟენია ექთანმა შემოყო თავი.
– სხვათა შორის, ოცი წუთი გავიდა! – თქვა დარახველიძის გასაგონად.
– იყოს, ქალბატონო ჟენია, კარგ ამბავს მიყვება, – სთხოვა ბაჩანამ.

– ... რევიზია გამომიგზავნა... – გააგრძელა გაწყვეტილი სიტყვა დარახველიძემ, – ... ოცი წელია უკვე მაგ დარგში ვმუშაობ და ჯერ ჩემთვის რევიზია არავის გაუბედავს, ჯერ ხუმრობდა მეგონა, მერე გავიხედე და მართლა არ მამოწმებენ?!
– რაო რევიზიამ? – ჩაურთო კითხვა ბაჩანამ.

– რაო და რაც პაპიროსი მოწეულა აფხაზეთში და საქართველოში, სულ ბიჩოკ-ბიჩოკ იანგარიშა შობელძაღლმა. მერე ისიც თქვეს, ამ წელს სამას ტონა თუთუნში ასი ტონა ხმელი ბალახი გაგირევიათო...

კაბინეტიდან ცხვირი რომ არ გამოუყვია გარეთ, ისიც არ იცის, რომ ეს თუთუნი სოფელში მოყავთ, მინდორში და ცოტა ბალახი გაერევა, აბა, რას იზამს? მერედა ეს ბალახი კაცს კლავს თუ რაშია საქმე? სად არის აქ მავნებლობა? რაც გაჩნდა ძროხა, იმის შემდეგ სულ ბალახს

არ ჭამს მაგი? აჭამე აბა, ძროხას თუთუნი?.. მავნებლობა ისაა, ნიკოტინს რომ აქაჩვინებენ ხალხს და კლავენ, თქვენი არ იყოს, ეს არაფერი კიდევ, ახლა ის ბალახი თუთუნის ფასში გადაყავთ და მილიონები გროვდებაო. ბალახი ერთი ტონა თუმანი ღირს და მაგი რომ თუთუნში გადაიყვანო, სად წაგიყვანს? თუ მაინცდამაინც უნდათ, მის ფასში იანგარიშონ. ამას ის მიუმატეთ კიდევ, რომ სველ თუთუნს ყიდითო და ორი იმდენი გამოვიდა...
– სულ რამდენი მილიონია? – დაინტერესდა ბაჩანა.
– გაფლანგვა თუ გასაღება? – ჰკითხა დარახველიძემ.

– ორივე!

– ბევრი მილიონია ძალიან.

– მაინც?

– რომ გითხრათ, შეგეშინდებათ, – არ გაამხილა დარახველიძემ

454 455

– ვინ ხარ შენ? – ჰკითხა ბაჩანამ. პირხმელ, ცისფერთვალება,

მასავით ფეხშიშველ ახალგაზრდას თვალებში შეხედა. იგი ვერ მიხვდა, მზე იდგა ახალგაზრდის უკან თუ ნათელი ადგა თავზე.

– მე ვარ უფალი შენი და ღმერთი შენი! – უპასუხა ახალგაზრდამ.

– თუ შენ ხარ უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი, დამიდასტურე რაიმეთი, – უთხრა ბაჩანამ.

– და განა დგომა ჩემი შენ წინაშე დასტური არ არის მაგისა?
– თქვა ახალგაზრდამ.

– არა, შენა ხარ გალუცინაცია მწყურვალის უდაბნოში, – უპასუხა ბაჩანამ
და დაჟინებით დააკვირდა. იგი დიდხანს ელოდა მის გაქრობას, ის კი
იდგა მშვიდი, მოღიმარი, სათნო და საოცრად ახლობელი. მაშინ
მიფორთხდა მასთან ბაჩანა და ფრთხილად შეახო ხელი შიშველ ფეხზე.

იმ ადგილას, სადაც აპკგადაკრული ნალურსმნალი ჭრილობა
ფერმკრთალ ყაყაჩოსავით უღვიოდა ახალგაზრდას.

– ნუ იყოფი ურწმუნო, არამედ გრწმენინ, – გაუღიმა ახალგაზრდამ.

– მე ურწმუნო ვარ, ამიტომ არ მჯერა ახლა იმისა, რასაც ვხედავ

და ვგრძნობ. ეს ყველაფერი ძალიან შორსაა ჩემგან. მომიახლოვე
ყველაფერი ეს და ამიხსენი ზოგი რამ, თქვი, იყავი თუ არა შენ ქვეყნად
და თუ იყავი, რისთვის განერიდე ადამიანს? – ჰკითხა ბაჩანამ.

– ადამიანებმა თავად განმარიდეს მე, მაგრამ მე არ
მიმიტოვებია ადამიანი. – თქვა მშვიდად ახალგაზრდამ.

– დამიდასტურე რაიმეთი, – ისევ სთხოვა ბაჩანამ.

– განა ჩემი დგომა შენს წინაშე დასტური არ არის მაგისა? –

გაუმეორა ახალგაზრდამ. ბაჩანამ არაფერი არ უპასუხა, მხოლოდ
ხელი შეახო კვლავ შიშველ ფეხზე.

– და თუ უფალი ხარ შენ, თქვი, რას წარმოადგენ შენ?

– მე ვარ რწმენა, იმედი, ძლიერება, სათნოება, ნიჭი
სიყვარულისა და თავისუფლება, – თქვა ახალგაზრდამ.

– მაშ, როგორღა გაგყიდა იუდამ ოცდაათ ვერცხლად?! –
ჰკითხა განცვიფრებულმა ბაჩანამ.

– იუდას უფალი არ გაუყიდია, იგი თავად მიეყიდა ფარისეველთ
ოცდაათ ვერცხლად. ეს იყო ფასი მისი და იგი იყიდეს ამ ფასად.
ფული, რომელიც გედო შენ სასთუმალს, არ იყო ფასი შენი და
ამიტომ არ გაიყიდე შენ დღეს... და რადგან არ გაიყიდე დღეს,
ხვალ და ზეგ შემოგთავზებენ შენს ნამდვილ ფასს.

– და თუ მაინც არ მივეყიდე?

– მაშინ შენ ამაღლდები და აღსრულდება ის, რისთვისაც ვეწამე მე ამ ქვეყანაზე.

– თქვენ რა მოგარჩენთ?! – წამოცდა დარახველიძეს, – ასე მალე

რა მოგარჩენთ, ბატონო ბაჩანა, ზეგ დილით კი ბიუროზე გადის ჩემი საკითხი, შეიძლება, პირდაპირ ბიუროზე ამიყვანონ. ნუ კრავთ წიხლს მირონს, ბატონო ბაჩანა... – დარახველიძეს ისევ გამოჟონა ოფლმა შუბლზე, – ორი სიტყვა თქვენი ხელმოწერილი... – ბაჩანამ კონვერტები ამოიღო სასთუმლის ქვეშიდან და მკერდზე დაიწყო.

– რამდენია აქ? – ჰკითხა უცებ. დარახველიძეს თვალებში მზე ჩაუდგა.

– მილიონ ნახევარი! – თქვა ხმის კანკალით, – წილის გარეშე!

ბაჩანა ძალიან დიდხანს ფიქრობდა. დარახველიძე სკამზე აწრიალდა.

– ბატონო ნუგზარ, აი აქ ჩემი საწოლის ქვეშ ღამის ქოთანია, ძალიან გამიჭირდა, თუ არ შეწუხდებით, მომაწოდეთ, – სთხოვა ფიქრის

შემდეგ ბაჩანამ. დარახველიძე შეყოყმანდა, – ნუ გეშინიათ, სუფთაა,

– უთხრა ბაჩანამ. დარახველიძე მორჩილად დაიხარა, ღამის ქოთანი გამოიღო საწოლის ქვეშიდან და ბაჩანას მიაწოდა. ბაჩანამ ღამის ქოთანს მოღერებულ ყელში მოჰკიდა დასუსტებული მარჯვენა.

– ახლა ცოტა უკან დაიწიეთ, – სთხოვა დარახველიძეს. დარახველიძემ სკამიდან დაიჩოჩა უკან. ბაჩანამ თვალით მოზომა მანძილი მასა და დარახველიძეს შორის, მერე, რაც ძალი და ღონე გააჩნდა, მოიქნია ღამის ქოთანი და თავში ჩაუშვა დარახველიძეს. ღამის ქოთანი მარილივით დაიფშვნა დარახველიძის თავზე. თვითონ დარახველიძეს

კი უცებ თვალები დაებინდა, სახეზე განცვიფრებული ღიმილი გამოეხატა, სკამიდან დაცურდა და უცებ გულაღმა გაიშხლართა იატაკზე.

– ცარიელი იყო? – იკითხა ბულიკამ.

– ცარიელი იყო! – უპასუხა ბაჩანამ.

– აფსუს! – თქვა მამა იორამმა და ექთან ჟენიას დაუძახა.

6

შვიდი დღე და შვიდი ღამე მიაბიჯებდა ბაჩანა მზით დამწვარ უდაბნოში. პირველი ორი დღე ფეხით იარა, შემდეგ მუხლებით იხოხა, მეხუთე დღემდე, დანარჩენი ორი დღე კი მუცელზე იფორთხა. და როდესაც დაუძლურებული, ტუჩებდამსკდარი და გამოფიტული დაემხო ყვითელ სილაში სახით, იგრძნო სიკვდილის მოახლოება, გულაღმა გადმოტრიალდა ჩამქრალი თვალებით, ახედა ულმობელ მზეს და მის სიცოცხლეში პირველად უთხრა საყვედური.

– რაისთვის გამიმეტე ასე?! – და უცებ ადამიანის სხეული აეფარა მზეს და მისი ჩრდილი დაეცა სახეზე ბაჩანას.

456 457

– რა არის ნება ღვთისა?

– წამოდექ! – ბაჩანა წამოდგა.

– თქვი, რომ აღარა გკლავს წყურვილი, უღვთო!

– აღარა მკლავს წყურვილი, უღვთო! – გაიმეორა ბაჩანამ
და გაქრა წყურვილი უსაშველო.
– თქვი, რომ აღარა გწვავს მზე იგი უღვთოდ!

– აღარა მწვავს მზე იგი უღვთოდ! – თქვა ბაჩანამ და
განელდა თაკარა მზისა და იქცა მაცოცხლებელ სითბოდ.
– თქვი, რომ გრძნობ სიცოცხლეს და ღვთაებას.

– ვგრძნობ სიცოცხლეს... – თქვა ბაჩანამ და არ თქვა –
ღვთაება, რადგან კვლავ გალუცინაცია ეგონა ყველაფერი.
და მაშინ უთხრა ახალგაზრდამ:

– ინატრე!

– „რამ შამქმნა ადამიანად,

რატომ არ მოველ წვიმადა!“ – ინატრა ბაჩანამ ვაჟას ნატვრა.
და ბაჩანა უცებ მოვიდა წვიმად...

მოვიდა ბაჩანა წვიმად და აღმოცენდა გადამწვარ უდაბნოში
ბალახი ლორთქო, მწვანე და რძიანი...

მოვიდა ბაჩანა წვიმად და აღმოცენდა გადამწვარ უდაბნოში
ყვავილი ლამაზი, ფერადოვანი და სურნელოვანი...

მოვიდა ბაჩანა წვიმად და ამოსკდა გადამწვარ უდაბნოში
დედამიწის გულიდან წყარო, გრილი, ანკარა და მაცოცხლებელი...

მოვიდა ბაჩანა წვიმად და აიდგა ფეხი სიცოცხლემ
გადამწვარ უდაბნოში და იქცა ოაზისად უდაბნო იგი.

მოვიდა ბაჩანა წვიმად და აღმოცენდა თავად ოაზისად ქცეულ
გადამწვარ შუა უდაბნოში ფესვებით დედამიწას შემოსალტულ და

თავით ცას მიბჯენილ ვეებერთელა მკლავგაშლილ მუხად... და მოფრინდა
ქვეყნის ყოველი მხრიდან ფრინველი უამრავი, ათასნაირი და ყველა
მგალობელი დასხდა ბაჩანას ღონივრად გაშლილ ტოტებზე, დაიბუდა,
იბარტყა და აივსო ქვეყნიერება სიცოცხლის დიდი საგალობელით...
მაშინ დაეშვა მუხლებზე ბაჩანა, თაყვანი სცა ახალგაზრდას და უთხრა:

– გიხილე და გიწამე.
და რქუა მას იესომ:

– რამეთუ მიხილე და გრწამ; ნეტარ არიან, რომელთა არა
უხილავ და ვჰრწმუნე.
– იცოდი თუ არა, რომ იუდა გაგყიდდა?

– იცოდა სატანამ. ღვთაება არ აცდუნებს კაცს, ღვთაება სცდის

მას. სატანამ აცდუნა იუდა, როდესაც ოცდაათ ვერცხლად იყიდა
იგი, ხოლო მე გამოვცადე იგი, როდესაც ბაწარი მივეცი ხელში.
– დაწყევლილი არის თუ არა იუდა შენგან?

– არა!

– რატომ?

– იუდამ იხსნა თერთმეტი კაცის სული წაწყმედისაგან.

– მაშ, რატომ არ ახსნი იუდას საუკუნოდ დასმულ დაღს?

– იმიტომ, რომ იუდა იყო სატანის მიერი და არა ღვთის მიერი.

– მაშინ გამოდის, რომ სატანამ გძლია შენ.

– ასე იქნებოდა მაშინ, იუდას თავი რომ არ მოეკლა.

– გჯეროდა თუ არა, როდესაც გოლგოთაზე მიდიოდი, რომ ჯვარს გაცვამდნენ ადამიანები?

– არა!

– რისი იმედი გქონდა?!

– ხალხის!

– განა ხალხმა არ გაგცვალა შენ ავაზაკში?!

– ხალხმა!

– გამოდის, რომ აქაც სატანამ გძლია შენ!

– არა, რადგან ეს არ იყო ცდუნება, ეს იყო გამოცდა.

– და ხალხმა ვერ გაუძლო ამ გამოცდას?

– ვერა!

– რატომ?

– ხალხი სასწაულს ელოდა ჩემგან და იმიტომ გამცვალა ავაზაკში, ავაზაკისაგან კი არაფერს ელოდა ხალხი... ეს იყო მეორე, ნაადრევი გამოცდა ადამის ძისა ჩემ მიერ და შეცდომა ჩემი.

– პირველი როდისღა იყო?

– როდესაც ადამიანს სამოთხეში მივეცი ბინა და აგარაკი. არა

სხვისი ნებით, არამედ ოფლით თავისით, სისხლით თავისით და რწმენით თავისით უნდა მოვიდეს კაცი სამოთხეში.

– მაშ, როდისღა დაიჯერე, რომ ჯვარცმა შენი და აღსრულება გარდაუვალი იყო.

– როდესაც ჯვარცმულმა ჩემ წინაშე მდგომარენი ვიხილე, დედაი ჩემი და მოწაფე იგი, რომელი მიყვარდა და ვრქვი დედასა ჩემსა: – დედაკაცო, აჰა, ძე შენი! – და მერმე მოწაფესა მას ვრქვი: – აჰა, დედაი შენი! და იგი დარჩა დედაჩემთან, ვითარცა კაცი ჩემ მაგიერი,

ხოლო დედა ჩემი მასთან, ვითარცა სული წმინდა, სული ღვთაებრივი!.. 458 459

სცემა, თან ქაფურს უკეთებდა, თან იოდს უსვამდა თავზე, მერე უცებ წამოხტა და გინება დაიწყო.

– რაო?

– ეცოტავაო, მაშ, თავიდან რატომ აიღოვო... – მოუყვა ბულიკა.

– ის მე ვიყავიო, ბაწალაშვილი რომ რესტორან იმერეთის დირექტორად დავნიშნე და ნახევარი მილიონი ჩავიზაკაჟნიკეო?..

– რაო? – გაუკვირდა ბაჩანას.

– ჩაიზაკაჟნიკაო, აიღოვო რა. – აუხსნა ბულიკამ. ბაჩანას გაეცინა.

– რა გაცინებთ, ზუსტად ეგრე თქვა.

– მაგაზე არ ვიცინი, ბაწალაშვილის დანიშვნაზე მართლა დავეხმარე ჩემს თანამშრომელს, ნათესავიაო, ასე მითხრა.

– ჰოოო! – გააგრძელა ბულიკამ.

– გამოდის, ვიღაცას მართლა აუღია ქრთამი, ბატონო ბაჩანა? – ჰკითხა მამა იორამმა.

– გამოდის! – თავი დაუქნია ბაჩანამ.

– ერთი ასეთი დამპალი ამხანაგი მეცა მყავს, – თქვა ბულიკამ, –

ობოლი ძმიშვილი მომიწყო სავაჭრო ტექნიკუმში. მეუბნება: ათას ხუთასი მანეთი დირექტორს უნდა მივცეო, ათასი პარტკომსო, სამასი პროფკომსო და ორასიც მეო, ფეხის ქირაო. ავიღე და მივეცი, რა მექნა, ჩემი ძმიშვილის ამბავი ჩემზე კარგად ვინ იცის? ამას წინათ ვკითხე, ორმოცდათხუთმეტს რომ ერთი ხუთიანი გამოვაკლოთ, რამდენი დარჩებამეთქი, და ხუთიო, მიპასუხა.

– სწორედ უთქვამს! – გაეცინა ბაჩანას.

– ჰოდა, ეს სწორად უთქვამს, სამი ათასი მანეთი დამიჯდა, – ამოიოხრა ბულიკამ, – წაიღო და წავიდა.

– მოგატყუა? – ჰკითხა მამა იორამმა.

– არა, მოწყობით კი მომიწყო, მაგრამ ფული წაიღო.

– აბა, რას ერჩი? – დამშვიდდა მამა იორამი.

– როგორ რას ვერჩი, დეკემბერში იმ სავაჭრო ტექნიკუმის დირექტორი მიბარებს და მეკითხება: – მოქალაქე გოგილაშვილო, თქვენ, მოქალაქე ღვალაძეს სამი ათასი მანეთი თუ მიეცითო? როგორ

დავმალავდი, – მივეცი-მეთქი. ეგ რომ ვუთხარი, მაგიდაზე ხელი დაარტყა და რუსულად შეიგინა, – òû ñìîòðè, êÿêîé ìåðçÿâåö-ო! – თქვა.

– შენზე თქვა? – ჰკითხა შეწუხებულმა მოძღვარმა.

– ჩემზე რატომ? იმ ჩემს დამპალ მეგობარ ღვალაძეზე თქვა.

– გასვარა ხომ პატიოსანი კაცი?! – აღშფოთდა მღვდელი.

– გასვარა არა, იხვის ტოლმა, შენ სავაჭრო ტექნიკუმი ის ხომ არ

ბაჩანამ თვალები გაახილა. ბულიკა ფეხმორთხმული იჯდა საწოლზე. ზურგს უკან ბალიში ამოედო, კედელს მიყრდნობოდა და ყურს უგდებდა მამა იორამს, რომელიც გაზეთს ალილუიასავით გაბმით კითხულობდა. „მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გახდა შესაძლებელი, განეხორციელებინა პარტიასა და მთავრობას ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა: უფასო სწავლება, უფასო დასვენება, უფასო აქიმობა...“

– რაც მართალია, მართალია! – დასძინა წაკითხულს მამა იორამმა და ბულიკას გახედა.

– ვااა, ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! – გაუხარდა ბულიკას, გაღვიძებული ბაჩანა რომ დაინახა.

– თავს როგორ გრძნობთ, ბატონო ბაჩანა? – მოიკითხა მამა იორამმა და გაზეთი გვერდზე გადადო.

– ისე, როგორც ახალგაზრდა ადამი სამოთხეში ევას გაჩენამდე.

– ობლად ხომ არ გრძნობთ თავს?

– პირიქით, მთელი სამოთხე მარტო ჩემი მგონია! – გაუღიმა ბაჩანამ.

– თქვენ ვინა ყოფილხართ, ბატონო ბაჩანა, ეგეთი ნოკაუტი არც მინახავს, სამასი დავითვალე, თვალი არ გაუხელია, – უთხრა აღტაცებულმა ბულიკამ.

– ვის? – ჰკითხა ბაჩანამ.

– კაცი აღსარების გარეშე საიქიოს კინაღამ გაუყენეთ, ბატონო ბაჩანა და ახლა კითხულობთ, ვისო? – ჰკითხა გაკვირვებულმა მღვდელმა.

– მერე, თქვენ აქ არ იყავით, მამაო? – თქვა ბაჩანამ და გულზე რაღაცამ მოუჭირა. პანტაპონის მოქმედებისაგან ბურუსში წასულს, არც კი ახსოვდა დარახველიძესთან მომხდარი ინციდენტი, ახლა კი, როდესაც გაახსენეს, სხეულში უსიამო ჟრუანტელმა დაუარა.

– გულახდილად რომ გითხრათ, არც კი მახსოვს კარგად, რა მოხდა, – თქვა მან და შუბლზე მომდგარი ოფლი მოიწმინდა.

– ნუ გეშინიათ, ბატონო ბაჩანა, არც ჩვენ არაფერი არ გვახსოვს, მე მეძინა, მამა იორამი კი ლოცულობდა, ასე არ იყო, მამაო? – ჰკითხა ბულიკამ მოძღვარს.

– სწორედ ასე იყო! – დაუმოწმა მამა იორამმა.

– ასე რომ, მოწმეებად არ გამოვდგებით, – დასძინა ბულიკამ.

– მაინც რა მოხდა? – გულწრფელად იკითხა ბაჩანამ.

– ესე იგი, ღამის ქოთანი რომ თავზე დაიფშვნა და ის კაცი დაცურდა, ჟენია შემოვარდა. ვიდრე აზრზე მოიყვანდა, ცოტა იმანაც

– ნიშნის მოგებით გახედა მოძღვარს, – მერეც მეორე, როდესაც ფეხსაცმლის პირი შარვალზე აუსვა-ჩამოუსვა, ლანჩა დავინახე, წინ იყო გაცვეთილი, ქუსლი კი სულ ახალი ჰქონდა. ესე იგი, ტუფლი საგარეოა, და უფროსებთან იცვამს მხოლოდ, ისიც მიღებაზე, წინ კი იმიტომ არის გაცვეთილი, რომ ცდილობს, ფეხის წვერებზე იაროს...

ეგ სიდამპლის პირველი ნიშანი, ახლა მეორე. როდესაც დაჯდა, ფეხსაცმელებიდან ქუსლები ამოაცურა, ესე იგი ტუფლი უჭერს. ახლა, ის ვთქვათ, რად უნდა, რომ ტუფლი უჭერდეს? იმიტომ, რომ შეწუხებული სიფათი ჰქონდეს, აქაოდა ვიტანჯებიო, ეგეც სიდამპლის მეორე ნიშანი.

მესამე და მთავარი – ფეხსაცმლის ქუსლი ჩვეულებრივ ქუსლზე სამიოთხი სანტიმეტრით მაღალი ჰქონდა, ესე იგი, რაც არი, იმაზე მაღალი

უნდა გამოჩნდეს, რატომ? თავის ტოლ კაცებში ყოფნა არ ევასება, უფრო მაღლა უნდა იდგეს. ესეც სიდამპლის კიდევ ერთი დასტური. მეტი რა? ჰო, რაც მთავარია, ოღონდ ეს უკვე ფეხსაცმელს აღარ ეხება, კაცი რომ ღამის ქოთანს თავზე დაგამხობს და იმ კაცს ყელს არ გამოჭამ, დამპალი ხარ, მა რა ჩემი ფეხები ხარ?.. – დაამთავრა ბულიკამ დარახველიძის დახასიათება.

– მაშ, შენი აზრით, კარგი კაცი ვინ არის? – ჰკითხა ბულიკას მსჯელობაში დაეჭვებულმა მამა იორამმა.
– ყველაზე წესიერ კაცს ფეხსაცმელი ორთავე ფეხზე, გარეთ, ესე

იგი მარჯვნივ და მარცხნივ აქვს გაცვეთილი ოდნავ, თან ერთი ნომრით დიდი აცვია, რატომ? იმიტომ რომ თავისუფლად იაროს, მაზოლი არ გაუჩნდეს და არხეინად იყოს. კიდევ ერთი, თუ კაცს ფეხსაცმლის ქუსლი ჩაკეცილი ან ჩაჭყლეტილი აქვს ან ძალიან ღარიბია და სხვისი გამონაცვალი აცვია, ან ძალიან დამპალია და ჩლარტიანი.
– ბავშვებზე რას იტყვი? – ჰკითხა ბაჩანამ.

– ბავშვები ძალიან ბევრს მოძრაობენ, ძვალი გამაგრებული არ აქვთ, კოჭი მისით მიუდ-მოუდით, ამიტომ ძნელი შესატყობია...

– შენ თვითონ როგორ ცვითავ ფეხსაცმელს? – ჰკითხა მოულოდნელად მამა იორამმა. ბულიკა ასეთ შეკითხვას არ ელოდა და დაბნეულად იკითხა:
– მეე?

– ჰო, შენ! – ბულიკა გადაიხარა, საწოლის ქვემოდან საკმაოდ ქუსლჩაჭყლეტილი ფეხსაცმელი გამოაძრო და გაკვირვებულმა შეატრიალა ხელში.
– მეც კარგი ოხერი ვყოფილვარ! – თქვა ბოლოს უკმაყოფილომ

და ფეხსაცმელი საწოლის ქვეშ მოისროლა
გამეტებით. სამთავეს სიცილი აუტყდა.

გგონია, ვაკეში ქართულ პურს რომ აცხობენ, იქ რომ ტექნიკუმია, აი ის სტუდენტები, დღე და ღამე ტრუბაში რომ იყურებიანო...
– ტოპოგრაფიული! – შეეშველა ბაჩანა.

– ჰო, ტოპოგრაფიული ტექნიკუმი ხომ არ გგონიაო, – გააგრძელა ბულიკამ, – ეხლა დეკემბერია, იანვარში სამი ათასი მანეთი მომიტანე, თორემ იმ შენ კრეტინ ძმისშვილს, უნომრო ფულივით, უკან დაგიბრუნებო.
– ამას ვინ გეუბნება? – გაოცდა მოძღვარი.

– ვინ და სავაჭრო ტექნიკუმის დირექტორი! – ნიშნის მოგებით უპასუხა ბულიკამ.
– მერე?

– მერე, მე და ჩემმა სვეტამ ვითათბირეთ, ვითათბირეთ და ბოლოს სვეტამ მითხრა, ბარემ ერთი მაგდენიც დავუმატოთ და იქნებ ვაჭრობის

მინისტრად მოვაწყოთო...

– დირექტორიც ყაჩაღი გამოდგა? – ჰკითხა ბაჩანამ და ლოგინში აწრიალდა.

– ყაჩაღი გამოდგა, ბატონო ბაჩანა... თუ ღამის ქოთანი გნებავთ, სანამ ახალს მოგიტანენ, ჩემი იხმარეთ, – შესთავაზა ბულიკამ, აწრიალებული ბაჩანა რომ დაინახა.

– გმადლობთ! – უპასუხა ბაჩანამ, – ისე შევიშმუშნე, დამეთვალა მაინც ის ფული, იქნებ ამეღო, ჰა? – ჰკითხა ბულიკას.

– აბა, რა ვიცი, ისე ფული მურტალი რამეა... – თქვა ფიქრში წასულმა ბულიკამ.

– ოცდაათმა ვერცხლმა დაალპო კაცობრიობა! – წამოიძახა მამა იორამმა, – ოცდაათმა ვერცხლმა!

– მე, ბატონო ბაჩანა, სიფათზე რომ ადამიანებს სცნობენ, იმას რა ჰქვია? – ჰკითხა უცებ ბულიკამ.

– ფიზიონომისტები!

– ჰო, ფიზიონომისტი ვარ, ოღონდ ქვემოდან. ფეხსაცმელზე ვატყობ კაცს, რა ჩამოსხმაც არის... აი, ის ნაბიჭვარი რომ მოვიდა თქვენთან, ფეხსაცმელზე შევხედე თუ არა, იმ წუთში მივხვდი, რომ ნაბიჭვარი იყო.

– როგორ? – ჰკითხა ბაჩანამ.

– ჯერ ერთი, ლაკის ფეხსაცმელი ეცვა...

– მაგის გამო, მე ეგ კაცი პროფესორი მეგონა, – შეაწყვეტინა მამა იორამმა.

– ... რომ შემოვიდა, – განაგრძო ბულიკამ, – ფეხსაცმლის პირი შარვალზე შეიწმინდა, ერთი და მეორეც, პროფესორი ამას არ იზამს, 462 463

– მიზანი ვერ გავიგე ჩემი გაცოცხლებისა, მამაო, ნუთუ მხოლოდ იმისათვის, რომ ხვალ ყველაფერი თავიდან განმეორდეს? ნუთუ იმისათვის, რომ ხვალ ისევ უნდა მოვკვდე, ეს ხომ გარდუვალია? – თქვა ბაჩანამ.

– დრო! – იყვირა მოძღვარმა.

– რა დრო? – გაუკვირდა ბაჩანას.

– დრო, ჟამი რომ გაგიგრძელა არსებობისა?

– განა სულ ერთი არ არის ჩემთვის, როდის მოვკვდები, რაკი უნდა მოვკვდე?

– ეგ შენთვის, სხვისთვის არ არის სულ ერთი, – თქვა მოძღვარმა.

– ვისთვის?

– იმისთვის, ვისი სიცოცხლეც შენზეა დამოკიდებული: აი, სწორედ ის დრო დაგიბრუნა მაცხოვარმა.

– ამ შემთხვევაში, დროს არაფერი მნიშვნელობა არ აქვს, რამდენი

უასაკო კაცი გარდაცვლილა, მაგრამ სიცოცხლე
გაგრძელებულა ქვეყანაზე.

– როგორ თუ დროს არ აქვს მნიშვნელობა! – გადაირია მამა იორამი, – მაშ, სულმნათი რუსთაველი რომ აკვანში მომკვდარიყო?

– სხვა მოვიდოდა!

– როდის?

– ოდესმე!

– ოდესმე, ოდესმე და მაგას განა დრო არ სჭირდება? რა იქნებოდა დრო რუსთაველიდან დღემდე, იგი რომ არ ყოფილიყო?..

– ხომ იყო დრო, როდესაც რუსთაველი არ იყო? – თქვა ბაჩანამ.

– ეს იყო დრო, როდესაც ღმერთი არ იყო ჩვენთან! – მამა
იორამს პირი გაუშრა და ქილიდან რძე მოსვა.

– დრო არის ღმერთი, დრო! თქვენ, კომუნისტებს, ღმერთი რომ არ
გწამთ, ამიტომ არ იცით დროის ფასი და ფლანგავთ, როგორც

გინდათ. იწამეთ დრო! თაყვანი ეცით დროს, რადგან დრო არის
ღმერთი! და თუ გინდათ შექმნათ რამე ახალი რწმენა და რელიგია,
დაიწყეთ დროიდან. სხვანაირად არაფერი არ გამოგივათ...

– აკი სიტყვაა ღმერთიო, ბატონო იორამ! – გაუსწორა მღვდელს
ბაჩანამ.

– სიტყვა, საქმე და დრო, ანუ უჟამო ჟამი, ეს არის
განუყოფელი სამება! – თქვა მამა იორამმა სასოებით.

– თუ მართლა ეგ არის ღმერთი, მაგას ჩვენც ვაღიარებთ,
კომუნისტები, მამაო, დროსაც ვაფასებთ, საქმესაც და სიტყვასაც
არანაკლებ, სხვათა შორის, ვიდრე ეკლესია, – თქვა ცოტა არ იყოს

– ბატონო იორამ, ქრისტე თუ გინახავთ სიზმარში? – ჰკითხა

უცებ ბაჩანამ ჩაბჟირებულ მღვდელს, მღვდელმა გაკვირვებისაგან პირი
დააღო. დიდხანს უყურა ბაჩანას და ბოლოს ენის ბორძიკით თქვა:

– ბატონო ბაჩანა, ღმერთის დასიზმრება არ არსებობს, ღმერთის ხილვა
იგივე გამოცხადებაა. მე ჯერ ასეთი ბედნიერება არ მღირსებია.

– არც ხმა გსმენიათ მისი?

– ეგ ხომ იგივე გამოცხადებაა?

– მაშ, რაღას ემსახურებით?

– სწორედ იმას, რომ მივუახლოვდე, ხმა მესმას მისი და
ნათელი ვიხილო მისი...

– მაშინ მე და თქვენ პროფესიების გაცვლა მოგვიწევს, მამაო,
– უთხრა ბაჩანამ.

– რაშია საქმე? – დადარაჯებული ხმით ჰკითხა იორამმა,

– ერთი საათის წინ გამომეცხადა!

– ვინ?

– მაცხოვარი ჩვენი, იესო ქრისტე... – იორამს ენა გაუშრა პირში.

– ქრისტეს ერთ-ერთი მცნებაა: – არ იცრუო! – გააფრთხილა მან ხმის კანკალით ბაჩანა.

– ეგ კაცი გეუბნება, ვნახეო, შენ გინდ დაიჯერე, გინდ არა! –

ჩაერია საუბარში ბულიკა და მამა იორამს ხელით ანიშნა, ნუ უშლი, ილაპარაკოსო.

– მერე რაო? – ჰკითხა სულწასულმა ბულიკამ, ბაჩანამ რომ პასუხი დააგვიანა.

– მკვდრეთით აღმადგინა, უდაბნოში წვიმად მომიყვანა, უდაბნო ოაზისად აქცია, მე მძლავრ მუხად ამ ოაზისში და სიცოცხლის საგალობელი მამღერა...

– ღმერთი ჩემი, უფალი ჩემი! – აღმოხდა მამა იორამს.

– ურწმუნო თომას ეს სიტყვები მეც აღმომხდა, მამაო, ყველაფერი რომ ჩემი თვალით ვიხილე. – გაეღიმა ბაჩანას.

– და არ იწამე?! – სასთუმალზე წამოიწია მოძღვარი.

– სიზმარში კი ჩავუვარდი მუხლებში, მაგრამ თვალი რომ გავახილე და ისევ თქვენ და ბულიკა დაგინახეთ, რაღაც ეჭვმა შემიპყრო.

– ნუთუ ვერ გრძნობ ამაღლებას? – გაფითრდა იორამი.

– ბატონო იორამ, თქვენი რელიგია ძალიან მისტიკურია, მიწას მოწყვეტილი, რეალობა აკლია, ხელშესახები არ არის, აი, ცოტა რამ მაინც რომ დამრჩენოდა ხელშესახები იმ სიზმრიდან...

– ცოდვილო, მკვდარი დაგაბრუნა, ამაზე რეალური რაღა გინდა?

– განცვიფრდა მღვდელი.

464 465

ხომ არ მოგსვლია? – ჰკითხა ბულიკამ და ბაჩანას თვალი ჩაუკრა. მღვდელმა ისევ მოსვა რძე ქილიდან და ბულიკას ისეთი თვალით გახედა, ბაჩანას გულწრფელად შეეცოდა მეჯღანე.

– ვაი, შე უბედურო, შენი რელიგია კუჭიდან იწყება და საპირფარეშოში მთავრდება. რა გეშველება, რომ ასეთ ურწმუნოს ჯოჯოხეთშიც არ მიგიღებენ.

– შენი დახასიათებით თუ წავედი, რა თქმა უნდა, არ მიმიღებენ,

ისე, ორთავე შენთვის დამითმია, სამოთხეც და ჯოჯოხეთიც. მე ჯერ კომუნიზმი უნდა ვნახო, რა არის... – გაეცინა ბულიკას, – ბატონო ბაჩანა, კომუნისტების სამოთხე ეგ არის, უპარტიო კი ვარ, მაგრამ თქვენი პროტექციით ხომ მიმიღებენ?

– მობრძანდი, ბულიკ! – მიიპატიჟა ბაჩანამ მეჯღანე კომუნიზმში,

– შენ კი არა, ჩვენ ისეთი კეთილი ხალხი ვართ, მამა იორამსაც მივიღებთ.

– მაგ სამოთხის იმიტაციაში თქვენ მიბრძანდით, მე ჩემი სულის აღსრულებას დაველოდები, – არ მიიღო მიპატიჟება მამა იორამმა, – თქვენი ზენიტი ძალიან მიწიერია. ნეტავ ამ კომუნიზმს რომ მიაღწევთ,

იმას იქით რაღა გექნებათ.

– რომ მივალთ, გამოჩნდება, მამაო! – უპასუხა ბაჩანამ.

– რომ არ გამოჩნდეს? – ჰკითხა ნიშნის მოგებით იორამმა.

– იორამ ბატონო, რამდენი წლისაა თქვენი რელიგია? – კითხვაზე კითხვით უპასუხა ბაჩანამ.

– ორი ათასის! – ამაყად უპასუხა მღვდელმა. ბაჩანას გულწრფელად გაეცინა.

– ჩემი რელიგია, ბატონო იორამ, ჯერ ასი წლისაც არ არის, და იმდენი მორწმუნე ჰყავს, რომ თქვენ რელიგიას არც კი დასიზმრებია. დალოცვილო, ორი ათასი წლისა ხარ და ასი წლის ჭაბუკს რომ მეჯიბრები, არ გრცხვენია? ცოტა უკან მოიხედე, ჩვენც რომ ორი ათასი წლისანი გავხდებით, მერე გადმოგვხედეთ იმ თქვენი ზენიტიდან და ვნახოთ, ვინ უფრო მაღალი აღმოჩნდება, – თქვა ბაჩანამ.

– ხალხთან, რომელთაც ქვეყანაზე არაფერი არ სწამთ, ძნელია კამათი, – თქვა მამა იორამმა და კედლისაკენ გადაბრუნდა.

– რას აძლევს, მამაო, თქვენი რელიგია ხალხს?! – არ მოეშვა ბაჩანა.

– სულიერ საზრდოს! – თქვა ზურგშექცევით მოძღვარმა. – თქვენი?

– შეუბრუნა უცებ კითხვა.

– ჩვენი ორთავეს, ოღონდ ჯერ მატერიალურს, მერე სულიერს, ზენიტისაკენ მიმავალ კაცს საგზლად პური, ყველი, კარაქი, კარტოფილი, გაკვირვებულმა ბაჩანამ.

– ტყუილია ეგ, იმდენი მედღე-მეხვალიე, თქვენ რომ გყავთ, ჯერ ადამის მოდგმას არ მოსწრებია! – გაეცინა მოძღვარს.

– მედღე-მეხვალიე თქვენ რომ გყავთ, მამაო, იმდენი ვის მოსწრებია, თვითონ მაცხოვარიც კი ცხონებას მხოლოდ სიკვდილის შემდეგ ჰპირდება ხალხს, – უთხრა ნიშნის მოგებით ბაჩანამ.

– ცხონება სულის განძია აუწონელი და მის მოპოვებას მთელი სიცოცხლე უნდა, – განუმარტა მღვდელმა.

– კაცის მოპოვებულს, ღვთის წყალობას ეძახით, მამაო, კაცის წვალება უყვარს თქვენს რელიგიას, ზომაზე მეტ მსხვერპლს თხოვთ ადამიანებს...

– სულის წაწყმედაა თქვენი სიტყვები, ბატონო ბაჩანა! – ეწყინა მოძღვარს, – ჩვენი რელიგიის ძირითადი კანონია, გასცე და არა მიიღო, ემსახურო და არა იბატონო.

– ეგ ყველაფერი ლამაზი სიტყვებია, მამაო; სიბნელე, რელიგიური ფანატიზმი, დოგმატიზმი, ჯვაროსნული ომები, ინკვიზიცია... და ყველაფერი ეს მაცხოვრის სახელით... – თითებზე ჩამოთვალა ბაჩანამ ეკლესიის ცოდვები.

– მე არ ვამტკიცებ იმას, თითქოს ჩვენმა რელიგიამ სრულყოფას

მიაღწია... – შეყოყმანდა მღვდელი.

– ყოჩაღ, მამაო, პირველად მესმის მღვდლისაგან ასეთი სიტყვები, რა ჰქვია ამას, როგორ ითვლება თქვენთან ასეთი აზრი, მემარცხენეობად თუ მემარჯვენეობად?! – გულიანად გაეცინა ბაჩანას.

– ქრისტიანულ რელიგიაში მემარცხენეობა და მემარჯვენეობა არ არსებობს, არც ცენტრი, არსებობს მხოლოდ ზენიტი, – თქვა მამა იორამმა და ჭერში აღაპყრო თვალები.

– მერედა არის ეგ ზენიტი? – ჰკითხა ბაჩანამ და მანაც აიხედა ჭერში.

– სინათლეში და როდესაც ადამიანი ფეხს შედგამს სინათლეში, სძლევს ყოველგვარ შეზღუდულობას და იქცევა თავისუფლად, ეს

ყველაფერი სულის სრულყოფას მიჰყვება, ამიტომ ადამიანის გარდაცვალება, ღმერთთან მიახლოებაა... – თქვა მოძღვარმა და გულზე ხელები დაიკრიფა.

– ძალიან კი ეხვეწებოდი ექიმებს, გალურჯებული რომ მოგიყვანეს, მიშველეთო? – ჩაერია ლაპარაკში ბულიკა.

– სიკვდილის შიში ღმერთთან მიახლოების შიშია! – თქვა მღვდელმა ისე, რომ ბულიკასკენ არც კი გაუხედავს.

– ეგ რაღაც ვერ გამოგივიდა, მამაო, ინფარქტიც მაგის შიშით 30. ნ. დუმბაძე, ტ. II

466 467

შორის გაიმართა.

– ეტყობა, რაღაც ოჯახური უსიამოვნება აქვთ და ბავშვები არ უნდათ დაისწრონ, – გაეცინა ბულიკას.

უცებ დამფრთხალი მამალი ვირთხა გვერდზე გახტა, მერე ადგილს მოსწყდა და თავბრუდამხვევი სისწრაფით რამდენიმე წრე დაარტყა პალატაში. მერე კვლავ ცენტრში მოირბინა, დედალი ვირთხის წინ გაჩერდა და დაჟინებით მიაჩერდა. მძიმედ სუნთქავდა. ახლა დედალი ვირთხა მოსწყდა ადგილს და რამდენიმე წრე მანაც დაარტყა პალატაში. და უცებ მამალი ვირთხის წინ გაქვავდა მონუსხულივით. ასე იდგნენ ვირთხები ერთმანეთის პირისპირ დიდხანს.

ბაჩანას შემზარავმა წინათგრძნობამ გაუელვა თავში და გული აუფართხალდა. ბულიკას საწოლის ქვეშიდან კვლავ გამოძვრა ორი წრუწუნა და მშობლებს მიუახლოვდა. მშობლები ადგილიდან არ დაძრულან. იდგნენ ასე ერთმანეთის პირისპირ და მოსისხლე მტრებივით უმზერდნენ ერთმანეთს. მაშინ წრუწუნები მივიდნენ და პატარა დინგებით შეეხნენ ჯერ ერთს, შემდეგ მეორეს. და როდესაც მშობლებმა ყურადღება არ მიაქციეს, წინ დაუსკუპდნენ და ახლა თათებით დაუწყეს გამალებული ფხაკუნი ტანზე. უცებ ორთავე ვირთხა მოსწყდა ადგილს და იგივე სიშმაგით დაიწყეს სირბილი პალატაში, ოღოდ ახლა არეულად, ხან

განჯინებს მიასკდებოდნენ, ხან კარს, ხანაც საწოლის ფეხს. რამდენიმეჯერ ერთმანეთსაც შეასკდნენ და გადაყირავდნენ, მაგრამ კვლავ წამოხტნენ და სირბილი განაგრძეს.

– ხომ არ გაცოფდნენ, რაღაც უბედურებაა მაგათ თავზე, – თქვა მამა იორამმა და პირჯვარი გამოისახა. – ბულიკ, თუ ღმერთი გწამს,

დაუძახე ჟენიას, – სთხოვა მოძღვარმა, მაგრამ ბულიკა გაფითრებული იჯდა საწოლზე და თვალს არ აშორებდა გადარეულ ვირთხებს.

– თაგვის შაქარი აქვთ ნაჭამი... წყალს ეძებენ, მაგრამ ახლა

წყალი უფრო მოუსწრაფებთ სიცოცხლეს, – თქვა ბაჩანამ.

– რძე? – იკითხა შეშფოთებული ხმით იორამმა.

– დაუდგი, მამაო! – უთხრა ბაჩანამ და როდესაც მამა იორამმა აკანკალებული ხელით რძე დაასხა ფინჯანზე და იატაკზე დადგა, უკვე გვიანი იყო. ვირთხები ვერაფერს ხედავდნენ.

– გასაკვირია პირდაპირ, პატარები უფრო ყოჩაღად არიან, – თქვა

ბაჩანამ და თითქოს მის გასამტყუნებლად ერთი წრუწუნა მოცელილივით გაგორდა გვერდზე და უკანა ფეხები ააფართხალა, მას მეორეც მიჰყვა.

– ამის ყურება მე არ შემიძლია! – თქვა ბულიკამ, ნიტროგლიცერინი ამოიდო ენის ქვეშ და თვალებზე ხელი აიფარა.

– ღმერთო, შეგვინდე! – აღმოხდა მღვდელს... და თითქოს იგრძნეს პამიდორი და ხორცი სჭირდება, მამაო!

– მერედა სად არის ხორცი? – გადმოტრიალდა უცებ მღვდელი.

– ეგ ხომ კამათი არ არის, მამაო, ხორცი დღეს არ არის, ხვალ იქნება.

– ჩვენი რელიგია ჭამას და ხორცის წარმოებას არ უკრძალავს ხალხს და მე ცოტა უხერხულადაც მიმაჩნია, რომ ნიკოლოზის დროს ხალხს მეტი ხორცი ჰქონდა, ვიდრე დღეს, – თქვა მღვდელმა.

– ნიკოლოზის დროს მსოფლიოში ნახევარი მილიარდი იყო, მამაო, ახლა კი ოთხი მილიარდია, – უთხრა ბაჩანამ.

– აფსუს, რა ტყუილა უბრალოდ დავანებეთ ადამიანებმა ერთმანეთის ჭამას თავი?! ახლა ხორციც ბლომად გვექნებოდა და ხალხიც ნაკლები იქნებოდა! – თქვა ბულიკამ.

– აი, ასეთ ცინიკოსებად აქცია ხალხი თქვენმა რელიგიამ! – თქვა

მამა იორამმა და ბულიკასაკენ გაიშვირა ხელი. ბულიკას რაღაცის თქმა უნდოდა საპასუხოდ, პირიც კი გააღო სათქმელად, მაგრამ სასწრაფოდ დახურა, მისი საწოლის ქვეშიდან ვირთხა გამობრძანდა თავისი ჯალაბით და შუა პალატაში დაცუცქდა.

* * *

– ესეც შენი თაგვის შაქარი! – თქვა ბულიკამ.

ბაჩანამ პირველად დაინახა ვირთხა და ზიზღის ნაცვლად, რატომღაც უცნაურმა ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო. ვირთხამ ყველა ავადმყოფის

კარადებს ჩამოუარა, თითქოს საჭმელს ეძებსო და როდესაც ვერაფერს მიაგნო, სათითაოდ ახედა ავადმყოფებს, მაგრამ როდესაც ბულიკამ შაქარი გადაუგდო, ზედაც არ შეხედა.

– რაღაც ამბავია, ან შიმშილობა აქვს გამოცხადებული, ან ნასაუზმევია, – თქვა მამა იორამმა.

– ჟენიას დავუძახოთ, ის კრეტინი სანეპიდსადგურის უფროსი მოიყვანოს, თავისი თვალით ნახოს, რა გოჭიც დაგვიდის პალატაში, – თქვა ბულიკამ.

ვირთხამ ისევ ჩამოიარა ყველა კარადა, მერე ჯალაბთან მივიდა, თათებზე დასკუპდა და წინა თათების სასაცილო მოძრაობითა და ულვაშების ცმაცუნით, რაღაც უთხრა დედა-ვირთხას. დედა-ვირთხა და ორი წრუწუნა ერთხანს ყურადღებით უსმენდნენ ოჯახის უფროსს, შემდეგ დედამ წრუწუნები ისევ ბულიკას საწოლის ქვეშ შეიყვანა, როგორც ჩანს, ხვრელში გაისტუმრა და თავად რამდენიმე წამში მეუღლესთან დაბრუნდა, ახლა გაცხარებული საუბარი ცოლ-ქმარს

468 469

– თამარა, შენი გამჩენის ჭირიმე, ათი ბოთლი კიდევ!..

– თამარა, ვინ დაგხატა, შე შეჩვენებულო, ასე ღვთიშობელივით!..

– რად მინდა, ქალო, ხურდა, მარტო შენი ყურება ღირს მილიონი!..

– თამარა, რატომ მანგრევინებ ოჯახს, გამიცინე ერთი და გამომისვი მერე ლასაიეს დანა ყელში!..

– ლასაია, არ დაგასახლა, ბიჭო, ამ გოგომ, თორემ ვინ იყო შენს აქოთებულ სასადილოში შემომსვლელი!..

– რა გენაღვლება, ლასაია, ყიდე აწი ძაღლის ხორცი, ამის ხათრით ქვას შევჭამ, ქვას!

– ერთი მაკოცე, თამარა და მისროლე მერე სასუფეველში!..

– ნახე, ბიჭო, კისერში არ ეწყება თეძოები?!.

– ვინ გაგაჩერა, ქალო, ოც წელიწადს გაუთხოვარი, იმის სულელი ოჯახი დაინგრა!..

– ახლავე, ბიჭო!..

– რა ვიცი, ბიჭო!..

– ბევრია მაგი, არ მჭირდება მე შენი ფული!..

– შენი ცოლი ჩემზე ლამაზია, ბიჭო!..

– მერე გაკოცებ, რომ გამოფხიზლდები, ბიჭო!..

– სხვა მიყვარს, ბიჭო, სხვა!..

– გამიშვი, ბიჭო, ხელი, ლასა, მომაცილე აგი მთვრალი კაცი!..

– დედაჩემს ვგავარ, სხვას ვის უნდა ვგავდე, ბიჭო?!.

– ლასა, დაკეტე აწი სასადილო!..

* * *

ბაჩანა სასადილოში შევიდა და კუთხის მაგიდასთან დაჯდა. გარეთ მიწას ბუღი ასდიოდა. სასადილოში იატაკი ახალმორეცხილი იყო და

ამიტომ გრილოდა. ლასაია სამზარეულოში იყო გასული, ოხშივარავარდნილ ქვაბთან ტრიალებდა. თამარა დახლთან იდგა, ბაჩანასაკენ ზურგშექცევით და დახლს სველი ტილოთი წმენდდა.

სასადილო ჯერ ცარიელი იყო, მაგრამ ერთ-ორ საათში პირამდე აივსებოდა. ბაჩანამ იცოდა ეს და ამიტომ ადრე შევიდა სასადილოში. ყურადღება რომ არავინ მიაქცია, ჩაახველა. თამარა უცებ შემოტრიალდა. ბაჩანას გული ბუდიდან ამოუვარდა. ახლა ნამდვილად დაახველა და თავი ჩაღუნა. თამარამ თეფში და დანა-ჩანგალი აიღო დახლიდან და ბაჩანასაკენ წავიდა. თავჩაღუნული ბაჩანა მხოლოდ თამარას უსაშველოდ გრძელ და ლამაზ თითებს ხედავდა, ცხელი წყლისაგან ოდნავ შეშუპებულს და შეწითლებულს. იგი ფრთხილად აწყობდა მოტანილ უბედურებაო, ორთავე ვირთხა უცებ გონს მოეგო, ბარბაცით მივიდნენ შუა პალატაში და წრუწუნების წინ დადგნენ მუხლმოკვეთილები.

– ჟენია! – იბღავლა ბაჩანამ და საწოლზე წამოჯდა უნებურად. ვირთხებმა თავები ასწიეს ბაჩანას ბღავილზე და ბაჩანამ მათ ქინძისთავივით პატარა შეშინებულ თვალებში იმხელა ტკივილი, განცვიფრება და სასოწარკვეთა ამოიკითხა, გული გაუჩერდა.
– ჟენია! – იყვირა მან ისევ და ზურგით გადავარდა ბალიშზე.

– ბატონო ბაჩანა, ბატონო ბაჩანა! – მამა იორამს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ენა დაება, – ბულიკ, მიხედე იმ კაცს! – იყვირა უცებ, მაგრამ ბულიკა ბალიშში იყო თავით ჩამხობილი და არაფერი ესმოდა.

– ჰეი, ვინ არის მანდ! გვიშველეთ! – იკივლა მამა იორამმა და წამოდგომა დააპირა, მაგრამ გულში ისეთი ტკივილი იგრძნო, თითქოს შუბი გაუყარესო და საშინელი კვნესა აღმოხდა...

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. შუა პალატაში, იატაკზე უსულო ვირთხები ეყარნენ. თითოეული ავადმყოფის სასთუმალთან კი ფეხმორთხმული სიკვდილი იჯდა და შემზარავი თვალებით იმზირებოდა მათ სულში.

არც ერთს არ გაუგონია, როგორ გაიღო პალატის კარი, როგორ შემოვარდნენ შიგ დამფრთხალი ექთანი ჟენია და პალატის ექიმი. მხოლოდ ბულიკამ გაიგონა ჯერ ჟენიას უკმაყოფილო ხმა:

– მოისვენეთ?! – და შემდეგ პალატის ექიმის უზომოდ შეშინებული განკარგულება:
– სასწრაფოდ, სამთავეს პანტაპონი!
8

ოზურგეთის რკინიგზის სადგურში იპოვა ლასაია ბასილიამ თამარა. გოგოს პირდაპირ სკამზე ეძინა და თავქვეშ პატარა აბგა ჰქონდა ამოდებული. ლასა რომ გვერდით მიუჯდა, გოგომ გაიღვიძა. უზარმაზარი მშიერი ცისფერი თვალები ჰქონდა, მიტკალივით თეთრი სახე, აბურცული ლამაზი წითელი ტუჩები და ჩალასავით ყვითელი თმა ეყარა მკვრივ და

ჯიშიან მკერდზე. რომ წამოდგა, ლასაიამ თვალი ააყოლა მის ლერწამივით აზიდულ ტანს და საქციელი წაუხდა.

იმ დღიდან ლასაია ბასილიას სასადილოში ახალი მიმტანი გაჩნდა. მთელი სოფლის კაცები დღე და ღამე სასადილოში ეყარნენ, გამობრიყვებამდე სვამდნენ ლასაიას მჟავე იზაბელას და ვიდრე ცოლები და მშობლები არ წაათრევდნენ სასადილოდან, ვერაფერი ძალა ვერ ააგლეჯდა სკამიდან გონებადაკარგულ მოქეიფეებს.
470 471

– კარგად იყავი! – უთხრა ბაჩანამ და ჭიქა გამოსცალა,
– მიანგარიშე! – უთხრა, ჭიქა რომ დადგა.

– ფიზიკას რომ ჩააბარებ, მერე მოდი და გიანგარიშებ.

– თამარა! – დაუძახა სამზარეულოდან ლასამ.

– მოვდივარ! – გასძახა თამარამ და წამოდგა, – ახლავე მოვალ!

– დაუბარა ბაჩანას და როდესაც მობრუნდა, სახტად დარჩა. ბაჩანა სასადილოში აღარ იყო. მაგიდაზე ყველაფერი ხელუხლებელი იდგა.
* * *

– გამარჯობა! – უთხრა თამარამ და ბაჩანას მაგიდას მიუჯდა.

– გაგიმარჯოს! – უპასუხა ბაჩანამ.

– ჩააბარე?

– კი, ჩავაბარე!

– რა მიიღე?

– სამი, – ბაჩანამ ცალყბად გაიღიმა, – ისიც ბაბუაჩემ ლომკაცას ხათრით,
– მერე ჯიბიდან ხუთი მანეთი ამოიღო და მაგიდაზე დადო,
– ეს გუშინდელი სადილისაა, – თამარას ფულისკენ არც გაუხედავს.

– კიდევ რამდენი გამოცდა დაგრჩა?

– თამარა, მაგ ღლაპს რომ გადაყევი, მოგვხედე აქეთ! – დაუძახა

დუტუია ცენტერაძემ. იგი ოთხი ამხანაგის თანხლებით იჯდა მაგიდასთან და შუა ქეიფში იყო შესული. თამარამ ყურადღება არ მიაქცია დუტუია ცენტერაძის ძახილს და ისევ ბაჩანას მიუბრუნდა.

– კიდევ რამდენი გამოცდა გაქვს?

– ერთი.

– როდის?

– ზეგ.

– ზეგაც მოდი.

– ხვალაც მოვალ.

– მოდი, ახლა რა მოგიტანო?

– თამარა, დედის ძუძუს ანებებს კაცი თავს და ეს ბიჭი რა გახდა ასეთი, რომ ვერ მოწყდი? – დაუძახა ისევ დუტუმ. თამარა ადგა და დუტუს მაგიდასთან მივიდა.

– კიდევ რა გინდათ, ბატონო?!

– რა უნდა მინდოდეს, ქალო? შენს საყურებლად ვარ მოსული და

იტრიალე აქ, ახლოს, შენს მშობელს ვენაცვალე მე.

– არ მცალია მე, თქვენს ახლოს სატრიალებლად, თუ რამე გინდა, დამავალე.

ჭურჭელს სუფრაზე და ცოტა არ იყოს, გაკვირვებული თვალებით უცქერდა თავჩაღუნულ ბაჩანას. იგი მას პირველად ხედავდა სასადილოში.

– რას მიირთმევთ? – ჰკითხა მან ბაჩანას და დოინჯი შემოირტყა

ცალი ხელით. ბაჩანამ თავი ასწია, თამარა თეთრად მოჭიქულ, ყელმოღერებულ სურათს ჰგავდა.

– პურს! – თქვა ბაჩანამ და ნერწყვი ძლივს გადაიტანა გამშრალ ყელში. თამარას გაეცინა.

– მარტო პურს?

– ყველსაც!

– ხორცს არ მიირთმევთ?

– არა.

– ღვინოს?

– გამოცდა მაქვს ხვალ, არ შეიძლება, – თქვა ბაჩანამ.

– რა გამოცდა?

– ფიზიკის!

– რომელ კლასში ხარ?

– წელს ვამთავრებ.

– ჰოოო! – გააგრძელა თამარამ, – ხარჩოს არ შეჭამ?

– ხარჩოს ფული არა მაქვს, – ბაჩანა გაწითლდა.

თამარა გატრიალდა, ერთ წუთში ისევ დაბრუნდა. მაგიდაზე პური, ყველი, მწვანილი, ხარჩო და ერთი ჭიქა ღვინო დადგა.

– ერთი ჭიქა შეიძლება! – ბაჩანამ შეშინებული გადახედა სუფრას.

– ახლავე მიანგარიშე თუ შეიძლება! – სთხოვა.

– ათი ათასი მანეთი! – გაუცინა თამარამ და წინ დაუჯდა.

– რა გქვია?

– ბაჩანა!

– რა გვარი ხარ?

– რამიშვილი!

– მე თამარა მქვია!

– ვიცი! – ბაჩანამ ჭიქა აიღო.

– პირველად გხედავ, ამდენ ხანს რატომ არ მოდიოდი? – გაუღიმა თამარამ. ბაჩანას ისევ მოებჯინა გული ყელში და ისე მოსვა ღვინო, თითქოს გულს უკან ჩაბრუნებას უპირებსო.

– არ დადიან ჩემი ხნის ბიჭები სასადილოში! – უპასუხა.

– ახლა რატომ შემოდი?

– მშია ახლა! – თქვა ბაჩანამ და ღვინო მოსვა ისევ.

– მჟავეა? – ჰკითხა თამარამ და ისე აპრიხა ცხვირი, თითქოს ის

ღვინო თვითონ
მოესვას. 472 473

– არ ვსვამ მე.

– წადი, აბა!

– შენი საქმე არაა, წავალ მე თუ არა! – უპასუხა ბაჩანამ და

სახეზე ცეცხლი წაეკიდა. დუტუმ ხელი გამოწია, ყურზე რომ წაევლო ბაჩანასათვის, მაგრამ ბაჩანამ თავი გასწია და დუტუს ხელი ჰაერში დარჩა გაშვერილი.

– დუტუ ცენტერაძე, მთვრალი ხარ შენ! – უთხრა გაფითრებულმა და კარისაკენ წავიდა.

– ვისია ეს ნაბიჭვარი?! – იკითხა გაწბილებულმა დუტუმ.

– ლომკაცა რამიშვილის შვილიშვილია მაგი! – უთხრა გვერდით მჯდომმა, უშანგი კალანდაძემ. დუტუ ცენტერაძემ ქვედა ტუჩზე იკბინა.

– შენმა მილიციის უფროსმა რომ ორდენი მიიღო მანუჩარა კიკვაძის მოკვლაში, მგონი, მაგის ნახელავია, დუტუია, და დაანებე თავი, – ყურში უთხრა უშანგი კალანდაძემ.

– ტყვილია მაგი, იმ ოპერაციაში მეც ვღებულობდი მონაწილეობას,

– კბილებში გასცრა დუტუიამ და სახეზე ალმურმა გადაჰკრა, – გველის წიწილია მაგი და ტროცკისტის შვილი, ტყვილა კი არ გაუჟუჟიათ მაგის გვარი ოცდაჩვიდმეტში...

– რას ერჩი ახლა, დუტუ, მაგ ბაღანას, არაფერი დაუშავებია,

მოვიდა, არაფერი არ უჭამია და მიდის თავისი გზით, ქალმა კი არ უნდა გადაგრიოს, შე კაცო... – უთხრა ათანასე ლორიამ.

– ქალია აგი, შე მამაძაღლო? ქალი კი არა, ღმერთია, დაუჩოქე და ილოცე ზედ! – დაჰკრა დათვის ტორი დუტუმ მხარზე ათანასეს და

დააბარბაცა. სასადილოში სიჩუმე ჩამოვარდა, ატმოსფერო საოცრად დაიძაბა.

– დუტუია მილიციონერო, გამოუშვი მაგი ქალი ჩვენკენაც, ობლიგაციაში ხომ არ მოგიგია, ჩვენც შეგვარებიე პატარა ხელი, – სცადა დაძაბული მდგომარეობის შერბილება მეზობელი სუფრიდან მამუკა იაშვილმა.

– დღეს გაპატიებ, მამუკა იაშვილო, მაგ ლაზღანდარობას და ხვალიდან შენი ბურდღა არ დავინახო ამ სასადილოში, – დაემუქრა დუტუ.

– ასე მაგარი თუ ხარ, წადი ჯარში და დაგვაყენე საშველი, ოთხი წელია, რომ ატკვერიებ ჩვენს თავს ჰიტლერს, – გაეცინა მამუკას.

– მერე აქ წესრიგს ვინ დაამყარებს?! – ჰკითხა დუტუიამ, – ვინ მიხედავს შენისთანა დეზერტირებს?!

– დუტუია მამაძაღლო, მე ვარ დეზერტირი, შენხელა ნაღმის ნამსხვრევი რომ მაქვს გულში გარჭობილი?! – გაიღეღა გაგლეჯილი

– კიდევ ათი ბოთლი მომიტანე და დამიჯექი აგერ, გვერდით, დაგლოცო მინდა, – მკლავზე ხელი წაატანა დუტუმ. თამარამ ხელი გააშვებინა და დახლთან მივიდა.

– ლასა, მომეცი ათი ბოთლი ღვინო, – ლასამ ბოთლები ამოალაგა მაგიდაზე. დუტუ ადგა და დახლთან მივიდა. შეზარხოშებული იყო, თვალები უპრიალებდა. მილიციელი იყო დუტუია ცენტერაძე, დაბალი, ჯიჯგვი, ღონიერი და მკლავებგრძელი. გვერდზე ნაგანი ეკიდა, ნახევრად შიშველ ბუდეში გარჭობილი და რომ დადიოდა, ქვეყანა მისი ეგონა. დახლთან მისულმა წელზე მოხვია ხელი თამარას.
– დაანებე, დუტუია, თავი მაგ გოგოს და შენს სუფრას მიხედე, – უთხრა ლასაიამ.

– აგი ქალი არაფერს არ ჩივა და შენ ვინ გკითხავს, მეზობლის ძროხა მაკეა თუ არა? – ჰკითხა დუტუმ და ექვსი ბოთლი სათამაშოებივით ამოიჩარა თითებშუა, – ამას, მე კი არა, შენ უნდა აკეთებდე, – დაუმატა საყვედურით და თავის მაგიდას დაუბრუნდა.

– ვინც ამ ქალს თვალს დაადგამს, იმის კუბოს დავდგამ მიქელგაბრიელის ეკლესიის ეზოში! – თქვა ყველას გასაგონად და

დაჯდა, თამარამ დანარჩენი ოთხი ბოთლი მიუტანა და მაგიდაზე დაუდგა. დუტუმ ხელი მოკიდა და გვერდით დაისვა.
– დაჯექი, ქალო, შენი სადღეგრძელო მინდა, ვთქვა! – მერე

წამოდგა ჭიქით ხელში და ლასაიას მიმართა: – ლასაია ბასილია, ამ სადედოფლო ქალს თეფშებს რომ არეცხვიებ და ათრაქვიებ, ღმერთის არ გრცხვენია? გამატანე სახლში და ოქროს ტახტზე დავსვამ, თამარ დედოფალივით.

– ერთი შენი ცოლი თალიკო გიზის ოქროს ტახტზე და მეორეს მაგას მიუსვამ. ხე რომ არ გიდგას ეზოში და სხვის ხეზე რომ იბუდრებს

შენი ქათამი, იმას მიხედო გირჩევნია, შე მათხოვარო! – უთხრა ლასამ, სასადილოში აუწერელი ხარხარი ატყდა.

– ლასაია, ენას მოუკელი, ფეხი არ დაიდგა ზედ! – გააფრთხილა დუტუმ და ნაგანის ტარზე ხელი ჩამოიდო.
ბაჩანა ადგა და კარებისაკენ წავიდა.

– მოიცა, ბიჭო შენ! – გააჩერა დუტუმ, – რას დაეთრევი ამ სასადილოში, გაიხედ-გამოიხედე, ვინაა აქ შენი ტოლი?!
– საჭმელისთვის შემოვედი მე, – უთხრა ბაჩანამ.

– კი ვიცი მე, რისთვისაც შემოდი. ა, გამომართვი აგი, დალიე და გადი გარეთ! – დუტუმ ღვინით სავსე ჭიქა და მოხარშული ქათმის ბარკალი მიაწოდა ბაჩანას. ბაჩანამ ჭიქა და ხორცი ჩამოართვა და ისევ მაგიდაზე დააბრუნა.
474 475
* * *

ზოსიმე ხინთიბიძის სახლში იდგა მდგმურად თამარა. საერთო

აივანზე, მარჯვენა მხარეს, პატარა ოთახი ეკავა. გვერდიდან ფანჯარა ჰქონდა და სოფლის შუკას უყურებდა ის ფანჯარა. სოფელს ეძინა.

ბაჩანამ ძალიან ფრთხილად დააკაკუნა მინაზე. ფანჯარას ხალათმოსხმული თამარა მოადგა, უზომოდ შეშინებული ფართოდ გახელილი თვალებით. ბაჩანა რომ დაინახა, ტუჩი მოიკვნიტა და ლოყაზე შემოიკრა ხელი, მერე ძალიან ფრთხილად გააღო სარკმელი და ჩურჩულით ჰკითხა საქციელწამხდარ ბაჩანას:

– შენც, ბიჭო?!

– შემომიშვი! – სთხოვა ბაჩანამ.

– შენ მაკლდი და შენც მოდი?! – თამარას ნიკაპი აუკანკალდა.

– შემომიშვი, – გაუმეორა თხოვნა ბაჩანამ.

– ნუ გაერევი, ბაჩანა, ამ სიბინძურეში, წადი სახლში, რა გინდათ ჩემგან, რატომ მომჭერით თავი მთელ სოფელში, რა დაგიშავეთ, გეყოფათ აწი... – თამარამ ტირილი დაიწყო.

ბაჩანა ფანჯარაში გადაძვრა, თამარას გვერდი აუარა და პატარა მაგიდას მიუჯდა. თამარამ ჭრაქი აანთო და ბაჩანას პირდაპირ სკამზე დაეშვა.

– რა გინდა, ბიჭო? – ჰკითხა ვედრებით, ბაჩანა ხმას არ იღებდა.

– რაზე მოხვედი? – გაუმეორა კითხვა.

– მართალია, რასაც სოფელი ამბობს? – ჰკითხა ბაჩანამ და ათრთოლებული ხელით ჭრაქს მომწვარი ფითილი მოაცილა.

– რას ამბობს, ბაჩანა, სოფელი? – თქვა თამარამ და თავი სინანულით დაიქნია.

– ათას სიბინძურეს ამბობს სოფელი...

– გჯერა მერე შენ მაგის, ბაჩანა?.. – ბაჩანამ მხრები აიწურა.

– მე მოვედი იმისათვის, რომ... – ბაჩანას ხმა ჩაუწყდა.

– რისთვის მოხვედი, ბიჭო?

– მე იმისათვის მოვედი, რომ...

– არ თქვა, ბაჩანა, რისთვის მოხვედი, შენ მეგულები ამ სოფელში ერთი ნათელი სვეტი და ნუ იტყვი მაგას... – ბაჩანამ ცრემლი და ნერწყვი ერთად გადაყლაპა.

– ადექი, ჩაიცვი და წამომყევი! – თქვა უცებ ბაჩანამ.

– სად? – გაუკვირდა თამარას.

– არ ვიცი, ადექი და წამომყევი...

– სად მიგყავარ, ბიჭო?

მკერდი მამუკამ, – რა გვჭირს შენი მოსავლელი, შე მართლა დეზერტირო, ვინაა ამ სოფელში შენდენ წესრიგს რომ არღვევს?! – მამუკამ ბოთლი აიღო და დუტუია მილიციელისაკენ წავიდა, დუტუმ ნაგანი ამოიღო ბუდიდან და გვერდზე გადგა.

ბაჩანა სასადილოდან გავიდა.

* * *

თამარას სასადილოში გამოჩენის სამი თვის თავზე სოფელში ჭორი დაირხა, აღოღდა, აგორდა, ამოძრავდა, ფრთა შეისხა, გაშალა, გაფრინდა და გაზაფხულის მერცხალივით ყველა ოდის ბანსა და ფანჯარას მიაფრინდა. ჩაის პლანტაციაში, თუთუნში, თხილში, ყანაში, ვენახში, ბაღჩაში, მარანში, ბაზარში, კანტორაში, აბანოში, საპარიკმახეროში, კლუბში, სამკითხველოში, ყველგან ამაზე იყო ლაპარაკი.

– დაუკლავთ იმ დღეს ერთმანეთი ლასაიეს სასადილოში მამუკა იაშვილს და დუტუია ცენტერაძეს იმ შარახვეტია გოგოს გულისთვის...

– ცოლი უცემია დუტუია უპატრონოს და მელექედურში გაუგზავნია მამამისთან...

– აჯილღა ჩამოგვისახლა ლასაიამ, ამბობენ, ორსულადაა ლასაიესაგანო, ისე საეჭვოდაა მოკეთებული...

– ლასაიესგან კი არა, დუტუია მილიციონერისგან ელოდებაო...

– მამუკა იაშვილისთვისაც დაუწყია თვალების კუსვა, მაგრამ თმით უთრევია კლუბში მის ცოლს დარეჯანას...

– მაგას ჰიტლერიც ვერ იზამდა, ისე აგვირია სოფელი და გადაკიდა ყაძახები ერთმანეთს...

– გაწყდა ნეტავი ქალი გურიაში და მაგაზე დადგა ქვეყანა?!

– გაწყდა უძახე შენ და თორნიკე კინწურაშვილს დანა მიუცია ჭიპში არდალიონა ღვალაძისთვის იმ ღამეს, თურმე...

– რას აკეთებს მერე ამ დროს დუტუია მილიციონერი?..

– რას აკეთებს და თვითონ უზის პირველ საყვარლად...

– იმ ბიჭსაც რომ აურია კვალი თურმე?..

– რომელს?

– ლომკაცა რამიშვილის ბადიშს, ბაჩანას, მარტო მაგისთვისაა, მე თუ მკითხავ, დასაჭერი, მცირეწლოვანი ბავშვის გარყვნის მცდელობისათვის... იმ დღეს ვნახე სასადილოდან გამოდიოდა, გამოაბდლებული ჰქონდა თვალები...

476 477

– ჩვენი პირიდან მაგის ძვირი არ ამოსულა, ბაჩანა ბიცოლა, და სადაც კი მიგვიწვდა ხმაი, კი ვთქვი მაგი, მაგრამ ვინ დაგიჯერა?..

– იმართლა თავი მარომ.

– წამოდი! – უთხრა ბაჩანამ თამარას და ჩემოდანი ჩამოართვა.

– სად მიგყავს, ნენა, ამ შუაღამეში, დაგეცადათ დილამდე, საგზალს გამოგიწყობდით...

– ამაზე მეტი საგზალი, რაც თქვენ თქვით ახლა, ამას არ სჭირდება,

– უთხრა ბაჩანამ, – კარგად იყავით, მადლობელი ვარ თქვენი,

– დააყოლა.

– ბაბუაშენმა ლომკაცამ თუ იცის მაგი ამბავი, რასაც შენ ახლა ჩადიხარ? – ჰკითხა ზოსიმემ ეზოში ჩასულ ბაჩანას.

– იცის! – მოკლედ უპასუხა ბაჩანამ. ხელი მოჰკიდა თამარას
და სოფლის შარაზე გაიყვანა.
* * *

სოფლის შარა უხმოდ გაიარეს. ოზურგეთისაკენ მიმავალ დიდ შარას
რომ დაადგნენ, ბაჩანამ ჩემოდანი დადგა, გზის პირას ჩამოჯდა და
თუთუნი გაახვია, თამარა გვერდით მიუჯდა.
– დამიტოვე ცოტა! – უთხრა დიდი ხნის დუმილის შემდეგ.

ბაჩანამ გადასცა ნამწვი, თამარამ ჩამოართვა და ხარბად გააბოლა.
ნასაკირალის აღმართს რომ მიადგნენ, ბაჩანამ ისევ შეისვენა და
ისევ გაახვია თუთუნი, ამჯერად თამარასაც გაუხვია.

– თქვი რამე, – სთხოვა თამარამ. ბაჩანამ უბეში ჩაიყო ხელი,
ცხვირსახოცში გახვეული რაღაც ამოიღო და კალთაში ჩაუდო თამარას.
– რა არი? – ჰკითხა თამარამ.
– მაგი ჩემს შრომადღეებზე მიღებული ავანსია, ექვსასი მანეთი,

ცოტა ხანს გეყოფა. ერთი ბათმანი სიმინდის ფასია... – ბაჩანას ხმა
უთრთოდა, თამარამ ცხვირსახოცი გახსნა, ფულს დახედა, ისევ
შეკრა და უბეში ჩაუდო ბაჩანას. მერე საკუთარ კალთაში ჩარგო თავი
და გულამოსკვნილი ტირილი დაიწყო. ბაჩანა არც აწყნარებდა, არც

ამშვიდებდა. იჯდა და ელოდა, როდის იჯერებდა თამარა გულს
ტირილით და როდესაც შეატყო, რომ თამარა აღარ ჩერდებოდა, დაიწყო:

– ტირილი კარგია, მე როდესაც რამე მტკივა ან რამე მეწყინება და
გული გამიქვავდება, ტყეში გავრბივარ ნადირივით, დავწვები ხის

ძირში და ვტირი ხმამაღლა, მთელი დღე ვტირი, ვიდრე ცრემლი არ
გამითავდება და გული არ გამილღვება... მერე კარგად ვარ... შენც
იტირე და გული გაგილღვება, არ შეიძლება, რომ არ გაგილღვეს...
– უნდა წახვიდე შენ ამ სოფლიდან...
– ასე მოჯაყული და შერცხვენილი?..
– ადექი, შენ მაგათ მარტო ქალად უნდებხარ, მე კი...
– შენ რაღად გინდებვარ, ბაჩანა?..

– ადექი და წამომყევი, რომ გეუბნები, ჩააწყვე, რაც გაქვს ტანსაცმელი
ჩემოდანში და წამოდი... – ბაჩანამ თვითონ ვერ იცნო თავისი ხმა,
იმდენი ლითონი გარეოდა შიგ, თამარა მონუსხულივით წამოდგა,
საწოლის ქვეშიდან ჩემოდანი გამოათრია და ტანსაცმლის ჩალაგება
დაიწყო შიგ. ბაჩანა ადგა და კარი გააღო, აივანზე გავიდა.
ზოსიმე ხინთიბიძის კარს მიადგა და მუშტი დაჰკრა ზედ რამდენიმეჯერ.
– რომელი ხარ?! – გაისმა შიგნიდან ზოსიმეს შეშინებული ხმა.
– მე ვარ, ბაჩანა, ლომკაცა რამიშვილის ბადიში!
– კარი შეგეშალა, ბიძია! – გამოსძახა ოთახიდან ზოსიმემ.
– არ შემშლია, ზოსიმე ბიძია, გამოდით ერთი წუთით შენ და
მარო ბიცოლა გარეთ.

– მთვრალი თუ ხარ, ბიძია, წადი სახლში! – გაუჯავრდა შიგნიდან ზოსიმე.

– გამოდით ერთი წუთით, არ ვარ მე მთვრალი! – შეევედრა ბაჩანა, ზოსიმემ კარი გააღო და ნიფხავ-პერანგის ამარა გამოვიდა აივანზე. ზურგს უკან მარო ედგა შეშინებული.

– მიმყავს აგი ქალი, ზოსიმე ბიძია, მე და მინდა, იცოდეთ შენ და მარო ბიცოლამ... – თქვა ბაჩანამ.

– ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს, ამაზე მაღვიძებდი? წაიყვანე, სადაც გინდა, ჩემი ვალი მაგას არ აქვს და არაფერი, ბინის ქირა წინასწარ აქვს გადახდილი...

– მითხარი, ზოსიმე ბიძია, ან მამუკა იაშვილი, ან დუტუიე

ცენტერაძე, ან ლასაიე ბასილია ან თორნიკე კინწურაშვილი თუ გინახავს ამ ქალის ოთახიდან გამოსული?

– რას გადამეკიდე, ბიჭო, ამ შუაღამეს, მაგის ყარაული ვარ მე?

– თქვი, ზოსიმე ბიძია, მართალი კაცი ხარ შენ! – გაუმეორა თხოვნა ბაჩანამ. ზოსიმემ კეფა მოიფხანა უხერხულად.

– ცოდვას ვერ ვიტყვი... არ მინახავს. იყო დუტუიე ცენტერაძე სამი გზობა, მთვრალი, კარი კინაღამ ჩამოუღო, მაგრამ არ შეუშვა

სახლში, ორი გზობა თორნიკე კინწურაშვილიც იყო, ისიც მთვრალი, მაგრამ, არც იგი შეუშვა... შენ პირველი კაცი ხარ, მაგის ოთახიდან ღამე გამოსული. – თქვა ზოსიმემ და კარში ჩემოდნით მდგარ თამარას თვალებში შეხედა.

– რატომ გათათხეს აბა, აგი გოგო ასე? – ჰკითხა ბაჩანამ.

478 479

ზარები გუგუნებდნენ მათ გახურებულ მკერდში. ერთი დიდი, მეორე ოდნავ პატარა და ისე ხმაშეწყობილად, ისე დიდებულად, რომ ორთავეს ლოცვა უნდოდა, მხოლოდ ლოცვა და სხვა არაფერი.

– ღმერთო ძლიერო, ღმერთო მაღალო, შეაერთე ჩვენი სული და ხორცი და ერთ ვეებერთელა, დაუშრეტელ სიცოცხლედ აქციე... ღმერთო ძლიერო, და ყოვლის გამკითხველო, მომეცი სისხლი მისი და მიეცი მას სისხლი ჩემი... გვიხსენი ცოდვისაგან და მიიღე ჩვენგან სიცოცხლე ჩვენი...

– ბაჩანა, ჩემო მზეო და სიხარულო, საიდან გაჩნდი, ბიჭო, საიდან მოდი ჩემს ცხოვრებაში, ნუ იზამ მაგას, ჩემო ბედნიერებავ და უბედურებავ, ჩემო... ქალწული ვარ მე...

– ღმერთო ძლიერო, მომეცი ძალა და ნებისყოფა, ნუ დამიბინდავ გონებას, მიშველე, ღმერთო...

* * *

ისინი ხელიხელჩაკიდებული მიდიოდნენ შარაზე. ტყეში ფრინველი იღვიძებდა და დილის საგალობლისათვის ემზადებოდა. გაღმა-გამოღმა სოფლებში ძაღლები ყეფდნენ. ვიღაც ადრე გაღვიძებული გლეხი ყანაში

გადასულ, აწყვეტილ საქონელს უყიჟინებდა. ცას ლილისფერი შეეპარა. ტოლების მთებზე გაწოლილ ქათქათა ღრუბელს ალისფერმა დაჰკრა. ნასაკირალზე გათენდა.

ბაჩანამ ჩემოდანი დადგა თამარას ფეხებთან და თავი ჩაღუნა.

– წადი ახლა შენ! – უთხრა დაკარგული ხმით. თამარამ დიდხანს უყურა ბაჩანას. მერე ძალიან მშვიდად ჰკითხა:

– როგორ უნდა ვიცხოვროთ ახლა მე და შენ? – ბაჩანამ მხრები აიწურა.

– რას იტყვი, სოფელში რომ დაბრუნდები? – ბაჩანამ ისევ აიჩეჩა მხრები.

– წადი ახლა შენ და... – ბაჩანამ ვეღარ გააგრძელა სიტყვა.

– არ დამივიწყო, ბიჭო?! – ბაჩანამ უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია.

– არ არის ამ წუთში სულიერი ქვეყანაზე, ბაჩანა, შენზე უფრო რომ მიყვარდეს!... – თამარას ტუჩები უთრთოდა.

– არ გათხოვდე, გოგო, მე მალე გავიზრდები... – ბაჩანა ისევ

ატირდა. თამარა მიუახლოვდა ბაჩანას, მის წინ მუხლებზე დაეშვა და ორთავე ხელი დაუკოცნა.

– ამაზე მეტი რაღა უნდა გაიზარდო, ბიჭო?.. – ჩურჩულით თქვა მან და მუხლებზე მოხვია ხელი. ბაჩანამ ფრთხილად გაინთავისუფლა სხვანაირად მოკვდება კაცი... შენ არაფერი არ უნდა გეწყინოს,

უსაშველოდ ლამაზი ხარ, გოგო, და რა ხალხის ბრალია... ერთმანეთის ჯიბრზე დაჭამა სოფელში კაცებმა ერთმანეთი... ძაღლებმა იციან ასე...

სამი თვეა თვალი არ მომიხუჭავს... ნამეტანი ლამაზი ხარ, გოგო, და ნამეტანი ალერსიანი თვალები გაქვს, რამ გაგაჩინა ასეთი... ვინც გიყურებს, ყველას გონია, მე მიცინის და მეალერსება, სხვაზე უფროო...

მეც მასე მომივიდა ალბათ... ვიცი მე, რომ ტყვილია მაგი... ტყვილია, მაგრამ ნამეტანი მიყვარხარ, სხვისთვისაც არ მემეტები და რა ვქნა...

მოვკვდები მე... – თამარა აღარ ტიროდა, იგი განცვიფრებული უგდებდა ყურს ქადაგად დავარდნილ ბაჩანას... – ჩვიდმეტი წლის ვხდები ახლა მე... ჩვიდმეტი წელი არაა ბევრი, მაგრამ არც ცოტაა, ვიცი მე, შენ ისე მიყურებ, როგორც ბაღანას... მაგრამ შენ არაფერი არ უნდა

გაგიკვირდეს, უსაშველოდ ლამაზი ხარ, გოგო და რა ვქნა... გამომართვი ეს ფული, არ მომიპარავს მაგი მე, ლომკაცამ მომცა, ბაბუაჩემმა...

შენთვის მომცა, დიდი კაცია ბაბუაჩემი ლომკაცა, ნამეტანი დიდი კაცი, იმან გამომგზავნა შენთან და მასწავლა, როგორ მოვქცეულიყავი. იმან მითხრა, წაიყვანე სოფლიდანო... შენ, რომ შეგძლებოდა ჩემი სიყვარული... მაგრამ ნამეტანი ლამაზი ხარ, გოგო, შენ და არ ვიცი მე, რა გეშველება... პატარა ვარ მე ჯერ, შენ რომ მოგიარო და გიპატრონო... ნამეტანი მიყვარხარ, გოგო, სამი თვეა თეთრად ვათენებ...

– ბაჩანას ხმა ჩაუწყდა, მერე თავი ჩაუდო თამარას კალთაში და

ზუსტად ისე აყმუვლდა, როგორც მაშინ, ჩხაკოურას ტყეში დაკარგული მგლის ლეკვივით.

თამარამ გულში ჩაიკრა ბაჩანას თავი და რომ მისი ყმუილი დაეოკებინა, ტუჩებით მკერდზე მიიკრა... და ბაჩანამ იგრძნო უცებ, როგორ დაუწყო გულმა ლღვობა, როგორ გათბა გული, გახურდა და ბოლოს ცეცხლი წაეკიდა. იგი უნებურად დაეწაფა თამარას გაღეღილ მკერდს და მხურვალედ დაუკოცნა, შემდეგ ორთავე ხელი მოხვია წელზე და ყელს ემთხვია, შემდეგ – ლოყებს. ბაჩანამ თბილი და მლაშე ცრემლის გემო შეიგრძნო. თამარა ჩუმად ტიროდა.

– შენ ჩემო მზეო და სიხარულო... შენ ჩემო დაო და ძმაო... შენ ჩემო მამავ და მშობელო... შენ ჩემო ტკივილო და მწუხარებავ... შენ

ჩემო შვილო და სიობლევ... შენ ჩემო სიკვდილო და სიცოცხლევ... შენ ჩემო ბიჭო და საყვარელო... შენ ჩემო სიმდიდრევ და სიღარიბევ... საიდან მოხვედი, ბიჭო, საიდან გაჩნდი, რამ მოგიყვანა ჩემს ცხოვრებაში...

– ჩურჩულებდა თამარა და ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა ლოყებზე. მერე მათმა ტუჩებმა მონახეს ერთმანეთი, ბაგეები დადუმდნენ და ახლა გულებმა დაიწყეს ერთმანეთთან ლაპარაკი. უზარმაზარი ვერცხლის
480 481

გაიგონებს თამარა, შორსაა ახლა აქედან წასული... – ბაჩანას ხმა აუთრთოლდა და ხელები გაუცივდა.
– ვინ აგდიხარ, ბიჭო შენ, ანგარიში რომ გაბარო მე? – იფეთქა
უცებ თორნიკემ.

– ის მაინც უთხარი ამ ხალხს, რამდენჯერ გამოგაგდო სახლიდან თამარამ, – შეაგდო ნამუსზე ბაჩანამ თორნიკე.

– არავის არ გამოუგდივარ მე, ჩემით წამოვედი, ღვინომ რომ გამიარა, ეგერაა ზოსიმე და ვკითხოთ, – გატყდა ბოლოს და ბოლოს თორნიკე და თავი ჩაღუნა.
– მამუკა იაშვილო, შენ მართალი კაცი ხარ და თქვი, რატომ

მიუხტა შენი ცოლი დარეჯანი თამარას? – მიუბრუნდა ბაჩანა მამუკა იაშვილს, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში უხმოდ იჯდა მაგიდასთან და ტუჩებს იკვნეტდა.

– არაფრის გულისთვის, ბიძია, დუტუიე ცენტერაძის ცოლმა გაახელა და მიუხტა! – თქვა ცოცხალმკვდარმა მამუკამ.
– ჩემი ცოლი სასადილოში სახსენებელი არაა, ვირიშვილო მამუკა!

– თქვა დუტუია ცენტერაძემ. მამუკა წამოდგა და პასუხის მიცემა დააპირა, მაგრამ ბაჩანამ არ აცალა.

– ადექით ახლა და თქვით, რომელი იყავით იმ ქალთან! – იკითხა ბაჩანამ და დუტუია ცენტერაძეს დააშტერდა. დუტუია ცენტერაძე წამოდგა. წამოდგა უფრო იმისათვის, რომ კინწისკვრით გაეგდო სასადილოდან სასწორ-სამართლის გამრიგებელი ეს ლაწირაკი, მაგრამ

ბაჩანამ მისი წამოდგომა საკუთარი შეკითხვის პასუხად მიიჩნია
და ლასაიეს დახლზე დარჭობილ დანას შეავლო ტარზე ხელი.

– ტყუილა დგები ფეხზე, დუტუია დამპალო, სამჯერ ეგდე თამარასთან
და სამჯერ გამოგაბუნძულეს გარეთ. ამპარტავანი და თავგასული კაცი
ხარ შენ, დუტუია ცენტერაძე, თავის მოსაწონებლად მოჯაყე ის გოგო
სოფელში, მართალს ვამბობ, ზოსიმე ბიძია? – ჰკითხა

ბაჩანამ სასადილოს კუთხეში მკლავებდაღლიავებულ და იმ
სასადილოს კედელივით გათეთრებულ ზოსიმეს.
– მართალს ამბობ, ხვთის წინაშე! – თქვა ზოსიმემ.

– შენ რა იცი, ზოსიმე უდღეურო, ჩექმას მხდიდი დაწოლის წინ
თუ ლეიბად მეგე? – ჰკითხა დუტუიამ და შხამიანად გაიცინა.
– მართალს ამბობს, ხვთის წინაშე! – გაიმეორა ზოსიმემ.

– ბინძური კაცი ხარ შენ, დუტუია ცენტერაძე! – უთხრა ბაჩანამ
და ისეთი ძალა და შვება იგრძნო, როგორც არასდროს ადრე.
– დაგცხრილავ, შე ლაწირაკო, ნახე, როგორი მიტინგი მომიწყო

ამ სასადილოში და როგორ გვასხამს ლაფს თავზე?!. მე
სახელმწიფოს თავი თამარას ხელებისაგან, უკან დაიხია,
შეტრიალდა და წავიდა. დაახლოებით ნახევარი ვერსი ჰქონდა
გავლილი ბაჩანას, უკან რომ მოიხედა. თამარა შარაზე იჯდა ისე,
როგორც დატოვა ბაჩანამ და მისკენ იქცირებოდა.

... და ბაჩანა განცვიფრდა უცებ. ასეთი შორი მანძილიდან მან საოცარი
სიცხადით დაინახა თამარას ცრემლით სავსე ცისფერი თვალები. მარტო
თვალები.
* * *

შუადღეზე შეაღო ბაჩანამ სასადილოს კარი. ყველა მაგიდა დაკავებული
იყო. დარბაზში აუწერელი ხმაური იდგა. ლასაია კიტრს და პამიდორს
ჭრიდა დახლზე. ბაჩანა რომ დაინახა, დანა ხელში

შეაცივდა. ისეთი სიწყნარე ჩამოვარდა უცებ სასადილოში,
გეგონებოდათ, სიკვდილმა შემოაღო კარიო. ყველას სახეზე განცვიფრება,
სიხარული, შიში და უზარმაზარი კითხვა ჰქონდა გამოხატული, მაგრამ
სიჩუმის დარღვევას ვერავინ ბედავდა.

– აგერ არაა?! – თქვა ბოლოს ლასაიამ და ისე ამოისუნთქა, თითქოს
ერთი საპალნე ტვირთი ჩამოხსნესო. ამის თქმა და სასადილოს

გაცოცხლება ერთი იქნა. ისევ აუწერელი ხმაური ატყდა და ამ
ხმაურში ტყვიასავით გავარდა დუტუია ცენტერაძის დამცინავი ხმა:

– უნიფხო სიძეს გაუმარჯოს! – ბაჩანამ ყურადღება არ მიაქცია
დუტუიას სიტყვას, მივიდა იმ მაგიდასთან, რომელსაც
თორნიკე კინწურაშვილი უჯდა და მის პირდაპირ დადგა.
– რა უყავი, ბიჭო, ქალი, ბაბუაშენ ლომკაცას ხომ არ მიუყვანე?
– გაელაზღანდარა შექეიფიანებული თორნიკე.

– თორნიკე კინწურაშვილო, უთხარი ამ ხალხს, იყო თუ
არა უპატიოსნო ის ქალი?! – ჰკითხა ბაჩანამ საქვეყნოდ.
– მაგი მე რა ვიცი, აგერ ჰკითხე ლასაიას, მაგის მუთაქა და
ბალიში მაგი იყო... – აიქნია ხელი თორნიკემ და უნაიროდ გაიცინა.

– ლასა ბიძია, მართალს ამბობს ეს კაცი? – მიუბრუნდა
ბაჩანა ლასას.
– დღევანდელი დღე არ დამიღამდეს და ამ დანამ გაიაროს ჩემს
გულში, თუ რამე მეკადრებიოს და უბატონოდ ხმა გამეცეს იმ გოგოსთვის!

– თქვა ლასაიამ და დანა ისე დაარჭო დახლზე, შუამდე
ჩაიყვანა. ბაჩანა ისევ თორნიკეს მიუბრუნდა.

– ადექი, თორნიკე კინწურაშვილო და თუ ვაჟკაცი ხარ თქვი,
რამდენჯერ ხარ იმ ქალთან ნამყოფი, თქვი, ნუ დამალავ, მაინც
ვერ 31. ნ. დუმბაძე, ტ. II
482 483

– გამარჯობათ, ბატონებო, მე ქეთევანი მქვია, ანდრონიკაშვილი
ვარ გვარად და სამკურნალო მედიცინის მთავარი ინსტრუქტორი
გახლავართ თქვენს საავადმყოფოში. – გააცნო მან თავი ავადმყოფებს.
– მერე ჩვენს ექიმებს ჭკუა არა აქვთ, პანტაპონებით, პერსანტინებით

და ინტენსაინებით რომ დაგვილურჯეს კოზლები?! პალატაში თქვენისთანა
ქალის ერთი შემოსვლა, ათს თუ არა, ხუთ ნემსს მაინც უდრის! – იყვირა
ბულიკამ. ქალიშვილს კმაყოფილმა ღიმილმა გადაუარა სახეზე.

– ბატონო ბაჩანა, ხედავთ, იღიმება, აბა, ერთი ხელი მოკიდეთ,
თუ არ გაქრა, ესე იგი ნამდვილია, – სთხოვა ბულიკამ.

– თქვენის ნებართვით, ქალბატონო! – თქვა ბაჩანამ და ქალიშვილს
ხელი შეახო ლამაზ თითებზე, – გაიხარე, ბულიკ, ნამდვილია! – თქვა
ბაჩანამ, მაგრამ ქალიშვილის თბილი ხელიდან თავისი აღარ აუღია.
გოგონამ ფრთხილად გამოაცურა თითები ბაჩანას ხელისგულიდან
და მაჯაზე მოკიდა ხელი.

– ჩემი დღევანდელი მაჯა ზუსტ ცნობებს ვერ მოგაწვდით,
ქალბატონო, ცოტა რომ დამშვიდდება, მერე გამისინჯეთ, – სთხოვა
ბაჩანამ და ქალიშვილის ხელი აფრიალებულ გულზე დაიდო, –
აბა, ნახეთ?

სამკურნალო მედიცინის მთავარმა ინსტრუქტორმა ხელი აიღო
ბაჩანას გაღეღილი მკერდიდან და ზედ ნიჟარასავით პატარა,
ლამაზი, ვარდისფერი ყური დაადო.
– მკლავთ, ექიმო? – ჰკითხა სუნთქვაშეკრულმა ბაჩანამ და ისე

გახედა მამა იორამს, თითქოს აღსარებას სთხოვდა. მღვდელმა
უიმედოდ გაშალა ხელი და აპარპარებული თვალებით ჭერს ახედა,
აქაოდა, მე რა გიშველოო. ქალიშვილმა ცოტა ხნის შემდეგ ყური
მოაცილა ბაჩანას მკერდს და ძალიან სერიოზულად თქვა:

– ტკივილებს ისევ გრძნობთ გულის არეში?

– აღარა, ქალბატონო, მაჯის ამოვარდნაც არ მქონია თქვენს შემობრძანებამდე. ახლა ყველაფერი თავიდან დამეწყო, – ამოიოხრა ბაჩანამ.

– ნეტავი ვიცოდე, ამ საავადმყოფოში ყველა ავადმყოფს ერთნაირი ტექსტი ვინ დაგირიგათ?! – თქვა ქათინაურებისაგან თავმობეზრებულმა ექიმმა და მანაც ამოიოხრა.

– ყველა ასე გეუბნებათ? – ჰკითხა გაწბილებულმა ბაჩანამ.

– დიახ და თქვენ, როგორც მწერალს, მეტი ორიგინალობა გმართებთ!

– ნიშნის მოგებით უპასუხა ქალიშვილმა.

– მეტი ორიგინალობა რაღა გნებავთ, ქალბატონო, მკვდარი ვარ

და გელაპარაკებით, – განწირული ხმით თქვა ბაჩანამ. ექიმს ახლა და ძალაუფლების წარმომადგენელი ვარ აქ თუ შენი მაიმუნი?! – დუტუიამ ნაგანზე დაიდო ხელი და ბაჩანასკენ წამოვიდა.

– მაიმუნი ხარ, დუტუია ცენტერაძე და მაგი ნაგანი შეიტენე ერთ ადგილას, მაგის მე არ მეშინოდეს! – თქვა ბაჩანამ და თვითონაც წავიდა დუტუიასკენ. ლასაია ბასილია დახლიდან გამოვარდა და წელში ეცა დუტუიას.

– აბა, მე გეტყვით, ხალხო! – გაჩერდა უცებ ბაჩანა, – მე ვიყავი

წუხელ თამარასთან, ქალიშვილია ის გოგო და ქალიშვილად წავიდა აქედან. ჩემს დედას გეფიცებით, ასე იყო მაგი! – ... და უცებ სასადილოში საშინელი ლაწანი გაისმა. ყველასათვის მოულოდნელად დუტუია ცენტერაძემ იატაკზე გაადინა ბრახვანი და გულაღმა გაიშხლართა. მას თავზე მამუკა იაშვილი ადგა და ძლიერი დარტყმისგან დაბუჟებულ ხელზე სულს იბერავდა. მერე ის დაბუჟებული ხელი ლოყაზე მოუთათუნა ბაჩანას.

– კარგი ბიჭი ხარ შენ, ბიძია, წადი ახლა სახლში, აწი
მე მოვუვლი ამას...

ბაჩანამ სასადილოს კარი გაიხურა და ქუჩაში
გავიდა. 9

ოცდამეორე დღეს პროფესორმა ბაჩანას გადაბრუნების უფლება მისცა. ახლა იგი გვერდზე იწვა იდაყვზე დაყრდნობილი და ორთავე მეზობელს მთელი მათი ბრწყინვალებით აღიქვამდა. სამკურნალო

ფიზკულტურაც კი დაუნიშნეს ბაჩანას, მთელი მისი ფიზკულტურა ორ კვირას ხელების მუშტებად შეკვრითა და გაშლით განისაზღვრებოდა, ხოლო როდესაც წამოჯდომის უფლებაც მისცეს, ანუ გადაბრუნებიდან მეოცე დღეს, პალატის კარი გაიღო და შიგ ისეთი ლამაზი გოგონა შემოვიდა, ბულიკას მაწვნის ქილა გაუვარდა ხელიდან და მთელი საუზმე კალთაში ჩაეღვარა. ხოლო, როდესაც ეს ყორნისფერთმიანი და მწვანეთვალებიანი ანგელოზი ბაჩანას ლოგინზე ჩამოჯდა, მამა იორამმა

პირჯვარი გამოისახა და აღმოხდა:

– ახლაც არ იწამებთ ღმერთს, ბატონო ბაჩანა?

– ვიწამებ, მამაო, თუ ესეც სიზმარი არ არის, – უპასუხა ქალის სილამაზით და სითამამით გაკვირვებულმა ბაჩანამ.

– გაუშვი, სიზმარი იყოს, ოღონდ ჩემს ლოგინზე დაჯდეს! – თქვა ბულიკამ და მხოლოდ თქმის შემდეგ მიხვდა, რომ კოვზი პირში ჰქონდა.

– თქვენთანაც მოვალ! – თქვა კეკლუცად გოგონამ.

– მობრძანდით, ქალბატონო, გელოდებით! – მიიპატიჟა ბულიკამ.

– გეტკინათ? – ჰკითხა ექიმმა.

– დიახ! – დაიმორცხვა ბაჩანამ.

– არა უშავს, მიეჩვევით, – დაამშვიდა ექიმმა, – ახლა დაწექით

და სხეული მოადუნეთ, – ბაჩანა ბალიშზე გადაესვენა და სხეული მოადუნა. ექიმმა ყველა კუნთი მოუსინჯა და უკმაყოფილოდ გადაიქნია თავი.

– უფრო, უფრო მოადუნეთ, სულ მოადუნეთ, ყველა კუნთი მოადუნეთ, მიიღეთ მკვდრის პოზა...

– რას ბრძანებთ, ქალბატონო, მკვდრის პოზიდან ძლივს გამოიყვანეს ეს კაცი და ეხლა თქვენ გინდათ, უკან დააბრუნოთ? – შეიცხადა ბულიკამ.

– ინდოეთი და ხათხა იოგა კარგია, შვილო, მაგრამ რამე ქრისტიანული არ იცით? – ჰკითხა მამა იორამმა.

– ქრისტიანული თუ გინდათ, ლოცვაა, ბატონო და მარტო ლოცვით კაცი არ რჩება, – უპასუხა ცოტა არ იყოს განაწყენებულმა ინსტრუქტორმა.

– მაშ, პირჯვრის წერა ფიზკულტურა არ არის? – ჰკითხა ბულიკამ,

– ნახეთ, როგორა ჰგავს დილის გამამხნევებელ ვარჯიშს... – თქვა მან და ორთავე ხელით რამდენიმეჯერ გამოისახა პირჯვარი.

– როგორ დაგწყევლო, შე ანტიქრისტე, როდესაც ყოველგვარი წყევლის გარეშე, შენი ფეხით ადგეხარ ჯოჯოხეთის გზას! – თქვა მამა იორამმა და კედლისკენ გადაბრუნდა. ექიმი წამოდგა და ბულიკას საწოლს მიუახლოვდა.

– დაბრძანდი!.. – გაუსწორა საწოლზე თავის გვერდით ადგილი ბულიკამ.

– არა უშავს, ფეხზე ვიდგები! – უთხრა ინსტრუქტორმა და

ბულიკას მაჯა აიღო ხელში, – თქვენ უკეთესი მაჯა გაქვთ, ხომ არ ვცადოთ, აბა, სინჯეთ.

– მე, ქალბატონო ქეთევან, ეგ ლოტოსი წეღან ვცადე, ბატონი ბაჩანა რომ მკვდრის პოზაში გყავდათ და არ გამომივიდა, ასე რომ,

ბუდასავით ვერ დავჯდები, ახლა კი თუ მაგ ლამაზ ყურს გულზე არ დამადებთ, ისე როგორც ბატონ ბაჩანას, მაშინ თქვენს ქმარს მოვკლავ

და ციხეში დავჯდები. ეგ ჩემთვის ლოტოსზე ადვილი საქმეა, – თქვა ბულიკამ და მკერდი გაიღეღა.

– ასეთი ლაზღანდარა პალატა მე ჯერ არ შემხვედრია, არაფერი თქვენ ავადმყოფებს არ გიგავთ, ხვალ ექთანს გამოგიგზავნით და იმასთან ივარჯიშებთ.

– ოღონდ ისევ თქვენ მოდით, ექიმო, ხვალ და ლოტოსზე კი არა, მართლა გულიანად გაეცინა.

– ეს მართლაც ორიგინალური იყო... ახლა კი საქმეს შევუდგეთ!

– თქვა ინსტრუქტორმა და ბაჩანა ფრთხილად წამოაჯინა ლოგინზე.

– ხათხა იოგა გაგიგიათ? – ჰკითხა მან უცებ ბაჩანას. ბაჩანა დაიბნა.

– ახალგაზრდობაში წამიკითხავს, თუ არ ვცდები, ინდური ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრება უნდა იყოს, ვარჯიშის მეშვეობით, ნებისყოფის, სულისა და სხეულის სრულყოფის მიღწევის შესახებ, კარგად აღარ მახსოვს...

– დიახ! – დაეთანხმა ინსტრუქტორი, – მაგრამ ჩვენ ჯერ ხათხა

იოგას უმარტივეს ფიზიკურ მოძრაობებს დავეუფლებით, ხოლო თქვენი სულისა და ნებისყოფის სრულყოფაზე, აქედან რომ გახვალთ, თქვენ თვითონ იზრუნეთ...

– კი ბატონო! – მორჩილად თქვა ბაჩანამ.

– ლოტოსი ხომ გაგიგიათ, თუ არ გაგიგიათ, ნანახი გექნებათ, აი ბუდა რომ ზის ფეხმორთხმული, ის ჯდომა გახლავთ ლოტოსი,

– აუხსნა ინსტრუქტორმა.

– დიახ!

– აბა, ვცადოთ! – ექიმმა ხალათის სახელოები დაიკაპიწა და

ბაჩანას საბანი გადახადა. ბაჩანა უხერხულად შეიშმუშნა და ნახევრად შიშველ ადგილებზე ხელის დაფარება სცადა. ექიმს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, – ესე იგი, – დაიწყო მან, – ვიღებთ მარჯვენა ფეხის ტერფს და ვიდებთ მარცხენა ფეხის ბარძაყზე, – ბაჩანამ მორჩილად გააკეთა ის, რაც ინსტრუქტორმა უბრძანა და უცებ მიხვდა, თუ რარიგად გამხდარიყო ავადმყოფობის პერიოდში, რადგან ამ მოძრაობას, ახლა რომ გააკეთა ექიმის ბრძანებით, ადრე ვერავითარი ძალა ვერ

გააკეთებინებდა, თუნდაც სიკვდილის მუქარით. გაუხარდა, რაღაცნაირი შვება და მისთვის სრულიად მოულოდნელი სიმსუბუქე იგრძნო...

– მშვენიერია! – თქვა კმაყოფილებით ექიმმა. – ახლა ვიღებთ მარცხენა ფეხის ტერფს და ქვემოდან გამოტარების საშუალებით ვიდებთ სად? მარჯვენა ფეხის?..

– ბარძაყზეეე! – დაამთავრა საბავშვო ბაღის ბეჯით მოსწავლესავით ბაჩანამ ინსტრუქტორის დაწყებული კითხვა-წინადადება. მერე ნაკარნახევის განმეორება სცადა, მაგრამ მარცხენა ფეხის ტერფი სადღაც შუა გზაში გაეკვეხა. ღვიძლის არეში აუტანელი ტკივილი იგრძნო და

შუბლზე ცივმა ოფლმა გამოჟონა.

– ძალას ნუ დავატანთ! – გააფრთხილა ექიმმა, ბაჩანას ოფლით დაცვარულ შუბლს რომ შეხედა. ბაჩანამ სასწრაფოდ გაშალა ორთავე ფეხი და შვებით ამოისუნთქა.

486 487

აჩვენა.

– ხალხო? – შეიცხადა ბულიკამ, – ეს თუ ნემსია, სადგისი რაღაა?!

– გადაბრუნდი. მომკლა ყოველდღე შენთან ვაჭრობამ! – გაუჯავრდა ჟენია.

– გადაბრუნდი კარგია, თუ ბიჭი ხარ, შენ გადაბრუნდი და მე დაგარჭობ მაგ სადგისს, – შესთავაზა საწოლი ბულიკამ.

– ნელ-ნელა სთქვი, არ დაგახველოს! – უპასუხა ჟენიამ და ნემსისთვის გახაზირებული ადგილი სპირტიანი ბამბით დაუზილა.

– სულ რომ გულზე გასკდე, არ დავიკვნესებ, – თქვა ბულიკამ და ბალიშს უკბინა. ჟენიამ შუბივით დაარჭო ნემსი.

– მორჩი? – ჰკითხა ბულიკამ, ჟენიამ რომ ნემსი ამოაძრო და კვლავ დაუზილა ნანემსარი.

– მოვრჩი! – დაამშვიდა ჟენიამ.

– ჩემი კრეტინი თავი რა ვთქვა, ვისზე ნაკლები ვიყავი, მესწავლა რა საექიმოზე, – მაინც დაიკვნესა ბულიკამ. ჟენიამ ლანგარი აიღო და კარი გააღო.

– სენსაცია? – იყვირა მღვდელმა. ჟენიამ გაზეთი აიღო და საწოლზე დაუგდო მამა იორამს, მოძღვარი გაზეთს ეცა და სათვალის ძებნა დაიწყო... ჟენია გავიდა. მღვდელმა სათვალე რომ ვეღარ იპოვა, ბაჩანამ თავისი გადაუგდო.

– ჩემიც პლიუს სამია, მამაო, წაიკითხე!

– აგაშენა ღმერთმა! – თქვა მამა იორამმა და რატომღაც გაზეთის მეორე გვერდს დააცხრა.

– ჩვენს „დინამოს“ წაუგია ერევნის „არარატთან!“ – თქვა მამა იორამმა.

– ეგ არის ჟენიას სენსაცია? ეგ ხომ შარშანაც ვიცოდი, რომ წააგებდნენ! – თქვა ბულიკამ და ხელი ჩაიქნია.

– ანგარიში? – იკითხა ბაჩანამ.

– ორით ნოლი! – უპასუხა მღვდელმა და სათვალე მოიძრო.

– ეგ ერევნის არარატი გამაგიჟებს, მთელი წელიწადი იმისთვის ვარჯიშობს, რომ ჩვენ მოგვიგოს, სხვებთან წაგება ფეხებზე ჰკიდია, – შუბლზე შემოირტყა ხელი ბულიკამ.

– არადა, ჩვენებიც რომ მანდრაჟით ეთამაშებიან! – წამოცდა მოძღვარს.

– საღოლ, მამაო, ეგ მანდრაჟი საიდან ისწავლე?! – გაუკვირდა ბულიკას.

– „მაგრამ, რადგანაც კაცნი გვქვიან, – შვილნი სოფლისა“... – გახურებულ ტაფაზე დავჯდები, – დაპირდა ბულიკა. ექიმმა კარი ხმაურით გაიხურა, – აკი ნამდვილიაო? – ამოიოხრა ბულიკამ.

– სიზმარი ყოფილა! – თქვა ბაჩანამ.

– ნეტავ არ გაგვღვიძებოდა, – ინატრა ბულიკამ.

– მე მაგ ქალის თვალებში სატანა დავინახე! – გადმობრუნდა ბაჩანასკენ და ბულიკასკენ მოძღვარი, – ნამდვილად დავინახე სატანა, იცინოდა! – დაუმატა და ისევ გადაბრუნდა.

* * *

სამკურნალო ფიზკულტურის მთავარი ინსტრუქტორი ხუთი წუთის გასული არც იყო, პალატაში ექთანი ჟენია რომ შემოვიდა. ლანგარზე სამი პრიალა შპრიცი ეწყო, ქათქათა ბამბაზე გოჭებივით ერთმანეთის გვერდით მიწყობილი და რაღაც უცნაურად იღიმებოდა.

– კარდიოლოგიური სალამი! – თქვა მან და ლანგარი საერთო მაგიდაზე დადო.

– საქართველოს გულის კარდიოგრამას, ჟენიჩკას გაუმარჯოს! – მიესალმა ბულიკა.

– რაღაც კარგი ამბავი მოგაქვს, ჟენიჩკა, ისე გიჟუჟუნებს თვალები, – უთხრა ბაჩანამ.

– სენსაცია! – თქვა ჟენიჩკამ და ხალათის ჯიბეში ჩაკეცილ გაზეთზე დაირტყა ხელი.

– არიქა, გვიშველე უდაბნოსა შინა მყოფთ! – სასოებით გაიშვირა ხელები ჟენიასაკენ მამა იორამმა.

– ჯერ ნემსი, შემდეგ სენსაცია! – კატეგორიულად თქვა ჟენიამ

და ხალათის მკლავები დაიკოტავა, – აბა, გადაბრუნდით! – სამთავენი ერთად გადაბრუნდნენ, საბნები გადაიხადეს და საჯდომები გაიშიშვლეს, ჟენიამ ბაჩანასაგან დაიწყო.

– ვაჰ, დედას თქვენსა, ყოვებო!.. – გამოთქმით წაიკითხა ბაჩანამ და ნანემსარზე ხელი იტაცა.

– ქალბატონო ჟენია, სავალდებულოა ყუნწამდე ჩაყვანა? – ჰკითხა მამა იორამმა და ბალიშის ყურით ცრემლიანი თვალები მოიწმინდა.

– მაპატიეთ, ცოტა ხელი გამექცა, – მოუბოდიშა ჟენიამ.

– რაღა ჩემზე გაგირბის, ქალბატონო ჟენია, ხელი, ცოტა უღმერთო და ურჯულოა ამ პალატაში? – უსაყვედურა მოძღვარმა.

– მოთმინებითა შენითა, მამაო! – დაამშვიდა ჟენიამ და ბულიკას მიადგა.

– ჯერ ნემსი მაჩვენე და მერე! – შეევაჭრა ბულიკა. ჟენიამ ნემსი

– ესე იგი, უჭირდა და უშველეს, ანუ გაანთავისუფლეს! – თქვა

ბულიკამ.

– გაანთავისუფლეს და მისი საქმე პროკურატურას გადასცესო...
– დაუმატა ბაჩანამ.

– რათა, კაცო? – გაიკვირვა ბულიკამ.

– რესპუბლიკაში კადრების არასწორი შერჩევისათვის, კორუფციისა და მექრთამეობის მიმართ წაყრუებისათვის, სახალხო მეურნეობის

მოშლისათვის, პროტექციონიზმისათვის, მშრომელთა საჩივრების მიმართ გულგრილი დამოკიდებულებისათვის...

– მოიცა, მოიცა, ეგ ყველაფერი მარტო ნებიერიძეს დაბრალდა?
– შეაწყვეტინა ბულიკამ ბაჩანას.

– ჯერჯერობით ასეა!

– საღოლ, ძმაო, ერთი კაცის პირობაზე მაგრად უმუშავია, მერე

და ამდენ ხანს სად ვიყავითო?

– შენ თვითონ სად იყავი? – ჰკითხა მღვდელმა.

– მე მეკითხები? – გაშტერდა ბულიკა.

– ჰო, შენ გეკითხები, შენა ხარ მუშათა კლასი, ჩაქუჩი და ნამგალი. შენ ხარ და გეკითხები, სად იყავი მაშინ, ეგ კაცი რომ ასეთ საქმეებს ჩადიოდა.

– ჯერ ერთი, მე მუშათა კლასი არა ვარ, პოლიტიკურად უვიცო

მამაო, მე ვარ წვრილი ხელოსანი, მერეც მეორე, მე იმ დროს, ნებიერიძის

კარზე სიარულით გაცვეთილ თქვენს ტუფლებს ვაპაჩინკებდი...

– ეგ მე არ მეხება, – ხელი დაიბანა მამა იორამმა, – მე ჩემი კათალიკოსი მყავს, ეგ თქვენი კათალიკოსი იყო.

– რაიკომის მდივნებს რომ შვილებს უნათლავ ეკლესიაში და მაყუთს ღუნავ, ეგ როგორ არის? – ჰკითხა ბულიკამ.

– ეგ საქმე ჩვენ სულის ცხონებად გვეთვლება, ბრიყვო, ნეტავ

ყველა კომუნისტი მომანათვლინა და საიქიოში მამაზეციერის გვერდით დამსვამენ მთავარანგელოზები, – უპასუხა მღვდელმა საქციელწამხდარ ბულიკას.

– კარგი, შენ მღვდელი ხარ და არ გეხება, თქვენ სადღა იყავით, ბატონო ბაჩანა, – გადაიტანა იერიში ბაჩანაზე ბულიკამ. ბაჩანა მოულოდნელობისაგან დაიბნა.

– ვინ თქვენ? – ისე ჰკითხა, თითქოს შეკითხვა ვერ გაიგო.

– თქვენ, მწერლები!

– ჩვენა, ჩვენ... ჩვენ სად ვიყავით? – ბაჩანას მახსოვრობა გადაეკეტა, ნუთუ მართლა არაფერს ვაკეთებდით? ჰკითხა თავის თავს და იმ წუთში ვერაფერი გაიხსენა თავისი ნაწარმოებებიდან სასიკეთო. – ... დაიმოწმა ბარათაშვილი მოძღვარმა.

– მე რომ ჩვენი მთავრობა ვიყო, არა?.. ავიღებდი და ერთ გუნდს

სულაც თბილისელი სომხებისაგან შევკრავდი, აი, დალაქიანი რომ

იყო, ისეთ ჯიგრიან ბიჭებს შევარჩევდი, ეგენი არარატს სულ დედას უტირებდნენ, – წავიდა ოცნებაში ბულიკა.

– სხვა გვერდები ნახე, მამაო, ბულიკას თქმის არ იყოს, ეგ რა სენსაციაა? – უთხრა ბაჩანამ. მამა იორამმა გაზეთი შეატრიალშემოატრიალა, პირველ გვერდს დააკვირდა და გაშტერდა.

– არ მჯერა! – თქვა მან და გაზეთი სათვალეებიანად გადაუგდო ბაჩანას.

– რა არ გჯერა, მამაო? – გაუკვირდა ბაჩანას და სათვალე გაიკეთა სასწრაფოდ.

– ßå ìîæåò ÿûòü! – თქვა ბაჩანამ, გაზეთს რომ დახედა.

– ßòî íå ìîæåò ÿûòü, ომია? – იკითხა შეშინებულმა ბულიკამ.

– ნებიერიძე მოუხსნიათ! – თქვა ბაჩანამ და ისევ გაზეთს დააშტერდა,

– მდაა! – დააყოლა თქმულს, სტატია რომ ჩაათვალიერა.

– ეგ რომელი ნებიერიძე, ცეკაში რომ მუშაობდა? – ბულიკას თვალები შუბლზე აუვიდა.

– ის! – უპასუხა ბაჩანამ ისე, რომ გაზეთიდან თავი არ აუღია.

– ყველაზე დიდი განყოფილების გამგე? – ისევ იკითხა ბულიკამ.

– ყველაზე დიდი განყოფილების გამგე! – დაუდასტურა ბაჩანამ.

– ვა�ა! – გააგრძელა ბულიკამ და თავი გადაიქნია აქეთ-იქეთ.

– ეხლა მაგის ხალხს ისე დააცურებენ, როგორც ბალეტ ნა ლდუ!

– მართალი გითხრათ, არ მეგონა! – თქვა ბაჩანამ, სტატია რომ ჩაიკითხა და გაზეთი გვერდზე გადადო.

– მე კიდევ არ მჯერა! – თქვა მამა იორამმა, – გუშინ ქვეყანას აზანზარებდა, დღეს კი მოხსნეს, ჩემთვის გაუგებარია.

– მოხსნეს თუ გაანთავისუფლეს? – იკითხა ბულიკამ.

– გოგილაშვილო, რა მნიშვნელობა აქვს მოხსნეს თუ გაანთავისუფლეს, მთავარია, იყო კაცი და აღარ არი კაცი...

– მნიშვნელობა როგორ არა აქვს, ამხანაგო, – მიუბრუნდა მღვდელს ბულიკა, – განთავისუფლებაა, როდესაც გიჭირს და განთავისუფლებენ, მაგალითად, აფრიკა, უჭირს და ვანთავისუფლებთ. ეხლა ავიღოთ მოხსნა, მოხსნა რა არის? მოხსნაა, როდესაც მაგრად ზიხარ კრესლოში და ბოლტივით მოგაძრობენ, ან ლურსმანივით ამოგაძრობენ იმ კრესლოდან, გასაგებია? – განმარტა განთავისუფლებისა და მოხსნის არსი ბულიკამ.

– აქ წერია, რომ გაანთავისუფლეს! – თქვა ბაჩანამ და გაზეთს

გაშლილი ხელი
დაადო. 490 491

– ვინ იცის, იქნებ თქვა კიდევაც, მაგრამ, ალბათ, უთხრეს, შენ მიდი, კაცო და ჩვენ აქ არა ვართ, ყველანი მოგეხმარებითო, იმანაც აიღო და იკისრა, ეგეც რომ არ იყოს, კაპიტნობაზე უარის თქმა ძალიან ძნელია. მით უმეტეს, მაგის წინ რომ კაცი იყო, არც ის

გახლდათ ადმირალ ნელსონი. მწერლობაში რა, ეგრე არ არის?
– შეუბრუნა კითხვა ბულიკამ.
– საუბედუროდ, ხშირად ეგრეა! – დაეთანხმა ბაჩანა.
– ესე იგი, რა გამოდის?
– ყველამ თავის საქმეს უნდა მოუაროს და ყველამ ის
უნდა აკეთოს, რაც იცის. აკი უწერია სულმნათ
რუსთაველს: მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი
გულოვნობდესო!
გამოთქმით ღაღადჰყო მამა იორამმა.
– ბატონო იორამ, გაიკრიჭეთ ეგ წვერი და ეზიარეთ ჩვენს
მოძღვრებას, თქვენგან მშვენიერი კომუნისტი დადგებოდა, –
ღიმილით ურჩია ბაჩანამ.
– რომელი მოძღვრება, ღორმუცელობის და უქნარობის აპოთეოზი
– კომუნიზმი?! – შეიცხადა მღვდელმა, – მარტო მიწიერი
სწრაფვები, კუჭის ამოვსება და სულის უარყოფა?
– არ გცოდნია შენ, მამაო, რა არის კომუნიზმი. კომუნიზმი სწორედ ის
არის, რაც წეღან წაიკითხე. ის ბედნიერი ჟამი, როდესაც ადამიანს
საშუალება მიეცემა, მხოლოდ ის აკეთოს, რისი გაკეთებაც მას შეუძლია,
აკეთოს ის, რაც მის სულიერ და გონებრივ შესაძლებლობებს
შეესატყვისება და გამოხატავს, რაც სულიერ და ზნეობრივ ბედნიერებას
მოუტანს. ჩვენ რომ ვკითხულობთ, მამაო, კომუნისტები, იმ თქვენ
სახარებას, ხანდახან თქვენც წაიკითხეთ ჩვენი სახარება, იმ თქვენ
ღმერთს გეფიცებით, არ გაწყენთ. რაც შეეხება საჭმელსა და ადამიანის
მატერიალურ კეთილდღეობაზე ზრუნვას, ჩვენ, კომუნისტებს,
ყოველივე ეს იმიტომ გვჭირდება, რათა ადამიანი უზრუნველყოფილი
იყოს მატერიალურად, სხვა რამისათვის არ გაიხარჯოს, არ გაისარჯოს,
აკეთოს ის, რაც მისი ნიჭიერებისა და სულიერი სწრაფვის შესაბამისია,
ქვეყნად სუფევდეს მშვიდობა, თავისუფალი შრომა და არა ქიშპი და
სისხლის ღვრა. აი ეს არის, მამაო, ჩვენი მოძღვრება და ჩვენი რელიგია,
ეს არის ჩვენი ღმერთი, მიწიდან აღმოცენებული და არა ცაში
გამოკიდებული, – დაამთავრა ბაჩანამ თავისი სიტყვა და კედლისკენ
გადაბრუნდა, რომ მღელვარება დაეფარა.
მეც, ჩემო ბულიკ, შენთან ვიჯექ და იმ გაცვეთილ
ფეხსაცმელებს ვაპაჩინკებდი. – თქვა მან სინანულით.
– მეც მანდა ვარ! – გაუხარდა ბულიკას, – ეხლა ის მითხარით,
მაგ კაცს რას უზამენ?
– ალბათ, დასჯიან! – მხრები აიწურა ბაჩანამ.
– რისთვის?
– წეღან არ გითხარი?
– გამოდის, რომ არაფერი არ იცოდა, ტყემალზე იჯდა და ისე

მართავდა თავის განყოფილებას? – იკითხა ისევ ბულიკამ.
– ეგრე გამოდის! – თქვა ბაჩანამ.
– გამოდის თუ ეგრეა? – არ მოეშვა ბულიკა.
– ეგრეა! – დაუქნია თავი ბაჩანამ.
– ეხლა მე მისმინეთ, თუ ეგრეა, მე მაგას მოვხსნიდი კი არა,

ქების სიგელს მივცემდი, კარგ ორდენსაც მივცემდი, კარგ პენსიასაც დავუნიშნავდი, ძალიან დიდ მადლობას ვეტყოდი, ხელსაც მაგრად ჩამოვართმევდი, აქეთ-იქით ლოყაზეც მაგრად ვაკოცებდი და ისე გავუშვებდი...
– რა დამსახურებისათვის? – გულწრფელად გაუკვირდა ბაჩანას.

– როგორ თუ რა დამსახურებისათვის! – წამოჯდა ლოგინზე ბულიკა, – აი თქვენ, მწერალი რომ ბრძანდებით და რედაქტორი, ბაჩანა რამიშვილი, ჩრდილოეთი არ იცით, სად არის ხეირიანად, სამხრეთი, აღმოსავლეთი და დასავლეთი, კიდევ უარესი, თქვენს სიცოცხლეში თვალით არ გინახავთ არც ზღვა, არც ოკეანე და არც პარახოდი. უცებ გეძახიან და გეუბნებიან, ამხ. რამიშვილო, აი, თქვენ პარახოდი, მისი ეკიპაჟი, მისი ავლა-დიდება, თქვენ გნიშნავთ ამ

პარახოდის კაპიტნად და ეს პარახოდი ოდესის პორტიდან არხანგელსკში მიიყვანეო. თქვენც აიღეთ და ეს პარახოდი ოდესიდან არხანგელსკში წაიყვანეთ. მიგყავთ და მიდიხართ, მიგყავთ და მიდიხართ... გზაში ხან იქით მიასკდით, ხან აქეთ მოასკდით. მგზავრებსაც აქა-იქ გული აერიათ, ბოლოს ეს პარახოდი, მინგრეულ-მონგრეული, არხანგელსკში მაინც მიიყვანეთ, ეხლა მე გეკითხებით, ამ დარგში კრეტინი თუ იყავით, ანუ კაპიტნად რომ არ ვარგოდით და ეს პარახოდი სულაც რომ არ ჩაძირეთ, ორდენი არ გეკუთვნით? – გეკუთვნით! – თვითონვე გასცა თავის შეკითხვას პასუხი ბულიკამ. ბაჩანას სიცილი აუვარდა, – ერთი ჰკითხე, მამაო იორამ, რა აცინებს! – მიუბრუნდა მღვდელს ბულიკა.
– მართალი ხარ, ჩემო ბულიკ, მაგრამ იმ კაცს, კაპიტნად რომ ნიშნავდნენ, ხომ უნდა ეთქვა, კაპიტნობა არ ვიცი, თავი დამანებეთო,

– ჰკითხა
ბაჩანამ. 492 493

სწავლობს? – სწავლობს; სკოლაში ფრანგულს ასწავლიან? – ასწავლიან; ცოტა ქურთულიც იცის, ჩვენი მეეზოვის ფიზულას გოგოსაგან, გვანცასაგან, სწავლობს, – ჩამოთვალა თითებზე ბულიკამ,
– ეხლა მითხარით, რომელმა ჩვენმა მინისტრმა იცის ამდენი ენა?! შენ რას იტყვი, მამაო? – მიუბრუნდა მამა იორამს.
– ღმერთმა გაგიზარდოს! – დალოცა მოძღვარმა.
– ეგ გოგო, ბიჭი? ბიჭი ნამდვილი პაგანინი მეზრდება.

– პაგანინი სკრიპკაზე უკრავდა, აზიზ, ჩვენი ბიჭი კი პიანინოზეა,
– გაუსწორა ქმრის უმეცრებით შეწუხებულმა ცოლმა.

– ნუ მასწავლი, შენზე კარგად ვიცი, მაგრამ ისიც ხომ იცი, რომ პაგანინის დილიხორი ვარ, ავიღებ და გაისად ვიოლონჩელოზე გადავიყვან, სულაც ფულის საქმე არ არის? მერე რაღას იტყვი? – გაუჯავრდა ცოლს ბულიკა.

– შენ როგორც იტყვი, აზიზ, ისე იქნება, ოღონდ ნუ ნერვიულობ,

– დაეთანხმა ცოლი, – პროფესორმა მითხრა, ამ კვირაში ფეხზე დავაყენებთ და მეორე კვირაში სახლში გაგატანო, თუ დაგვიჯერა და თვითონაც ხელი თუ შეგვიწყოო...

– მეტი რა ხელის შეწყობა უნდა დალოცვილს, ყველა წამალს

ვსვამ, ყველა ნემსს ვიკეთებ, ნახე, საჯდომი რას მიგავს, – წამოიხადა საბანი ბულიკამ და ცოლს დალურჯებული უკანალი აჩვენა.

– რა ვქნა, ბატონო, სახლშიც ასეთი უზრდელია, აპატიეთ, თქვენი ჭირიმე, – სთხოვა დარცხვენილმა სვეტამ ბაჩანას და მამა იორამს.

– რა პატიება უნდა, ქალბატონო, ჩვენც მაგ დღეში ვართ!

– დაამშვიდა ბაჩანამ.

– გარდა მაგისა, ჩემო სვეტა, პროფესორმა არ იცის და სიარული

უკვე დიდი ხანია შემიძლია, – გააგრძელა ბულიკამ დაწყებული საუბარი. შიშველი ფეხები ლოგინიდან იატაკზე გადმოალაგა, წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა, – აჰა! – დააყოლა.

– კიდევ რა გავაკეთო? – იკითხა ბულიკამ და პალატაში მიიხედმოიხედა,

– აბა, ადექი! – უთხრა გაკვირვებულ სვეტას. სვეტა ადგა,

ბულიკა წელში ეცა.

– არ ქნა, არ ქნა! – უყვირა განწირული ხმით მამა იორამმა, მაგრამ უკვე გვიან იყო, ბულიკამ ჰაერში აიტაცა ცოლი და ყელზე

აკოცა. სვეტამ მოულოდნელობისაგან შეჰკივლა, თან სირცხვილისაგან ალმურმა დაუფარა სახე. ბულიკამ კიდევ რამდენიმეჯერ შეათამაშა ცოლი ჰაერში და მერე თავის ადგილზე დასვა.

– აჰა, ხომ ხედავ, რა კარგად ვარ, ერთი კვირა კი არა, ხვალ

შარვალი მომიტანე და მაგათ დაუკითხავად წამოვალ, მეყო ლოგინში

– ღმერთმა კარგი ყურით გისმინოთ, ბატონო ბაჩანა! – ვეღარ გაუბედა შეკამათება მღვდელმა და თვითონაც კედლისკენ გადაბრუნდა. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, ვეღარ მოითმინა და მაინც თქვა:

– ისე, რომ იცოდეთ, ბატონო ბაჩანა, არც თქვენ იქნებოდით ცუდი მღვდელი.

* * *

საღამოს ბულიკასთან მისი მეუღლე სვეტა მოვიდა, უამრავი ხორაგით დატვირთული. ყველას მიესალმა, ყველას თავ-თავისი წილი ძღვენი მიართვა, შემდეგ ბულიკას ფეხებთან საბანი გადაკეცა და მორიდებით ჩამოჯდა საწოლზე.

– როგორა ხარ, აზიზ? – ჰკითხა ამაყსა და სიხარულისაგან

გაბადრულ ბულიკას.

– ისე ვარ, როგორც მამალი ლომი! – უპასუხა ბულიკამ. ნათქვამის დასადასტურებლად მოხარშულ ქათამს უზარმაზარი ბარკალი აახლიჩა, პირში გამოისვა და გაძარცვული ძვალი ცოლს გადასცა.

– არ დაიხრჩო, ოხერო! – შეეშინდა სვეტას.

– არხეინად იყავი! – დაამშვიდა ბულიკამ და ქათამს მეორე

ბარკალი მოაგლიჯა, – როგორი ცოლი მყავს, ბატონო ბაჩანა?

– ჰკითხა გამოტენილი პირით.

– ძალიან ლამაზი, – უპასუხა ბაჩანამ ღიმილით.

– ეგეთი ლამაზი სომეხი ქალი გინახავთ?

– ძალიან იშვიათად.

– ეგ ერთი იყო და მე წამოვიყვანე.

– შენ ვინ დაგიკავებდა ქალს, – ირონიულად გაუცინა მამა იორამმა.

– ეგ რა არის, თქვენ საყვარელი ნახეთ! – მიუბრუნდა მამა

იორამს ბულიკა და მერე ეს ხუმრობა რომ არ სწყენოდა, სვეტას თვალი ჩაუკრა.

– ნეტამც მაგ გულის კარგად ყოფნით ეგ ენა გაგიხმებოდეს და თვალი დაგეფსებოდეს, – დალოცა სვეტამ.

– ბავშვები სად არიან, რატომ თავის მამასთან არ მოვიდნენ?! –

იკითხა აშკარად მოგონილი სიბრაზით ბულიკამ, ლუკმა რომ გადაყლაპა.

– ბავშვები სად იქნებიან, ავთანდილჯან, ხომ იცი, დღეს შაბათია, ნესტანი ინგლისურზეა, ტარიელი კი – ფორტეპიანოზე... – ბულიკამ სიამაყით გადახედა ბაჩანასა და მამა იორამს.

– გოგო მეზრდება, ბატონო იორამ, մèíèñòð èíîñòðãíîûõ ãåë,

სომხური იცის? – იცის; ქართული იცის? – თავისთავად; ინგლისურს

494 495

გულშეღონებულმა თავი მყინვარს მიასვენა და ასე დარჩა, კავკასიონის ვეებერთელა თეთრ სარეცელზე გაშოტილი.

მთელი კაცობრიობა მისჩერებოდა სულთმობრძავ მზეს. შავი სათვალეებითა და გამურული შუშებით, იგი, როგორც ყველა მომაკვდავი, სიკვდილის წინ ათასგზის დამშვენებულიყო, გათვალწარმტაცებულიყო, ნათელით ავსილიყო და ამ აგონიაში მისი ცქერა ჩვეულებრივი თვალით თითქმის შეუძლებელი იყო. ადამიანები იდგნენ ქალაქის ქუჩებში, ხიდებზე, მინდვრებში, შუკებში, სახლის სახურავებზე. ბავშვები ხის ტოტებზე შემსხდარიყვნენ, დედის მომლოდინე ბარტყებივით და პირდაფჩენილები უცქერდნენ, როგორ კვდებოდა მზე.

– მზეო, ნუ მიგვატოვებ! – გმინავდა კაცობრიობა, მაგრამ მისი ხმა ვერ აღწევდა მზემდე. მზეს არ ესმოდა, რას სთხოვდნენ ადამიანები, იგი მხოლოდ მათ გამოწვდილ ხელებსა და შეშინებულ თვალებს ხედავდა.

– რა უნდათ? – ჰკითხა ჭირისუფალს თვალდაბინდულმა მზემ.

– ნუ მიგვატოვებო, გევედრებიან! – უპასუხა ქვითინით ბაჩანამ.
– გვიანია!.. – თქვა მზემ და ცალი თვალი ჩაუქრა.

– არ დაგვღუპო, სიცოცხლის მომნიჭებელო! – ჩაუვარდა მუხლებში მამა იორამი.

– მაინც რა მოგდის, მზეო, რა გტკივა, გვითხარი, – ჰკითხა ტირილით ბულიკამ.
– დედამიწა მტკივა, – თქვა მზემ, – დედამიწა!

– მერე და დედამიწის ტკივილიც და სიცოცხლეც შენ ხელთ არ არი, დალოცვილო? – უთხრა მამა იორამმა. მზეს ოდნავ გაეღიმა და უსიცოცხლო ხელი მკერდზე დაიდო.

– დედამიწა ჩემი გულია, მე დიდი ხანია უკვე ვკვდები, ჩემ გარშემო ყველა პლანეტა, ჩემი სხეულის უჯრედი და შემადგენელი

ნაწილი მკვდარია უკვე უთვალავი საუკუნეა. მხოლოდ დედამიწა სუნთქავს ჩემში, ერთადერთი ნაწილი ჩემი სხეულისა სუნთქავს, ცოცხლობს და მაცოცხლებს... ნუთუ თქვენ, ადამიანები, ამდენი საუკუნეა რომ მომჩერებიხართ და თაყვანს მცემთ, ვერ ხედავთ ამას, ვერ გრძნობთ ამას და ვერ ხვდებით ამას?! – გაუკვირდა მზეს.
– მაშ, შენ თვითონ ვინღა ხარ და რა ხარ, მზეო? – ჰკითხა

განცვიფრებულმა ბაჩანამ.

– მე სიყვარულით გარდაცვლილ ადამიანთა აალებული და მოგიზგიზე სული ვარ. ჩემი სიცოცხლე სიყვარულით გარდაცვლილ ადამიანთა სულით საზრდოობს... უკვე რამდენი ხანია დედამიწაზე სიძულვილით მეტი ადამიანი კვდება, ვიდრე სიყვარულით, დედამიწაზე დაიშრიტა

წყარო ჩემი მაცოცხლებელი სიყვარულისა, დადგა ჟამი ჩემი გარდაკოტრიალი!
– თქვა ბულიკამ და საწოლზე ჩამოჯდა, მძიმედ სუნთქავდა,

მაგრამ სახეზე უზომო კმაყოფილება ეხატა. ამდენი წოლის შემდეგ თავად არ ელოდა ასეთ ეფექტს.

– ეგ რა ჰქენი, ბრიყვო? – ჰკითხა სინანულით, შეწუხებულმა მღვდელმა. ბულიკამ მაჯა გაისინჯა, ერთხანს გალურსული იჯდა, მერე კმაყოფილმა გაიღიმა და თქვა:
– მორჩა, გათავდა ჩემი ინფარქტი, სიცოცხლეს გაუმარჯოს! –

მერე ორთავე ხელი გაშალა და ცოლი ისევ ჩაიკრა გულში.

– კარგი, კაცო, ეგ ხალხი ნუ გადარიე! – გაუჯავრდა ცოლი. თავი გაინთავისუფლა ქმრის ხელიდან და თმის სწორება დაიწყო, ბაჩანა და მამა იორამი კედლისაკენ გადაბრუნდნენ.

– სვეტა, რაღაც ზომაზე მეტად მძიმე მეჩვენე, აი, ამ ჩემს ავადმყოფობაში რამე ხომ არ გიეშმაკია, ჰა, ხომ იცი ჩემი ამბავი! – ბულიკამ განგებ შეიჭმუხნა შუბლი და ცოლს თითით დაემუქრა, თან თვალი ჩაუკრა, არ გეწყინოსო.

– ღმერთო, რატომ მე ყურებს არ გამიხმობ და ამ სალახანას კი

– ენას, – ხელები გაასავსავა სვეტამ. ბულიკამ ხმამაღლა გადაიხარხარა, მერე ბაჩანასა და მამა იორამს მიუბრუნდა:
– გადმობრუნდით, ბატონებო, კომედია დამთავრებულია!
10

მზე უზარმაზარ ვერცხლის სარეცელზე ესვენა და მძიმედ სუნთქავდა. სასთუმლად მარად თოვლიანი მყინვარწვერი ედო. შვიდფეროვანი ცისარტყელით შუბლწაკრულს, ღონემიხდილი მკლავები სარეცლის ორთავე მხარეს გადაეყარა და თავზე სამად სამი ჭირისუფალი ადგა – ბაჩანა, მამა იორამი და ბულიკა. მზე სულს ღაფავდა.

სარეცლის წინ მუხლმოყრილი ჭირისუფალი ცაში ხელაპყრობილი ევედრებოდა სულთმობრძავ მნათობს.

– მზეო, ნუ დაგვტოვებ, არ გარდაიცვალო, მზეო დიდებულო! – მათ თვალთაგან ჩამოდენილი ცრემლები აქაფებულ მდინარეებად იღვრებოდნენ კავკასიონის ქედიდან ამერ-იმიერ და ღრიალითა და

ქუხილით ეშვებოდნენ ქვევით, ქვევით კი ნისლსა და ბურუსში გახვეული დედამიწა ბრუნავდა.
მზე უზარმაზარ ვერცხლის სარეცელზე იწვა და ვეღარ დგებოდა.

იგი დილით ამობრძანდა კავკასიონზე, ფეხის წვერებზე აიწია და ის-ის იყო უნდა გაფრენილიყო ცის ლაჟვარდში, რომ მკერდში საშინელი ტკივილი იგრძნო. მზემ ჯერ ცალ მუხლზე დაიჩოქა, მერე – მეორეზე.
496 497

ძალიან პატარა, მის ჩრდილს ამოფარებული. უმზეოდ დარჩენილი კაცობრიობა განცვიფრებული შესცქეროდა ჩამქრალი მზის სამეფოში დაბადებულ ორ შავ დისკოს... ბაჩანამ ერთში გარდაცვლილი მზე იცნო, მეორეში კი მის მკერდზე სიყვარულად გამლღვალი ბულიკა. იცნო და მწარედ აქვითინდა.
– ადამიანებო, შეიყვარეთ ერთმანეთი! – იკივლა მან განწირული ხმით და ყინულივით ცივ დედამიწაზე დაემხო.

ბაჩანას არ ახსოვს, რამდენ ხანს იწვა ასე, მაგრამ როდესაც ბეჭებზე ძალიან შორეული, მაგრამ საოცრად მშობლიური სითბო იგრძნო,

გულაღმა გადმობრუნდა და ცრემლით დაბინდული თვალებით ახედა ზეცას. შავი დისკო მუქი სპილენძისფერი გამხდარიყო, იგი თანდათან

ხურდებოდა, წითლდებოდა, ვარვარდებოდა, ყვითლდებოდა და ნათდებოდა. მის შესაბამისად იქცეოდა პატარა დისკოც და როდესაც დიდმა დისკომ უკიდურეს სივარვარეს მიაღწია, კვლავ მზედ იქცა და თავზე შარავანდედი დაიდგა, მაშინ პატარა დისკო ცას მოსწყდა, როგორც

ბედის ვარსკვლავი და დედამიწაზე დაეშვა... დედამიწაზე გათენდა. მზე კვლავ იდგა კავკასიონის თავზე გაფითრებული, ნაავადმყოფარი, მაგრამ ცოცხალი. მზე სუნთქავდა, მზეს კვლავ უცემდა გული.

– დიდება შენ, სიყვარულისა და სიცოცხლის მომნიჭებელო მზეო, დიდება შენ, სიცოცხლეო! – ღაღადყო ბაჩანამ და მზისკენ გაიშვირა

ორთავე ხელი... – ბაჩანა ტიროდა და იცინოდა...
* * *

– ბატონო ბაჩანა, ბატონო ბაჩანა, გაიღვიძეთ, – ანჯღრევდა ბაჩანას შეშინებული მამა იორამი. ბაჩანამ ცრემლიანი თვალები გაახილა,

ერთხანს გაოგნებული იწვა, მერე გონს მოეგო და ლოგინზე წამოჯდა. გული საშინლად უცემდა. პალატაში გარიჟრაჟი შემოპარულიყო, მაგრამ ოდნავ ბნელოდა მაინც.

– რა მოგივიდათ, ბატონო ბაჩანა, მთელი ღამე ბორგავთ, ხან ტირით, ხან იცინით, რამე ხომ არ ნახეთ ცუდი სიზმარში? – ბაჩანამ

ლოყებზე ღვარად ჩამოდენილი ცრემლი პერანგის სახელოთი მოიწმინდა და უაზროდ გაიღიმა. მამა იორამი თავის საწოლს დაუბრუნდა და დაწვა.

– საოცარი სიზმარი ვნახე, ბატონო იორამ, ისეთი სიზმარი კოპერნიკს შეშურდებოდა...
– ასეთი რა ნახეთ, ბატონო ბაჩანა? – ჰკითხა მამა იორამმა და სასთუმალი გაისწორა.

ცვალებისა. გააცოცხლეთ სიყვარული დედამიწაზე როგორმე, თუ შეგიძლიათ და მე აღვსდგები კვლავ მკვდრეთით... მე გევედრებით თქვენ, ადამიანებს, მე – მზე. დამიბრუნეთ სიცოცხლე ჩემი, დედამიწაზე სიყვარულად აღმოცენებული... დამიბრუნეთ სიყვარული და მე კვლავ დაგიბრუნდებით თქვენ... – მზემ სუნთქვას მოუხშირა, ახლა იგი ძლივსღა ფეთქავდა, მხოლოდ ცალი თვალით გადმოსცქეროდა ქვეყნიერებას.

– მზეო, ნუ მიგვატოვებ, გემუდარებით, ჩვენ გვეყვარება ერთმანეთი და სიყვარულით გარდავიცვლებით აწ და მარადის, ოღონდ ახლა ნუ მიგვატოვებ, მზეო... – ჩვენ წავალთ ახლა, ავთანდილი, მამა იორამი და მე, წავალთ შენი სახელით, მოვივლით მთელ კაცობრიობას და ვთხოვთ, რომ სიყვარული დაგიბრუნონ... მე ვიცი, მზეო, კაცობრიობა შეისმენს შენს თხოვნას, დაივიწყებს სიძულვილს და ხელმეორედ

დაიწყებს სიყვარულის თესვას. ოღონდ შენ თესლი და საგზალი გაგვატანე, მზეო!.. – სთხოვა თავზარდაცემულმა ბაჩანამ, მაშინ მზემ თავისი მხურვალე ხელი თავზე დაადო ბაჩანას და ბაჩანამ იგრძნო, როგორ გადმოიღვარა მის ძარღვებში მზის მხურვალება, როგორ აივსო უზომო სიყვარულით და როგორ გადმოსახლდა მომაკვდავი მზე მის სხეულში. მზემ უკანასკნელად გაიბრძოლა და მეორე თვალიც ჩაუქრა. და უცებ მოხდა ყველასათვის მოულოდნელი რამ: ბულიკა წამოდგა ფეხზე, მკერდზე დაემხო ჯერ ისევ თბილ მზეს ქვითინით და სთხოვა:
– წამიყვანე თან, მზეო, მე არ შემიძლია უშენოდ სიცოცხლე.

მიმიღე შენს წიაღში, როგორც სიყვარული და წამიყვანე... გემუდარები, მზეო, – და შეძრწუნებულმა ბაჩანამ და მამა იორამმა დაინახეს, როგორ გალღვა ბულიკა მომაკვდავი მზის მკერდზე, როგორ დაიღვარა

სხივებად და როგორ შეცურდა მზესთან ერთად ცისარტყელას შვიდფეროვან შარავანდედში.

ოცი საუკუნე ქრისტემდე და ოცი საუკუნე ქრისტეს აქეთ დაატარებდნენ გარდაცვლილ მზეს – ცისარტყელას ბაჩანა და მამა იორამი ქვეყნიერებაზე და მდუღარე ცრემლით ევედრებოდნენ კაცობრიობას სიყვარულსა და სათნოებას, რათა გარდაცვლილი მზე დაებრუნებინათ დაობლებული ცის კაბადონისათვის და სინათლე დედამიწისათვის. ქუდმოხდილი კაცობრიობა დუმილით მიაცილებდა საკუთარ სიცოცხლეს მზეთა სასაფლაოზე, რადგან დედამიწაზე არ აღმოჩნდა მისი სამყოფელი და განსასვენებელი... და ბოლოს, როდესაც ბაჩანამ და მამა იორამმა ვერცხლის სარეცელზე დასვენებული მზე

მიიტანეს მზეთა სასაფლაოზე და მისთვის გამზადებულ, თეთრი ღრუბლის უკიდეგანო და უსასრულო აკლდამაში შეაცურეს, ჩამქრალ ცის კაბადონზე ორი შავი დისკო გამოისახა, ერთი დიდი, ვეებერთელა, მეორე კი

32. ნ. დუმბაძე, ტ. II

498 499

მღვდელმა და პალატის კარი გააღო... – ბაჩანამ თავზე საბანი გადაიფარა, პირქვე დაემხო და რომ არ ებღავლა, ბალიშის ყური ჩაიჩარა პირში...

. . . . . .

საოცარია პირდაპირ, თვალღიად დარჩენილი მიცვალებული ფანჯრებგაფეთქილ და პატრონის მიერ მიტოვებულ სახლსა ჰგავს...
– თქვა მამა იორამმა, როდესაც ბულიკა პალატიდან გაიტანეს.

11

ნაბახუსევი ვერელი ბიჭები აფთიაქის წინ იდგნენ, მელიქიშვილის ქუჩაზე, კამათობდნენ, კამათი ხაშიდან დაიწყო. ციცკა ამტკიცებდა, რომ პახმელიიდან გამოსვლის საშუალებათა შორის ხაში კაცობრიობის ყველაზე დიდი მონაპოვარია. კოკა და კოპლიკა ციცკას უჭერდნენ მხარს. ქოფაკა უფრო უშაქრო ჩაისაკენ იხრებოდა. ბაჩანა პახმელიიდან

გამოსვლის უებარ საშუალებად ბორჯომს თვლიდა, ბერძენა – ნაბეღლავის წყალს, ხოლო დათიკო – კონიაკსა და ასპირინს. როდესაც ყველა წინადადებას კენჭი ეყარა, ცხადია, ციცკამ გაიმარჯვა, რადგან უმრავლესობა მის მხარეზე იყო, მაგრამ ეს არაფერს არ ნიშნავდა, ყველა საკუთარი მოსაზრების ერთგული რჩებოდა. ამრიგად, ბიჭები ჯგუფების მიხედვით ასე განაწილდნენ:

1. ხაშისტები – ციცკა, კოკა, კოპლიკა.
2. ჩაისტები – ქოფაკა.
3. ბორჯომისტები – ბაჩანა.
4. ნაბეღლავისტები – ბერძენა.
5. კონიაკისტები და ასპირინისტები – დათიკო.

კიდევ იყო ბიჭების ერთი ჯგუფი, რომლებიც „პახმელიაზე“ გამოსვლის ყველაზე უებარ საშუალებად გოგირდის აბანოს თვლიდნენ,

მაგრამ მათი რიცხვი იმდენად დიდი იყო, რომ კონკურსს გარეშე იდგნენ, გარდა ამისა, ამ ჯგუფის წევრები იმდენად პრაქტიკულები იყვნენ, რომ ამჟამადაც გოგირდის აბანოებში იმყოფებოდნენ. როდესაც კამათმა ღვინოებზე გადაინაცვლა, პირველ ადგილზე ერთხმად დალოცვილი რვა ნომერი გავიდა.

რა თქმა უნდა, პოლიტიკასაც შეეხენ. აქაც არ იყო დიდი ერთსულოვნება, მაგრამ მაინც, ცოცხალ პოლიტიკურ მოღვაწეთა და სარდალთა შორის ადგილები ასე განაწილდა:

1. სტალინი.

– მზის გარდაცვალება.

– რა ბრძანეთ? – მამა იორამს ეგონა, მომეყურაო.

– მზე გარდაიცვალა, მამაო, მზე და თუ იცით, ვინ იყო მისი ჭირისუფალი?

– ვინ? – ჰკითხა იორამმა.

– მე, თქვენ და ბულიკა, სხვა არავინ...

. . . . . .

მთელი საათი უგდებდა ყურს მამა იორამი ბაჩანას. არც ერთი სიტყვა არ დაუძრავს, არც ერთი შეკითხვა არ მიუცია მამა იორამს,

მხოლოდ მაშინ გამოისახა პირჯვარი რამდენიმეჯერ, როდესაც ბაჩანამ მზის პირით დაილაპარაკა. ბოლოს თავქვეშ ამოიდო ხელები და გარინდული ფართოდ გახელილი თვალებით ჭერს მიაშტერდა.

– ღვთიური სიზმარი გინახავთ, ბატონო ბაჩანა, – თქვა ბოლოს.

– ეს უკვე მეორედ, – თავი დაუქნია დასტურის ნიშნად ბაჩანამ.

მამა იორამი ისევ დადუმდა... უცებ წამოიჭრა საწოლიდან და ბულიკას საწოლს მიუახლოვდა ფეხაკრეფით. ბულიკა თვალღიად იწვა. საოცრად ფერმკრთალი და მშვიდი სახე ჰქონდა.

– ავთანდილ! – თქვა წყნარად მამა იორამმა. ბაჩანას გაუკვირდა, არც მას, არც მამა იორამს ბულიკასათვის იმის შემდეგ, რაც ბულიკამ სთხოვა, ავთანდილი არ დამიძახოთო, ასე არ მიუმართავთ. რაში დასჭირდა ახლა მღვდელს ბულიკასადმი ასე მიმართვა, მისთვის გაუგებარი იყო.

– ავთანდილ! – აუწია ხმას მამა იორამმა.

– ნუ გააღვიძებთ, ბატონო იორამ, მაგას ცალკე მოვუყვები, – უთხრა ბაჩანამ.

– ავთანდილ, ბიჭო! – ხელი შეახო მამა იორამმა.

– რა მაგრად სძინავს! – თქვა ბაჩანამ.

– სძინავს, ბატონო ბაჩანა, მაგრად სძინავს და თქვენც გადაბრუნდით და დაიძინეთ.

– აწი, რაღა დამაძინებს, მამაო?

– გადაბრუნდით კედლისაკენ, მე თქვენ გეუბნებით, გადაბრუნდით!

– უკანმოუხედავად უბრძანა მღვდელმა, მერე ათრთოლებული ხელი თვალებზე დააფარა ბულიკას და ფრთხილად ჩამოუსვა ცივ სახეზე.

– რა მოხდა, მამაო! – დაკარგული ხმით ჰკითხა ბაჩანამ და საშინელმა ეჭვმა საფეთქლები აუწვა.

– სიზმარი აგიხდათ, ბატონო ბაჩანა, მზე გარდაიცვალა! – თქვა

– როგორ, მამაძალი, მაშ, მე რომ მამაჩემს ვგავარ, ის კიდევ მამამისს, ბაბუაჩემი კი თავის ბაბუას, ეგ ჯიში არ არის? – თქვა ბაჩანამ.

– ეგ უჯიშობაა! – ჩაიხითხითა ქოფაკამ. საუბედუროდ, ქოფაკას უჯიშობას ვერ დააბრალებდი, ისტორიის სახელმძღვანელოებში რომ გიორგი სააკაძის გრავიურაა, იმას ჰგავდა, და ბეჭები ჰქონდა ხუთი მტკაველი. არაბული ცხენივით ბერავდა ცხვირის ნესტოებს და აბრიალებდა თვალებს. ვერიდან ნავთლუღამდე ჩხუბით რომ აეარა, კაცი არ იყო ამხელა მანძილზე მისი გამლახველი.

– ჯიში რომ არ არსებობს, ეგ ყველაზე უფრო უჯიშოებს აწყობს!

– თქვა კატეგორიულად ციცკამ.

– გამოდის, რომ მე და კოპლიკა უჯიშოები ვართ, არა? – იწყინა კოკამ.

– შენ, ლოთიანად, შარზე ხომ არა ხარ, თვითონ ამბობ, ჯიში არ არსებობსო, რასა არ არსებობს, გენები არ არსებობსო, ახლა აქეთ გვეშუხურები?! – ჰკითხა ქოფაკამ და ცხვირწინ ლავაშის ტოლა ხელი აუქნია კოკას.

– მორჩით ბაზარს, აგერ პროფესორი იმედაშვილი მოდის და იმას ვკითხოთ! – დააწყნარა მოკამათეები ბერძენამ.

– ვინ ჰკითხავს? – დაინტერესა კოპლიკას.

– მე არა, ბერძენამ ჰკითხოს, – სასტიკად იუარა ქოფაკამ.

– ციცკამ ჰკითხოს, მაგას მიამიტი ფრიადოსანი სტუდენტის სიფათი აქვს. – წამოაყენა ბერძენამ თავისი კანდიდატურა.

– რაშიაც არ ვკითხავ! – თქვა ციცკამ, ბიჭებს გამოეყო და

იღლიაში შავპორტფელამოჩრილი პროფესორის შესახვედრად მოემზადა. პროფესორმა ისე ჩაუარა ვერელ ბიჭებს, გვერდზედაც არ გაუხედავს. მაშინ ციცკა წინ გადაუდგა და მოწიწებით მიესალმა.

– სალამი, პატივცემულო პროფესორო!

– გამარჯობათ! – თავი დაუკრა პროფესორმა.

– ძალიან დიდ ბოდიშს გიხდით, პატივცემულო, მაგრამ ჩვენ აქ, ბიჭებს ერთ საკითხზე დავა გვაქვს, ვერაფრით ვერ მოვრიგდით და თქვენი აზრი გვაინტერესებს...

– აქ, ქუჩაში? – გაიხედ-გამოიხედა პროფესორმა და ცხვირზე ჩამოჩოჩებული სათვალე შუათითით გაისწორა.

– აქეთ მობრძანდით! – მიიპატიჟა ციცკამ, მკლავში ხელი გაუყარა და ბიჭებთან მიიყვანა, ბიჭებმა მორიდებით მიიწ-მოიწიეს და აფთიაქის გაჯჩამოშლილ კედელთან ადგილი დაუთმეს.

– ბრძანეთ! – თქვა პროფესორმა და შავი პორტფელი ერთი 2. ჩერჩილი.

3. ეიზენჰაუერი.

4. დე გოლი.

5. ჟუკოვი – ჟუკოვს კონკურენციას მონტგომერი უწევდა, მაგრამ ორი ხმა დააკლდა და მეექვსე ადგილზე გადაინაცვლა. ყოველ შემთხვევაში, ხუთეულში ვერ მოხვდა. პოლიტიკიდან ფეხბურთზე გადავიდნენ. აქ საქმე უფრო იოლად წავიდა. მსოფლიოში მხოლოდ ერთი კაცი აღმოჩნდა ისეთი, რომელიც ვერელი ბიჭების ყველა

სპორტულ, მორალურ და ზნეობრივ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა. ასეთი კაცი ბორის პაიჭაძე გახლდათ. ხელოვნებაზეც იკამათეს, მაგრამ აქ, როგორც ყოველთვის, აშკარა უპირატესობა ბერძენას მხარეს იყო და კამათის დასასრულს უზენაესი გვირგვინი ორ კაცს დაედგა თავზე:

შოთა რუსთაველსა და მიქელანჯელოს, რომელსაც ბერძენა მოფერებით მიქელას ეძახდა.

... და როდესაც მათ წინ ვერელი მენავთის აპოლონ ქავჟარაძის ჯიშიანმა ქალმა, გურანდამ ჩაიარა მაღალი თეძოების რხევით, მოღერებული ყელით და თან ვერელი ბიჭების სული გაიყოლა, კამათმა გენეტიკაზე გადაინაცვლა.

– არა თქვათ, ძმაო, ჯიში არ არსებობსო, ნახეთ, ჯეირანს არა

ჰგავს, ახლა მაგისი შვილი რა იქნება?! – აღტაცებით წამოიძახა ციცკამ და ერთი ფეხიდან მეორეზე გადაინაცვლა.

– ჯიში არა, ნიახური, როგორც მაგას მამამისი აჭმევს და აცმევს, ისე ჩამაცვი, მაჭამე, მერე მოდი და მნახე... – თქვა კოპლიკამ, თან

პაპიროსის ნამწვი წკიპურტით ქუჩის ერთი მხრიდან მეორეზე გადააგდო და შიგ ურნაში ჩააჯინა.

– ცოტა მამამისის ნავთის სუნი რომ არ ასდიოდეს, მართლა

ჯიშიანი ქალია! – დაუბრუნდა თემას ბერძენა და თხელ ულვაშებში ირონიულმა ღიმილმა გაურბინა.

– ვინ მიგიღოთ უმაღლესში, თქვე დებილებო, არ იცით, რომ არავითარი ჯიში და რასა არ არსებობს. ყველა ადამიანი ერთია, თუ ერთნაირ პირობებს შეუქმნი და ერთნაირ პირობებში აღზრდი. მაგ თეორიამ დაღუპა ჰიტლერი და თქვენ ახლა გურანდას გამო თავიდან იწყებთ?! – დატუქსა ამხანაგები კოკამ.

– ამირეჯიბი მაინც არ იყოს, ეგ მართლა დებილი! – გაშალა ხელები ციცკამ.

– ამირეჯიბი-მამირეჯიბი არ ვიცი მე, მე ვარ მატერიალისტი!

– მატერიალისტი კი არა, შარაფისტი ხარ! – უთხრა ციცკამ
და სოროკიც წაართვა.
502 503

გენეტიკას, რომელიც სწავლობს ორგანიზმის მემკვიდრეობასა
და ცვალებადობას, აქ საქმე ცოტა სხვანაირად არის...

– მოიცათ, პროფესორო, მაშ, ის რაღაა, ცხენების ჯიშები რომ
გამოგვყავს, ძაღლებს რომ გამოვფენთ ხოლმე ალექსანდროვის
ბაღში და ოქროს მედლებს ვაძლევთ... – არ აცალა ბერძენამ.

– თქვენ რა გქვიათ? – მოუბრუნდა პროფესორი.

– მერაბი!

– იცით რა, ჩემო ბერძენ, ცხოველთა სამყაროში ბუნებრივი
შერჩევის გზით საუკუნეების მანძილზე...

– ადამიანი რა, საზოგადოებრივი ცხოველი არ არის? – ჩაჭრა
პროფესორი ციცკამ, – ან სოფლის მეურნეობაში სელექცია,
შეჯვარება და ახალი ჯიშების გამოყვანა არაფერი არ არის?

– კაცო, თქვენ რა რადიოსავით სულ აქეთ მელაპარაკებით, იქეთ
ყურისგდება არ იცით? – გაშალა ხელები პროფესორმა და იღლიიდან
პორტფელი გაუვარდა. ბაჩანამ სწრაფად აიღო პორტფელი და
გამზადებულ იღლიაში გაუკვეხა ისევ, თან მორცხვად დასძინა:

– ბრძანეთ, ბატონო!

– იცით რა, თქვენ რა გქვიათ? – ჰკითხა უცებ ამდენ ხანს
გაჩუმებულ ბაჩანას პროფესორმა.

– ბაჩანა!

– ჰოდა, იცით რა, ჩემო ბაჩანებო, კოკებო, კოპლიკებო, ბერძენებო, ციცკებო
და ქოფაკებო, ჩვენ ამ საკითხს აქ ქუჩაში ვერ გადავწყვეტთ. მობრძანდით
ჩემთან, კათედრაზე ხუთიდან ექვსამდე, ნებისმიერ დღეს, გინდათ
სახლში, ათი საათიდან დილამდე და იქ ვიკამათოთ, გაწყობთ?

– ჰკითხა პროფესორმა დაბნეულ ბიჭებს.

– სახლში გეახლებით, ბატონო! – უთხრა ბაჩანამ.

– კეთილი!

– შემოგვიშვებენ? – ჰკითხა პროფესორს კოპლიკამ და
ფეხსაცმელებზე დაიხედა.

– უთხარი, ვერელი ბიჭები ვართო და შემოგიშვებენ, –
უპასუხა პროფესორმა.

– ნახვამდის, დიდად პატივცემულო პროფესორო! –
დაემშვიდობა ციცკა.

– კარგად ბრძანდებოდეთ! – თქვა პროფესორმა, ფეტრის შლაპა
ოდნავ აიწია და გზას გაუდგა. ბიჭებმა მორიდებით დახარეს თავები.

– კარგი ვინმე კია და შენ პროფესორი უძახე! – თქვა ციცკამ
და ხელები გაშალა.

– ბიჭებო, გიჟი მარგო მოდის! – თქვა ბერძენამ და ქვევით იღლიიდან მეორეში გადაიტანა.

– ბატონო ექვთიმე, აქ წამოიჭრა საკითხი, არსებობს თუ არა ჯიში, რასა და გენები... ციცკა ამბობს, რომ... – დაიწყო კოპლიკამ.

– ვინა? – ჩაჰკითხა პროფესორმა და ყური მიუშვირა.

– ციცკა!

– ციცკა რა არი? – ისევ ჰკითხა პროფესორმა.

– ციცკა ეგ არის, – ხელი დაადო კოპლიკამ ციცკას, – ისე დავითი ჰქვია, ჩვენ ციცკას ვეძახით, – აუხსნა კოპლიკამ.

– ჰო, რაო ციცკამ?

– ესე იგი, ციცკა და ქოფაკა...

– ქოფაკა ვინ არის?

– აი ეს! – კოპლიკამ ახლა ქოფაკას დაადო ხელი.

– პასპორტში ეგრე უწერია? – იკითხა გაკვირვებულმა პროფესორმა.

– პასპორტში თენგიზი უწერია, – უპასუხა ამჯერად ბერძენამ.

– ეს ვინღა არი? – ჰკითხა პროფესორმა კოპლიკას.

– ეს, ბერძენა!

– ბერძენია?

– არა, გურული.

– სადაური?

– ქართველი.

– რა ჰქვია?

– მერაბი!

– თქვენ?

– მე, კოპლიკა!

– მადლობა ღმერთს, ძლივს არ გავიგონე წესიერი სახელი, რა გნებავთ, კოპლიკ?

– აკი მოგახსენეთ, ესენი ამბობენ, რომ რასა, ჯიში და გენები არსებობსო, მე და კოკა კი...

– ეს კოკა რომელი კოკაა, წყალზე რომ გატყდა, თუ კოკასა შიგან რაცა დგას? – იკითხა პროფესორმა და თავისსავე ნათქვამზე გაეცინა.

ბიჭებსაც გაეცინათ, გაუხარდათ, პროფესორი რომ ხუმრობის ხასიათზე მოიყვანეს თავიანთი სახელებით.

– ესე იგი, თქვენ და კოკა ამბობთ, რომ ჯიში, რასა და გენები არ არსებობსო, ასეა, არა?..

– დიახ, პატივცემულო! – თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად კოპლიკამ.

– მართალი ბრძანდებით! – თქვა პროფესორმა, – რასობრივი თეორია რეაქციულია, არამეცნიერული და ფაშისტური. რაც შეეხება

საცვლები მაცვია, – მარგომ ცალი ხელი თეძოზე შემოიდო, მეორეთი კი კაბა აიწია და თეთრი ქათქათა მოქარგული საცვალი გამოიჩინა, – ხვალ კრებჟორჟეტისა მეცმება! – მარგომ ქუჩა გადმოჭრა და ბიჭებთან მივიდა.

– წადი, მარგო, გენაცვალე და დაისვენე, ჩემი დასაწუნი რა გჭირს, – მხარზე ხელი მოხვია ქოფაკამ.

– ჩემთვის სულერთია, ბიჭებო, გინდათ ყველას გამოგყვებით ცოლად, ყველა ერთნაირად მიყვარხართ. შენ რას იცინი, ბერძენ, შენ მაინც არ წამოგყვები, ძალიან ფხუკიანი ვინმე ხარ, სიცოცხლეს გამიმწარებ. აი, ციცკა მესმის, ინტელიგენტია...

– აკი ყველას წამოგყვებითო, მარგო? – ჰკითხა ბაჩანამ.

– ვა, შენც აქა ხარ, ჩემზე ობოლო? შენ წაგყვები, ოღონდ იცოდე,

ტანს დაგბან, თმებს დაგვარცხნი, შარვალს დაგიუთოვებ, პერანგებს დაგირეცხავ და ისევ უკან წამოვალ, რას გავხარ, ბიჭოოო, სარკეში არ იხედები?

– კარგი რა, გეყო რა, მარგო, ხალხი შეგროვდა, წამო, მე გაგაცილებ.

– სთხოვა ქოფაკამ და ხელი მკლავში გაუყარა.

– ხალხის დედაც ვატირე, ვერელ ბიჭებს გაუმარჯოს! – მერე

ქოფაკას ახედა, გაუღიმა, წელზე ხელი მოხვია, თავი მკერდზე მიაყრდნო და ღიღინით გაჰყვა:

წავიდეეეთ, ერთად ვია-როოოთ,
ქვეყანააა შემოოო-ვიااااა-როოოთ...

ქოფაკამ პეტრიაშვილის კუთხემდე მიაცილა მარგო, გზაზე დააყენა, ერთხანს უყურა, და როდესაც დარწმუნდა, რომ მარგო ნამდვილად სახლში წავიდა, ბიჭებთან მობრუნდა.

– ჰა, ქოფაკ, პანაშვიდი არ იყოს! – გაუჯავრდა ციცკა, მისი მჟავე სიფათი რომ დაინახა.

* * *

პეტრიაშვილის ქუჩის ბოლოში, ნახევრად სარდაფში ცხოვრობდა მარგო. ორი გისოსებიანი ფანჯარა უნათებდა ნესტიან ოთახს. შესასვლელი ეზოდან ჰქონდა, ოთხი საფეხურით უნდა ჩასულიყავი დაბლა, მერე კარს შეაღებდი და ოთახში შეხვიდოდი. ერთი გრძელი მაგიდა ედგა მარგოს, თეთრ ზეწარგადაფარებული. ერთი რკინის საწოლი, თავში და ბოლოში ჟანგშეჭმული ნიკელის რგოლებით, ორი სკამი და ერთი

გაიხედა. ვერის ბაზრის მხრიდან მელიქიშვილის ქუჩის მარცხენა მხარეს, ხელგაშლილი მარგო მოირწეოდა და მოღიღინებდა:

პარახოდო, ვინ რა იცის, რა ხარო, თუ
დაგჭირდა, საზღვარგარეთ გახვალო,
ჩამოიტან კავერკოტის ნაჭრებსა,
დაურიგებ გაკოტრებულ ვაჭრებსა.

– ჰაბარდა, ვერელი მარგო მოდის! – შეიძახებდა დროდადრო და ისევ განაგრძობდა:

პარახოდით მოვიარე აზია, მოდით,
ნახეთ, მარგო რა ლამაზია...

მარგო მთვრალი იყო. ვინც იცნობდა მარგოს, ღიმილით ესალმებოდა, მერე ცოტას რომ გაივლიდა, უკან მოიხედავდა, თავს სინანულით გადაიქნევდა და მიდიოდა. უცნობები კი ფილაქნიდან პირდაპირ ქვაფენილზე გადადიოდნენ, თავს არიდებდნენ.

ვერელ ბიჭებს რომ დაუპირდაპირდა, მარგომ ორთავე ხელი ტუჩებზე დაიდო, მერე ფრთებივით გაშალა და ჰაეროვანი კოცნა გამოუგზავნა ქუჩის მეორე მხარეს.
– ვერელ ბიჭებს შემოევლოს მარგოს მთვრალი სიცოცხლე!
– მარგოს გაუმარჯოს! – ხელის აწევით მიესალმნენ ბიჭები.
– ჰა, ბემურაზებო, პახმელია ხართ და თაგვის ცურცლი გიყრიათ

ჯიბეში ფულის მაგივრად, მოდით, მარგო შემოგევლოთ, მოდით, თქვენი ჭირიმე, ვერის უბნის ფერ-უმარილო და კრიალოსანო, მოდით. ძია გიორგისთან ჩავიდეთ, ოხრებო, გიჟმარგუას სახელზე თითო კათხა ლუდი გაგაჭყლეტინოთ! – მარგომ ლიფიდან სამთუმნიანები ამოიღო და ჰაერში ააფრიალა. – ჰა, ნუ გრცხვენიათ, ხვალ ხომ ისევ თქვენ უნდა დამალევინოთ!..

– წადი, მარგო, გენაცვალე, დაისვენე, ჩვენ უკვე გამოსულები ვართ, – სთხოვა ქოფაკამ.

– ბიჭოოო, სად დავისვენო და სად ცივ ქვაზე დავდო თავი, შენთან წამიყვანე, მარგოს შენისთანა პატრონი უნდა, იმიტომ რომ

გიჟია და ჯაჭვით დასაბმელი. შენ გარდა მარგოს ვინ მოუვლის, ბიჭო, ცოლად წამიყვანე, კაცი არა ხარ, მთელი სიცოცხლე მოწყვეტილი ვარსკვლავივით გელოდები, ერთი მაგ შენს დარბაზივით გაშლილ მკერდზე დამადებინე თავი, იქნებ არ მკადრულობ, ნახე, რა ტანი მაქვს და რა
506 507
წაუყვანიათ სასწრაფოში.

ერთი თვე იწვა მარგო სასწრაფოში, არც დედის, არც მულდედამთილის დასაფლავება არ გაუგია. ის შემზარავი წარღვნა საერთოდ ამოუვარდა მეხსიერებიდან. ვერა და ვერ ათქმევინეს, ვერ მოაყოლეს,

ვერ გაახსენეს ექიმებმა ვერაფერი. ერთი თვის შემდეგ ფსიქიატრიულში გადაიყვანეს მარგო. ნახევარი წელიწადი იქ ჰყავდათ. ბოლოს, როდესაც ხმა ამოიღო და სიცოცხლეს დაუბრუნდა, ამ ქვეყანას აღარ იყო. იმ ნაბიჭვარმა ვანომ ერთხელ არ ინახულა, ერთხელ არ მიაკითხა. ერთი მანეთით არ გაუმართა ხელი ღვთის ანაბარად დარჩენილ გოგოს. საავადმყოფოდან სახლში დაბრუნდა მარგო. ერთი კვირა სახლში იჯდა, გარეთ არ გამოსულა. არავის არ იკარებდა, არც მეზობელს,

არც ამხანაგს. ერთი კვირის თავზე სიმღერა გაიგონეს მეზობლებმა მარგოს ოთახში, კარი შეაღეს და... მარგო მაგიდასთან იჯდა, წინ ორი ბოთლი საფერავი ედგა, ერთი სავსე, ერთიც ცარიელი და ტკბილად ღიღინებდა თავისთვის:

პარახოდო, ვინ რა იცის, რა ხარო, თუ
დაგჭირდა, საზღვარგარეთ გახვალო,
ჩამოიტან კავერკოტის ნაჭრებსა,
დაურიგებ გაკოტრებულ ვაჭრებსა.
. . . . . .
პარახოდით მოვიარე აზია

სარძლო, დედიშობილა, რამე ხინჯი რომ არ ჰქონოდა და გონჯი არ გამომდგარიყო.

მარგოს ცოდვა მიეცათ მის სულწაწყმედილ მულ-დედამთილსა და ბედდამწვარ დედამისსაც. აბა, მარგოს გასასინჯი რა სჭირდა, დაფეთებული შვლის ნუკრივით ჩამოირბენდა ხოლმე პეტრიაშვილზე და მელიქიშვილზე რომ გაივლიდა, პირდაღებული გამყიდველები და მყიდველებიც დუქნებს ტოვებდნენ და მოძრაობა ჩერდებოდა თურმე. კვირა დღეს, დილით, საერთოში შეიყვანეს მარგო თურმე და იმ, მის მუშტრის თვალით მომზირალ შავ ყვავებში, თეთრი მარმარილოს ქანდაკივით რომ დადგა დედიშობილა, მკვრივ და მაღალ მკერდზე ყორნისფერ თმებჩამოშლილი, მისი სილამაზით და აღნაგობით განცვიფრებულ დედაბრებში ანგელოზივით მკლავები რომ გაშალა,

სწორედ მაშინ შემოვარდა თურმე ნარიყალადან მომსკდარი წყალი და აბანოს მიწისქვეშა სარდაფებში შევარდნილა. შეშინებული ქალები წივილ-კივილით, თმების გლეჯითა და ლოყების ხოკვით მივარდნიან კარს და იმის ნაცვლად თავისკენ გაეღოთ, იქეთ მიწოლიან და თვითონვე დაუგმანავთ გასასვლელი. და როდესაც სარდაფები პირთამდე გაივსო შლამიანი და მღვრიე წყლით და როდესაც სარდაფებში კივილ-წივილი შემწყდარა, საშველად მოვარდნილი კაცები მიმხვდარან, რომ გოგირდის აბანოებში სიცოცხლე გათავდა... სწორედ მაშინ დაუნახავს ვიღაცას აბანოს ჭერში დატანებულ გისოსებიან ფანჯარაზე ხელებმიციებული, შეშლილთვალებიანი ქალიშვილი. გამოუტეხიათ ის ფანჯარა და გისოსებზე ხელი რომ გააშვებინეს, ასევე გაშეშებული და დამუნჯებული
508 509
ჰკითხა უცებ.

– ვალერიანის წვეთები! – უპასუხა ბაჩანამ.

– ვალერიანის წვეთები შენს პროფესორს დაალევინე შენი გამოცდის წინ, – თქვა მარგომ და იატაკიდან სარეცხის ასაღებად დაიხარა. რომ გაიმართა, სახე დაემანჭა და მუცელზე მოისვა ხელი, – მომკლა ამ ოხერმა, – თქვა, მერე ერთ პერანგს დახედა და თავი გადაიქნია.

– ბიჭო, პერანგია თუ სტოლსაფარი, ძია გიორგის დუქნის მენიუ სულ ზედ ასხია, არა გრცხვენია?

– მრცხვენიან რომელია, მარგო, მაგრამ რა ვქნა?

– ცოლი ითხოვე, ბემურაზო, ცოლი!

– მერე რა ვაჭამო?

– ერთმანეთი ჭამეთ! – ასწავლა მარგომ.

– კარგი, ეგრე ვიზამ! – დაპირდა ბაჩანა.

– ხვალ საღამოს გაუთავებულს მოგართმევ, ხუთი მანეთი გაამზადე,

– უთხრა მარგომ და კარისკენ წავიდა. გასასვლელში შედგა, უცებ კაბა აიწია და კრებჟორჟეტის მოქარგული ლამაზი საცვალი გამოაჩინა.

– აბა, თუ მიხვდები, ვისი ცოლის ნიფხავი მაცვია? – ჰკითხა ბაჩანას ღიმილით. ბაჩანამ მხრები აიწურა.
– Ðèíèñòð êóëüòóðû, ïóòåé ñîîbùåíèÿ, èíîñòðàííûõ ãåë,
– თქვა ამაყად და ოთახიდან გავიდა.
* * *

„ხვალ საღამოს“, – მარგო არ მოვიდა. ალბათ სადმე ხელს გადაყვა და სძინავს, გადაწყვიტა ბაჩანამ და თავად წავიდა მარგოსთან.

კარი ღია დახვდა და სინათლეც ანთებული. მარგო ლოგინზე იწვა. მოქარგული ვარდისფერი პერანგი ეცვა, სახე ალეწილი ჰქონდა, თვალები უპრიალებდა.

– ვიცოდი, რომ მოხვიდოდი, ჩემზე ობოლო! – გაუღიმა მარგომ, მერე თერმომეტრი ამოიღო იღლიიდან და ბაჩანას გადასცა, – აბა, ნახე ერთი რამდენია, თვალებში სულ ყვითელი რგოლები დამიდის,

ვერა ვხედავ, – ბაჩანამ თერმომეტრი გამოართვა, დახედა და შიშისაგან ტანზე ბუსუსებმა დააყარა. თერმომეტრი ოცდაცხრამეტს და ცხრას უჩვენებდა.
– რა მოგივიდა, მარგო?

– არ ვიცი, ბაჩან, ვიღაცა გახურებული შამფურებით მებუღრავება მუცელში, საღამომდე გავუძელი, არც ღვინომ, არც არაყმა არ უშველა, ეხლა კიდევ წამაქცია, რამდენია? – ჰკითხა და თერმომეტრს შეხედა. და გალოთებამდე ენახათ. ვიდრე ხალხი მარგოს ასეთ მდგომარეობას შეეჩვეოდა, ზოგი უხეშად ექცეოდა და ცუდ სიტყვასაც აკადრებდა ხოლმე, სწორედ მაშინ ისწავლა მარგომ ენით აუწერელი უწმაწური

გინება. დადგებოდა შუა ქუჩაში და იმ თავის შეურაცხმყოფელს დედმამის სულს ამოუტრიალებდა საფლავში. ერთი საოცარი თვისება ჰქონდა მარგოს: ბავშვებს დაინახავდა თუ არა, იმ წუთში შესწყვეტდა გინებას და სახლში მიდიოდა.

ანგელოზის ყურის გასვრის უფლება ღმერთის გარდა, არავის არ აქვსო, – ასე ამბობდა.

და კიდევ ერთი, მთელი ამ ხნის განმავლობაში მარგო ქუჩის ქალი და მეძავი არ გამხდარა. ყველა ვერელი, ვინც მარგოს იცნობდა, ხატზე დაიფიცებდა, რომ მარგო ანგელოზივით სუფთა და უმანკო იყო.
* * *

საღამოს მარგო ბაჩანასთან მივიდა სახლში.
– ჩემსავით ობოლო, სახლში ხარ? – დაიძახა და დაუკაკუნებლად

შევიდა. ბაჩანა მაგიდას უჯდა და სახალხო მეურნეობის დაგეგმვას ამზადებდა. ოთხშაბათს გამოცდა ჰქონდა.
– რა იყო, მარგო? – ჰკითხა და კონსპექტი გვერდზე გადადო.

– სარეცხი გაამზადე! – უთხრა მარგომ და კონსპექტს დაუწყო თვალიერება.
– რა სარეცხი გავამზადო, ქალო, რაც მაქვს, ზედ მაცვია! –

უპასუხა ბაჩანამ და კონსპექტი გამოართვა.

– რამე გექნება! – არ მოეშვა მარგო. ბაჩანამ კარადა გამოაღო, ორად ორი საყელოგაცვეთილი პერანგი და ერთი საჯდომზე გაცრეცილი შარვალი გადმოყარა იატაკზე.

– თუ ქალი ხარ, ფრთხილად გარეცხე, ისედაც დამდნარია,
– გააფრთხილა და ისევ კონსპექტს მიუჯდა.

– დავიჯერო ეხლა ისე საინტერესოა, რომ ერთი წუთით თვალს ვერ გლიჯავ? – ჰკითხა მარგომ და განჯინის კარი გამოაღო.

– ძალიან საინტერესოა, თან ოთხშაბათს ვაბარებ, – უპასუხა ბაჩანამ.

– ბრიყვო, ეგ რომ საინტერესო იყოს, მაგის სწავლაში ფულს ვინ მოგცემს, იქეთ წაგართმევდნენ, – თქვა მარგომ და ცარიელი განჯინის კარი უკმაყოფილოდ მიიჯახუნა, – ეგ ჩვენი გასტრონომივით ცარიელი განჯინა რომ დაგიდგამს შუა ოთახში, გარეთ მაინც გადგი, ტყვილა ადგილს იკავებს, – ასწავლა ბაჩანას, – დასალევი რამე არა გაქვს? – 510 511

ცოტა დაიშალეთ, მწკრივში ნუ დგეხართ, თორემ პანაშვიდი მგონია... თქვენ შემოგევლოთ გიჟი მარგოს ჯანი...

პარახოდით მოვიარე აზია, მოდით,
ნახეთ, მარგო რა ლამაზია...

– ნუ გეშინია, მარგო, ციცკა ეხლავე ექიმს მოიყვანს, – ძლივს ამოღეჭა თენგიზმა.

– ექიმი რად მინდა, ბიჭო, აწი რა მომკლავს, აჰა, სიცხე გაქრა, ტკივილი გაქრა, – მარგომ ტილო მოიძრო შუბლიდან, ოთახში მოისროლა და ტაში შემოკრა. ბაჩანამ ტილო დაასველა და ისევ დაადო შუბლზე.

– ჩემზე ობოლო, შენ დააფრთხე ეს ბიჭები?! ეხლავე მუხლებში ჩაუვარდი და პატიება სთხოვე, ვაჰ, ვაჰ, რომელ ავადმყოფს, ისიც გიჟს, ღირსებია ეგეთი მნახველები, ყოჩაღ, მარგო! – მარგომ ისევ ტირილი დაიწყო, ბიჭები იდგნენ თავჩაღუნულები და არ იცოდნენ, ხელები და თვალები სად წაეღოთ. ცოტა რომ დამშვიდდა, ბაჩანას დაუძახა.

– აი, იქ, კარადაზე რომ პატარა ხის ყუთი დევს, აქ მომეცი, –

ბაჩანამ ყუთი მიუტანა. მარგომ ყუთი მკერდზე დაიდო, დიდხანს ასე ედო, რაღაცას ფიქრობდა, დაძაბულად, მერე ყუთი ყურთან მიიტანა და გაახაჭუნა. კმაყოფილმა გაიღიმა და ყუთი გახსნა. იგი სავსე იყო

იაფფასიანი ბეჭდებით, სამაჯურებით, საყურეებით, ზიზილპიპილებითა და ბროლღიკილათი.

– ეს პატიოსანი თვალი, ავღანეთის სატახტო ქალაქ ქაბულიდან ჩამოტანილი თვალია, თამარ დედოფლისათვის... – თქვა მარგომ და ყუთიდან ორმანეთიანი ზურმუხტისფერი შუშით გაწყობილი სპილენძის

ბეჭედი ამოიღო, – შენთვის მიჩუქებია, ქოფაკ, ცოლს რომ შეირთავ, მარჯვენა ხელის შუათითზე გაუკეთე, უთხარი, მარგომ დაგიტოვათქო, თან ისიც უთხარი, ეგრე თქვა მარგომ, ცოტა ადრე დაბადებულიყო ქოფაკა, ცოლად ვის შეირთავდა, იმასაც ვნახავდი-თქო... – დამილოცნიხარ!

– მარგომ გაიცინა და ბეჭედი თენგიზს გადასცა. თენგიზმა ბეჭედი გამოართვა და დაძაბულობისაგან ყვრიმალები აუთამაშდა.

– ეს შენ ცოლს, თავადო კოკა ამირეჯიბო, ინდური მარჯნის საყურეები, პირთეთრი, გიშრისთმიანი, მწვანეთვალება ქალი შეირთე, დახატავს... გამომართვი, ნუ იპრანჭები, – მარგომ კაპიკიანი საყურეები ჩაუყარა გამოწვდილ ხელში კოკას.

– ეს კიდევ შენ, ბერძენ, ოქროს ვარაყიანი ვერცხლის სამაჯური. დაღესტნის ოსტატების ნახელავია. ამას გრძელმკლავება, აშოლტილი,

– ბევრია! – თქვა ბაჩანამ და თერმომეტრი მაგიდაზე დადო.

– მაინც?

– ოცდათვრამეტი!..

– შენი შარვალ-პერანგი მაგიდაზე დევს, დაუთოვებული, ვიდრე წაიღებდე, ის განჯინა გამოაღე, ძმარი აიღე, შიგ ცოტა წყალი გაურიე, ეგ ტილო დაასველე შიგ და შუბლზე დამადე, დადნა, ისედაც დამდნარი ეს ოხერი ტვინი... – ბაჩანამ ყველაფერი გააკეთა.

– წავალ, ვინმეს მოვიყვან! – უთხრა და კარისაკენ წავიდა.

– ვის? – ჰკითხა მარგომ.

– ექიმს!

– ჩემთან ვინ წამოგყვება, ბიჭო, მაგათ გიჟი და ოხერი კი არა, ჭკვიანი ხალხი უკვდებათ უპატრონოდ, – გაეცინა მარგოს.

ბაჩანამ აღარაფერი უპასუხა, ოთახიდან გავარდა და პეტრიაშვილზე კისრისტეხით დაეშვა.

ბიჭები აფთიაქთან იდგნენ და რაღაცაზე ხმამაღლა დაობდნენ.

– იგვიანებ, მეგობარო! – გაუჯავრდა ციცკა ბაჩანას და საათზე დაიხედა.

– მარგო კვდება, ბიჭებო! – თქვა სირბილისაგან გულამოვარდნილმა ბაჩანამ.

– როგორ, გუშინ აქ არ იყო? – გაუკვირდა თენგიზს.

– კვდება! – გაიმეორა ბაჩანამ.

– როგორ თუ კვდება! – შეანჯღრია კოპლიკამ.

– კვდება, კვდება!

– რა ჭირს? – ჰკითხა ციცკამ.

– მუცელი სტკივა, ორმოცი აქვს სიცხე.

– რა უნდა იყოს, დათიკო? – ჰკითხა ქოფაკამ.

– აბა, რა ვიცი, თენგიზ, მაგას ექიმი უნდა, ქირურგი!

– შათირიშვილთან! – იყვირა უცებ ვანკამ.

– შათირიშვილი კრეტინია, უფულოდ არ წამოგყვება, თან უკვე სძინავს, ალბათ, – თქვა ბერძენამ და ზიზღით გააფურთხა გვერდზე.
– ვახტანგის მამასთან, ეგნატესთან, ნაღდი კაცია! – თქვა ციცკამ და ადგილს მოსწყდა. ბიჭები აირივნენ.

ხუთი წუთის შემდეგ ყველანი მარგოს ოთახში შელაგდნენ და მუნჯებივით დადგნენ საწოლთან. სიცხიანი მარგო ლოგინში წრიალებდა. ბიჭები რომ დაინახა, განცვიფრდა, ჯერ იდაყვებზე წამოიწია, მერე თავი ბალიშზე გადააგდო და ცრემლი წასკდა. ბოლოს სიცილი აუვარდა, ნერვული და ბედნიერი სიცილი...

– თქვენ გენაცვალეთ, ბიჭებო, განა არ ვიცოდი, რომ მნახავდით, 512 513
– აწრიალდა მარგო.

– მაგაზე ნუ წუხხართ, ჩემი ხელობა ეგ არის, სამაგიეროდ, დღისით მძინავს, – დაამშვიდა პროფესორმა, – ეხლა კი მომიყევით, რა გტკივათ, – მარგომ მუცელზე დაიდო ხელი...
– ცეცხლი მიკიდია, ექიმო...
– როდის დაგეწყოთ?
– დილიდან, არა, უფრო ადრე, გუშინ, გუშინწინ, ცოტა არაყს რომ დავლევდი, მიყუჩდებოდა, დღეს წამაქცია...

– აბა, საბანი გადაიხადეთ! – სთხოვა პროფესორმა. მარგომ ჯერ ბიჭებს შეხედა, შემდეგ – პროფესორს.

– გიჟი კი ვარ, ბატონო, მაგრამ მაინც მრცხვენია... – გაუღიმა მარგომ.

– ჩვენ ყველანი გიჟები ვართ მეტ-ნაკლებად და არაფრის არ გვრცხვენია, – ჩაილაპარაკა თავისთვის პროფესორმა და თვითონ

გადახადა საბანი. ბიჭები კედლისკენ შებრუნდნენ. პროფესორი ფრთხილად შეეხო ავადმყოფის მუცელს. ოთხი თითით აწვებოდა, თან ეკითხებოდა:

– აქ გტკივა?.. აქ?.. აქ?.. – მარგო ტუჩებს იკვნეტდა ტკივილისაგან და როდესაც ექიმმა ხელი აუშვა, მაშინღა თქვა:
– ყველგან მტკივა, ექიმო, ისე მტკივა, სიცოცხლე არ მინდა... –

პროფესორმა ახლა მთლიანად გადახადა საბანი, მარჯვენა ფეხი მუხლში მოუხარა და ფრთხილად მოზიდა ზევით, მუცლისკენ. მარგომ შეჰკივლა, პროფესორმა სწრაფად გაუმართა ფეხი და წამოდგა.
– ვის აქვს აქ ტელეფონი? – იკითხა უცებ.
– მარგო?! – თქვა ციცკამ.
– დუგლაძეებს, – ამოიკვნესა მარგომ.

– ეხლავე დაურეკეთ სასწრაფოში, უთხარით, ეგნატე ჯიქიას დავალებით ვრეკავ-თქო, ეხლავე, ეხლავე აქ გაჩნდნენ!!! – ციცკა მეზობელთან გავარდა.
– მივდივარ, ექიმო? – იდაყვებზე წამოიწია მარგო.

– არ გაინძრე, გენაცვალე, შენი განძრევა არ შეიძლება, – პროფესორმა თავი ბალიშზე დაადებინა მარგოს და ლოყაზე ხელი მოუთათუნა, – სად იყავი, დალოცვილიშვილო, ამდენ ხანს? – ჩაილაპარაკა თავისთვის.

– სიკვდილი ჩემთვის ბაირამობაა, ბატონო ეგნატე, ხელობას ნუ გაიფუჭებთ, – თქვა მარგომ. პროფესორი ადგა და მაგიდას მიუჯდა, არც ბლანკი ამოუღია, არც რეცეპტი გამოუწერია, უბრალოდ, დაჯდა და თავი ხელებში ჩარგო.

კოკამ შეუმჩნევლად ფული ჩაუცურა ჯიბეში. პროფესორს არც მკერდმაღალი და თვალებბრიალა ქალი მოუხდება, – მარგომ ბერძენას კონსერვის კოლოფიდან გამოჭრილი პრიალა სამაჯური გადასცა. ბერძენამ სასოებით ჩამოართვა სამაჯური და ბიჭებში რომ არ შერცხვენილიყო, ოთახიდან გაიპარა.

– ეს კიდევ მე, – თქვა მარგომ და მკერდზე ვერცხლის

ორშაურიანების აკიდო დაიფინა. – ჩემი ყმაწვილქალობა ამაში გამიტარებია, ამიტომ არავისთვის არ მემეტება. არ გეწყინოთ. მოდი აქ, ბაჩანა! – ბაჩანა მივიდა.

– ეს სპარსული ფირუზი შენ, ობოლი და უბედური ქალი შეირთე იცოდე, სხვა შენ ვერავინ გაგიგებს, შენც დამილოცნიხარ! – ბაჩანამ მავთულგაყრილი ლურჯი პერანგის ღილი გამოართვა მარგოს, – დანარჩენი შენ თვითონ დაარიგე... – თქვა და ყუთი ბაჩანას გადასცა. ბაჩანამ ყუთი ბიჭებში ჩამოატარა. ყველამ ამოიღო თითო რაღაც ყუთიდან ისე, რომ შიგ არ ჩაუხედავთ.

– დავიღალე, ეს ოხერი დადის და დადის შამფურებით... – თქვა მარგომ და თავი უღონოდ გადააგდო ბალიშზე.

– ნუ გეშინია, მარგო, ეხლავე მოვა ექიმი! – თქვა კოპლიკამ და აკანკალებული ნიკაპი ხელით დაიჭირა.

– ვინ გითხრა, რომ მეშინია? – ჰკითხა მარგომ, – მეშინია კი არა

და მზის ამოსვლასავით ველოდები ათი წელიწადია ამ დღეს. მოდი რა, დალოცვილო, მოდი... – მარგომ ჭერს მიაპყრო თვალები, საფეთქლებზე და ღაწვებზე ცრემლი ჩამოსდიოდა ღვარად.

– მოვიდა! – თქვა ვიღაცამ.

ოთახში პროფესორი და ციცკა შემოვიდნენ. პროფესორი თავის დაქნევით მიესალმა ოთახის კუთხეში შეყუჟულ ბიჭებს და პირდაპირ ავადმყოფისაკენ წავიდა. ვიღაცამ სკამი მიაწოდა. პროფესორი ჩამოჯდა და ავადმყოფის მაჯა აიღო ხელში. შემდეგ გავარვარებულ შუბლზე დაადო ხელი. მარგომ თვალი გაახილა.

– გამარჯობათ, ქალბატონო! – გაუღიმა პროფესორმა. მარგომ თვალები გაიმშრალა ხელისგულებით და მოსულს დააკვირდა.

– ღმერთმა გამარჯვებული გატაროთ, ბატონო ეგნატე! – გაუღიმა

მარგომაც.

– თქვენ ჩემი სახელი საიდან იცით?

– თქვენი სახელი ვინ არ იცის, ნახევარი საქართველო საიქიოდან გყავთ დაბრუნებული, – თქვა მარგომ.

– ცოტა ნაკლები! – გაეხუმრა პროფესორი, – აბა, ეხლა მითხარი, გენაცვალე, რა გტკივა?

– ამ ავაზაკებმა თქვენი შეწუხება როგორ გაბედეს ამ შუაღამეში, 33. ნ. დუმბაძე, ტ. II

514 515

– როგორ თუ საჭიროა? – გაჯიუტდა მძღოლი.

– აი ეგრე... – ასწავლა უბნელმა ბიჭმა და საყვირზე თითი დაუჭირა.

– ხელი აიღე, აკუმულატორი დაჯდება! – ხელი აუქნია მძღოლმა.

– არა უშავს, მოგაწვებით! – უპასუხა ვერელმა ბიჭმა ისე, რომ საყვირზე ხელი არ აუღია...

– ვინ არი რო, საყვირს მაძლევინებთ? – ისევ გამოყო აჭარხლებული თავი კაბინიდან შოფერმა.

– ვერელი მარგო!

– ვინა?

– საყვირი მიეცი, სანამ ხელი მომიმტვრევია... – უთხრა ბიჭმა და

თავი ისევ კაბინაში შეაყოფინა გაჯიუტებულ მძღოლს. მძღოლი მიხვდა, რომ ბიჭი არ ეხუმრებოდა და საყვირს გამეტებულად დააჭირა ხელი. ბიჭი მეორე მანქანისაკენ წავიდა, რომელიც აგრეთვე საყვირს არ იძლეოდა. ერთ წუთში ის მანქანაც აბღავლდა.

– რა მოხდა? ჟანა დარკია?! – იკითხა მეორე მძღოლმა, ბიჭი რომ მოსცილდა.

– გიჟ-მარგოს მარხავენ ვერელი ბიჭები, – უპასუხა პროცესიის მონაწილემ და კუბოს გაჰყვა.

– გიჟს და ეგრე მარხავენ?

– ეგრე მარხავენ!

– ეგრე ვმარხავთ! – უთხრა მის გვერდით მდგომმა ვერელმა მძღოლმა.

– საღოლ, ბიჭებო, ასეთ უბანში კი ღირს სიკვდილი! – აღტაცებით წამოიძახა მძღოლმა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, საყვირს დააწვა.

* * *

საღამოს ძია გიორგის დუქანი სავსე იყო ვერელი ბიჭებით. მაგიდაზე ღვინო, პური, მარილი, ყველი და ბოლოკი ეწყო მხოლოდ. თამადა არ აურჩევიათ, ყველა რომ დაჯდა და სარდაფში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, მაშინ ციცკა ადგა, ჭიქა გაავსო ღვინით, რამდენიმე წვეთი დააქცია პურზე და სიტყვა თქვა:

– ჩვენი უბნის მწუხარებას, ჩვენი უბნის ცრემლიან ეშხს, ჩვენი უბნის დაკარგულ სილამაზეს და სევდას გაუმარჯოს! – ყველანი ადგნენ

და უხმოდ დაცალეს ჭიქები.

იმ დღეს ძია გიორგის დუქანში მეტი არც სიტყვა თქმულა, არც ღვინო დალეულა.

გაუხედავს კოკასკენ, ისე ამოიღო ის ფული უკან ჯიბიდან და მაგიდაზე დადო. მერე უბის ჯიბიდან ერთი დასტა თუმნიანები ამოიღო, იმ ფულს გვერდით დაუდო, ადგა და ოთახიდან გარეთ გავიდა, ბიჭები თან გაჰყვნენ.

– ბატონო ეგნატე, გადარჩება? – ჰკითხა ბერძენამ. პროფესორმა უარის ნიშნად თავი გაიქნია.

– სულ არ არის იმედი? – ჰკითხა ახლა თენგიზმა.

– ერთი პროცენტი, უკვე გვამის ლურჯი ლაქები აქვს სხეულზე.

– რა სჭირს, ბატონო ეგნატე?

– პერიტონიტი, სამი დღეა გახეთქილი ბრმა ნაწლავით დადის. თხუთმეტ წუთში სასწრაფო მოვიდა. გათანგული მარგო მანქანაში შეასვენეს საკაცით. ოთახიდან რომ გაყავდათ, ბიჭებს მიუბრუნდა.

– მშვიდობით, ვერელებო, თქვენს მზეს ვენაცვალე... – მერე უცებ შეშინებულმა წამოიწია საკაცეზე და მუდარით თქვა:

– გოგირდის აბანოებში არ იაროთ, ბიჭებო, არასდროს არ იაროთ, თქვენი სიცოცხლის ჭირიმე, ეგ არის ჩემი ანდერძი!

* * *

იმავე სასწრაფოს პროზექტურიდან გამოასვენეს მარგო, რომელშიც 1936 წლის წყალდიდობის დროს მიიყვანეს. სამშაბათი დღე იყო, მთელი ვერა, მელიქიშვილისა და პეტრიაშვილის ქუჩები გაჭედილი იყო ხალხით. უფრო მეტი ცნობისმოყვარე იყო, ვიდრე ჭირისუფალი. ვერის აღმართით ამოასვენეს ბიჭებმა უზარმაზარ ხის საკაცეზე დასვენებული და ყვავილებში ჩაძირული მარგოს სასახლე. კუბო რვა კაცს მოჰქონდა, რვა ეცვლებოდა. კუბოს წინ მანქანა მიუძღოდა, ისიც ყვავილებით გაწყობილი. ისე გაწყობილი, რომ მანქანა არ ჩანდა და გეგონებოდათ, უზარმაზარ ვარდების გვირგვინს ფეხი აუდგამს და თავისით მიდის ვაკის სასაფლაოზეო.

მელიქიშვილის ქუჩაზე მოძრაობა გაჩერდა. იდგნენ ტრამვაები, ავტობუსები და მანქანები. პეტრიაშვილის ასახვევთან ბიჭებმა კუბო შეაჩერეს და ხუთი წუთი იდგნენ. უცებ ერთმა მანქანამ მისცა საყვირი, მერე მეორემ, მესამემ და მთელი უბანი მანქანების გულისწამღებმა გუგუნმა აავსო.

– მეორედ მოსვლაა? – იკითხა პროცესიას შემთხვევით გადაყრილმა მძღოლმა და თავი კაბინიდან გამოყო. – აღარ გაგვატარებენ?

– საყვირი მიეცი! – უთხრა უბნელმა ბიჭმა.

– რათ უნდა მივცე? – გაუკვირდა მძღოლს.

– რომ გეუბნები მიეცი, ალბათ, საჭიროა.

ბულიკას გარდაცვალების შემდეგ, პროფესორის განკარგულებით, ბაჩანასა და მამა იორამის პალატაში ავადმყოფი აღარ შეუყვანიათ. საწოლი კი გაიტანეს, რათა ავადმყოფებს მღელვარებისა და ფიქრის მიზეზი არ ჰქონოდათ, მაგრამ ცარიელი ადგილი უფრო შემზარავი აღმოჩნდა, ვიდრე ცარიელი საწოლი.

გაიღვიძებდნენ თუ არა, ბაჩანასაც და მამა იორამსაც თვალი უეჭველად იმ ცარიელი ადგილისაკენ გაურბოდათ და გული ეკუმშებოდათ; რამეზე თუ კამათობდნენ, უცებ შეჩერდებოდნენ, ბულიკას მხარეს

გაიხედავდნენ და ქვეცნობიერად მის ლაზღანდარულ რეპლიკას ელოდნენ. ასე გასტანა დაახლოებით ორი კვირა, მერე დრომ თავისი გააკეთა და ავადმყოფები თანდათან შეეჩვივნენ უმისობას...

ერთ დღეს, ახლად გაღვიძებულმა მამა იორამმა ბაჩანას ჰკითხა მოულოდნელად:

– თქვენ, ბატონო ბაჩანა, ალბათ, დიდუბის პანთეონში დაგმარხავენ, არა?

ბაჩანას ჯერ გაეცინა, მერე შეწუხდა.

– რამე ცუდი სიზმარი ხომ არ ნახეთ, ბატონო იორამ?

– ვნახე, მაგრამ თქვენზე კი არა, ჩემზე, – უპასუხა დაღონებულმა მოძღვარმა.

– მაშინ ის უნდა გეკითხათ, მე სად დამმარხავენო, რაღაცას მატყუებთ, მამა იორამ, – არ დაუჯერა ბაჩანამ.

– სწორედ მაგიტომ გკითხეთ, მაგას თუ დიდუბეში დამარხავენ, მაშინ იქნებ მეც ეკლესიის ეზოში დამმარხონ-მეთქი...

– მაგ პრინციპით მე მწერალთა კავშირის ეზოში უნდა დამმარხონ,

– გაეცინა ბაჩანას, – მაგრამ თუ თქვენ დიდუბის ეკლესიის წინამძღვრად გადმოხვალთ, ადვილი შესაძლებელია, გვერდიგვერდ მოგვიწიოს წოლა.

– ესე იგი, რადგან ასე ხუმრობთ, დარწმუნებული ხართ, რომ

დიდუბის პანთეონში დაგმარხავენ, – დაასკვნა მამა იორამმა.

– სრულებითაც არა! – თქვა ბაჩანამ.

– რატომ? – დაინტერესდა მღვდელი.

– ვერტიკალურად თუ დამმარხავენ, მამაო, არ ვიცი და ისე დიდუბეში კარგა ხანია ადგილი აღარ არის. ერთ რამეში კი ვარ ღრმად დარწმუნებული, არც თქვენ და არც მე დაუმარხავს არავინ არ დაგვტოვებს, – მამა იორამმა ღრმად ამოიოხრა.

– მაინც რა ნახეთ ასეთი, მამაო? – ჩაჰკითხა ბაჩანამ.

– ყველა მიცვალებული, ვინც დღემდე გამისტუმრებია და ვისთვისაც

* * *

– სუსტად ხარ მომზადებული, რამიშვილო! – უთხრა ბაჩანას პროფესორმა და მისი მატრიკული უხალისოდ გადაშალა. ბაჩანას ხმა არ ამოუღია.

– რა მოგივიდა, რამიშვილო? – ჰკითხა, პასუხი რომ ვერ გაიგონა.

– ავად ვიყავი, პატივცემულო პროფესორო, ვერ მოვასწარი მომზადება.

– ავად კი არ იყავი, რამიშვილო, იმ გიჟის კუბოს მისდევდი

გუშინ დიდი ჭირისუფალივით, შენ გგონია, ვერ დაგინახე? – უთხრა პროფესორმა.

– გიჟი არ იყო, პატივცემულო პროფესორო! – სიტყვა შეუბრუნა ბაჩანამ.

– მაშ, რა იყო, მეფე ერეკლე იყო, მთელი ქალაქი რომ გადარიეთ და ორი საათით მოძრაობა გააჩერეთ?

– ავადმყოფი იყო, სულით ავადმყოფი! – თქვა ბაჩანამ, ყელში მობჯენილი ბურთი ძლივს გადაყლაპა და ფეხზე წამოდგა.

– სად მიდიხარ? – ჰკითხა ლექტორმა.

– სხვა დროს მოვალ, პატივცემულო პროფესორო, – თქვა ბაჩანამ და თავი ჩაღუნა.

– შენი რაიმე ხომ არ იყო? – ბაჩანა დიდხანს დუმდა, მერე თავი აიღო და პროფესორს თვალებში შეხედა.

– და იყო ჩემი!

პროფესორმა თვალი თვალში გაუყარა, ბაჩანამ ვერ გაუძლო მის მზერას და ისევ ჩაღუნა თავი. ისევ დუმილი ჩამოვარდა. კარგა ხნის შემდეგ პროფესორმა მატრიკული გაკეცა და ბაჩანას დაუბრუნა.

– წადი, რამიშვილო! – თვითონ ადგა და ფანჯარასთან მივიდა. ბაჩანამ მატრიკული ჯიბეში ჩაიდო და დერეფანში გამოვიდა.

– რა მიიღე? – შემოესივნენ ბაჩანას სტუდენტები. ბაჩანამ არაფერი უპასუხა, დერეფანი გაიარა, კიბეზე ჩავიდა და უნივერსიტეტის ბაღში ცარიელ სკამზე დაჯდა განმარტოებით. ასე იჯდა თითქმის ერთი საათი. მერე ჯიბიდან მატრიკული ამოიღო და, სხვათა შორის, გაშალა. ეს იყო პირველი ხუთიანი, რომელიც ბაჩანამ მიიღო მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე. ბაჩანამ ცივად დახურა მატრიკული. და ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც კვლავ გაშალა მატრიკული, იგი ვერაფერს ვეღარ ხედავდა. თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე. ბაჩანა ტიროდა. 518 519

წელიწადს არ მოკვდებით, – დაამშვიდა ბაჩანამ. მამა იორამი ისევ გადმობრუნდა.

– ბატონო ბაჩანა, თქვენი ადმინისტრაციული იერარქიის მიხედვით, ჩემი წოდება და თანამდებობა თქვენს რა თანამდებობას შეესაბამება?

– ჰკითხა უცებ მამა იორამმა.

– რამდენი მორწმუნე გყავთ თქვენს სამწყსოში?

– ჩვენ მორწმუნეთა აღრიცხვას არ ვაწარმოებთ.

– ეკლესიის შემოსაწირავი რამდენი გაქვთ წელიწადში?

– იმდენი, რომ ეკლესიის შესაკეთებლად არ გვყოფნის.

– მაშ, ფული, საიდან მოგაქვთ?

– სახელმწიფო გვაფინანსებს.

– კომუნისტები? – შეიცხადა ბაჩანამ.

– კომუნისტები! ამხელა მრევლი წაგვართვით და ფულის გადახდაც არ გინდათ? – ამოიოხრა მღვდელმა.

– მაშინ თქვენი ჩინი და თანამდებობა, მამაო, ჩვენი ადმინისტრაციული იერარქიის მიხედვით, სოფლის კლუბის გამგეს შეესაბამება, – გადმოუხურდავა ბაჩანამ მღვდელს მისი თანამდებობა.

– დამცინით, ბატონო ბაჩანა?

– რატომ, მამაო?

– მაშ, სასულიერო სემინარია ტყუილად დავამთავრე?

– ჩვენი კლუბის გამგეების უმრავლესობას უმაღლესი სასწავლებელი თუ არა, სპეციალური განათლება მაინც აქვთ მიღებული, ახლა წოდებები ნახეთ: რესპუბლიკის დამსახურებული მოღვაწეო, კულტურის დამსახურებული

მუშაკიო, რა გინდა სულო და გულო, აბა, რესპუბლიკის დამსახურებული მღვდელი მე არ გამიგია ჯერ, – ნიშნის მოგებით უთხრა ბაჩანამ.

მღვდელი აშკარად დაღონდა.

– ნუ გეშინიათ, ბატონო იორამ, თქვენ ოღონდ გადმოდით ჩვენს მხარეს და პირობას გაძლევთ, რაიკომის ინსტრუქტორად დაგნიშნავთ,

– დაპირდა ბაჩანა.

– ბატონო ბაჩანა, თქვენ აქ ჩემ გასაკრეჭად ხართ მოსული თუ ინფარქტის მოსარჩენად? – გაბრაზდა მღვდელი, – თქვენ გადმოდით ჩვენსკენ და მე მოგაწყობთ დიაკვნად, თუ გნებავთ.

– რა გაბრაზებთ, მამაო, თუ თქვენი მოძღვრება ჭეშმარიტია, სიკვდილის შემდეგ სულ თქვენს ხელში არ ვიქნები? – უთხრა ბაჩანამ სიცილით.

– მე მგონი, ჩვენ იქ შეხვედრა არ მოგვიწევს, ბატონო ბაჩანა,
– გადაუწურა წყალი მოძღვარმა.

წესი ამიგია, ორთაჭალის სამების ეკლესიის ეზოში იდგა მდუმარედ და ჩემს გამოსვლას ელოდა...

– და მერე რა ჰქენით, გამოდით?

– როგორც უკანასკნელი მათხოვარი, გლახაკი, მშიშარა და მხდალი, საკურთხევლის უკან დავიმალე. რომ გამახსენდება, ისე მრცხვენია, თავის მოკვლა მინდა...

– პიროვნების ავტონომიის დემონსტრირების უმაღლესი ფორმა თვითმკვლელობაა, მამაო, მაგრამ საუბედუროდ თქვენი რელიგიის მიხედვით თვითმკვლელობა აკრძალულია, რამეთუ წაწყმედაა და უდიდესი

ცოდვა, – უთხრა ბაჩანამ.

– რამდენადაც ვიცი, თვითმკვლელობისათვის არც თქვენ უკრავთ ტაშს მიცვალებულს, – უპასუხა მღვდელმა.
– რაღაცეებში ჩვენი მოსაზრებები ემთხვევა, მამაო, იმიტომ
გითხარით ამას წინათ, თქვენგან კარგი კომუნისტი გამოვიდოდა-მეთქი,
– გაახსენა ბაჩანამ.

– მაშინ, რამდენადაც მახსოვს, მე გიპასუხეთ, რომ პირიქითაც შეიძლება მომხდარიყო-მეთქი, – თავის მხრივ გაახსენა მღვდელმა.

– მაგას ნუ ინატრებთ, მამაო, თორემ მთელ თქვენს სამწყსოს კომუნისტებად მოვაქცევ, – გაეცინა ბაჩანას.

– მაგის იმედი კი მაქვს თქვენგან, კომუნისტი, ისიც მწერალი, ას მღვდელზე უარესია, ერთადერთი იმედი სულთა გადანაცვლებისა მაქვს, მეორედ რომ მოხვალთ ამ ქვეყანაზე, იქნებ მაშინ მაინც იწამოთ ჭეშმარიტი ღმერთი, – მამა იორამმა პირჯვარი გამოისახა.
– მწერალი ხალხის ერთგული ძაღლია, მამაო, მე არ მჯერა

სულთა გადანაცვლებისა, მაგრამ ასეთი რამ თუ მართლა არსებობს, ჩემი სული, უეჭველად, ძაღლში გადასახლდება, ასე რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ თუ ქუჩაში უპატრონო და მაწანწალა ძაღლი აგეკიდოთ, ქვა არ ესროლოთ, ბატონო იორამ, რა იცით, იქნებ ის ძაღლი მე ვიყო?!

– ლამაზად ლაპარაკობთ, ბატონო ბაჩანა, მაგრამ ყველა მწერლის სული სიკვდილის შემდეგ თუ ძაღლებში გადასახლდა, კარგად წავა ჩვენი საქმე... – ირონიულად გაიღიმა მამა იორამმა.
– არც ისე ცუდად, თუ თქვენი სულები მგლებში გადასახლდა.
– ვინ გითხრათ, რომ მგლებში გადასახლდება ჩვენი სული?
– საკუთარ მრევლს რომ კაცი საკურთხევლის უკან დაემალება,

არა მგონია, იმის სული ლომში გადასახლდეს, – უკბინა ბაჩანამ. მღვდელმა ვერაფერი უპასუხა, ლოგინში აწრიალდა და კედლისაკენ გადაბრუნდა.
– ნუ გეშინიათ, მამაო იორამ, თქვენ ისეთი სიზმარი გინახავთ, ას
520 521
სხვათა შორის...

– თქვენ ვისთან ხართ, ქალბატონო? – ჰკითხა გაოგნებულმა მოძღვარმა და ბაჩანას გახედა. ბაჩანამ ყელი გამოიგლიჯა და ანიშნა, საუბარი განაგრძეო, ქალს გაუკვირდა მღვდლის საქციელი.
– როგორ თუ ვისთან, თქვენთან ვარ, ბატონო!

– ადრე თუ მიცნობდით ან გინახივართ? – ჰკითხა უკვე როლში შესულმა მღვდელმა.
– თქვენს ცნობას და ნახვას რა უნდა, ბატონო, წაღებულია თვალი
და ყური ბაჩანა რამიშვილით, ტელევიზია გინდათ, რადიო გინდათ...
ისე, მართალი გითხრათ, კი გამიჭირდა ცოტა თქვენი ცნობა, წვერი

მოგიშვიათ, ბატონო ბაჩანა...

– დიახ, ცოტა სიცივეა პალატაში, – უთხრა მამა იორამმა, წვერზე ჩამოისვა ხელი და საბანში გაეხვია.

– ასე იცის მაგ ავადმყოფობამ, – კვერი დაუკრა ქალმა.

– რა გნებავთ, ქალბატონო? – მოთმინება დაელია მამა იორამს.

– როგორ ბრძანდებით?

– გმადლობთ, ახლა არა მიშავს, თქვენ როგორ ბრძანდებით?

– დაღუპული, დაქცეული, დანგრეული, წყალწაღებული და გაუბედურებული!

– ჩამოთვალა ყველა თავისი ავადმყოფობა ნინა სანებლიძემ.

– რით შემიძლია, დაგეხმაროთ? – შესთავაზა სამსახური მამა იორამმა.

– დამეხმაროთ კი არა, უნდა მიშველოთ! – კატეგორიულად თქვა ქალმა.

– რომ ვერ გიშველოთ? – ჰკითხა მღვდელმა.

– თქვენ, ბაჩანა რამიშვილი, ჰა, ჰა, ჰა, – ყალბად გაიცინა ქალმა,

– თქვენი ერთი სიტყვა, ერთი დარეკვა, ერთი წერილი...

– თუ არ მეტყვით, რა გჭირთ, როგორ დაგეხმაროთ, ბატონო? – უსაყვედურა მამა იორამმა და უნებურად შეამჩნია, როგორ ემსგავსებოდა თანდათან ამ ქალთან მისი საუბარი, ბაჩანასა და იმ კომბინატორის საუბარს.

– ორ აგვისტოს, დღისით, მზისით, საქვეყნოდ ჩემს შვილს ყელი გამოსჭრეს... – მღვდელს სახე შეეცვალა.

– სად და ვინ? – ძლივს მოაბრუნა ენა იორამმა.

– უნივერსიტეტის ას მეშვიდე აუდიტორიაში კრეტინმა, დებილმა, უწიგნურმა და მექრთამემ... თქვენ გგონიათ, შეიცვალა რამე იმის შემდეგ? – ჰკითხა უცებ მოძღვარს.

– ვის შემდეგ? – გაუკვირდა მამა იორამს.

– იმის! – თქვა ქალმა და ჭერში აიხედა. – ორ აგვისტოს დილით

– რატომ, მამაო? – შეწუხდა ბაჩანა.

– როგორც კომუნისტებს გიყვართ ლაპარაკი: თქვენი ყველა

ანკეტური მონაცემების მიხედვით, მე მგონი, ჯოჯოხეთში მოგიწევთ ყოფნა, – გაწირა მღვდელმა ბაჩანა.

– მაშ, ჩვენი მეგობრობა არაფერს ნიშნავს, ნუთუ პროტექციას არ გამიწევთ? – დაანამუსა ბაჩანამ მოძღვარი.

– თქვენ ისეთი მსუყე ლუკმა ხართ სატანისათვის, არა მგონია, ჩემმა პროტექციამ გიშველოთ.

– აღსარება რომ მივიღოთ?

– აღიარებთ კი დანაშაულს?

– თუკი არ მაქვს?

– საიდან გექნებათ, დალოცვილო, ქვეყანა თქვენია და რასაც აკეთებთ, ყველაფერი ჭეშმარიტება გგონიათ! – ხელი ჩაიქნია მღვდელმა.

– ნეტარ არიან მორწმუნენი, რამეთუ სჯერათ... ჩვენ გვჯერა ჩვენი საქმის, ბატონო იორამ, – უპასუხა ბაჩანამ.

პალატაში ექთანი ჟენია შემოვიდა. ავადმყოფებმა მექანიკურად საბნები გადაიხადეს, უხმოდ გადაბრუნდნენ და საჯდომები გაიშიშვლეს. ჟენიას გულიანად გაეცინა ავადმყოფების პირობით რეფლექსზე. იგი ამჯერად ხელცარიელი შემოვიდა.

– დაიფარეთ საბანი, ბატონო ბაჩანა, მნახველია თქვენთან მოსული, იქნებ გინდათ, ასე მიიღოთ?

– რა უნდა? – იკითხა ბაჩანამ და საბანი გადაიფარა, მამა იორამმაც გადაიფარა საბანი.

– თქვენი ჯანმრთელობა აინტერესებს, ღამის ქოთანი გავიტანო, თუ ისევ დაგჭირდებათ? – ჰკითხა ჟენიამ სიცილით და საწოლის ქვეშ შეიხედა.

– კაცია თუ ქალი? – დაინტერესდა ბაჩანა.

– ქალია, თან იძახის, ძალიან ახლობელი ვარო, – უპასუხა ჟენიამ.

– მაშინ დატოვეთ! – თქვა ბაჩანამ და ვიზიტისათვის მოემზადა.

– კეთილი! – უპასუხა ჟენიამ და გავიდა.

პალატაში შუახნის ენერგიული, ოდნავ შეჭაღარავებული ქალი შემოვიდა. ხელში საკმაოდ მსუქანი საქაღალდე ეჭირა. იგი შუა პალატაში გაჩერდა, მიიხედ-მოიხედა და მცირე ყოყმანის შემდეგ პირდაპირ მამა იორამისაკენ გაემართა.

– გამარჯობათ, მე თქვენი ახლობელი ნინა სანებლიძე გახლავართ,

– უთხრა მან განცვიფრებულ მღვდელს და წინ დაუჯდა.

– საიდან? – ჰკითხა იორამმა.

– თქვენი მამა ვლადიმერი და მამაჩემი ლაზარე 1915 წლიდან 1916 წლამდე ერთად სწავლობდნენ ბაქოს ინდუსტრიულ ტექნიკუმში, 522 523

– ავად რომ ვარ?

– პატარა წერილი, ტელეფონი...

– კი მაგრამ, რა მივწერო?

– ჩემი ნათესავია, ფრიადოსანია, მომზადებულია, სპორტსმენია, კიდევ რა? – ჰკითხა რატომღაც მღვდელს ქალმა, ჩამოთვლა რომ დაამთავრა.

– არ ვიცი! – უპასუხა განწირული ხმით მამა იორამმა.

– აგერ ცნობა მაქვს სკოლიდან, მოსწავლეთა სპარტაკიადაზე მესამე ადგილი აიღო, სამ მეტრზე ხტება სიგრძეში და მეტრსა და თვრამეტ სანტიმეტრზე სიმაღლეში...

– ჩემი ამხანაგი დაგეხმარებათ აგერ, ფიზკულტურის ინსტიტუტში სპორტსმენია, ხათხა იოგა იცის! – უთხრა მამა იორამმა და ბაჩანაზე

მიუთითა. ბაჩანამ პირსახოცი მოიშორა და თავი დაიქნია თანხმობის ნიშნად.

– ფიზკულტურის ინსტიტუტში რა უნდა ჩემს შვილს? – შეიცხადა ნინა სანებლიძემ და ზიზღით გახედა ბაჩანას, – თხად კი არ ვზრდი?!

– დააყოლა.

– რატომ, ქალბატონო, – ეწყინა ბაჩანას, – ფიზკულტურის ინსტიტუტი დაამთავრეს დუმბაძემ, გოკიელმა, ხნიკინამ, ჯუღელმა...

– თქვენ სპორტსმენი ბრძანდებით? – შეაწყვეტინა ჩამოთვლა ქალმა.

– დიახ, – თავი დაუქნია ბაჩანამ.

– თქვენც ინფარქტი გაქვთ?

– დიახ.

– ახია თქვენზე! – უთხრა ქალმა, ბაჩანას წყენის ნაცვლად სიცილი წასკდა.

– კია ახი, ქალბატონო – უპასუხა, ქალი მიხვდა თავის უტაქტობას და შეეცადა გამოესწორებინა შეცდომა.

– ღმერთმა კარგად გამყოფოთ!

– ღმერთი გწამთ, ქალბატონო? – გაუხარდა მამა იორამს.

– ვისაც სწამს, იმას რა სიკეთე მოუტანა, მე რომ მწამდეს? – მიუბრუნდა ქალი, – დამეხმარეთ და თქვენ იქნებით ჩემი ღმერთიც, ხატიც და რჯულიც.

– არ შემიძლია და მომკალით! – ამოიკვნესა მამა იორამმა.

– თქვენ, დეპუტატს, ცეკას წევრს, რედაქტორს თუ არ შეგიძლიათ, აბა, ვის შეუძლია? – გაუკვირდა ქალს გულწრფელად.

– ქალბატონო, თქვენ ცეკას დადგენილება პროტექციონიზმის შესახებ არ წაგიკითხავთ? – ჰკითხა გაბრაზებულმა მღვდელმა.

გამოგვისვა ყელში დანა მეც და ჩემს შვილსაც, ბავშვი ხელით გამოიტანეს აუდიტორიიდან. სამი წელი ვამზადებდი სამ საგანში, ქართულში, ისტორიაში დ ინგლისურში. თითო საგანში შვიდას მანეთს ვიხდიდი.

– სკოლაში არაფერს არ ასწავლიდნენ? – ჰკითხა მამა იორამმა და რაღაი დარწმუნდა, ბავშვი ცოცხალიაო, შვებით ამოისუნთქა.

– სკოლაში თქვენ რომ სწავლობდით, რა გასწავლეს? – შეუბრუნა კითხვა ქალმა. ამაზე მამა იორამმა ვერაფერი უპასუხა და მორცხვად დახარა თავი.

– ავთანდილის ანდერძი მითხარი ზეპირადო, უთქვამს ბავშვისათვის, თავის მოწაფეებს რატომ არ ჰკითხა, შვიდას-შვიდას მანეთად რომ ამზადებდა თითოს? ავთანდილის ანდერძი ჩემმა ბავშვმა კი არა, თვითონ რუსთაველმა არ იცოდა ზეპირად, ამიტომ დაწერა ქაღალდზე სულაც, მე თუ მკითხავთ.

– მაგას ნუ იტყვით, ქალბატონო, – უსაყვედურა მოძღვარმა.

– თვითონ არ იცის ის ანდერძი, მაგას შეექნა საქმე საანდერძოდ, საზიარებლად და საპარაკლისოდ.
– საიდან იცით?

– მაგას რა ცოდნა უნდა, ბატონო, წამობრძანდით, შეხედეთ სახეზე და მიხვდებით, – გაეცინა ქალს.

– მაგას ვერ დაგიჯერებთ! – კატეგორიულად გაიქნია თავი მღვდელმა.

– დაგენიძლავებით, – თქვა ნინა სანებლიძემ და ხელი გაუწოდა მღვდელს.

– რაზე? – ჰკითხა აზარტში შესულმა მღვდელმა და მანაც გაუწოდა ხელი.

– რაზეც გნებავთ და საერთოდ, მე თუ მკითხავთ, ვეფხისტყაოსანი თუ იცის ბავშვმა ზეპირად, მსოფლიოს ისტორია თუ იცის და ინგლისურად თუ ლაპარაკობს, მასეთ ბავშვს, საერთოდ არ მივიღებ უმაღლესში. სწავლა და განათლება და უმაღლესი, უცოდინარს და გაჭირვებულს სჭირდება.

– ეხლა რა ვქნათ? – შეაწყვეტინა მღვდელმა ნინა სანებლიძეს უმაღლესი განათლებისა და საყოველთაო სწავლების ახალი წესების პროპაგანდა.

– უნდა დამეხმაროთ, ბატონო ბაჩანა! – შეჰღაღადა ქალმა. მღვდელმა ბაჩანას გახედა, მიშველეო, ბაჩანას რომ არ გასცინებოდა, პირსახოცით აეკრა პირი.
– როგორ? – ჰკითხა სასოწარკვეთილმა მღვდელმა.

– უნდა მიმეგზავნოთ უმაღლესი სკოლების განათლების მინისტრთან. 524 525
– დედას გეფიცებით! – თქვა ბაჩანამ და გულზე დაიდო ხელი.

– მაშინ, იქნებ თქვენ დამეხმაროთ? – ზურგი შეაქცია ქალბატონმა ნინამ იორამს.

– მე მხოლოდ ფიზკულტურის ინსტიტუტში შემიძლია... – უთხრა ბაჩანამ.
– კარგი, ბატონო, გაისად ამთავრებს ჩემი უმცროსი ვაჟი,

მშვენივრად ცურავს ქობულეთში. ნაპირიდან ას მეტრზე ქვა ამოაქვს ზღვიდან ყვინთვით. თუ თქვენ გვარს და სახელს ჩამაწერინებთ, გაისად შეგაწუხებთ, – თქვა ქალმა და ფანქარი ამოიღო საქაღალდედან.
– გაისამდე თუ ვიცოცხლე კი, ბატონო! – დაპირდა ბაჩანა.

– მე ისეთი დაწყევლილი იღბალი მაქვს, არაა გამორიცხული, მაგრამ მაინც ჩამაწერინეთ, რა გვარი ბრძანდებით? – ჰკითხა ქალმა და სწორედ აქ გაფუჭდა ყველაფერი. ბაჩანას დაავიწყდა მთელი ეს ინსცენირება და დაუფარავი სიამაყით უთხრა:
– მე ბაჩანა რამიშვილი გახლავართ! – ქალს ფანქარი გაუშეშდა

და ქვედა ყბა ჩამოუვარდა, ბაჩანას კი ცივმა ოფლმა დაასხა.
– რა ბრძანეთ?

– ბაჩანა რამიშვილი! – ვეღარ დაიხია უკან ბაჩანამ.

– მაშ, ეს ვიღა არის? – თქვა საქციელწამხდარმა ქალმა და მამა იორამს გახედა.

– ეს მამა იორამია, ორთაჭალის სამების ეკლესიის წინამძღვარი, კანდელაკი, – ქალს მკლავები ჩამოუცვივდა, მიწისფერი დაედო და გაკვირვებულმა იკითხა:
– და ეს კაცი მეკითხებოდა მე, წუთის წინ, ღმერთი თუ გწამსო?!

– მთლად ჩემი ბრალი არ არის, ქალბატონო! – დაიწყო თავის მართლება მამა იორამმა. ქალი ადგა. პალატაში ძალიან უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

– ეს არის თქვენი ჰუმანიზმი? – ჰკითხა მან ბაჩანას. ბაჩანამ ვერაფერი უპასუხა, მხრები აიჩეჩა მხოლოდ და ვალიდოლი ამოიდო ენის ქვეშ.
– ¿Ñîåãèçíòû – თქვა ქალმა და პალატიდან გავიდა.
– მე მგონი, ცუდად მოვიქეცით, – თქვა მამა იორამმა.

– ძალიან ცუდად, – გამოტყდა ბაჩანა, – მაგრამ ყველაფერი ჩემი ბრალია, ბატონო იორამ, გთხოვთ, მაპატიოთ სულგრძელად.

– მიპატიებია, თუნდაც იმიტომ, რომ მე თავად აგყევით და რაც მთავარია, მეცოდებით, ნუთუ ქვეყნად კაცი არ არსებობს, ბატონო ბაჩანა, ვისაც მხოლოდ თქვენი ჯანმრთელობა აინტერესებს? – ჰკითხა მამა იორამმა და ისეთი თვალებით შეხედა, ბაჩანას საკუთარი თავი
– პროტექციონიზმი რას მიქვია, პროტექცია ისაა, სხვა ვინმეზე

რომ გთხოვოთ, მე კი ჩემს შვილზე გეხვეწებით! – უკანასკნელად გაიბრძოლა ქალმა.

– არა, მით უმეტეს, რომ ორი უკვე დაწერილია! – მტკიცედ უპასუხა მამა იორამმა და კედლისაკენ გადაბრუნდა.

– მაშინ, სხვა რამეში დამეხმარეთ, – დაყარა ფარ-ხმალი ქალბატონმა ნინამ.
– რაში მაგალითად? – გადმოტრიალდა მღვდელი.

– პირველი მაისის რაიაღმასკომის თავმჯდომარის ნათლიმამაო, თქვენზე თქვეს, იქნებ ბინის შემოერთებაში დამეხმაროთ. ჩვენი მეზობელი გადადის მალე სოლოლაკში, ოთხოთახიანი ბინა მისცეს, კაციშვილმა არ იცის რაში და იმის ოთახის შემოერთება გვინდა, ბიჭი იწერება, კოლონიიდან რომ დავბრუნდები, ქალის მოყვანას ვაპირებო, ცოტა ვიწროდ შევიქნებით, თუ ახლავე არ დავიჭირეთ თადარიგი. მართალია, იმ ოთახზე სხვა მეზობელსაც აქვს პრეტენზია, მაგრამ ჩვენზე უფრო უპრიანია, იმიტომ, რომ იმის ლოჯი და ჩემი სამზარეულო, კარს თუ

გავჭრი და გვერდიდან კიბეს მიადგამ, საერთო აივნის გავლით, მეორე

მეზობლის ოროთახიან ბინას უერთდება, ის მეზობელი უკვე გადაგვყავს წერეთლის პროსპექტზე, ოროთახიან ბინაში. მართალია, ცოტა შორსაა პლეხანოვიდან და ფართიც ნაკლებია, ოთხი მეტრით და ცამეტი სანტიმეტრით, მაგრამ რემონტს უკეთებს ჩემი ქმარი და ტელეფონს უდგამს უფასოდ. მერე იქ, გვერდით, მარტოხელა ავადმყოფი ქალი ცხოვრობს, ერთოთახიან ბინაში, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს და მალე მოკვდება, ალბათ, აბა, რას იზამს? შარშან გვიშვილა მე და ჩემი ქმარი, ჩვენ ვუვლით საცოდავს და ახლა ჩვენი უმცროსი ბიჭი თუ არ ჩავუწერეთ, გვეკარგება ეს სიმწრით ნაშოვნი ოთახიც და ამდენი ამაგიც წყალში გვეყრება, ერთი თქვენი დარეკვა, ბატონო ბაჩანა და თქვენზე ვილოცებთ დღე და ღამე მთელი ჩვენი ოჯახი...

– ცოტა უხერხულად კი გამომდის, ქალბატონო, ყველაფერზე უარს რომ გეუბნებით, მაგრამ არ ვიცნობ იმ თავმჯდომარეს, – ოფლი მოიწმინდა შუბლიდან მამა იორამმა.

– ის გიცნობთ! – ეცა პირში ქალი.

– ვეჭვობ, რომ მიცნობდეს! – თქვა მამა იორამმა და ბაჩანას

გახედა, ამჯერად ნამდვილად სთხოვდა, მიშველეო. ბაჩანას შეეცოდა მამა იორამი და აქტიურად ჩაება საუბარში.

– ქალბატონო, ნამდვილად ვიცი, რომ არ იცნობს აღმასკომის თავმჯდომარეს, – დაემოწმა ბაჩანა მღვდელს.

– არ მჯერა!

526 527

– შემოვიდეს! – ვუთხარი. კაბინეტში პატარა, ცალტვინა მაიმუნი შემოვიდა. მლიქვნელისათვის და გაიძვერასათვის დამახასიათებელი ოფლით გაჟღენთილი ცივი ხელი ჩამომართვა, მაგიდაზე ქაღალდები დამიწყო, ოთახის კუთხეში მიიყუჟა და მოლოდინით სავსე თვალები მომაპყრო. ქაღალდებს თვალი გადავავლე, ქარაგმული ნაკვესები აღმოჩნდა. მაიმუნის პირობაზე არა უშავდა.

– ვინ იცის, დარვინის მოძღვრების თანახმად, ამ მაიმუნისაგანაც გამოვიდეს კაცი-მეთქი, გავიფიქრე და დავუბეჭდე რამდენიმე ნაკვესი. ერთი მათგანი ასეთი იყო: – კაცს მართლა სიცხე უნდა ჰქონდეს, ჩვენს აფთიაქებში თერმომეტრი რომ მოიკითხოსო.

– რას ერჩი! – წამოიძახა მამა იორამმა, გულიანად გაიცინა და ბაჩანასაკენ გადმობრუნდა.

– მეც ასე ვიფიქრე. ხელმეორედ რომ მოვიდა ის მაიმუნი

რედაქციაში, ვერც ერთმა ვეღარ ვიცანით, – განაგრძო ბაჩანამ, – ზუსტად ისე ეცვა, როგორც ადამიანებს. მე თუ მკითხავთ, ცოტა უკეთესადაც. მოვიდა და ისევ ნაკვესები მომიტანა. წავიკითხე თუ არა, იმ წუთში ვიცანი სტილზე მაიმუნი.

– კაცო, შენ ის მაიმუნი არა ხარ, ამას წინათ, რომ იყავი ჩემთან

და ნაკვესები რომ დაგიბეჭდე? – ვკითხე.

– კი ბატონო, ის მაიმუნი ვარ, მაგრამ ძალიან მინდა ადამიანობა და გამიმართეთ ხელიო, – მთხოვა.

– ცოტა მოითმინე, იშრომე, ხომ იცი, შრომამ რომ შექმნა ადამიანი?

– ვურჩიე მაიმუნს.

– ვიცი, ბატონო, ეგ ყველაფერი უკვე წაკითხული მაქვს, მაგრამ

მე ისეთი მაიმუნი ვარ, მოთმინება არ მაქვს, მით უმეტეს, ადამიანების უმრავლესობას უკვე კაცი ვგონივარ. – მიპასუხა მაიმუნმა.

– კარგი, დაგიბეჭდავ, მაგრამ ეგ რას გიშველის, მაინც მაიმუნად დარჩები-მეთქი, – ვუპასუხე და ისევ დავუბეჭდე ნაკვესები. რომ მიდიოდა, მთხოვა:

– ნუ გამამხელთ ხალხში, ბატონო, მაიმუნი რომ ვარო, – არ გავამხილე, ჩემი კეთილი ბუნების გამო, თან ვიცოდი, რომ მშვენივრად ბაძავდა ხალხს ლაპარაკში. წავიდეს, ვიფიქრე, იმაიმუნოს თავისთვის, ისეთს რას დააშავებს-მეთქი. წავიდა და გავიდა ხალხში მაიმუნი.

– ნუთუ თქვენ გარდა ვერავინ შეამჩნია, ბატონო ბაჩანა, იმ კაცს მაიმუნობა, – ჰკითხა სმენადქცეულმა მღვდელმა.

– გამაიმუნებული ადამიანის ცნობა გაცილებით უფრო ადვილია,

ვიდრე კაცადქცეული მაიმუნისა, მამაო იორამ. ამას წინათ, ზოოპარკიდან სამი მაიმუნი გაქცევიათ. მილიციის უფროსს სასწრაფოდ მოუწვევია შეეცოდა, – ალბათ, ძალიან ბევრი ხალხის დახმარება გიწევთ...

– თქვენ რა გიჭირთ, მამაო, თქვენთან მუხლზე დაჩოქილი მოდიან და მხოლოდ სულის ცხონებას გთხოვენ... – ბაჩანამ ხელი ჩაიქნია.

– დიდი ხანია, ასეთ დღეში ხართ?

– რაც გაზეთის რედაქტორი გავხდი. თუ გავედი აქედან ცოცხალი, ყველაფერს თავს დავანებებ. კაცის სახე დავკარგე, მამაო, რაღაც მოწყალების კომიტეტის თავმჯდომარედ ვიქეცი, ქვეყანას თავი მოვაბეზრე თხოვნებით...

– მოწყალება ღვთის დაკანონებული საქმეა! – თქვა მღვდელმა.

– ვიცი, მამაო, მთელი ჩემი ცხოვრება მეტს არაფერს ვაკეთებ, მაგრამ, როგორ ფიქრობთ, ეს ქალი სამოწყალო იყო?

– თვალთმაქცი იყო! – თქვა მამა იორამმა.

– და როდესაც ასეთი მთხოვნელი თქვენთან მოდის, ხატს წინ უჩოქებს, სანთელს უნთებს და მოწყალებას თხოვს, თქვენ როგორ უყურებთ ამ საქმეს?

– ჩვენ თქვენგან განსხვავებით ერთი უპირატესობა გვაქვს, ჩვენი მთხოვნელი უშუალოდ ღმერთს სთხოვს მოწყალებას, ბატონო ბაჩანა.

– ვიცი, მამაო, თქვენ გაქვთ ყოვლისმომცველი და ყოველგვარ პასუხისმგებლობას მოკლებული უნივერსალური ფორმულა. „ღვთის

ნება იყო“ ან „არ იყო“. ასე მოძღვრება ადვილია... ჩვენ კი ძალიან

რთული და კონკრეტული ფორმულებით ვხელმძღვანელობთ. კერძოდ, „ეს უკანონობაა“ ან „ეს კანონიერია“ – შემდეგ კი ბრძოლა გვიხდება ერთის აღმოსაფხვრელად და მეორის დასამკვიდრებლად... თქვენ დამნაშავეს ხატს გადასცემთ, ჩვენ კი – მართლმსაჯულებას... იოლი ცხოვრება გაქვთ, მამაო იორამ, – მღვდელმა არაფერი არ უპასუხა, კედლისკენ გადაბრუნდა და საბანი წაიხურა თავზე. ბაჩანაც დადუმდა.

– ... და მაინც სიკეთე უნდა თესოს ადამიანმა... – თქვა მღვდელმა დიდი ხნის დუმილის შემდეგ.

– ყველა საქმეს როდი ეტყობა, მამაო, თავიდან სასიკეთო ნაყოფს გამოიღებს თუ არა. ერთ ამბავს მოგიყვებით ჩემი ცხოვრებიდან თუ გაინტერესებთ, ოღონდ ცოტათი ზღაპარს ჰგავს.

– ბრძანეთ! – თქვა მამა იორამმა და საბნიდან ყური გამოაჩინა.

* * *

ერთ დღეს ჩემმა მდივანმა შემოაღო კაბინეტის კარი და მითხრა:

– ბატონო ბაჩანა, ვიღაც მაიმუნია მოსული და თქვენი ნახვა უნდა.

528 529

და დადუმდა.

– მერე აღარსად შეგხვედრიათ? – ჰკითხა მამა იორამმა.

– როგორ არა, მწერალთა კავშირის წევრიც გახდა, დამიმეგობრდა კიდეც. სადღეგრძელოში სულ მამას მეძახდა. რამდენიმე წლის წინ, დეპუტატად რომ უნდოდათ ჩემი კანდიდატურის წამოყენება, რაიკომის მდივანთან მივიდა თურმე, სპეციალურად, მადლობის სათქმელად...

– არ გადამრიოთ, ბატონო ბაჩანა!

– კი, ასე უთხრა თურმე: – ბატონო ნიკოლოზ, მთელი ქართველი მწერლების, მკითხველი საზოგადოების და მისი რედაქციისა და მეგობრების სახელით მადლობა მინდა, მოგახსენოთ ამხანაგ ბაჩანა რამიშვილის კანდიდატურის წამოყენებისათვის. მხოლოდ თქვენისთანა პრინციპულ, გაბედულ და კეთილშობილ კომუნისტს შეუძლია, ყურადღება არ მიაქციოს ბაჩანა რამიშვილის წარსულს და მხოლოდ მისი ადამიანობის მიხედვით იმსჯელოს მის პიროვნებაზეო...

– რა წარსულსო? – უკითხავს ცოტა არ იყოს გაკვირვებულ რაიკომის მდივანს.

– ისეთს არაფერს, ბატონო ნიკოლოზ, თუნდაც ისეთ უბრალო ფაქტს რომ არ იღებთ მხედველობაში, მშობლები რომ ჰყავდა

რეპრესირებული, თვითონაც რომ იყო ახალგაზრდობაში დაპატიმრებული, მართალია გაუგებრობის ნიადაგზე, მაგრამ ხომ იცით, ანკეტა მაინც ანკეტაა და... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამას წინათ მის გაზეთში ბოლშევიკების ნაცვლად მენშევიკები რომ ეწერა... კაცობა სწორედ იმაშია, ყველაფერ ამაზე თვალს რომ დახუჭავ და მაინც ამხელა ნდობას გამოუცხადებთ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა და

არცთუ ისე დამსახურებულ კაცს. მხოლოდ თქვენისთანა ხელმძღვანელს შეუძლია, ასეთი რისკი გასწიოს, ამიტომ სიტყვებიც კი არ მყოფნის მადლობის სათქმელად. გმადლობთ, ბატონო ნიკოლოზ, კიდევ ერთხელ გმადლობთ! – ბაჩანამ ამბავი დაამთავრა.

– სად არის ახლა ის მაიმუნი? – ძლივს მოაბრუნა ენა გამშრალ პირში მამა იორამმა.

– არ ვიცი, გამორიცხული არ არის, რომ ხვალ ჩემს სანახავადაც მოვიდეს, – გაეცინა ბაჩანას.

– ბატონო ბაჩანა! – თქვა დიდი ხნის დუმილის შემდეგ მამა

იორამმა, – ქართლის ცხოვრებაში ჩვენთვის ერთი ფრიად არასასიამოვნო ამბავი წერია, თუ გახსოვთ, დავით აღმაშენებლის მეისტორიე სწერს:

– ... ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს, პირველთაგანვე თვისთა უფალთა, რამეთუ, რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება პოონ და განსუენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა...

ოპერატიული ჯგუფი და სხდომა ჩაუტარებია, თუ როგორ შეეპყროთ გაქცეული მაიმუნები, ცოტა სიტყვა გაგრძელებია, მაშინ ერთ-ერთი მილიციელი ამდგარა და უფროსისათვის უთქვამს:

– ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, ცოტა სიტყვა შეამოკლე, თორემ ის მაიმუნები ხალხში გაერევა და მერე ჩემს ფეხებს ვიპოვითო!

– მერე რა მოხდა? – დაინტერესდა მამა იორამი.

– ორი მაიმუნი უცებ დაუჭერიათ და ერთს მგონი ეხლაც დაეძებენ.

– უპასუხა ბაჩანამ. – ჰოდა, იმას გიყვებოდით. გამოვიდა ხალხში ეს მაიმუნი. რამდენიმე წლის შემდეგ ისევ მოვიდა ჩემთან. ამჯერად მოთხრობები მომიტანა, წავიკითხე და გულზე შემომეყარა.

– ეს რა გიქნია, საბრალო მაიმუნო, ასეთი მაიმუნობა მაიმუნსაც არ ეკადრება-მეთქი, ვუთხარი.

– რატომ, ბატონო, მე, როგორც კრიტიკოსს, ძალიან მომწონს ჩემი მოთხრობებიო, – მიპახუხა წყენით.

– როგორ, შენ უკვე კრიტიკოსიცა ხარ? – ვკითხე განცვიფრებულმა.

– კრიტიკოსიც ვარ, ხარისხიც დავიცავი და ლექციებსაც

ვკითხულობ ტელევიზიაში, რადიოში, საზოგადოება ცოდნის ხაზით და ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელშიო, – მითხრა ნიშნის მოგებით. შემეცოდა მაიმუნის სტუდენტები, მაგრამ რა მექნა? არც კათედრის გამგე ვიყავი, არც რექტორი, რომ უმაღლესი სასწავლებლიდან გამეგდო. კაცმა რომ თქვას, მაგის მორალური უფლებაც არ მქონდა, სხვა რომ არაფერი, ეს მაიმუნი ხომ ჩემი გამოყვანილი იყო ხალხში.

– ის მაინც გეთქვათ ხალხისათვის, რომ მაიმუნია, – გააწყვეტინა სიტყვა მღვდელმა.

– ვთქვი, მამაო, მაგრამ უკვე გვიანი იყო, შენ თვითონ ხარ მაიმუნიო. – ასე მიპახუხეს.

– ახია თქვენზე! – გულზე მჯიღი დაირტყა მღვდელმა.
– ვიცი, – უპასუხა ბაჩანამ.
– მერე რა ჰქენით? – აწრიალდა ლოგინში მამა იორამი.
– რაც შემეძლო, ის ვქენი, უკან გავატანე მოთხრობები...
– მერე რაო?

– მწერალთა კავშირის წევრი რომ ვიყო, მაშინ ხომ დამიბეჭდავდი ამ მოთხრობებს, მაგრამ მალე გავხდები მწერალთა კავშირის წევრი და დედას გიტირებო! – დამემუქრა, – შენისთანა მაიმუნს მწერალთა კავშირში რა უნდა-მეთქი, მინდოდა მეთქვა, მაგრამ თავი შევიკავე...
– რატომ? – ხმას აუწია მამა იორამმა.

– იმიტომ, ბატონო იორამ, რომ ადრე მაგაზე დიდი მაიმუნებისათვის მქონდა ხმა მიცემული და რეკომენდაციაც ათასგზის... – თქვა ბაჩანამ 34. ნ. დუმბაძე, ტ. II
530 531
– ადრე არ მღებულობდნენ, ბატონო! – მოკლედ თქვა ბაჩანამ.

– რატომ? – ჰკითხა ბანძელაძემ. ბანძელაძე წითური იყო, სახეღაჟღაჟა და ცხვირბრტყელი, თვალები იმდენად პატარა, წვრილი და მოძრავი ჰქონდა, იმდენად მოძრავი, რომ ბაჩანამ მათი ფერი ვერა და ვერ დაიჭირა.

– განცხადებაში მიწერია ყველაფერი, – თვალით ანიშნა ბაჩანამ პირად საქმეზე. იორდანიშვილმა ბაჩანას პირადი საქმე გაშალა, მის განცხადებას გადაავლო თვალი, მაგრამ არაფერი არ თქვა.

– მშობლები მყავდა რეპრესირებული, – განმარტა ბაჩანამ, რაღაი იორდანიშვილმა ხმა არ ამოიღო.

– ახლა ორთავე რეაბილიტირებულია! – დაუმატა იორდანიშვილმა და თავის მეგობრებს შეხედა.

– კომკავშირში როგორღა მიგიღეს? – ჰკითხა დავით მანაგაძემ. მანაგაძეს კავკასიური ნაგაზივით უზარმაზარი, ბანჯგვლიანი, ჭაღარა თავი ჰქონდა და საოცრად ალერსიანი გამოხედვა.
– დავმალე, რომ რეპრესირებული მყავდა მშობლები, – თქვა ბაჩანამ.
ძველმა ბოლშევიკებმა ერთმანეთს შეხედეს გაკვირვებულებმა.
– კი მაგრამ, არავინ იცოდა, ვინ იყავით? – ჰკითხა მანაგაძემ.
– იცოდა, სკოლის კომკავშირის მდივანმა.
– და არ გაგამხილათ?
– დიახ!
– რატომ?
– მეგობარი იყო ჩემი... – დუმილი ჩამოვარდა, – ომის წლები

იყო, ძალიან მძიმე წლები, მაშინ ტყუილად და მოსაჩვენებლად არავინ შედიოდა კომკავშირში. ეს იცოდა ჩემმა მეგობარმა... – თქვა დუმილის

შემდეგ ბაჩანამ.

– სხვამ არავინ იცოდა? – ჰკითხა ბანძელაძემ.

– თითქმის ყველამ, არ იცოდა მხოლოდ რაიკომმა.

– და არავინ არ თქვა?

– არა, არავინ არ თქვა, – იორდანიშვილმა ბაჩანას პირადი საქმე დახურა და გვერდზე გადადო.

– როგორ ფიქრობთ, მიგიღებდნენ თუ არა, რომ სცოდნოდათ?

– არა, არ მიმიღებდნენ! – თქვა ბაჩანამ.

– მშობლების გამო რამე წყენა ხომ არ გაქვთ ან გქონდათ პარტიის მიმართ? – ჰკითხა ბანძელაძემ. ბაჩანამ იცოდა, რომ სწორედ ახლა უნდა ეთქვა, – როგორ გეკადრებათ, ბატონოვო, მაგრამ მართლის თქმა აირჩია:

ბაჩანას ახსოვდა დავითის ისტორიკოსის ეს სიტყვები და არაფერი არ უპასუხა მამა იორამს, სედუქსენი დალია და კედლისკენ გადაბრუნდა.

13

ვიდრე რაიკომის ბიუროზე გაიტანდნენ ბაჩანას პარტიის წევრობის კანდიდატად მიღების საკითხს, გასაუბრებაზე დაუძახეს. არავინ წაყოლია პარტიული კომიტეტიდან. მარტო მივიდა რაიკომში.

პარტკაბინეტში მიიწვიეს, შევიდა, საერთო სალამი თქვა და გრძელი მაგიდის ბოლოში დაჯდა. სამნი უსხდნენ მაგიდას, ორი ერთი მხრიდან, მესამე კი – მოპირდაპირე მხარეს.

– ჩვენი საუბარი დღეს ფორმალურ ხასიათს ატარებს, ამხანაგო რამიშვილო, მიზანი, რა თქმა უნდა, ერთია, პარტიამ ზედმიწევნით კარგად უნდა იცოდეს, ვის იღებს თავის რიგებში. ამიტომ, თუ თქვენ წინააღმდეგი არ იქნებით, ცოტა გაგესაუბრებით, იქნებ თქვენც გქონდეთ რამე შეკითხვა ჩვენს მიმართ, – უთხრა ბაჩანას ერთ-ერთმა, რომელიც მაგიდის მარჯვნივ იჯდა და ბაჩანას პირადი საქმე ედო წინ.

– კი ბატონო, როგორც საჭიროა, ისე მოიქეცით, – უპასუხა

ბაჩანამ და გული უჩვეულოდ აუჩქროლდა. ეს გასაუბრება ძალიან ჰგავდა გამოცდას, მაგრამ ჩვეულებრივს კი არა, არამედ ისეთს, როდესაც არ იცი, რომელ საგანში გამოგცდიან. ბაჩანას საკუთარი გულის ბაგაბუგი ესმოდა. დაძაბული იჯდა და შეკითხვებს ელოდა.

– უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთს გავეცნოთ. ჩვენ ძველი ბოლშევიკები ვართ. მე ალექსანდრე მქვია, იორდანიშვილი, ჩემს მეგობრებს – ამას – ვანო ბანძელაძე, ამას – დავით მანაგაძე, – თქვა იმ კაცმა, რომელსაც ბაჩანას პირადი საქმე ედო წინ.

– ძალიან სასიამოვნო, გამარჯობათ! – თქვა ბაჩანამ და ფეხზე წამოდგა.

– დაბრძანდით! – უთხრა იორდანიშვილმა. მას ნაყვავილარი სახე ჰქონდა, ბოხი ხმა, თაფლისფერი თვალები, ცხვირი კი ოდნავ კეხიანი

და ლამაზი.

– ამხანაგო რამიშვილო, მე მაინტერესებს, ამდენ ხანს რატომ არ შემოდით პარტიაში? – ჰკითხა ალექსანდრემ. ბაჩანა ელოდა ამ შეკითხვას და შაბლონური პასუხიც ჰქონდა მზად, – რომ ადრე არ თვლიდა თავს საკმაოდ მომზადებულად და ღირსად, რათა ასეთი საპატიო მისია ეკისრა, ხოლო ახლა, როდესაც იგრძნო თავის თავში საკმაო ძალა და ენერგია, ახლა, როდესაც ძირფესვიანად დაეუფლა... და, ასე შემდეგ, მაგრამ რატომღაც ენა არ მოუტრიალდა.

532 533

მთიელთა რესპუბლიკის კომუნისტებისადმი? – ჰკითხა იორდანიშვილმა. ბაჩანამ დიდხანს იფიქრა... ბოლოს კითხვა შეუბრუნა იორდანიშვილს:

– ბატონო ალექსანდრე, ამხანაგი ლენინის ეს წერილი და კიდევ

სხვა რომელიმე, რომ არ ვიცოდე, მიმიღებთ თუ არა პარტიაში? – იორდანიშვილი შეწუხდა და პასუხი დაუგვიანა. მაშინ ბაჩანამ ისევ შეუბრუნა კითხვა:

– თქვენ მხოლოდ იმას მეკითხებით, რაც თვითონ იცით, თუ იმას, რაც სავალდებულოა?

– რისი ცოდნაც სასურველია, ამხანაგო რამიშვილო, ამ წერილის ადრესატები მე და ჩემი მეგობრები ვიყავით... – ბაჩანამ ძალიან უხერხულად იგრძნო თავი, ფეხზე წამოდგა და რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ იორდანიშვილმა არ აცალა.

– ნახვამდის, ამხანაგო რამიშვილო, – თქვა მან და თავადაც

წამოდგა, ბაჩანას ჟრუანტელმა დაუარა ტანში. ყველაფერი გათავდა. – გაიფიქრა მან და გული გაუჩერდა, იგი უცებ დაჯდა და მარცხენა ძუძუზე დაიდო ხელი.

– რა მოგივიდათ? – ჰკითხა შეწუხებულმა მანაგაძემ. ბაჩანამ ძალა მოიკრიბა და ისევ წამოდგა ფეხზე.

– არაფერი, ბატონო დავით, მე თვითონ არ ვიცი, რა მომივიდა, გამიარა უკვე! – ბაჩანამ კვლავ გაიგონა საკუთარი გულის დაგადუგი და გაეღიმა.

– ხვალ, პირველ საათზე, თქვენი საკითხი გავა რაიკომის ბიუროზე, მე მგონი, ყველაფერი კარგად იქნება... იმ წერილს მაინც გადაავლეთ თვალი, დროს თუ გამონახავთ... – ურჩია იორდანიშვილმა.

– ბატონო ალექსანდრე, – აღელვებული ხმით დაიწყო ბაჩანამ, –

ის წერილი ამხანაგმა ლენინმა 1921 წლის 14 აპრილს დაწერა, ხოლო 1921 წლის რვა მაისს, იგი „პრავდა გრუზიის“ ორმოცდამეთხუთმეტე ნომერში გამოქვეყნდა...

– უცნაური კაცი ხართ, რამიშვილო, – უპასუხა იორდანიშვილმა და გაიცინა. – ნახვამდის!

– ნახვამდის და დიდი მადლობა! – თქვა ბაჩანამ და სამთავეს

ხელი ჩამოართვა.

– კიდევ ერთი, – თქვა ბანძელაძემ და ბაჩანას ხელით ანიშნა, პაპიროსი მომეციო, ბაჩანამ პაპიროსი მიაწოდა და სმენად იქცა...

– კიდევ ერთი, რამიშვილო, მაგ „ბატონოს“ თუ გადაეჩვევი და „ამხანაგოს“ მიეჩვევი, არ იქნებოდა ურიგო.

– კი ბატონო! – დაჰპირდა ბაჩანა. სამთავეს გულიანად გაეცინა. ბაჩანა პარტკაბინეტიდან გავიდა.

– კი მქონდა! – თქვა და ათრთოლებული ხელით პაპიროსი ამოიღო კოლოფიდან.

– მომაწევინეთ, თუ შეიძლება! – სთხოვა ბაჩანაზე არანაკლებ აღელვებულმა მანაგაძემ და ხელი გაუწოდა. ბაჩანამ ასანთი და პაპიროსი გადასცა.

– და შემდეგ გაგიარათ ამ წყენამ თუ?.. – ჰკითხა ბანძელაძემ და მანაც ამოიღო ბაჩანას კოლოფიდან პაპიროსი. ისევ დუმილი ჩამოვარდა.

– გამიარა, მაგრამ შემდეგ, დიდი ხნის შემდეგ კვლავ გამიჩნდა ეს გრძნობა, – ბაჩანამ პაპიროსს მოუკიდა.

– როდის?

– რეაბილიტაციის შემდეგ, ჩემთვის მოულოდნელად, სიხარულის ნაცვლად წყენა გამიჩნდა... – ბაჩანამ პაპიროსი ასანთის კოლოფს დააჭყლიტა, მერე უცებ ახალი პაპიროსი ამოიღო და გააბოლა – გამიჩნდა, იმიტომ რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში თურმე სულ ტყუილად, არაფრის გამო გადავიტანეთ ამდენი სიდუხჭირე, დამცირება და უბედურება.

– ეხლა სად არიან თქვენი მშობლები? – ჰკითხა იორდანიშვილმა.

– აღარ არიან, – უპასუხა ბაჩანამ.

– და თქვენ ახლა ასეთი გრძნობით შედიხართ პარტიაში? –

ჰკითხა ბაჩანას ბანძელაძემ. ბაჩანა დაფიქრდა. პასუხი დაუგვიანა. ბანძელაძემ ნერვიულად დაუწყო პაპიროსს ღეჭვა.

– მე ვიცი, – დაიწყო ბაჩანამ, – მე ვიცი, რომ ისტორია სავსეა პარადოქსებით, რომ ადამიანები ხშირად ცდებიან. ნებით თუ უნებლიეთ, შემდეგ ასწორებენ თავის შეცდომებს, ზოგი გვიან, ზოგი ადრე, ზოგი ისე მიდის ამ ქვეყნიდან, დარწმუნებულია თავისი შეცდომების

სისწორეში, ასეთი ადამიანების შეცდომების გასწორება მომავალ თაობებს მოუწევთ... ადამიანებმა, რომლებმაც მე ტკივილი მომაყენეს, უკვე აგეს პასუხი და თითქმის აღარ არიან. ახლა სახელმწიფოს

მმართველობაში ჩემი თაობის ხალხი მოდის, ჩემი თანატოლები მოდიან, მე არ მაქვს შურისძიების უფლება, პირიქით, მე ვალდებული ვარ მხარში ამოვუდგე მათ, თუნდაც იმიტომ, რომ მსგავსი შეცდომა არ განმეორდეს... მით უმეტეს, რომ მე საოცრად მჯერა მათი საქმის, ეს

საქმე საკუთარ საქმედ მიმაჩნია... და კიდევ ერთი რამ, რაც ყველაზე

მთავარია. მწერალს არ აქვს უფლება სუბიექტური იყოს... თუ მწერალი ობიექტური არ არის, კაპიკია მისი მწერლობის ფასი... – ბანძელაძემ კმაყოფილებით დაიქნია თავი.

– ცნობილია თუ არა თქვენთვის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის წერილი: აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის და
534 535

– მინდა, რაც შეიძლება მეტი პატიოსანი კაცი იყოს პარტიაში! – თქვა მან, თავი ჩაღუნა და დაჯდა. კაბინეტში წამით გაკვირვებამ

გაიშრიალა, თითქოს ნიავმა დაუბერაო და ისევ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ბაჩანა ვერაფერს ვერ ხედავდა. მან მხოლოდ იგრძნო, როგორ წამოდგა რაიკომის მდივანი.
– ამხანაგებო, მე ბავშვობიდან ვიცნობ ბაჩანა რამიშვილს, იგი

სულით ხორცამდე კომუნისტია, მე მას დიდი ხანია კომუნისტად ვთვლი და ახლაც მხარს ვუჭერ მის კანდიდატურას. ვინ არის მომხრე, რომ ბაჩანა რამიშვილი მიღებულ იქნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატად, გთხოვთ, ასწიოთ ხელი.

... და აქ მოხდა ისეთი სასწაული, რომელიც, ალბათ, არც ერთი პარტიის ისტორიაში არ მომხდარა. სხვებთან ერთად ბაჩანა რამიშვილმაც ასწია ხელი.
14

ორი დღე თოვდა თბილისში განუწყვეტლივ. ორი დღე ბარდნიდა მშრალად, ქალაქში ტრანსპორტის მოძრაობა ჩაკვდა და ქუჩები ხმაურით, სიცილით, კისკისით, ფეხდაცურებული მოქალაქეების შემკრთალი შეკივლებებით, დაგუნდული გოგონების წიოკობით და სახეგაღაჟღაჟებული ბიჭების როხროხით აივსო. ჰაერი გაიწმინდა, გაიფილტრა, მსუბუქი და საოცრად გემრიელი გახდა. თეთრი თბილისი ულამაზესი დედოფალივით დასეირნობდა საკუთარ ქუჩებში და ნაადრევი, მოულოდნელი ჭაღარით თავს აწონებდა მოქალაქეებს.

საღამოს ცხრა საათი იყო. საყელოაწეული და ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ბაჩანა ვაკის პარკში მიდიოდა. ნელა, აუჩქარებლად მიდიოდა ბაჩანა, არაფერზე არ ფიქრობდა. მიარღვევდა ციდან ჩამოშვებულ ამ ღმერთის ხელით მოქარგულ ფიფქის ფარდას, სახეს რომ უსუსხავდა საამოდ და მიდიოდა...

მოსაშვილის ქუჩის კუთხეში ქალი შეეფეთა. ისე მოულოდნელად გამოვიდა კუთხიდან, ბაჩანა შეკრთა. ქალიც შეკრთა მოულოდნელობისაგან. ასე, თითქმის ერთმანეთზე აწებებულები იდგნენ ერთხანს და უმზერდნენ ერთმანეთს. ქალი უზარმაზარ, ბრიალა თვალებს დააცეცებდა ბაჩანას სახეზე, ბაჩანამ ფრთხილად შეახო მკლავზე ხელი და გვერდზე გადგა.

– მაპატიეთ, ქალბატონო! – მერე, რატომღაც მოეჩვენა, რომ ქალი გაცილებით ახალგაზრდა იყო, ვიდრე ქალბატონი და შეცდომა

გამოასწორა.

– მაპატიეთ, ქალიშვილო!

– არა უშავს, – უპასუხა ღიმილით ქალიშვილმა და გაიარა.

* * *

პირველ საათზე ბაჩანას დაუძახეს. მან ფრთხილად შეაღო რაიკომის პირველი მდივნის კაბინეტის კარი. არავისთვის შეუხედავს სახეში, ისე მიესალმა გრძელი მაგიდის გარშემო მსხდარ ბიუროს წევრებს და მარცხენა კედელთან ჩამწკრივებულ სკამებს გახედა. არ იცოდა, რომელ სკამზე დამჯდარიყო, ან დამჯდარიყო თუ არა საერთოდ.

– დაბრძანდით! – გაიგონა ძალიან ნაცნობი ხმა. ბაჩანამ თავი

ასწია და მხოლოდ ახლა დაინახა საწერ მაგიდასთან მჯდარი ახალგაზრდა რაიკომის მდივანი. მარჯვენა თვალის ზედა ქუთუთო ოდნავ მოეჭუტა და ისე უღიმოდა ბაჩანას. ბაჩანა შუა რიგში დაჯდა. რაიკომის მდივანი წამოდგა.

– მე მგონი, ბევრი ახსნა-განმარტება არ არის საჭირო, ჩვენ ყველანი ვიცნობთ ბაჩანა რამიშვილს. იგი დღეს ჩვენი დიდი ოჯახის

წევრი უნდა გახდეს, – რაიკომის მდივანმა ისევ გაიღიმა, – განცხადებას, რეკომენდაციებს და ანკეტას ეხლავე გაგაცნობთ.

– არ არის საჭირო! – თქვა ვიღაცამ, რაიკომის მდივანმა ბაჩანას პირადი საქმე გვერდზე გადადო და ბიუროს წევრებს გადახედა.

– შეკითხვები ხომ არ გაქვთ?

– მე მაქვს! – თქვა მოულოდნელად ბიუროს ერთ-ერთმა წევრმა. ბაჩანამ მუხლებში სისუსტე იგრძნო. ყველა შემკითხველს მიაჩერდა. რაიკომის მდივანს ოდნავ შესამჩნევმა გაკვირვებამ გაუელვა თვალებში.

– ბრძანეთ! – თქვა მან მცირე პაუზის შემდეგ და დაჯდა. ხუთი

წამით სიჩუმე ჩამოვარდა და ეს ხუთი წამი ხუთ საათად მოეჩვენა ბაჩანას.

– ამხანაგო რამიშვილო, რატომ შემოდიხართ პარტიაში?! – ჰკითხა ბიუროს წევრმა ბაჩანას. მთელი ბიურო ახლა ბაჩანას მიაჩერდა. ბაჩანა ძლივს წამოდგა სკამიდან. ისევ დუმილი ჩამოვარდა. ამჯერად დუმილი გაცილებით დიდხანს გაგრძელდა. ბაჩანამ ცხვირსახოცი ამოიღო ჯიბიდან და შუბლი მოიწმინდა. ბაჩანამ იცოდა, რა ეპასუხა შემკითხველისათვის. მას უნდა ეთქვა, რომ: – იგი მთლიანად იზიარებს პარტიის წესდებასა და პროგრამას, რომ იგი მზად არის უყოყმანოდ შეასრულოს პარტიის ყველა დავალება და თავი შესწიროს მის საქმეს, რომ მას სურს გახდეს კომუნიზმის აქტიური მშენებელი... – ყველაფერი ეს ალილუიასავით ზეპირად იცოდა ბაჩანამ, მაგრამ უცებ რატომღაც ძალიან სასაცილოდ და უადგილოდ მოეჩვენა ამის თქმა, რადგან, რასაც ფიქრობდა, ამისათვის სრულებით არ იყო სავალდებულო კომუნისტობა და რაც მთავარია, აქ, ბიუროს წევრებში, კაცს ვერ

ხედავდა ხელისშემშლელს... ბაჩანამ ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი. ბიუროს წევრები სულგანაბული ელოდებოდნენ პასუხს.
536 537
ყოფილხართ!
– რა გქვიათ, ქალიშვილო? – გათამამდა ბაჩანა.
– ჩემს ქალიშვილს მაია ჰქვია, – გაუცინა ქალმა. ბაჩანას უხერხულობისაგან საქციელი წაუხდა.
– ალბათ, ერთი წლისაა, – სცადა ხუმრობა ბაჩანამ.
– ჩვიდმეტის, – დაუზუსტა ქალმა.
– მატყუებთ! – თქვა ბაჩანამ.
– მაიას გეფიცებით!
– თქვენ რა გქვიათ?
– მარიამი.
– რა ლამაზი ხართ, მარიამ! – თავიდან დაიწყო ბაჩანამ.
– თქვენც, – უპასუხა ქალმა. ბაჩანა გაწითლდა.
– ისევ მატყუებთ.
– მაიას გეფიცებით! – ისევ დაიფიცა ქალმა.
– ან შვილი არ გყავთ, ან ტყუილზე იფიცებთ, – არ დაუჯერა ბაჩანამ.
– რა ვქნა, მე ასე მეჩვენება, – უპასუხა სერიოზულად ქალმა,
– ნახვამდის! – თქვა უცებ და შეტრიალდა.
– მოიცათ! – სთხოვა ბაჩანამ. ქალი გაჩერდა, – გაგაცილებთ!
– ძალიან შორს ვცხოვრობ.
– სად?
– ვორონცოვის ხიდთან.
– მართლა შორს ყოფილხართ, თუ ნებას მომცემთ, გაგაცილებთ.
– არა, მარტო მინდა ვიარო! – თქვა ქალმა. თავი მაღლა ასწია და საოცრად ლამაზი სახე თოვლის ფიფქს შეუშვირა.
– არ გეშინიათ? – ქალმა თავი გაიქნია და გზას გაუდგა.
მარტოდდარჩენილი ბაჩანა მონუსხულივით იდგა და მშრალ თოვლზე დარჩენილ ქალის მსუბუქ ნაკვალევს თვალს არ აცილებდა. ქალი მოკლე ქურქში იყო გახვეული და მაღალყელიანი ჩექმები ეცვა. ისე ამაყად, გოროზად და მოხდენილად მიდიოდა, ვერც ძველი ქურქი, ვერც გაქუცული საყელო, ვერც გაცვეთილი ჩექმები ვერ ფარავდნენ მისი სხეულის დიდებულებას. ქალი ქუჩის კუთხეს მიეფარა.
„გვარი მაინც მეკითხა, კრეტინს“, – გაიფიქრა ბაჩანამ. უცებ ადგილს მოსწყდა და ჭავჭავაძის პროსპექტზე ამოვარდა, მაგრამ
პროსპექტზე რომ გავიდა, უკვე გვიან იყო. ქალი აღარსად ჩანდა. იგი ღამეში, ცხელ ხელისგულზე დაცემული ფიფქივით გამქრალიყო. ბაჩანა სახლში დაბრუნდა. ფეხის საწმენდის ქვეშ გასაღები მოძებნა,

თოვლი ჩამოიფერთხა, კარი გააღო და პირველად მის სიცოცხლეში იგრძნო, როგორ შევიდა უზარმაზარ სიცარიელეში.

რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ბაჩანა შედგა და უკან მოიხედა. „თუ სადმე სამართალი და შინაგანი ალღო არსებობს, უნდა მოიხედოს“, – გაიფიქრა ბაჩანამ და ქალმა მოიხედა. ბაჩანა ნელი

ნაბიჯით დაიძრა მისკენ. ქალმაც იგივე გააკეთა. როდესაც სულ ახლოს მივიდნენ ერთმანეთთან, ბაჩანას რატომღაც სუნთქვა შეეკრა და იგრძნო, რომ ქალსაც იგივე მოუვიდა.

– გამარჯობათ! – თქვა ბაჩანამ. იგი ცდილობდა როგორმე აღელვება დაეფარა, მაგრამ ხელები სად წაეღო, არ იცოდა. უცებ ჯიბიდან ტყავის ხელთათმანები ამოიღო და სწრაფად დაიწყო მათი გაციებულ ხელებზე წამოცმა.
– გამარჯობათ! – უთხრა ქალმა და ხელი გამოუწოდა.

ბაჩანამ სწრაფად გაიხადა ხელთათმანი და ხელი ჩამოართვა ქალს. ქალს ხელი რბილი და თბილი ჰქონდა. ბაჩანამ თვალებში შეხედა და მიხვდა, რომ ქალიც ღელავდა.

– სად მიბრძანდებით? – ჰკითხა ბაჩანამ, სხვა რომ ვერაფერი მოიგონა.

– სახლში! – მშვიდად უპასუხა ქალმა, ხელი გამოართვა ბაჩანას და კვლავ ქურქის ჯიბეებში ჩაიწყო.
– რა ლამაზი ხართ! – უთხრა ბაჩანამ და გაწითლდა.

– ვიცი! – თქვა ქალმა წყნარად.

– ალბათ, ძალიან სასიამოვნო გრძნობაა, როდესაც იცის ადამიანმა, რომ ლამაზია, არა? – ჰკითხა ბაჩანამ.

– რა მოგახსენოთ! – მხრები აიწურა ქალმა.

– მაინც სასიამოვნოა, ალბათ, – დაასკვნა ბაჩანამ, – ყოველ შემთხვევაში, მე ძალიან მსიამოვნებს ლამაზი ქალის ცქერა, – ენად გაიკრიფა ბაჩანა.
– შეგატყვეთ, – ღიმილით დაეთანხმა ქალი.
– ხომ არ გაცდენთ და გაწუხებთ ამდენი სულელური შეკითხვებით,
– ქალმა უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია და გაიცინა.
– როგორ გავხართ ბაჩანა რამიშვილს, – თქვა უცებ.

– ძალიან ვგავარ! – უპასუხა უზომოდ გახარებულმა ბაჩანამ და რაღაც ფარულმა სიამაყის გრძნობამ გული აუჩქროლა.
– ალბათ, სხვებიც გეუბნებიან? – ჰკითხა ქალმა.

– თითქმის ყველა, ვინც მიცნობს.
– საოცარი მსგავსებაა, – გაუკვირდა ქალს.
– იმდენად საოცარი, რომ პასპორტშიც ბაჩანა რამიშვილი მიწერია,
– გაიცინა ბაჩანამ. ქალმა დაეჭვებით შეხედა.
– აბა, ქუდი მოიხადეთ! – ბაჩანამ დაფიფქული ქუდი მოიხადა და

მუხლზე დაიბერტყა.
– ღმერთო ჩემო! – გაეცინა ქალს, – მართლა ბაჩანა რამიშვილი
538 539

საოცარი თვითდაჯერება და განუსაზღვრელი თავხედობა ჰქონდა დაბუდებული თვალებში. ამას, ალბათ, მისი აღნაგობაც უწყობდა ხელს. კაცი მთასავით დიდი იყო და ნაჯახით გამოჩორკნილი ჯირკივით ძარღვიანი.
– გამარჯობათ! – თქვა მან და დაუპატიჟებლად დაჯდა ბაჩანას

წინ. ბაჩანამ ფელეტონი გვერდზე გადადო და მოსასმენად მოემზადა. მოსული ხმას არ იღებდა.

– გისმენთ, ბატონო! – უთხრა ბაჩანამ, რაღაი მოსული ხმის ამოღებას არ აპირებდა.
– პირიქით, მე გისმენთ, ბატონო, – გაუღიმა მოსულმა.
– უკაცრავად, ვერ გაგიგეთ?! – გაუკვირდა ბაჩანას.
– მე ბეწვეულის საწარმოო კომბინატის მმართველი გახლავართ,

– თქვა მოსულმა და თვალი თვალში გაუყარა ბაჩანას. წყლიანი, ყვითელი თვალები ჰქონდა. ალბათ ნაღვლის ბუშტი ტკივა. – გაიფიქრა ბაჩანამ.
– რა გვარი ბრძანდებით?

– სანდრო მაღლაფერიძე გახლავართ მე. გაგონილი გექნებათ ჩემი გვარი და სახელი, – ხმა ბოხი და ხრინწიანი ჰქონდა მაღლაფერიძეს.
– პირველად მესმის, – იცრუა ბაჩანამ, – რისთვის მობრძანდით,
არც ის ვიცი, მე თქვენ არ დამიბარებიხართ.

– მე ჩემი კომბინატის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟის გამო გეახელით. მინდოდა, მერჩია თქვენთვის, სხვის ტლიკინს და მაიმუნობას არ აჰყოლოდით და თუ რაიმე გაინტერესებდათ, პირადად ჩემგან მოგესმინათ,
– უთხრა მაღლაფერიძემ ბაჩანას დამრიგებლის ტონით.
– მე არაფერი არ ვიცი, – ცივად უთხრა ბაჩანამ.
– ყველაფერი იცით, ბატონო ბაჩანა. იმაზე მეტიც იცით, რაც

უნდა იცოდეთ, მაგრამ ეგ ჩემი თანამშრომლების ბრალია და იმათ მე მოვუვლი, – თქვა მაღლაფერიძემ და თვალები უფრო გაუყვითლდა. „როგორ მელაპარაკება ეს თავხედი“, – გაიფიქრა ბაჩანამ, მაგრამ თავი შეიკავა.

– აკი გითხარით, არაფერი არ ვიცი-მეთქი, იქნებ თქვენ ამიხსნათ, რაშია საქმე? – უპასუხა მშვიდად ბაჩანამ.
– მაშინ მე, იმას კი არ გეტყვით, რაც თქვენ იცით, ბატონო
ბაჩანა, მე იმას გეტყვით. რაც მე ვიცი, – გაუღიმა მაღლაფერიძემ.
– ბრძანეთ!

– თქვენი გაზეთის ხვალინდელ ნომერში, ბატონო ბაჩანა, უნდა გამოქვეყნდეს ფელეტონი სათაურით: „კატის ტყაოსანი“, მაგის დამწერ

თქვენს კრეტინ ლიტმუშაკს, მაგის დაწერას „ვეფხისტყაოსანი“ წაეკითხა ის ერჩია. იქ ფრიად საყურადღებო სტრიქონები უწერია დალოცვილ რუსთაველს:

15

ორი კაცი მიიღო იმ დღეს ბაჩანამ. ერთი გენიოსი, მეორე გიჟი. ეს მერე გამოირკვა. თავიდან ბაჩანასაც და მდივანსაც ორთავე ნორმალური ეგონა.

პირველი, გენიოსი შევიდა ბაჩანასთან. ბაჩანა თავის მაგიდას უჯდა და ხვალინდელი ნომრის ფელეტონს ასწორებდა. ფელეტონი რომელიღაც ბეწვეულის კომბინატის მმართველის თვითნებობას, გარყვნილებას და

თაღლითობას ეხებოდა. მასალა მკაცრად იყო დაწერილი, მაგრამ კარგად. ფელეტონი სენსაციური იყო და ამიტომ მისი არსებობა მხოლოდ მან და მისმა კორესპონდენტმა იცოდნენ. ფელეტონში ერთი უცნაური და თითქმის დაუჯერებელი ამბავი იყო აღწერილი:

მატარებელში, საერთაშორისო ვაგონით ერთ კუპეში ორი ქალბატონი მგზავრობდა თურმე. ერთ მათგანს სიასამურის ქურქი ეცვა. კუპეში რომ შევიდა, ქურქი გაიძრო, საკიდზე დაჰკიდა და თავის ადგილზე დაჯდა. ქალები მალე გაეცვნენ ერთმანეთს. ის იყო ჭორიკნობის აპოთეოზს მიაღწიეს და ვიღაც ფრიად საპატივცემულო პირის სახლის კარზე წითელი ფარანი ჩამოჰკიდეს, რომ ერთ-ერთ მათგანს საშინელი ხველება აუვარდა და სულის ხუთვა დაემართა. გადაფიჩინებულ ქალს სასწრაფოდ მოჰგვარეს შემადგენლობის მორიგე ექიმი. ძლივს მოაბრუნა ექიმმა ათასი ნემსებითა და წვეთებით ავადმყოფი და როდესაც გონს მოსულს ჰკითხა, რა დაგემართათო, გაგუდულმა მეზობელი ქალის სიასამურის ქურქს მიაპყრო თვალი და ამოიკვნესა:

– კატა, კატის ბეწვი! – და ისევ დაეწყო შეტევა.

– რა კატა? – ჰკითხა გაკვირვებულმა ექიმმა.

– ალერგია მაქვს კატის ბეწვის მიმართ! – ამოილუღლუღა ქალმა.

– გაიტანეთ, ქალბატონო, კუპედან თქვენი კატის ბეწვის ქურქი, – სთხოვა ექიმმა მეორე ქალს. მეორე ქალი გადაირია თურმე.

– რას მიქვია კატის ბეწვი, სიასამურის ბეწვისაა ჩემი ქურქი და ოთხიათას ხუთასი მანეთი მაქვს შიგ მიცემულიო.

– რამდენიც არ უნდა გქონდეთ მიცემული, ქალბატონო, ცოტა ხნით გაიტანეთო, – სთხოვა ექიმმა. ქურქი გამცილებლის კუპეში გაიტანეს და მოხდა სასწაული, ავადმყოფმა თვალში გამოიხედა. გამოიხედა და აქედან დაიწყო ყველაფერი.

მატარებელში აგორებულმა მურგვმა იგორა, იგორა და ბეწვეულის სამრეწველო კომბინატში მიიყვანა ექსპერტი.

ახლა ამ კომბინატის მმართველი იდგა ბაჩანას წინაშე და ქონში შეცურებული თვალებით უღიმოდა. ბაჩანამ ჯერ არ იცოდა, ვინ იყო

ეს კაცი, მაგრამ რატომღაც მოეჩვენა, რომ იგი ზედმიწევნით იყო დარწმუნებული თავის დაუსჯელობაში, თვითკმაყოფილებასთან ერთად
540 541

– რამდენი მანეთის ზარალს? – გაიცინა სანდრომ.

– ორმოცდაათი ათასი მანეთის ზარალს, – ხაზი გაუსვა ბაჩანამ.

– მე დავფარავ მაგ ზარალს, სახელმწიფო რომ არ დაზარალდეს.

– თქვენი სამათხოვრო არაფერი არ სჭირს სახელმწიფოს, ბატონო სანდრო, – უპასუხა ბაჩანამ.

– სახელმწიფო, ბატონო ბაჩანა, ჩემნაირი და თქვენნაირი ადამიანებისაგან შესდგება და ერთმანეთს თუ არ ამოვუდექით მხარში, დაინგრევა სახელმწიფო. ეს კი უნდა იცოდეთ თქვენ, – ბაჩანას აგიჟებდა ამ კაცის თვითდაჯერებული ღიმილი, რომელიც მთელ ამ ხნის განმავლობაში სახიდან არ მოსცილებია.

– თუ თქვენ მხარში ამოდგომა თაღლითობა და ფულის აღებმიცემობა გგონიათ, სცდებით, ბატონო სანდრო, ყველაფერი ფულზე არ იყიდება და არ ხურდავდება, – სანდრო მაღლაფერიძე ფეხზე წამოდგა.

– თქვენ ჯერ გამოუცდელი და ახალგაზრდა ყვინჩილა ბრძანდებით, ბატონო ბაჩანა, ახალდაწყებული გაქვთ ყივილი და ვიდრე დეზები ამოგივიდოდეთ, ნამეტანს ნუ იზამთ, ხმა არ ჩაგიხჩეთ.

– თქვენს ზრუნვას და დარიგებას მივიღებ მხედველობაში.

– კიდევ ერთი რამ იცოდეთ, ბატონო ბაჩანა, მოემი ამბობს: იმ

ხუთი გრძნობის გარდა, რომლებიც ადამიანებს გაგვაჩნია, კიდევ არსებობს ერთი, მეექვსე გრძნობა, რომლის გარეშეც ყველა დანარჩენის ფასი, კაპიკია...

– მაინც რა არისო ის მეექვსე გრძნობა, მოემმა? – ჰკითხა დაცინვით ბაჩანამ.

– ფული, ბატონო ბაჩანა, ფული! – დაცინვაზე დაცინვით და იმავე შემზარავი ღიმილით უპასუხა მაღლაფერიძემ.

– და მიუხედავად ამისა, ეს ფელეტონი, – ბაჩანამ გაშლილი

ტორი დაადო ფელეტონს, – ხვალ გაზეთში იქნება და რეაგირებისათვის სათანადო ორგანოებს გაეგზავნება.

– და პასუხსაც დაელოდებით, არა?

– დიახ!

– როგორ მეცოდებით, ბატონო ბაჩანა, რომ იცოდეთ, როგორ მეცოდებით! – თქვა სანდრო მაღლაფერიძემ და კარისაკენ წავიდა. ბაჩანამ პირი დააღო, რომ ეყვირა მისთვის, გაეთრიეო, მაგრამ მაღლაფერიძე გაცილებით უფრო ჭკვიანი აღმოჩნდა, ვიდრე ბაჩანას ეგონა. მან სასწრაფოდ გაიხურა კარი და ბაჩანას ღრიალი თვითონ ბაჩანას გარდა, არავის არ გაუგონია.

* * *

გიჟი ერთი საათის შემდეგ შევიდა ბაჩანას კაბინეტში. თითქოს

მის დამშვიდებას ელოდებოდაო. გიჟს გიჟისა არაფერი არ ჰქონდა და ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდათო – და შემდეგ:

... იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსაო...

დარწმუნებული ვარ, თქვენთვისაც ცნობილია ეს სტრიქონები, – ისევ გაუღიმა მაღლაფერიძემ.

– მოხსნას ხომ არ გვიპირებთ, ბატონო სანდრო? – ღიმილითვე უპასუხა ბაჩანამ.

– როგორ გეკადრებათ, მე, უბრალოდ, მინდოდა გამეფრთხილებინეთ, რომ იმ კაცს, რომელიც ზემდგომ ორგანოებში კურირებას უწევს

ჩემს წარმოებას, ვაითუ არ ესიამოვნოს ხვალინდელ გაზეთში გამოქვეყნებული უნიჭო ფელეტონის წაკითხვა.

– თქვენ საიდან იცით, რა წერია ამ ფელეტონში.

– ვიცი, ბატონო ბაჩანა, ყველაფერი ვიცი, – თავი დაუქნია

მაღლაფერიძემ, – მაგ უნიჭო ფელეტონში წერია, რომ მე საყვარელი მყავს, რომ მე ვარ თაღლითი, აღწერილია, რაღაც კატისა და სიასამურის ბეწვის გარშემო ატეხილი მისტიკური ალერგია... თავი მოგეჭრებათ, ბატონო ბაჩანა, გაუფრთხილდით თქვენს ახალგაზრდა ავტორიტეტს, ის სკამი, რომელზეც თქვენ ზიხართ ახლა, არც ისე მძიმეა, თქვენ რომ გგონიათ, მოსინჯული მაქვს მე მაგ სკამის სიმძიმე...

– ბაჩანას ცეცხლი წაეკიდა სახეზე, მაგრამ კვლავ თავი შეიკავა. მაღლაფერიძეს არ გამოპარვია ბაჩანას მღელვარება.

– რას მირჩევთ, ამხანაგო მაღლაფერიძე, როგორ მოვიქცე? – ჰკითხა ბაჩანამ, რაც შეეძლო მშვიდად.

– თქვენ ახლა ღელავთ, ბატონო ბაჩანა, არც მე ვარ დამშვიდებული, დღევანდელი ჩემი ვიზიტი თქვენთან, ჩემთვის, ცოტა თავის დამამცირებელია, ასეთ დროს, რედაქტორებთან, სხვა შემთხვევაში, მე, როგორც წესი, ბუღალტერს ვაგზავნი ხოლმე. თქვენ პირველი რედაქტორი ხართ, რომელთანაც თხოვნით მოვედი.

– ბედნიერი ვარ, რომ პატივი დამდეთ! – მოწიწებით დახარა თავი ბაჩანამ.

– არ გინდათ ირონიზირება, ბატონო ბაჩანა, მე აქ თქვენმა პატივისცემამ მომიყვანა და საერთოდ, ირონია ჩემი მოგონილია...

– სულ ტყუილად კარგავთ დროს, ბატონო სანდრო, – ცივად უთხრა ბაჩანამ.

– ფელეტონი უნდა ამოიღოთ! – მოკლედ მოუჭრა მაღლაფერიძემ.

– არ გამოვა!

– ისეთი კაცი დაგირეკავთ, გამოვა!

– მამა ღმერთმა რომ დარეკოს, არ გამოვა, ნომერი უკვე აწყობილია, მაგის დაშლა ორმოცდაათი ათასი მანეთის ზარალს მისცემს სახელმწიფოს.

ასე რომ, მაგ საქმეს ვერაფერი ვერ უშველის, ბატონო
სანდრო. 542 543

უკაცრიელ პლანეტაზე სიცოცხლის თესლი დავთესეთ. ეს გახლდათ კოსმოსში ჩატარებული, ჯერ არნახული ექსპერიმენტი.
ექსპერიმენტი შედგა, სიცოცხლე აღმოცენდა და ნაყოფიც გამოიღო.
– ერთი შეკითხვა! – ხელი აწია ბაჩანამ.
– მხოლოდ საკითხის გარშემო! – გააფრთხილა გალაქტიონმა.

– მითხარით, ბატონო გალაქტიონ, თქვენ თვითონ როდის ჩამობრძანდით ჩვენს პლანეტაზე და რითი?

– ვიცოდი, რომ ასეთი კითხვა დაგებადებოდათ. ჩვენმა ცივილიზაციამ პრაქტიკულად გააჩერა დრო და მოსპო მანძილი, ორთავე აბსოლუტურ ნოლზე დაიყვანა და იგი სურვილს გაუთანაბრა. ესე იგი, საკმარისია ისურვო და ყოველგვარი კოსმოსური ხომალდების, მფრინავი თეფშებისა და საწვავის გარეშე აღმოჩნდები იქ, სადაც საჭირო არს, ამას ისე, სხვათა შორის, მოგახსენებთ, რადგან თქვენ ამას ვერც გაიგებთ, ვერც მიხვდებით და ვერც დაიჯერებთ. რაც შემეხება პირადად მე, არსაიდან

არ მოვსულვარ. ექსპედიციამ, რომელმაც თქვენს პლანეტაზე სიცოცხლის თესლი დათესა ზოგიერთ მოაზროვნე ორგანიზმში, გენეტიკურად ჩასვა და დააპროგრამა ჩვენი, ანუ ჰუმანოიდების აღმოცენება, დროდადრო, სიცოცხლის განვითარების რეგულირების მიზნით. ეს მეთოდი საშუალებას აძლევს ორგანიზმებს, თავად გამონახონ თავიანთი განვითარების გზები...
– თქვენ თავად ვიღამ გითხრათ, რომ ჰუმანოიდი ხართ?

– ამას ჩვენ, განვითარების რომელიღაც საფეხურზე, ბიოტოკების საშუალებით და სპეციალური კოდით გვაგრძნობინებენ ხოლმე, ჩვენი პლანეტის სამეცნიერო დაწესებულებები...
– თქვენ პირადად როდის მიიღეთ ეს კოდი?
– სულ ახლახან, უფრო ზუსტად გასულ კვირას, მე დავიძინე, როგორც ჩვეულებრივმა ადამიანმა და გამოვიღვიძე, როგორც ჰუმანოიდმა.
– ყველაფერი გასაგებია! – თქვა ბაჩანამ.

– მე ვიცი, რომ თქვენთვის არაფერი გასაგები არ არის, და გიჟი გგონივართ, მაგრამ მადლობას გიხდით ტაქტისათვის, – შეაქო ბაჩანა მთვარაძემ. ბაჩანას შერცხვა და თავი დახარა.
– მაშ, ასე! – განაგრძო ჰუმანოიდმა, – ჩვენი ექსპერიმენტის

მიზანი იყო, დაგვედგინა, შეიძლება თუ არა კოსმოსში, სხვა პლანეტაზე, აღმოცენდეს პლანეტა ჰომოსზე არსებული ცივილიზაციის მსგავსი ცივილიზაცია.
– და რა დასკვნამდე მიხვედით?
– შეიძლება! – თქვა გალაქტიონმა.
– მადლობა ღმერთს! – გაუხარდა ბაჩანას.
– ... მაგრამ თქვენი ცივილიზაცია დიდი ზიგზაგებით ვითარდება.

იგი ძალიან ჰგავს თქვენივე გულის კარდიოგრამას. ყოველივე ამის გამო თქვენ დღენიადაგ იტანჯებით, რადგან უამრავ ფუჭ და ზედმეტ ბაჩანამ იგი დიდის მოწიწებით მიიღო. პირიქით, მიხრა-მოხრა და

ქცევა საოცრად ზრდილი ადამიანისა ჰქონდა. თვალები ჭკვიანი, მშვიდი და კეთილი.

– გამარჯობათ, პატივცემულო რედაქტორო! – ბაჩანა ფეხზე წამოდგა და ხელი გაუწოდა. მოსულმა მაგრად ჩამოართვა.

– დაბრძანდით! – სკამი შესთავაზა ბაჩანამ. მოსულმა ქუდი მოიხადა, პორტფელი მაგიდაზე დადო და დაჯდა.

– მე, ბატონო რედაქტორო, სტატისტიკის მთავარი სამმართველოს თანამშრომელი გახლავართ, გალაქტიონ მთვარაძე! – გაეცნო იგი ბაჩანას.

– ძალიან სასიამოვნო, რაზე შეწუხებულხართ, ბატონო? – ჰკითხა ბაჩანამ.

– ჩემი შეწუხება რა სათქმელია, ბატონო, მე იმას ვწუხვარ, რომ

თქვენ გაწუხებთ და ძვირფას დროს გართმევთ, მაგრამ ვითვალისწინებ თქვენს გულისხმიერებას და ნებას ვაძლევ ჩემს თავს, ნახევარი საათი წაგართვათ, – მოსულმა საათს დახედა.

– გნებავთ, ერთი საათი! – უთხრა ბაჩანამ.

– თქვენი გონება და ყური რომ არ დავქანცო ამ უცნაური,

თქვენთვის უცნაური, – ხაზი გაუსვა გალაქტიონ მთვარაძემ, – ისტორიით, პირდაპირ საქმეს შევუდგები... ოღონდ გთხოვთ, სიტყვა არსად გამაწყვეტინოთ და თუ აუცილებლობით არ იქნება გამოწვეული, შეკითხვებსაც ნუ მომცემთ. გთხოვთ, აგრეთვე, გააფრთხილოთ თქვენი პირადი მდივანი, ჩვენი საუბრის მომენტში, არავინ შემოუშვას კაბინეტში. ბაჩანამ ელექტროღილაკს დააჭირა თითი. კაბინეტში მდივანმა შემოიხედა.

– ქალბატონო ელენე, არავინ შემოუშვათ.
მდივანმა თავი დაუკრა და კარი გაიხურა.

– გისმენთ! – მიუბრუნდა ბაჩანა მთვარაძეს. თან ფანქარი მოიმარჯვა.

– არ ჩაიწეროთ! – გააფრთხილა მთვარაძემ. ბაჩანამ ცივად გადადო ფანქარი.

– მაშ, ასე, – დაიწყო მოსულმა, – მე ჰუმანოიდი ვარ! – ბაჩანას ჟრუანტელმა დაუარა ტანში და თმები ყალყზე დაუდგა.

– რა ბრძანეთ?

– მე ჰუმანოიდი ვარ! – დაუდასტურა გალაქტიონმა. ბაჩანას შიში უცებ სიბრალულით შეეცვალა, მაგრამ რადგან შეპირებული იყო,

მთვარაძეს სიტყვა აღარ გააწყვეტინა, – ჩვენ, პლანეტა ჰომოს მკვიდრნი, დედამიწაზე მოვედით ანდრომედეს ნისლოვანებიდან და თქვენს უკაცრიელ პლანეტაზე სიცოცხლის თესლი დავთესეთ. დრო, როდესაც ეს მოხდა,

ადამიანის წარმოდგენებს არ ექვემდებარება, ამიტომ, თქვენს გონებას
ამ ციფრთა კორიანტელით აღარ დავტვირთავ, ესე იგი, თქვენს
544 545

ჯორდანო ბრუნო, გალილეო გალილეი, ჟანა დარკი, ვან-გოგი, ტოლსტოი, პუშკინი, მეფე ფარნავაზი, დავით აღმაშენებელი, აბრაამ ლინკოლნი, ფოლკნერი, თომას მანი, ჰეგელი, კანტი, ვლადიმერ ულიანოვი, ბლოკი, პასტერნაკი, აინშტაინი, ჩარლი ჩაპლინი... გალაქტიონი, ვაჟა, აკაკი, ილია... რომელი ერთი ჩამოგითვალოთ, ძალიან, ძალიან ბევრი...

– როგორ ფიქრობთ, ბატონო გალაქტიონ, ახლა როგორ ვითარებაშია კაცობრიობა, მიდის თუ არა სწორი გზით?
– უჭირს ახლა კაცობრიობას! – თქვა გალაქტიონმა, – თავის

დროზე ჩემ მიერ ჩამოთვლილი ჰუმანოიდებისათვის რომ კარგად ეგდოთ ყური ადამიანებს, ახლა მათი საქმე გაცილებით უკეთ იქნებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ადამიანმა კოსმოსს მიაპყრო თვალი, ჩვენ, ჰუმანოიდებს, დიდი იმედი მოგვეცა. ადამიანებმა საკუთარ თავში აღმოაჩინეს საოცარი ენერგია – ცნობისმოყვარეობა – დიახ, სწორედ ადამიანთა ამ სახელგატეხილმა თვისებამ შესძლო გაერღვია დედამიწის კოლოსალური მიზიდულობის ძალა და კოსმოსში გასულიყო...

– და თქვენი აზრით კაცობრიობას აღარ ელის სოდომ გომორი
და წარღვნა?

– მსოლოდ მაშინ, თუ კაცობრიობა ინტერესს დაჰკარგავს ჩემ მიერ ზემოთჩამოთვლილი ჰუმანოიდების მიმართ და იტყვის, მათი მოძღვრება და საქმე მოძველდაო... მხოლოდ მაშინ ელის კაცობრიობას წარღვნა და ვფიქრობ, ასეთი კათარზისი საჭირო და სასარგებლო იქნება თქვენთვის. ამიტომ გაუფრთხილდით ამდენი სისხლით, ოფლით და ცრემლით მოპოვებულ და შექმნილ ცივილიზაციას, გაუფრთხილდით, ნუ გადაყრით წყალში... – გალაქტიონმა საათზე დაიხედა და ფეხზე წამოდგა.
– მე დავამთავრე ჩემი ძირითადი სათქმელი, ბატონო ბაჩანა,

უზომო მადლობას გიხდით ყურადღებისათვის, – გალაქტიონმა მოწიწებით დახარა თავი ბაჩანას წინაშე და მკერდზე დაიდო ხელი.

– კიდევ ერთი შეკითხვა, ბატონო გალაქტიონ, ჩემთან რატომ მობრძანდით ამ აღსარებით, რატომ მაინცდამაინც მე გამანდეთ ეს საიდუმლო? – ჰკითხა ბაჩანამ. გალაქტიონს ღვთიურმა სათნო ღიმილმა გადაურბინა სახეზე და ბაჩანამ მხოლოდ ახლა დალანდა მის თვალებში სულით ავადმყოფი კაცის შემაძრწუნებელი ელვა.
– ნუთუ ჩემი სახელი და გვარი არაფერს გეუბნებათ, ბატონო

ბაჩანა? გალაქტიონი – გალაქტიკა! მთვარაძე – მთვარე! მე ხვალ ვუბრუნდები ჩემ მშობელ პლანეტას, ჰომოსს. დედამიწაზე მე ჩემი მისია შევასრულე. ახლა, ამ წუთში მე ვასრულებ ჩემი პლანეტის მკვიდრთა დავალებას. მე თქვენთან მოვედი იმიტომ, რომ მოგახსენოთ

და გაცნობოთ, თქვენც ჰუმანოიდი ხართ! – ბაჩანას ბურთი მოაწვა ყელში და ტირილი მოუნდა.

– მშვიდობით, ჩემო ძმაო და მეგობარო, თქვენ უკვე იცით თქვენი სვლებს აკეთებთ. კაცობრიობა ტორტმანებს და როდესაც თქვენ არასწორი გზით წარმართავთ გენეზისს, იწყება ომები, ეპიდემიები, შიმშილი, სულიერი სიღატაკე და კატასტროფები...

– მერე და დალოცვილები, რატომ არ გვასწავლით, როგორი გზით წავიყვანოთ ჩვენი ცხოვრება, მაშ, რაღაში გამოიხატება თქვენი ჰუმანოიდობა? – ისევ გააწყვეტინა სიტყვა ბაჩანამ.

– არსებობს საერთო კოსმოგონიური ჩაურევლობის კანონი, ყველა ცოცხალმა ორგანიზმმა თავად უნდა მიაკვლიოს ცივილიზაციის უმაღლეს ფორმას.

– ეს უსამართლობაა, ბატონო გალაქტიონ, რაღაი თქვენ დააყენეთ ექსპერიმენტი, კიდევაც უნდა შეუწყოთ ხელი მის სწორ განვითარებას.
– ჩვენი დახმარება მხოლოდ ხელის შეშლაში გამოიხატება, ბატონო

ბაჩანა. როდესაც კაცობრიობა სწორ გზას ასცდება, ჩვენ ვუკეტავთ მას იმ გზას. ვსპობთ თესლს, რომელიც არასწორი გზით ვითარდება, – აუხსნა გალაქტიონმა.

– მაინც რაში გამოიხატება ეს თქვენი შეშლა-ხელისშეწყობა? – ჰკითხა აზარტში შესულმა ბაჩანამ. იგი ამ წუთში ნამდვილ ჰუმანოიდს ედავებოდა, დაჩაგრული კაცობრიობის სახელით.

– ჩვენ უკვე ორჯერ გადავარჩინეთ გზასაცდენილი კაცობრიობა, ერთხელ, როდესაც სოდომისა და გომორის ცოდვა დატრიალდა, ხოლო მეორედ, როდესაც წარღვნა მოევლინა კაცობრიობას. თქვენ ამას ბიბლიაში, როგორც ღვთის რისხვას, ისე ხსნით, მაგრამ ჩვენთვის სულ ერთია, სადილი ერქმევა ვახშამს, თუ ვახშამი სადილს, – გაეღიმა გალაქტიონს.

– ნუთუ სულ აღებული გაქვთ ხელი კაცობრიობაზე და არავითარ სულიერ და ზნეობრივ დახმარებას არ უწევთ, გარდა იმისა, რომ სჯით და ამით არასწორი განვითარების გზებს უკეტავთ? – გულწრფელად შეეცოდა ბაჩანას კაცობრიობაცა და საკუთარი თავიც.
– როგორ არა, პლანეტა ჰომოსის ცივილიზაცია უშუალოდ არ

ერევა თქვენს განვითარებაში, ისე კი გენეტიკურად კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ყველა დროსა და ფორმაციაში იღვიძებს ჰუმანოიდის გენი და ცდილობს კაცობრიობას განვითარების

სწორი გზები უჩვენოს. ასეთი ჩარევა ჩვენ დასაშვებად და მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

– ამ ჰუმანოიდთაგან, თქვენ გარდა, კიდევ ვინმეს ხომ ვერ დამისახელებთ, ბატონო გალაქტიონ? – მორიდებით ჰკითხა ბაჩანამ.
– სიამოვნებით. ყველას ვერ ჩამოგითვლით, მაგრამ ზოგიერთს

გაგახსენებთ. მაგალითად: ჰომეროსი, დანტე, სერვანტესი, ბახი, ბეთჰოვენი, მოცარტი, რუსთაველი, შექსპირი, გოეთე, ფირდოუსი, ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო, რაფაელი, ბოკაჩო,
არქიმედი, 35. ნ. დუმბაძე, ტ. II
546 547

მანქანა მოუტანა საჩუქრად. იმის შემდეგ სულ სამჯერ გაიგონა ბაჩანამ თავის დაბადებასთან დაკავშირებული ხატოვანი ეპითეტები: „რატომ არ დაიქცა შენი დაბადების დღე“, „სულ რომ არ დაბადებულიყავი, ის აჯობებდა“, „რატომ მუცელში არ გაუწყალდი დედაშენს“.

პირველი – როდესაც პირველად თუთუნი
მოსწია. მეორე – როდესაც პირველად დათვრა.
მესამე – როდესაც პურის წიგნაკი დაკარგა.

ეს სხვადასხვა ხალხისაგან სხვადასხვა დროს გაიგონა ბაჩანამ, მაგრამ იმ ხალხის მიმართ გულში წყენა არასდროს არ ჩაუდვია, რადგან იცოდა, რომ პირველ ორ შემთხვევაში, იმ ხალხს მისი ჯანმრთელობა აწუხებდა, მესამეს კი – მოსალოდნელი შიმშილის აუწერელი შიში. დღესაც უზომო სინანულით მოიგონა ბაჩანამ ის

ადამიანები, რადგან სწორედ იმ ადამიანებს ახსოვდათ ბაჩანას დაბადების დღე და აღარ იყვნენ დღეს ამ ქვეყანაზე. ბაჩანა იმით უხდიდა ამ კეთილშობილ ადამიანებს დაუფასებელ ამაგს, რომ ყოველ წელს რეგულარულად დადიოდა სასაფლაოზე და მოკრძალებით ამკობდა მათი საფლავის ქვებს იებით, ვარდებითა და მიხაკებით.

ბაჩანა ღიმილით დასცქეროდა კალენდარში საკაცობრიო მნიშვნელობის თარიღს და ფიქრობდა: – ამ დღეს, ალბათ, მილიონობით კაცია დაბადებული. და იმდენივე გარდაცვლილი. ალბათ, რამდენი მილიონი კონა ყვავილით შეიმკობა დღეს საფლავები და რამდენი მილიონი კონა ყვავილი გადაეცემა ბედნიერი ღიმილით სახეგაბადრულ იუბილარებს. რამდენი ათასი კაცი დახუჭავს დღეს სამუდამოდ თვალებს და რამდენი ათასი ბავშვი გაახელს თვალს...

ბაჩანას უცებ უზარმაზარი, გაჩირაღდნებული კარუსელი წარმოუდგა თვალწინ, რომელიც სიცოცხლის ხესავით დახუნძლული იდგა დედამიწის სფეროს შუაგულში და საოცარი სისწრაფით ტრიალებდა. მის თვალწინ უამრავი ნაცნობი და უცნობი სახეები კრთოდნენ, ციმციმებდნენ ღიმილიანი, გაკვირვებული, ტანჯული, აღტაცებული, სევდიანი, ბედნიერი სახეები. მერე როგორ ჩერდებოდა კარუსელი. როგორ ჩამოდიოდნენ სათამაშო გემებიდან, ცხენებიდან, მანქანებიდან, შუშხუნებიდან, თვითმფრინავებიდან თავბრუდახვეული, დაბარბაცებული ადამიანები და როგორ იკავებდნენ მათ ადგილებს კარუსელზე სხვები.

ბაჩანას მოეჩვენა, რომ იგი სწორედ ის კაცი იყო, რომელიც ახლახან ჩამოვიდა კარუსელიდან და თავბრუდახვეული დაბარბაცებული

წამოდგა, სარკმელთან მივიდა და ხელის მსუბუქი ბიძგით გაფეთქა. ოთახში საღამოს გრილი ნიავი შემოვარდა. ბაჩანამ ახლა კარი გააღო და დერეფანში გაიხედა. რედაქციაში არავინ არ იყო, მის გარდა. ადრე გაუშვა დღეს ბაჩანამ გაკვირვებული და გახარებული თანამშრომლები. რაღაცით უნდოდა თავისი დაბადების დღე აღენიშნა და უკეთესი მისია! – თქვა გალაქტიონმა და ათრთოლებული ხელებით მკერდში ჩაიკრა ბაჩანა, შემდეგ შეტრიალდა და სწრაფი ნაბიჯით გავიდა კაბინეტიდან.

ბაჩანას არც გაუგონია და არც დაუნახავს, როგორ შემოვიდა მდივანი კაბინეტში და როგორ დაუწყო მაგიდაზე წერილები. იგი ფანჯარასთან იდგა. უაზროდ იღიმებოდა და თვალებიდან ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლები.

* * *

მთელი ღამე არ უძინია ბაჩანას. დილით, როგორც კი სამსახურში მოვიდა, იმ წუთში სტატისტიკურ სამმართველოში დარეკა. ყურმილი მმართველის მდივანმა აიღო. ახალგაზრდა და ლამაზი ხმა ჰქონდა:

– ალო, გისმენთ?

– სტატისტიკური სამმართველოა?

– დიახ.

– გალაქტიონ მთვარაძე თუ მუშაობს თქვენთან?

– გალაქტიონ მთვარაძე... იცით რა, ბატონო?..

– რა მოხდა, გოგონა?..

– ვინ კითხულობს?..

– მე მეგობარი ვარ მისი.

– გალაქტიონ მთვარაძე ერთი კვირაა უგზო-უკვლოდ დაიკარგა...

ბაჩანას ყურმილი შეაცივდა ხელში.

– ალო, ალო!.. – ბაჩანამ ყურმილი დაკიდა.

16

თოთხმეტ ივლისს დაიბადა ბაჩანა რამიშვილი. ეს თარიღი მსოფლიოს ყველა კალენდარში იყო აღნიშნული, მაგრამ, არა როგორც მისი დაბადების დღე, არამედ, როგორც ბასტილიის დაცემისა და საფრანგეთის რესპუბლიკის დაბადების დღე.

ბაჩანას წინ ედო კალენდარი და ღიმილით დასცქეროდა ღირსშესანიშნავ თარიღს – ალბათ, ვინც საფრანგეთში ამ დღეს დაიბადა, რა ზარზეიმით იხდის თავის დაბადების დღეს, – გაიფიქრა ბაჩანამ. მისი დაბადების დღე კი დედამიწაზე კაციშვილს არ ახსოვს, უკეთ, არავინ იცის. იცის, ალბათ, კადრების განყოფილებამ, სადაც ბაჩანას პირადი საქმე ინახება და კიდევ მილიციის საპასპორტო განყოფილებამ, ამას წინათ ახალი უვადო პასპორტი რომ მისცა ბაჩანას, მაგრამ ცოდნა ერთია და დამახსოვრება მეორე. ცხრა წლის იყო ბაჩანა, როდესაც უკანასკნელად გადაუხადეს დაბადების დღე. და მისმა სკოლის

მეგობარმა, ვახტანგ ელბაქიძემ თვითმავალი, წითელი სახანძრო რაზმის
548 549

– დაბრძანდით, – სთხოვა ცოტა ხნის შემდეგ. ქალი არ დაჯდა. მიტკალივით თეთრი სახით, სისხლივით წითელი ტუჩებით, შავი თმით, მწვანე პერანგით და ტანზე შემოსალტული თეთრი ქათქათა ქვედაწელით შემოსილი, ოთახში ღია სარკმლიდან შემოსულ გაზაფხულს ჰგავდა.

– წავიდეთ! – გაიმეორა მან და მწვანე ჩანთა ნერვიულად დაატრიალა ხელში. ბაჩანა უხმოდ წამოდგა და მხოლოდ ახლა შეამჩნია, მწვანე წვრილქუსლიანი ფეხსაცმელი რომ ეცვა ქალს მოხდენილ ფეხებზე. უხმოდ გავიდნენ კაბინეტიდან.
ბაჩანამ ტაქსი გააჩერა.
– საით? – ჰკითხა მძღოლმა.
– საითაც გინდა! – უპასუხა ბაჩანამ და ქალს შეხედა, ქალმა გაიღიმა.
* * *

ბაჩანა და მარიამი კომკავშირის ხეივნის პატარა დუქნის აივანზე ისხდნენ. ოფიციანტმა მენიუ დაუდო წინ ბაჩანას და სადღაც წავიდა.
– რას მიირთმევთ? – ჰკითხა ბაჩანამ.
– შემწვარ კარტოფილს!
– სხვას?
– სხვას არაფერს.
– ღვინოს რომელს დალევთ?
– სულერთია!
– კონიაკს ხომ არ მიირთმევთ?
– არა.
– მაშინ, ტიბაანი დავლიოთ.

– როგორც გნებავთ, – ბაჩანამ ოფიციანტის მოლოდინში სიგარეტი ამოიღო და გააბოლა, მარიამსაც მიაწოდა.

– არ ვეწევი, გმადლობთ! – ისევ დუმილი ჩამოვარდა. ბაჩანა სიგარეტს აბოლებდა და დროდადრო თვალს გააპარებდა ხოლმე ქალისაკენ. ერთი აზრი უღრღნიდა ტვინს, ნეტავ რამ მოიყვანა ეს

ქალი... საქმემ, იმ ღამის შეხვედრამ თუ... დაბადების დღის მოსალოცად რომ არ მოსულა, ეს ბაჩანასათვის მზესავით ნათელი იყო, მაშ, რამ მოიყვანა?.. ბაჩანას ამაზე ფიქრმა თავი აატკივა და სიგარეტი საფერფლეს დააჭყლიტა. ბაჩანას უნდოდა, ეკითხა ქალისთვის, თუ რისთვის იყო მოსული, რა აწუხებდა ან რამ გაახსენა ბაჩანა, მაგრამ რაღაც აკავებდა.

ეს არ იყო არც ზრდილობა, არც ტაქტი, არც ეთიკა, ბაჩანას ეშინოდა იმედის იმ პატარა ნაპერწკლის გაქრობისა, რომელიც გულში ჰქონდა სადღაც მიყუჟული და სასოებით სულს უბერავდა, იმ დღიდან, პირველად რომ შეხვდა ამ ქალს ქუჩაში. ამიტომ დუმდა ახლა ბაჩანა, დუმდა ვერაფერი მოიფიქრა. ისევ მიუჯდა საწერ მაგიდას. უჯრა გამოაღო

და კორესპონდენციას ჩახედა. „რატომ იძინებენ ღამურები თავდაყირა“,

– წაიკითხა ბაჩანამ ერთ-ერთის სათაური. მერე ამოიღო და წინ დაიდო. ტელეფონმა დარეკა. ბაჩანას გაუკვირდა, ნეტავ ვინ იცის, რომ აქ ვარ, ან ამ დროს რა საქმე აქვს, – გაიფიქრა და ყურმილი აიღო.
– გისმენთ, ბატონო! – ხმა არავინ გასცა.

– გისმენთ, ბატონო! – გაიმეორა მან და ყურმილში რაღაც სუნთქვის მაგვარი შრიალი გაიგონა. ცოტა ხანს აცალა და ხმა რომ არავინ გასცა, ყურმილი დაკიდა.

ნეტავ, რატომ იძინებენ ღამურები თავდაყირა? – სერიოზულად გაიფიქრა ბაჩანამ და ისევ სტატიას დახედა. ოღონდ არ წაიკითხა, რატომღაც მოუნდა, თვითონ მიმხვდარიყო ინტუიციით, რატომ იძინებენ ღამურები თავდაყირა და შემდეგ შეემოწმებინა საკუთარი მოსაზრება სტატიის მიხედვით.

... ალბათ იმიტომ, რომ... ბაჩანა ბევრჯერ დაკიდებულა ღერძზე ბავშვობაში თავდაყირა, ფიზკულტურის მასწავლებლის აღტაცებაცა და მოწონებაც კი დაუმსახურებია, მაგრამ ახლა რომ გაიხსენა, მაინცდამაინც დიდ სიამოვნებას ასე თავდაყირა ყოფნა არასდროს არ ანიჭებდა. ერთხელ ქობულეთში მოუწია თავდაყირა ყოფნა, ათი თუ თხუთმეტი წუთი, აჭარელმა მეთევზეებმა გამოათრიეს ღელვიდან წყალნაყლაპი და გაგუდული. არც მაშინ მიუღია დიდი სიამოვნება, პირიქით, სიკვდილს ნატრობდა... მაშ, რაღად სძინავთ ღამურებს თავდაყირა? ბაჩანამ ვერაფერი სახეირო რომ ვერ მოიგონა, ისევ სტატიას მიუბრუნდა და ის იყო კითხვა უნდა დაეწყო, რომ კაბინეტის კარი გაიღო და შიგ უსაშველოდ ლამაზი, მხრებზე შავთმადაფენილი, მკერდმაღალი და თვალებბრიალა ქალი შემოვიდა.
– მოვედი! – თქვა მან. ბაჩანა თვალებს არ უჯერებდა. მის წინ

მარიამი იდგა. დაბრძანდითო, უნდოდა ეთქვა ბაჩანას, მაგრამ ენა დაება. ადგომა უნდოდა ბაჩანას, მაგრამ მუხლები მოეკვეცა, გაღიმება უნდოდა ბაჩანას, მაგრამ სახე გაუშეშდა. ბაჩანა წამით დაყრუვდა,

დამუნჯდა და მოკვდა. ქალი იდგა გაფითრებული, აღელვებული, მკერდი უღელავდა და ყელი წითელი ლაქებით ჰქონდა აფორაჯებული.
– მე დაგირეკეთ! – თქვა მან წუთის შემდეგ.
– სუნთქვა გავიგონე თქვენი! – გონს მოვიდა ბაჩანა.
– სახლში არ იყავით, ამიტომ დავრეკე აქ.

– რით შემიძლია, გემსახუროთ! – თქვა ბაჩანამ გაზეპირებული, სავალდებულო ფრაზა.
– წავიდეთ, – თქვა ქალმა.
– სად? – ჰკითხა გაკვირვებულმა ბაჩანამ.
– სადაც გნებავთ! – ბაჩანა ისევ დაყრუვდა და დამუნჯდა...

ან ეს ოფიციანტი კრეტინია, – გაიფიქრა ბაჩანამ.

– წავიდეთ სადმე სხვაგან, ჩვენს პირველ შეხვედრას ნუ აღვნიშნავთ ბოლოკით და საეროთი, – სთხოვა ბაჩანამ მარიამს.

– რა მნიშვნელობა აქვს მაგას, რაც აქვთ, ის მოიტანოს, – თქვა გულწრფელად მარიამმა, – დავჯდეთ და ვუყუროთ ერთმანეთს, ვითომ ლენინგრადის ბლოკადაში ვიმყოფებით. ეს საღამო სამუდამოდ დაგვამახსოვრდება.

ბაჩანას კვლავ შეუჩნდა ეჭვის ჭია, – ნეტავ რა უნდა ამ ქალს, რისთვის მოვიდა, ვინ გამოგზავნა, ნუთუ თავისით მოვიდა, მხოლოდ ბაჩანას ნახვის სურვილით... ბაჩანამ თავი ასწია და თვალებში შეხედა ქალს, მარიამი სადღაც ბაჩანას ზურგს მიღმა იყურებოდა, ბაჩანამ ფრთხილად გააპარა თვალი იქეთ. მათი ოფიციანტი ყურმოჭრილ მონასავით იდგა ვიღაც ჩაფსკვნილი კაცის წინ და მექანიკურ სათამაშოსავით უქნევდა თავს ყოველ სიტყვაზე.

– რაღაც შეთქმულება მზადდება, თქვენ წინააღმდეგ, – უთხრა მარიამმა. ბაჩანამ მხრები აიწურა.

– თუ თქვენს წართმევას მიპირებენ, ტყუილად ირჯებიან! – გაიცინა ბაჩანამ და ალუმინის გაღუნული დანა აიღო მაგიდიდან.
– მაგით ვერ დამიცავთ! – გაეღიმა მარიამს.

– მაშინ, კბილებით, – თქვა ბაჩანამ და თვალი ისევ ოფიციანტისაკენ გააპარა, მაგრამ არც ის კაცი, არც ოფიციანტი, იქ აღარ იდგნენ. ბაჩანა კვლავ თავის ამოუხსნელ ამოცანას მიადგა, – ნეტავ რა უნდა ამ ქალს ჩემგან?!

– ქალბატონო მარიამ, გასკდა ეს ოხერი თავი ფიქრისგან, მითხარით, რამ მოგიყვანათ ჩემთან, რა გინდათ? – აევსო ბაჩანას მოთმინების ფიალა.
– განა გთხოვეთ რამე? – გაუკვირდა მარიამს.

– ძალიან რთული ამოცანა მომეცით, მარიამ... ან ამიხსენით, ან მომკალით.

– უმარტივეს ამოცანასთან გაქვთ საქმე, ბატონო ბაჩანა. მე ხვალ მივფრინავ ქუთაისში და უბრალოდ ასეთი ჩვეულება მაქვს, გაფრენის წინ ყოველთვის, ჩემთვის ძალიან ახლობელ ადამიანებს ვემშვიდობები ხოლმე, – აუხსნა მარიამმა. ბაჩანა დაიბნა.
– რატომ?

– რატომღაც ყველა გაფრენის წინ მგონია, რომ თვითმფრინავი დაიღუპება და ძვირფას ადამიანებს უკანასკნელად ვხედავ, – თქვა მშვიდად მარიამმა და თავი დახარა.

– და მე იმ ადამიანთა რიცხვს ვეკუთვნი? – ჰკითხა განცვიფრებულმა ბაჩანამ. მარიამმა თავი დაუქნია, ისე რომ მაღლა არ აუხედავს.

– რატომ? რა დამსახურებისათვის?

ქალიც. ისინი ღიმილით უცქერდნენ ერთმანეთს და არც ერთმა არ იცოდა, თუ რაზე ფიქრობდა თითოეული მათგანი ცალ-ცალკე. ბოლოს დაადგა საშველი და ოფიციანტი მობრუნდა.

– რა გაქვთ? – ჰკითხა ბაჩანამ და შვებით ამოისუნთქა, რაკი ლაპარაკის საშუალება მიეცა.

– ჩიტის რძე! – მოკლედ მოუჭრა ოფიციანტმა.

– მაშინ, მოიტანეთ შემწვარი კარტოფილი და ტიბაანი. – ოფიციანტს გულზე შემოეყარა.

– ბატკნის მწვადი, ხბოს მწვადი, შემწვარი წიწილი, სუკი, ჩაქაფული, აფხაზურა, ცოცხალი, მუჟუჟი, თათარიახნი, ნადუღი, მჭადი, ყველი, წნილი, ნიგოზი არ გნებავთ? – ჩამოთვალა სხაპასხუპით.

– შემწვარი ბულბულის ენა გაქვთ? – გაუცინა ბაჩანამ.

– ბულბულის ენის შეწვა სად გაგონილა, ბატონო, მოხარშულს მოგართმევთ, – გაიკრიჭა ოფიციანტი.

– მაშინ, ყველაფერი მოიტანე! – უთხრა ბაჩანამ.

– ნიგოზი და ტიბაანი! – თქვა მარიამმა. ოფიციანტმა მორჩილად დახარა თავი და წავიდა.

– ქალბატონო მარიამ, თქვენმა ქმარმა თუ იცის, რომ ჩემთან ერთად ზიხართ ახლა ამ დუქანში? – ჰკითხა უცებ ბაჩანამ და თვითონ გაუკვირდა, საიდან დაებადა ასეთი სულელური კითხვა.

– მე ვიცი, ბატონო ბაჩანა, რომ თქვენ არ გყავთ ცოლი და ამიტომ არ გკითხეთ იგივე, – უპასუხა ღიმილით ქალმა.

– ქმარი არა გყავთ? – დაასკვნა რატომღაც ბაჩანამ.

– აღარ მყავს, – თქვა მარიამმა.

– რატომ? – ჰკითხა ბაჩანამ და მიხვდა, რომ ისევ სულელური შეკითხვა მისცა. ქალმა არ უპასუხა. ბაჩანას შერცხვა.

– მე მინდოდა, მეკითხა, თქვენს გოგონას თუ ჰყავს მამა-მეთქი, – სცადა უხერხული შეკითხვის გასწორება ბაჩანამ.

– მამაც ჰყავს და ქმარიც! – უპასუხა მარიამმა. ბაჩანამ ისევ სიგარეტი გააბოლა. ოფიციანტი ხელცარიელი დაბრუნდა.

– ბატკნის და ხბოს მწვადი გათავებულა, ბატონო, წიწილი ინკუბატორისაა, სუკი დღეს არ მოუტანიათ, ტიბაანი და შამპანური საერთოდ არ არის ხოლმე ჩვენთან, ყველი გვაქვს მარტო, შვეიცარული, როსტოვის გამოშვება საერო და ბოლოკი... – ბაჩანა სახტად დარჩა.

– ჩიტის რძე? – ჰკითხა მარიამმა.

– აჭრილა, ბატონო! – გაელაზღანდარა ოფიციანტი. მარიამს ისე ხმამაღლა გაეცინა, მთელი დუქანი მათკენ მოტრიალდა.

– დირექტორი სად არის თქვენი? – ჰკითხა ბაჩანამ.

– არ გახლავთ, ბატონო, და რომ მოვა, მოვიყვან! – ან მიცნეს, რომ რედაქტორი ვარ და ბაზრიდან შემოტანილ პროდუქტს მიმალავენ,

წუთზე ჩადის და ამოდის იგი, მაგრამ არავინ იცის, როდის გაჩნდა მთვარე ქვეყანაზე, როდის დაიბადა... მე იმ ადამიანების სადღეგრძელოს ვსვამ, რომელთა დაბადების დღე დავიწყებულია, – მარიამმა ჭიქა მიუჯახუნა ბაჩანას ჭიქას. მთვარე კვლავ აცახცახდა ბაჩანას ჭიქაში, მერე გალღვა და ქარვისფერ სითხედ იქცა. ორთავემ გამოსცალა სასმისი და როდესაც ბაჩანამ კვლავ გახედა მთვარეს, იგი ცაზე აღარ იყო, ღრუბელს ამოფარებოდა.

– ჩვენ ახლა მთვარე შევსვით! – თქვა ბაჩანამ და ეს საოცარი დამთხვევა ბავშვივით გაუხარდა.

– მთვარის ასაკი მოგცეთ ღმერთმა, დაბადების დღეს გილოცავთ!

– გაუღიმა მარიამმა და ჭიქა დადგა, – წეღან არ გაცალეთ, რაღაც საიდუმლოს გამხელა გინდოდათ, – გაახსენა მარიამმა. ბაჩანას უცებ ტირილი მოუნდა ამ საოცარი ქალის მკერდზე.

– წეღან მინდოდა, მეთქვა, რომ რა ლამაზი ხართ, მარიამ, შეიძლება გაკოცოთ? – ქალმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ გაუღიმა. ბაჩანა გადაიხარა მაგიდაზე და ვეებერთელა ცრემლიანი თვალები დაუკოცნა. როდესაც დაჯდა, შეამჩნია, რომ მათი მაგიდისაკენ ის ჯმუხი კაცი მოდიოდა, ცოტა ხნის წინ ოფიციანტს რომ რაღაცას უქადაგებდა. კაცი მაგიდას მოადგა.

– გამარჯობათ! – თქვა მან ხრინწიანი ხმით.

– გაგიმარჯოთ! – მიესალმა ბაჩანა უცნობს.

– თუ ნებას მომცემთ, ბატონო ბაჩანა, ერთი წუთით დავარღვევ თქვენს მყუდროებას.

– დაბრძანდით, ეს ჩემი მეგობარი, მარიამი გახლავთ, – უცნობმა ხელზე აკოცა მარიამს და დაჯდა.

– ვერ მიცანით, ბატონო ბაჩანა! – თქვა უცნობმა და მაგიდაზე

სამი კოლოფი ვინსტონი დადო. ერთი თავად დაიტოვა, ერთი ბაჩანას მიართვა და ერთიც – მარიამს. ბაჩანა ცოტა ხანს დაფიქრდა, თითქოს რაღაც გაახსენდა, მაგრამ თავი ვერ მოაბა და უხერხულად შეიშმუშნა.

– კი გიცანით, მაგრამ ვინ ბრძანდებით, ვერაფრით ვერ გავიხსენე, – მოუბოდიშა უცნობს.

– მე სანდრო მაღლაფერიძე გახლავართ, ბეწვეულის კომბინატიდან...

– ააა! – გულწრფელად გაუკვირდა და გაუხარდა ბაჩანას, – რამდენი დრო გავიდა მას შემდეგ, როგორ ხართ, სად ხართ, რას აკეთებთ, ბატონო სანდრო...

– გმადლობთ, არა მიშავს...

– თუ სასაყვედუროდ მობრძანდით, ბატონო სანდრო, გთხოვთ, დღევანდელ ბედნიერ დღეს ნუ გამიხუნებთ. დღეს ჩემი და საფრანგეთის რესპუბლიკის დაბადების დღეა, – სიცილით სთხოვა ბაჩანამ და სავსე

ჭიქა მიაწოდა.

– ეგ რომ ვიცოდე, მაშინ რა მიჭირს...

– ბევრი გყავთ ასეთი ადამიანები? – ბაჩანას პასუხის მოლოდინში გული აუფართხალდა.

– დღემდე მარტო ჩემი გოგონა იყო, მაია, ახლა თქვენც გაჩნდით. ეს ქალი ან სატანაა ან სიზმარი, – გაიფიქრა ბაჩანამ. მარიამმა უცებ თავი ასწია და აღელვებული ხმით დაიწყო:

– მე ვიცი, თქვენ ან გიჟი გგონივართ, ან ავანტიურისტი, მაგრამ

რასაც ახლა ვამბობ, ჩემგან დამოუკიდებლად მოხდა, უკვე ერთი წელია ჩემს თავს ვებრძვი, მაგრამ მე ძლიერი ქალი ვარ, ახლა ავდგები და წავალ! – მარიამი ადგა.

– ახლა რომ თქვენ წახვიდეთ, მე ალბათ მოვკვდები! – თქვა ბაჩანამ და ქალის ყინულივით ცივ თითებს შეეხო. ქალი მიხვდა, რომ ამ წუთში ბაჩანა საოცრად გულწრფელი იყო. ბაჩანაც მიხვდა, რომ ქალმა დაუჯერა და ხელზე აკოცა.

– გმადლობთ! – თქვა ქალმა და დაჯდა.

ოფიციანტი თოვლის ბაბუასავით დახუნძლული დაბრუნდა. ბაჩანა გაკვირვებული უცქერდა, როგორ აწყობდა იგი მაგიდაზე ნაირ-ნაირ ხორაგს.

– რაშია საქმე? – ჰკითხა ბაჩანამ.

– დირექტორი მოვიდა, ბატონო და რომ დაგინახათ, H3-დან გასცა,

– აუხსნა მომტანმა.

– ვინ არის თქვენი დირექტორი?

– თვითონ გეახლებათ, ბატონო! – გაუღიმა მომტანმა.

– მიცნობს?

– გიცნობთ კი არა, კინაღამ მომხსნა თქვენი გულისთვის. მაგრამ უნდა მაპატიოთ, ბატონო, შუბლზე არც ერთს არ გაწერიათ, ეს ოხერი, ვინ ხართ და რა ხართ, – მოიბოდიშა ოფიციანტმა და წავიდა. ბაჩანა

გახალისდა. ხმაურით გახსნა შამპანური და განგებ ისე დაასხა ჭიქებში, ქაფი რომ გადმოღვრილიყო.

– ერთ საიდუმლოს გაგანდობთ, მარიამ, – თქვა ბაჩანამ და ჭიქა ასწია.

– პირველი სადღეგრძელო ჩემია, – თქვა მარიამმა და ჭიქა აიღო. ბაჩანამ თავისი ჭიქა ადგილზე დადო და სმენად იქცა. მარიამმა ჭიქაში ქაფს დაჯდომა აცალა და ნარიყალას თავზე ყვითელ ჯიღასავით

ამოწვერილ ნამგალა მთვარეს გახედა ჭიქიდან. ბაჩანამაც იგივე გააკეთა. მთვარე ჯერ ჭიქის მიღმა აცახცახდა, მერე თანდათან შემოცურდა ქარვისფერ ღვინოში და გალღვა. ბაჩანას მოეჩვენა, რომ გრილი და ქარვისფერი მთვარე ეჭირა ხელში.

– თოთხმეტი დღისაა დღეს მთვარე... – თქვა მარიამმა. – მთელმა

კაცობრიობამ იცის რამდენი დღისაა, რამდენი საათისაა, როდის, რომელ
554 555

– ო, კლასიკური ლიტერატურა უკვდავი საქმეა. რუსთაველს მე სახარებასავით ვკითხულობ ყოველდღე... სხვათა შორის, თქვენს წიგნებსაც ვკითხულობ და შიგ ბევრ ჩემთვის სასარგებლო რამეებს ვნახულობ... რა ლამაზი მეგობარი გყავთ, ბატონო ბაჩანა,
– უცებ შეცვალა საუბრის თემა მაღლაფერიძემ, – პირველად ვხედავ ასეთ ლამაზ ქალს სამკაულების გარეშე, – ბაჩანა არ ელოდა საუბრის ასე შეტრიალებას და დაიბნა.

– თქვენს მეუღლეს, ალბათ, ძალიან ბევრი სამკაულები აქვს? – ჰკითხა მარიამმა მაღლაფერიძეს და მღელვარება რომ დაეფარა, ღვინო მოსვა.

– საკმაოდ ბევრი, მაგრამ მე ახლა მეუღლეებს არ ვგულისხმობ, არიან ქალები, რომლებიც ოჯახის მიღმა ამშვენებენ ჩვენს ცხოვრებას.
– მარიამს ცეცხლი წაეკიდა სახეზე.

– და თქვენ იმ ფელეტონის შემდეგ, არაფერი არ გითხრეს?
– სცადა ბაჩანამ საუბრის თემის შეცვლა.

– როგორ არა, ბატონო ბაჩანა, რადგანაც ის წარმოება დაიწვა, მოძველებული ელექტროგაყვანილობის გამო, ხოლო ის, ჩემი ვეზირი, პენსიაზე გავიდა და ახლა ვაჭრობის სისტემაში მუშაობს, თან წამიყვანა, მე და მან ახალი რესტორნების გაერთიანება შევქმენით და ავაღორძინეთ, ძველი წარმოების ნამწვავებზე. ჩვენი საქმე ფერფლიდან აღსდგა, ნერონის მიერ დამწვარი რომივით, – მაღლაფერიძემ შემზარავად ჩაიხითხითა..
– ძალიან ნიჭიერი და საშიში გაიძვერა ბრძანდებით, ბატონო სანდრო, მე კიდევ მივუბრუნდები თქვენ საქმეს, თუ საშუალება მომეცა...
– თქვა გაწითლებულმა ბაჩანამ.
– არ ველოდი თქვენგან ასეთ პასუხს, ბატონო ბაჩანა. მე მეგონა,

ამ ხნის განმავლობაში დეზებიც ამოგივიდათ და ყივილიც ისწავლეთ, თქვენ კი ისევ ძველებურად ყივით. ხომ იცით, რას უშვებიან მამლებს, რომლებიც უდროოდ ყივიან? – ჰკითხა მაღლაფერიძემ.
– მაშინებთ? – გაფითრდა ბაჩანა.
– როგორ კადრულობთ ამ ნაძირალასთან ლაპარაკს?! – ჰკითხა

უცებ მარიამმა ბაჩანას, მაღლაფერიძე ფეხზე წამოდგა და გალურჯდა. ფეხზე წამოდგა მარიამიც.

– წადით აქედან! – თქვა დაკარგული ხმით გაფითრებულმა ბაჩანამ და ისიც წამოდგა ფეხზე.

– ნუ აყვებით, ბატონო ბაჩანა, დედაკაცის ვნებებს, მაკედონელმა როსკიპმა ქალებმა დააწვევინეს მეომრებს მსოფლიოში ულამაზესი ქალაქი პერსეპოლისი, – თქვა მაღლაფერიძემ და ნაღვლით ჩაყვითლებული თვალები ზიზღით მიაპყრო სახეალეწილ მარიამს და უცებ, ვიდრე

ბაჩანა თვალს შეასწრებდა, გაისმა საშინელი ლაწანი. მარიამმა სილა გააწნა მაღლაფერიძეს, სახტად დარჩენილი მაღლაფერიძე გათეთრდა.

– როგორ გეკადრებათ, პირიქით, მადლობის სათქმელად მოვედი, ბატონო ბაჩანა, რამდენი წლის გახდით? – ჰკითხა და ჭიქა ჩამოართვა მაღლაფერიძემ.

– ორმოცდახუთის.

– ღმერთო ჩემო, ჯერ კიდევ რამდენ სიყვარულს მოილევთ

ქვეყანაზე... ლამაზ სიყვარულს, – დააყოლა მაღლაფერიძემ და მარიამს შეხედა. მარიამი გაწითლდა, – გილოცავთ დაბადების დღეს, ღმერთმა სულ ბედნიერი გამყოფოთ, თქვენ ისეთი ადამიანი ბრძანდებით, ძალიანაც რომ მოინდომოთ, ბოროტება ხელიდან არ გამოგივათ.

– თქვენ ასე გგონიათ?

– თქვენი გაზეთის გამოსვლის შემდეგ, ძალიან პოპულარული გავხდი, მთელმა საქართველომ გამიცნო... – ბაჩანას გაეცინა.

– ასეთ პოპულარობას მტერს არ ვუსურვებ, – თქვა ბაჩანამ.

– თქვენი გაზეთის გამოსვლის შემდეგ, ძალიან პოპულარობამ დაბადა ჰეროსტატეს კომპლექსი ქვეყანაზე. თქვენმა ფელეტონმა ბევრ ჭეშმარიტებას გაუკაფა გზა და ბოროტებას ახადა ფარდა.

– ეჭვი არ მეპარება, – თქვა ბაჩანამ და რაღაც, უსიამო გრძნობამ

დაუარა სხეულში და მიხვდა, რომ ეს კაცი მარტო მადლობის სათქმელად არ იყო მოსული.

– დიახ, თქვენი ფელეტონით დაინტერესებულმა საგამომძიებლო ორგანოებმა დაადგინეს, რომ ის ქალი თაღლითი აღმოჩნდა, ხოლო კაცი, რომელსაც თქვენ ფელეტონი რეაგირებისათვის გადაუგზავნეთ, დიდი პატრიოტი და მამულიშვილი.

– რანაირად? – ჰკითხა ბაჩანამ მაღლაფერიძეს და ინანა, დაჯდომა რომ შესთავაზა.

– თქვენი გაანგარიშებით, გაზეთიდან ფელეტონი რომ ამოგეღოთ, სახელმწიფო ორმოცდაათი ათას მანეთ ზარალს ნახავდა, არა? მან კი ეს ზარალი 25 ათას მანეთზე დაიყვანა... – ბაჩანა სულ დაიბნა. მაღლაფერიძე მიხვდა, რომ ბაჩანა დააბნია და მშვიდად განუმარტა:

– უმარტივესი ოპერაცია ჩაატარა, ბატონო ბაჩანა, თქვენი ფელეტონი რეაგირების გარეშე დატოვა.

– თქვენ გინდათ თქვათ, რომ მან 25 ათასი მანეთი ქრთამი გამოგართვათ?

– რას ეძახით, ბატონო ბაჩანა, თქვენ ქრთამს? ადამიანი რომ ადამიანს ხელს გაუმართავს და სამსახურს გაუწევს, იმას? განა რუსთაველის ზნეობრივი კოდექსებით არ ვხელმძღვანელობთ ჩვენ დღესაც? აბა, გაიხსენეთ, რას ეუბნება ავთანდილი ვეზირს? „ასი ათასი თუმანი შენ ქრთამად მიითვალეო“...

– როგორი წყაროებით გაქვთ დამუშავებული და გამაგრებული თქვენი ბინძური ფილოსოფია, ბატონო სანდრო, – უთხრა ბაჩანამ დაცინვით. 556 557
* * *

მთის კორტოხზე შემდგარი შავნაბადას ეკლესია, მართლაც, შავნაბადწამოსხმულ, ფეხის წვერებზე აწეულ, შუბლზე ხელმოჩრდილებულ მეცხვარეს ჰგავს და თითქოს მტკვრის, მაშავერას, ალგეთის, ხრამის ჭალებსა და ველებში გაფანტულ ცხვარს უთვალთვალებს,

ფერხთით კი ზანტად გაშხლართული ქოფაკებივით უწვანან რუსთავი, მარნეული, ბოლნისი და ენაგადმოგდებულებს დაფჩენილი ხახანესტოებიდან ორთქლი და ოხშივარი ამოსდით.

ზღაპარივით ლამაზია გვიან შემოდგომით მთაზე ნისლიდან ამოცურებული და გუმბათით ცას მიბჯენილი შავნაბადა.

კვირა დღეა. შავნაბადასაკენ მიმავალ ვიწრო, საურმე გზაზე მანქანა მიბობღავს, ირწევა აქეთ-იქით, მთვრალი კაცივით, მოსახვევში შედგება, ცოტას დაფიქრდება, უკან დაიხევს, ქანს აიღებს და ისევ შეუდგება აღმართს.

ბოლო მოსახვევში მანქანა შედგა, ბაჩანამ მანქანა პირველ სიჩქარეში ჩააგდო და ნელა აუშვა ფეხი კონუსიდან. უკანა ბორბლები აცურდნენ დაცვარულ ხრეშზე და წვრილი ქვიშა გვერდზე გაყარეს, საჩხუბრად მომზადებული, გაავებული ნაგაზივით. ახლა აქსელატორს დააჭირა ფეხი ბაჩანამ ბოლომდე, საბურავებმა გაშმაგებით მოთხარეს ხრეში და დამწვარი რეზინის სუნი დააყენეს გარშემო.
– ჩავალ! – თქვა მარიამმა.

– იჯექი, სწორედ იმიტომ ბუქსაობს, რომ მსუბუქია, – აუხსნა ბაჩანამ და მანქანას უკან დაახევინა, მერე ისევ პირველში ჩართო,

უცებ აუშვა ფეხი აქსელატორს და მანქანა გიჟივით ავარდა აღმართზე. ბაჩანამ მანქანა ეკლესიის ეზოში შეიყვანა და ხის ძირში გააჩერა.

– მოვედით! – უთხრა მარიამს, – მარიამი ჩამოვიდა. ფეხსაცმელები გაიხადა, მანქანაში შეყარა, მოლზე გაირბინა, შუა ეზოში გაჩერდა, მკლავები გაშალა და პატარა გოგოსავით დატრიალდა ფეხის წვერებზე. კაბა მარაოსავით გაეშალა.
– აუ, რა ახლოს ვართ ღმერთთან! – წამოიძახა, ფეხი მოირთხა

და ექსტაზში ჩავარდნილი მლოცველივით ჩაჯდა ეკლესიის წინ, მუხლებში თავჩარგული. ბაჩანამ მანქანიდან საუზმე გადმოალაგა და ხის ძირას გამართულ ცინკგადაკრულ მაგიდაზე დაალაგა, მერე მივიდა და გვერდით მიუჯდა მარიამს.

– მარიამ, თქვი რამე ლოცვა! – უთხრა და მხრებზე ხელი მოხვია სიცილით.

მარიამი მუხლებზე დადგა, ხელები ტუჩების წინ შეიტყუპა, თვალები დახუჭა და ჩურჩულით დაიწყო:

მთელი დუქანი ბაჩანას სუფრისკენ მოტრიალდა, მაგრამ ყველაფერი ისე მოულოდნელად მოხდა, რომ არავის არაფერი არ დაუნახავს. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა ბაჩანას სუფრაზე... ბაჩანამ უცებ იგრძნო, როგორ აიწია მაგიდა იმ მხრიდან, საიდანაც მაღლაფერიძე იდგა. ბაჩანა მთელი სიმძიმით დააწვა მაგიდას. მაღლაფერიძემ კიდევ ერთხელ სცადა, აეყირავებინა მაგიდა, მაგრამ ბაჩანა ისე აწვებოდა მაგიდას, რომ ძვრა ვერ უყო. ერთი წუთი მაინც გაგრძელდა ეს უხმო, შინაგანი ჭიდილი, ორთავეს, ბაჩანასაც და მაღლაფერიძესაც, სისხლით აევსოთ თვალები და კისრის ძარღვები დასკდომამდე დაებერათ...

– არ გაბედო! – თქვა ბაჩანამ ბოლოს შემზარავი ჩურჩულით და მაღლაფერიძემ უცებ გადაიფიქრა. მას კვლავ დაუბრუნდა ადამიანის ფერი. დაბერილი ძარღვები დაუცხრა. სახეზე ისევ დამცინავი ღიმილი აუთამაშდა და მაგიდას ხელი გაუშვა.

– გმადლობთ, ქალბატონო, არ დავივიწყებ თქვენს პატივისცემას,

– დაჰპირდა მაღლაფერიძე. მარიამი იდგა გაფითრებული და ხმას ვერ იღებდა.

– წადით, მაღლაფერიძე! – თქვა მშვიდად ბაჩანამ და თავად

გაუკვირდა, საიდან მოვიდა უცებ ეს სიმშვიდე. მაღლაფერიძე გატრიალდა და წავიდა.

ცოტა ხანს კიდევ იდგნენ გაოგნებული მარიამი და ბაჩანა ფეხზე, მერე დასხდნენ. უხმოდ ისხდნენ დიდხანს, ბაჩანამ დაარღვია სიჩუმე.

– მარიამ, მაჩვენე შენი თვითმფრინავის ბილეთი, – სთხოვა მან.

მარიამმა ჩანთა გახსნა, ათრთოლებული ხელით დიდხანს ეძება ბილეთი, ბოლოს მიაგნო და ბაჩანას გადასცა. ბაჩანას არც დაუხედავს ბილეთისათვის, ისე გახია შუაში, მერე საფერფლეზე დადო და ცეცხლი წაუკიდა.

– ნუ დამტოვებ, მარიამ, მარტო! – თქვა ბაჩანამ, ბილეთი რომ მთლიანად დაიფერფლა. მარიამმა ოდნავ დაუქნია თავი. ბაჩანამ ორი ჭიქა შეავსო და ოფიციანტს დაუძახა.

– მიანგარიშე, – უთხრა.

– გადახდილია, ბატონო! – თქვა ოფიციანტმა. ბაჩანა მიხვდა, ვინ გადაიხადა ნახარჯი და მაინც ჰკითხა:

– ვინ გადაიხადა?

– ჩვენმა დირექტორმა, მაღლაფერიძემ, ბატონო! – ბაჩანას გაეცინა.

– ესეც შენი ბასტილიის აღების დღე, 14 ივლისი! – თქვა მან და მარიამის ჭიქას თავისი ჭიქა მიუჯახუნა, – შენ გაგიმარჯოს, მარიამ!

– მარიამი ადგა, მაგიდას შემოუარა, ბაჩანასთან მივიდა და ლოყაზე აკოცა.

– გმადლობთ, ბატონო! – უთხრა და თავის ადგილზე დაბრუნდა.

მერე მან თავი ჩარგო ხელებში და მხრები აუთრთოლდა. მარიამი ტიროდა.

აღარაფერი არსებობს ჩემთვის, ღმერთივით გამომეცხადე, ბიჭო, და ნუ მიმატოვებ ახლა, ნუ დამაბრუნებ უკან, აღარ მინდა, დავიღალე...

შენსკენ მოვდივარ... გიახლოვდები, ბაჩანა, უკვე მოვედი თითქმის და ხელით გეხები... შენთან ვარ და ნუ მიმატოვებ, ბიჭო... – მარიამს გული ამოუჯდა, ბაჩანა გაკვირვებული უგდებდა ყურს და ცდილობდა, როგორმე დაეწყნარებინა გულამომჯდარი ქალი.

– რა მოგივიდა, მარიამ, დაწყნარდი, მარიამ, ვინ გითხრა, რომ მიგატოვებ?!. დაწყნარდი, შენი ჭირიმე... კარგი ახლა, გეყოფა, კარგი, მარიამ. არასდროს არ მიგატოვებ... – და როდესაც შეატყო, რომ მარიამი ნელ-ნელა წყნარდებოდა, ფრთხილად მოიცილა, ბალახზე დააწვინა, თვითონ წამოდგა და ფეხაკრეფით შევიდა ღია ეკლესიაში. თვითონაც აფორიაქებული იყო მარიამის უეცარი აღელვებით და როდესაც ცოტათი დამშვიდდა, ეკლესიის კედლებს მოავლო თვალი. სინესტესა და ობს შეეჭამა კედლები. არც ერთი ფრესკა, არც ერთი

ხატი, იკონოსტასი ფანჯრებჩამტვრეულ, საღებავჩამოცვენილ შუშაბანდივით იდგა გაძარცული. დასავლეთის კუთხეში იდგა პატარა ფეხებმორყეული ხის მაგიდა, გაცრეცილი მწვანე საფარგადაფარებული. ზედ ხუთთავიანი წვრილი შანდალი და ღვთისმშობლის ხატი იდგა, კუთხეში მიყუდებული. ვიღაც უღმერთოს ხელით დახატული. შანდალში სამი სანთელი ბჟუტავდა, თითქოს ბოლომდე ჩამწვარი. მაგიდაზე ერთი შეკვრა თაფლის სანთლები ეწყო და მათ გვერდით კიდევ ერთი გაცრეცილი სამმანეთიანი ეგდო.
– ჰეი! – დაიძახა ბაჩანამ.
– ჰეიიი! – უპასუხა ექომ. გუმბათზე მოღუღუნე ქედნები უცებ

დაფრთხნენ და კედლებში ჩატანებული ვიწრო სარკმლებიდან ერთმანეთზე მიყოლებით გაფრინდნენ გარეთ. აღმოსავლეთის კედელი აქა-იქ სანთლის ნამწვავებით იყო ატრუსული ადამიანის სიმაღლეზე. რამდენიმე ადგილას, კედელზე შეწირული ცხვრის დაგრეხილი ჯღა იყო დაჭედებული. ზოგან შეყვარებულთა და ექსკურსანტთა მთელი სია იყო ჩამოწერილი, ალფაბეტის მიხედვით, თავისი მისამართებით და შეხვედრის თარიღებით. სამხრეთის კედელზე მაცხოვრის ერთადერთი თვალდათხრილი და სახედაფხეკილი ფრესკის ქვეშ ვიღაც ლაზღანდარა ათეისტს მუშაირა ჰქონდა გამართული თვითონ მაცხოვართან.

უცხვირპირო და უთვალო,
როგორ გიწამო, უფალო?! –

კომკავშირელი ათეისტი. ასე აწერდა ხელს ლექსის ავტორი.
ცოტა ქვევით უფლის პასუხი იყო, აგრეთვე ლურსმნით ამოკაწრული: შენ, ჩემო დიდო იმედო, კოშკო, ნაგებო კირითა,

კახეთს მოჭრილო ისარო,
ქალაქს ნაღებო ინითა.
წითელო მოვის პერანგო,
შვიდგან შეკრულო ღილითა,
ცავ წმინდავ, ვარსკვლავიანო,
მზევ, დაფენილო დილითა,
უკვდავებისა წყაროო, ნადენო
ოქროს მილითა, შენთანამც
ყოფნით გამაძღო, შენთანამც
წოლა-ძილითა...

მარიამი დადუმდა.

ბაჩანას ასჯერ მაინც ჰქონდა მოსმენილი ეს ლექსი, მაგრამ ასე თუ ჰგავდა ლოცვას, აზრადაც არ მოსვლია არასდროს. გულში გაულღვა რაღაც ბაჩანას და სითბოდ ჩაეღვარა მთელ სხეულში. მან ყელზე მოხვია ხელი მარიამს და თავისკენ გადმოხარა.

– ეს ლოცვაა თუ ნატვრა, მარიამ?

– რამ გაჰყო ნატვრა და ლოცვა, ბატონო?! – თქვა მარიამმა და ისევ დაიწყო:

მზეო, ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები მთას,

ლამაზი ქალი დამზრალა,
მიუალერსე მას...

მიუალერსე, უთხარი,
რომ სიყვარული გკლავს,
თორემ ქალია, იცოდე,
წავა, გაჰყვება სხვას...

და თითქოს ბუნებამ მარიამის ვედრება შეისმინაო, კავკასიონზე უზარმაზარი მზე ამოგორდა, გავარვარებული მკლავებით შემოეხვია ეკლესიას და შავნაბადას კალთაზე დაღვრილი ნისლი რძესავით შესვა...

მარიამი უცებ ყელზე შემოეჭდო ბაჩანას, მკერდზე მიეკრა და თითქოს ლოცვას აგრძელებსო, ისე დაუწყო ვედრება:

– ჩემო ბაჩანა, არ მიმატოვო, არასდროს არ მიმატოვო, ბიჭო...

არ მიმატოვო, შენ ჩემო დიდო იმედო, სად იყავი ამდენ ხანს, რამდენ უბედურებას გადამარჩენდი, ბიჭო, არ მიმატოვო, ჩემო ბაჩანა...

ყველაფერზე უარი ვთქვი, იმ დღიდან, შენ რომ გნახე... ყველაფერზე...

560 561

– რამდენი წლისა ხარ, ძია კაცო? – ჰკითხა.

– სამოცდაათს გადაცილებული, – ხელი აიქნია მოხუცმა.

– ერთი მაგდენი კიდევ იცოცხლე! – დალოცა მარიამმა.

– ბევრია, მაგრამ მაინც მადლობელი ვარ, ძალიან მინდა სიცოცხლე

და რა ვქნა? – არ დამალა მოხუცმა. ბაჩანას გაეცინა.
– რა გქვია, ძია კაცო? – ჰკითხა.
– გიორგი მქვიან და თუშმალიშვილი ვარ გვარადა.
– სადაური ხარ?
– გაღმა სოფლიდან.
– აქ რას აკეთებ?
– საქონელსა ვმწყემსავ, – თქვა გლეხმა და გაღმა ფერდზე შეფენილ ორ ძროხასა და სამ ცხვარს გახედა.
– შენია? – ჰკითხა ბაჩანამ.
– ჩემია.
– რამე შემოსავალი თუ გაქვს?
– რა შემოსავალი უნდა მქონდეს, შვილო, ეგ ძროხები და ცხვრები ერთმანეთს ძლივს არჩენენ, – უპასუხა ღიმილით.
– მაშ, რაღად გინდა?
– ხანდახან ცოტა რძეს მოვპარავ ხოლმე და ყველს ამოვიღებ, ცოტა მატყლს მოვპარავ, ნაკელს მოვპარავ, თუ კარგად იმრავლა, ხორცსაც მოვპარავ ხოლმე, ეგ არი და ეგა. აი, ორი მაგდენი მაინც
რომ მყავდეს, კიდევ საქონელი ერქმეოდა, აბა, ეხლა რა საქონელია, მგელს ვახშმად არ ეყოფა.
– სახელმწიფოს თუ აბარებ რამეს?
– მაშ?
– საიდან?
– აი, იმ მოპარული რძიდან, ხორციდან და მატყლიდან, წეღან რომ გითხარი.
– ორი ამდენი რომ გყავდეს?
– მაგას ანგარიში რათ უნდა, შვილო, ორი იმდენი მეყოლება, ორ იმდენს ჩავაბარებ, სამი მეყოლება, სამ იმდენს და ეგრე მიყოლებით. სხვაგან სად წავიღებ, ან სახელმწიფოს ჩავაბარებ, ან ბაზარში გავიტან...
– კოლმეურნეობაში არ მუშაობ, ძია გიორგი?
– ჩემი შვილები მუშაობენ, მე სადღა შემიძლია, ის კი არა და
შვილები ამ საქონლის მწყემსვასაც მიშლიან. მეუბნებიან, თავს რათა გვჭრიო, შენი დასასაქმებელი რა გვჭირს, ხორცს და რძეს, თუ დაგვჭირდა მაღაზიიდან და ბაზრიდანაც კარგად მოვიტანთ უშენოდაო. მაღაზიაში და ბაზარში ვიღა მიიტანს, იმას აღარ კითხულობენ, მამაძაღლები! – თავი გადაიქნია მოხუცმა.
– ძია გიორგი, ამ ეკლესიას პატრონი არა ჰყავს? – ჰკითხა
უცებ კომკავშირელო, თუ არ გწამს, სახარება და ღმერთიო, ამ სიმაღლეზე მეორედ,

გთხოვ, აღარ ამოეთრიო! –

იესო ქრისტე, ასე აწერდა ხელს პასუხის ავტორი.

ბაჩანას ხმამაღლა გაეცინა, უფალი აშკარად ჩაგრავდა შაირობაში ათეისტს. ბაჩანა გარეთ გამოვიდა. მარიამი ეკლესიის წინ აღარ დახვდა. გული შეეკუმშა ბაჩანას, მარტო როგორ დავტოვეო.

– მარიამ, სადა ხარ, მარიამ?! – დაიძახა შეწუხებულმა.

– ... სადა ხარ, მარიამ?! – გაიმეორა ცარიელმა ეკლესიამ. ბაჩანამ ეკლესიას შემოუარა. მარიამი ხის ძირში გაწყობილ მაგიდას უჯდა და ვიღაც მოხუც გლეხს ესაუბრებოდა მშვიდად.

– სადა ხარ, გული გადამიტრიალდა! – საყვედურით უთხრა ბაჩანამ და მაგიდასთან მივიდა.

– გამარჯობათ! – მიესალმა მოხუცს.

– ღმერთმა გაგიმარჯოს! – თუშური ქუდი მოიხადა მოხუცმა.

– ხომ არ გვესაუბრა? – ჰკითხა ბაჩანამ და გვერდით მიუჯდა.

– კი, ძალიან მომშივდა, – გაუცინა მარიამმა, – ძია კაციც

დაგვეწვევა.

– რატომაც არა, მეცა მაქვს ჩემი ხმიადი წამოღებული, – თქვა გლეხმა და ხელჩანთას პირი მოხსნა. ერთი დედას პური, გუდის ყველი,

მოხარშული ხორცი, ნივრის წნილი, ნახევარი ბოთლი არაყი ამოალაგა და მაგიდაზე დააწყო. ბაჩანამ ერთი ბოთლი ღვინო მოიტანა მანქანიდან.

– ჯერ არყით დავილოცოთ, შვილებო! – თქვა გლეხმა და ჩანთიდან პატარა ყანწი ამოიღო, სული შეუბერა, მერე აავსო არყით და ბაჩანას გადასცა.

– აბა, ერთი დაილოცე, თან ნახე, როგორია, თუთისაა, დალოცვილი!

– შეაქო გლეხმა არაყი. ბაჩანამ ყანწი ჩამოართვა.

– სიმწარე გვაშოროს და სიტკბო მოგვცეს! – თქვა და ყანწი გამოსცალა, გამოცდილი დეგუსტატორივით აცალა, ვიდრე არაყი სხეულში დაბინავდებოდა და მერე კმაყოფილი შეძახილით შეაფასა:

– აუჰ, მართლა კარგი ყოფილა! – თან ნივრის წნილი აიღო. სახეგაბადრულმა გლეხმა ახლა თავისთვის გაივსო ყანწი.

– სიმწარეც მოგვცეს და სიტკბოც, ოღონდ გვაცოცხლოს, – თქვა გლეხმა,

– სიცოცხლეს არაფერი სჯობია! – მერე დალია და გაუპარსავ სახეზე გემრიელად ჩამოისვა ხელი. ახლა მარიამს დაუსხა:

– აბა ერთი შენც დაილოცე, შვილო, ისეთი ლამაზი გაუჩენიხარ

შამქმნელსა, სიტყვაც ლამაზი გექნება, – მიუფერა. მარიამმა ყანწი ჩამოართვა. 36. ნ. დუმბაძე, ტ. II

562 563

გლეხს არ შეეძლო ეკლესიაზე მაღალი სახლის აშენება? – შეეძლო, მაგრამ არ შეიძლებოდა. ეხლა კიდე, ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ოთხი სოფსაბჭოს ხელა სახლი აქვს წამოჭიმული. შოფერ მიტუასა კი, ჩვენი კლუბისოდენა გარაჟი უდგას. აბა, ეხლა,

თქვენ თვითონ თქვით, შევა ეგეთ სოფსაბჭოში კაცი სალოცავად?
– არ შევა! – თვითონვე უპასუხა მოხუცმა თავის კითხვას. – განა

ღატაკები ვართ, სოფელი ძლიერი გვაქვს, პური გინდაო, ხორცი გინდაო, ვაზი გინდაო, ხილი გინდაო, ბოსტანი გინდაო, მაგრამ კაცი ღორისაგან რითი განსხვავდება? რაც ხეზეა, ის კაცისაა, ხიდან ჩამოცვენილი – ღორისა, ესე იგი, დროზე თუ არ მიხედე და მოუარე, ღორსა რჩება. ვეუბნები დიმიტრის, ჩვენი სოფსაბჭოს თავმჯდომარეა:

– ბიჭო, მთავრობა შენა ხარ და თავმჯდომარე, ერთი ხეირიანი სოფლის საბჭო ააშენე, რომ მოვიდე, შევხედო და შიგ შემოსვლა გამიხარდეს-მეთქი.
– რითი ავაშენო, ფული მე არა მაქვს და ლიმიტიო.
– ლიმიტი რაღა ოხრობაა-მეთქი, – ვეკითხები, – აგურიაო –

მეუბნება. ვეუბნები, თუ ლიმიტი და აგური არაა, მა იმ კოლმეურნეობის თავმჯდომარის სახლი და მიტუას გარაჟი რაღათი აშენდა-მეთქი? – მე რა ვიციო... – კარგი, წვერი მაინც გაიპარსე ან ბოლომდე მოუშვი და მღვდელივით სუფთად იარე, კაცმა რომ დაგინახოს, შენი რიდი და მოკრძალება იქონიოს-მეთქი. – არ უნდა, არ უნდა და იყოს. იმ ჩემ ძროხას, აი, იქ რომ ბალახობს, მაგაზედ დიდი ავტორიტეტი აქვს სოფელში. იმიტომ, რომა სუფთაა და რვა ლიტრას იწველის... – თქვა გიორგიმ და ღვინო დაასხა.

– იქნებ ცუდად ვფიქრობ, ჰა, მითხარით, შვილებო! – იკითხა უცებ.
– კარგად ფიქრობ, ძია გიორგი, მაგრამ ეგ, რაც მე მითხარი ეხლა, სოფლის კრებაზე თუ გითქვამს როდესმე? – ჰკითხა ბაჩანამ.
– ვთქვი ერთხელ...
– როდის?
– შენ რამდენი წლისა ხარ?
– ორმოცზე მეტის!

– მე კიდე მაშინ ოცდაათისა ვიყავი და კინაღამ ციმბირი უკან დამატოვებინეს.
– ეხლა სხვა დროა, ძია გიორგი.
– სხვა დროა და სხვამა სთქვას...

– აკი კიდე დიდხანს მინდა სიცოცხლეო? – ნიშნის მოგებით უთხრა ბაჩანამ.

– სიტყვა მოსწრებული იცით ეხლანდელმა ახალგაზრდობამ, ცოტა საქმე გიგვიანდებათ, – უპასუხა მოხუცმა და ჭიქა ასწია, – შენა, მარიამმა.

– ერთი სოფლის დედაკაცი უყენია, შვილო, იმასაც შენსავით მარიამი ჰქვიან. ის ღვთიშობელიც იმის დახატულია. კურთხეული მარჯვენა აქვს, დალოცვილს. ახლა ავად არი, საცოდავი ძველებურად

ვეღარა ხედამს, კვირაში ერთხელ თუ ამოვა...
– ის სანთლები ვინ აანთო? – ჰკითხა ბაჩანამ.

– ვინ აანთებდა ამ დილაადრიან, მე ავანთე! – თქვა გიორგიმ, სხვათა შორის.
– ის ფული ვიღამ დადო?
– ის ფულიც მე დავდე, სანთლისა...
– ღმერთი გწამს, ძია გიორგი? – ჰკითხა მარიამმა.

გიორგი დაფიქრდა. მერე ეკლესიას ახედა ზემოდან ქვევით, თავი მოიფხანა და ისევ ეკლესიას შეხედა.

– აბა, რა ვიცი, ძალიან გულახდილად რომ გითხრათ, მაინცდამაინც დიდი მორწმუნე ვარ-მეთქი, ტყუილი იქნება, მაგრამ მთელი დღე რომ ამ უდაბნოში მარტოდმარტო ვარ, უნებლიეთ მიხდება ხოლმე ღმერთზე ფიქრი, – თქვა გიორგიმ და ცაში აიხედა.
– მაინც რას ფიქრობ, ძია გიორგი? – ჩაკითხა მარიამმა. გიორგიმ ისევ ეკლესიას ახედა და ჩაფიქრდა.

– მე იმას ვფიქრობ, რომ ... კაცი რომ სხვის სალოცავს დაანგრევს, თავისი სალოცავი იმაზე მაღალი, იმაზე მედგარი და იმაზე ლამაზი უნდა ააგოს... აი, ეს ეკლესია, ვისი სალოცავია, წესიერად არც კი ვიცით, ვიღა არ მოდის თელეთობას აქ სალოცავად, სომეხი გინდაო, თათარი გინდაო, ბერძენი გინდაო, რუსი გინდაო, ებრაელი გინდაო, ქართველი ხო თავისთავადა... შედიან და ლოცულობენ. მე თუ მკითხავ,

ეგეთ ეკლესიაში ლოცვას, მინდორში ლოცვა ჯობიან, თუ სადმე ღმერთია, იქ უფრო არ დაგინახავს და გაგიგონებს? აბა, ამ დანგრეულ ეკლესიაში რა უნდა გისმინოს, თუკი კაცს შიგ შეხედვა ეზარება... ამას რაზედ გეუბნებით, შვილებო, აი, ეკლესია დგას მიტოვებული, მაგის მაგიერი კი არაფერი არ აშენებულა.
– რას გულისხმობ, ძია გიორგი? – ჰკითხა ბაჩანამ.
– რას ვგულისხმობ, შვილო და წინათ კაცი რომ ეკლესიაში

მისულიყო, დიდი აღმართი უნდა აეარა, ან გალავანი. შიგ რომ შესულიყო, ქედი უნდა მოეხარა, ხატთან რომ მივიდოდა, სანთელი უნდა აენთო...

თან ქუდი უნდა მოეხადა... ჩემგან აბა, რა გესწავლებათ, ათი უმაღლესი გაქვთ, ალბათ, დამთავრებული, მაგრამ ეგ ჩვენი სოფსაბჭო რომ მარკოზაანთ დაქირავებულ სახლშია გაწყობილი, ქედმოხრილი შევა შიგ კაცი? ქედმოხრილი კი არადა სულ დედ-მამის სულის გინებით შედიან და გამოდიან. მე თუ მკითხავ, სოფსაბჭოზე მაღალი და ლამაზი სახლი, სოფელში არ უნდა იდგეს. თქვენ რა გგონიათ, განა წინათ
564 565

გიორგი თუშმალიშვილსა, დამილოცნიხართ თქვენ, ისე, ვითარცა მამაზეციერმა დალოცა ნოე და შვილნი მისნი. გამრავლდით, მოეფინეთ ქვეყანასა და თქვენმა ნამრავლმა აამაღლოს და ასახელოს ჩვენი ქვეყანა.

სიყვარული იყოს მუდამ თქვენი ცხოვრების თანამგზავრი, უღლის გაწევაში არასდროს გეღალატნოთ ერთმანეთისათვის. თქვენ გენაცვალეთ, ამინ!.. ქორწილი არ გამამაპაროთ! – გიორგიმ ლოცვა დაამთავრა.

ღვინო გამოსწურა ბოლომდე, ტუჩები სახელოთი გაიმშრალა, მივიდა და ორთავეს შუბლზე აკოცა ხმაურით.

– წავიდეს ეხლა და ვინც გინდა მღვდელმა დაიტრაბახოს, გიორგი თუშმალიშვილზე კარგი ლოცვა და ჯვრისწერა ვიციო! – დააყოლა სიცილით და გულზე მჯიღი დაიბრახუნა.

– გმადლობთ, ძია გიორგი! – უთხრა ბაჩანამ. მარიამი იდგა თავდახრილი და ხმას არ იღებდა.

– ძალიან ლამაზი შვილები გეყოლებათ, ბევრი გააჩინეთ, – სთხოვა გიორგიმ ბაჩანასა და მარიამს. მერე ცარიელი ხელჩანთა აიღო და წასასვლელად მოემზადა.

– მიდიხარ, ძია გიორგი? – გული დასწყდა ბაჩანას.

– წავალ, თორემ, ის სამგლე კოლექტივის ყანებში გადავა და მეველე ჭირს მამჭამს, – თქვა ძია გიორგიმ და საქონელს გახედა, –

მშვიდობით, შვილებო, აქ თუ კიდევ ამოხვიდეთ ოდესმე, გაიხედგამოიხედეთ, სადმე სერზე ვიქნები და მნახეთ...

– მშვიდობით, ძია გიორგი, ვინც შენ ამ უდაბნოში თანაგრძნობას

გიწევს, ქალი იქნება თუ კაცი, იმას გაუმარჯოს! – უთხრა ბაჩანამ და ხელი გაუწოდა. გიორგიმ მაგრად ჩამოართვა ხელი და წავიდა. უცებ მოტრიალდა და ნაწყენი ხმით დაიძახა:

– მარიამ, შენ ხომ არ დამემდურე, ქალო, იქნებ ცუდად დაგწერე ჯვარი, ჰა?! – მარიამი ადგილს მოსწყდა. გიორგისთან მიირბინა, ყელზე მოეხვია და ბანჯგვლიანი სახე დაუკოცნა. მერე შემოტრიალდა და სირბილით ეკლესიაში შევარდა.

ძია გიორგიმ ღიმილით გადაიქნია თავი და გზას გაუდგა. ბაჩანა ერთხანს თვალით მიაცილებდა თავდაღმართში მიმავალ გიორგის, მერე მოტრიალდა და ეკლესიაში შევიდა.

მარიამს სამი ახალი სანთელი აენთო შანდალში და მუხლმოყრილი იდგა ღვთისმშობლის ხატის წინაშე.

ბაჩანა დიდხანს იდგა მარიამის უკან და ყურს უგდებდა მის ჩურჩულს. მას სიტყვები არ ესმოდა, მაგრამ მიხვდა, რომ ეს იყო ვედრება.

ბაჩანამ ფრთხილად დადო ათი მანეთი მაგიდაზე სამმანეთიანის გვერდით და უხმოდ გამოვიდა ეკლესიიდან.

შვილო, რაიკომიდან ხომ არა ხარ? – ჰკითხა უცებ ბაჩანას გიორგიმ, ბაჩანას გაეცინა.

– არა, მწერალი ვარ, გაზეთის რედაქტორი.

– ჰოდა, თუ რედაქტორი ხარ და მწერალი ხარ, ადექი და დაწერე

შენს გაზეთში, რაც გითხარი.

– დავწერ, – დაპირდა ბაჩანა.

– დაწერ? – ეჭვით შეხედა გიორგიმ.

– რატომაც არ დავწერ, ეგრე დავწერ, გიორგი თუშმალიშვილმა თქვა-მეთქი.

– მე გინდა დამაბრალო? – დადარაჯდა გიორგი.

– რათა, კაცო, დავწერ, იმან თქვა, მეც ნაწილობრივ მხარს ვუჭერ-მეთქი.

– მაშ, ნაწილობრივ?

– ნაწილობრივ.

– მაშ, ბოლომდე არ მამდევ?

– არ მოგდევ!

– ჯანდაბას, ნახევარში ხომ მამდევ?

– ნახევარში კი!

– მაშ დაწერე, – დათანხმდა გიორგი.

– უეჭველად დავწერ!

– აღდგომა და ხვალაო, – თქვა გიორგიმ, მერე მაინც დაეჭვდა და მარიამს მიუბრუნდა: – მართლა დაწერს?

– მართლა დაწერს! – თავი დაუქნია სიცილით მარიამმა.

– თქვენა, ერთმანეთისა რა ხართ? – ჰკითხა უცებ გიორგიმ. მარიამი არ ელოდა ასეთ შეკითხვას, ოდნავ შეკრთა, მერე მხრები აიწურა და ბაჩანას შეხედა კითხვით სავსე თვალებით.

– ჩვენ, ძია გიორგი, ძალიან გვიყვარს ერთმანეთი და აქ ჯვარის დასაწერად ამოვედით, მაგრამ მღვდელი რომ არ არის, ჯვარს ვინ დაგვწერს? – უთხრა სიცილით ბაჩანამ.

– ჯვრისწერას მღვდელი რად უნდა, შვილო, თუ ერთმანეთი გიყვართ, ჯვარს მე დაგწერთ, მირონსაც მე წაგცხებთ და გვირგვინსაც

მე დაგადგამთ! – უთხრა გიორგიმ და ფეხზე წამოდგა. – აბა, წამოდექით ზეზე! – ააყენა მარიამი და ბაჩანა.

– შენი სახელი, შვილო?

– ბაჩანა!

– შენი ვიცი, მარიამია! – გიორგიმ ხელები აღაპყრო, მარჯვენა ხელში სავსე ჭიქა ეჭირა.

– შვილო მარიამ და შვილო ბაჩანა! ეს ცვრიანი დილა იყოს თქვენი მირონი, ეს მაღალი მზე იყოს თქვენი გვირგვინი, ეს ბებერი

ეკლესია და დალოცვილი მიწა იყოს მოწმე თქვენი სიყვარულისა.

– როგორ და ჩემმა შვილიშვილმა, პატარა ხუტამ, ამას წინათ, ჩემი მუზარადი იპოვა ომისდროინდელი – „კასკა“ და ფისი ქნა შიგ, მამაძაღლმა! ჯერ ყური ავახიე მაგას მე და მერე კი შემრცხვა, თქვენ

ნუ მომიკვდებით, მთელი ღამე არ მიძინია...

– ასეთი ძეგლები არ არსებობს მსოფლიოში, ბატონო ხუტა... და საერთოდ, თუ მოსულა თქვენთან როდისმე მოქანდაკე და სიმინდის თოხნა თუ უსწავლებია? – დაკარგა მოთმინება ახალგაზრდამ.

– არა, მაგრამ თუკი იცის და მასწავლის, რა არის ამაში ცუდი?

– გაუკვირდა ბატონ ხუტას, – თქვენ რას იტყვით, ბატონო? – მიუბრუნდა იგი უცებ ბაჩანას. ბაჩანამ გვერდზე გადადო გაზეთი.

– უკაცრავად, ვერაფერს გეტყვით, არ ვიცი, რაზე საუბრობთ, –

იცრუა ბაჩანამ, რადგან შეატყო, არც ერთი მხარე არ იყო თავისი პოზიციების დამთმობი და ამიტომ ჩაურევლობა არჩია.

– საქმე იმაშია, ბატონო, რომ... – მიუბრუნდა ახალგაზრდა ბაჩანას,

– ... მე, ამათი სოფლიდან, საკიწიაოდან დაკვეთა მივიღე. ბატონი

ხუტა შელია კოლმეურნეობის თავმჯდომარეა საკიწიაოში. უნდა შემექმნა დიდი სამამულო ომის ამსახველი მემორიალი. ახლა, საქმე საქმეზე რომ მიდგა, სამუშაო რომ დაწყებულია და ფული მთლიანად დახარჯული, ახალი ვარიანტი მომთხოვეს. საიდან? რაც მაგათმა ამ საქმეზე ფული გაიღეს, უკეთესი არ გაკეთდება, მაგათმა რამდენიც საჭიროა, იმდენი ფული მომცენ და ეიფელის კოშკს ავუგებ, ფულის საქმე არ არის?

ბოლოს და ბოლოს ფულის გულისთვის ლეონარდო და ვინჩი ჩეზარე ბორჯიასთან მუშაობდა, ყველაზე ბინძურ კაცთან მსოფლიოში, კაცთან, რომელიც საკუთარ დედასთან და დასთან...

– ვაშინერს! – თქვა უცებ ხუტა შელიამ და ფეხზე წამოდგა. ახალგაზრდამ გაკვირვებით შეხედა ხუტა შელიას, მაგრამ ვერაფერს ვერ მიხვდა და განაგრძო: – ხელოვნება და ფული ისეთი რამ არის, რომ ჩეზარე ბორჯია...

– ვაშინერს! – დაარტყა ხუტა შელიამ მაგიდაზე ხელი.

– რაშია საქმე, ბატონო ხუტა? – ჰკითხა ახალგაზრდამ.

– ვაშინერს, ბიძიკო, ვაშინერს! – თქვა უცებ მშვიდად, საკუთარი სიფიცხით დარცხვენილმა ხუტამ და დაჯდა.

– რას ნიშნავს ვაშინერს? – იკითხა ახალგაზრდამ.

– მაგას არ აქვს თარგმანი, როლანდი ბიძია, ვაშინერს – ყველაფერი ის არის, რისი არც თქმა, არც გაგონება, არც გაკეთება, არც შეხედვა, არც გაფიქრება არ შეიძლება. აკრძალულია, ტაბუა მაგი! რასაც შენ

ამბობ ახლა, სამამულო ომის მემორიალთან დაკავშირებით, ვაშინერს! ვიცი მე, ვინ იყო ჩეზარე ბორჯია, – ვაშინერს.

– რა ვთქვი ასეთი, ბატონო! – თქვა ახალგაზრდამ და გაწითლდა.

– მე ვერ გავიმეორებ მაგას და არც შენ გაიმეორო მაგი მეორეჯერ,

კუპეში რომ შევიდა ბაჩანა, ფანჯარასთან უკვე იჯდა ორი კაცი და საქმიანად საუბრობდა ერთმანეთთან. ერთი აშკარად პროვინციელი

იყო, მეორე – ქალაქელი. ბაჩანამ სალამი თქვა და თავისი ადგილი მოძებნა, მერე ხელჩანთა ზემოთ შემოდო, ჯიბიდან გაზეთი ამოიღო, დაჯდა და კითხვა დაიწყო. მართალია, გაზეთს კითხულობდა, მაგრამ ძალაუნებურად ესმოდა მეზობლების საუბარი.
ძალიან ხმამაღლა ლაპარაკობდა პროვინციელი.

– თოფიანი კაცი და მტირალი დედა არ გვინდა ჩვენ, ბატონო როლანდი. რამე ისეთი გვინდა, კაცი რომ შეხედავს, ქვა რომ უდევს გულში და იგი კიდომ რომ ატირდეს!.. – თქვა პროვინციელმა.

– მაგას ლეონარდო და ვინჩი და მიქელანჯელო უნდა, ბატონო ხუტა! – უთხრა ახალგაზრდამ.

– მიქელანჯელო და ლეონარდო და ვინჩი არ ყოფილა ის კაცი, მარნეულში რომ ძეგლი დადგა „კიდევაც დაიზრდებიანო“, მაგრამ ერთი სიცოცხლე გავათავე, მკლავზე ხმალგადადებული, ფეხებგაბიჯგული ის ტიტლიკანა ბოვშები რომ დავინახე, – უპასუხა ბატონმა ხუტამ. ახალგაზრდამ თავი გადაიქნია ეჭვით, – ისეთი გაგვიკეთე და ჩვენი ლეონარდო და ვინჩიც შენ იქნები, – დააყოლა სიცილით.
– ჩემი ესკიზი ნახეთ თქვენ, ბატონო ხუტა და მე მგონი, მოგეწონათ?!
– თქვა წყენით ახალგაზრდამ.

– იქ, სამხატვრო საბჭოზე იმიტომ ვთქვი, კარგია თქვა, რომ გადავაკეთებო დამპირდი, მანამდე, მერე ფულს ვინ მოგცემდა ისე? ახლა დაპირებული უნდა შეასრულო, სიტყვა სიტყვაა, ჩემო როლანდი, თოფიანი კაცი და მტირალი დედა არ გვინდა ჩვენ!
– ზარები და გამხმარი ხეები არ გინდათ, ლომზე შემჯდარი

შიშველი ჭაბუკი არ გინდათ; დაჭრილი არწივი არ გინდათ, მტირალა დედა არ გინდათ; თოფიანი ჯარისკაცი არ გინდათ; ჯარისკაცი რომ ჩექმით გველს თავს უსრისავს, არ გინდათ. ვეღარ გავიგე, ბოლოს და ბოლოს, რა გინდათ? – გაშალა ხელები როლანდმა, – სხვანაირად როგორ უნდა ავხსნათ აბა, შინმოუსვლელთა და სამამულო ომის თემა?!

– ომის დროს რამდენი წლის იყავი შენ, ჩემი როლანდი? – ჰკითხა ხუტა ბატონმა.
– სულ არ ვიყავი! – უპასუხა ახალგაზრდამ.

– მაშინ ის გაგვიკეთე სწორედ, სულ რომ არ იყავი და ომი რომ არ იცი, რა არის, – გაუხარდა ხუტას.
– როგორ? – გაუკვირდა ახალგაზრდას.
568 569

– მერე? – ჰკითხა ბაჩანამ.

– მერე არაფერი. პატარა გოგო და ბიჭი დავახატვიე, სულ შიშველი, ჭიქებით ხელში. ძროხას ეხვეწებიან წითელ-ყვითელ ყვავილებით მოჩითულ მინდორში, რძე მოგვეციო...

– ძროხა რას ეუბნება? – ჰკითხა სიცილით ბაჩანამ.

– ბალახი მომეციო და მოგცემო, ეუბნება ძროხა! – სიცილითვე უპასუხა ხუტა შელიამ, – მაგის ყურებას არაფერი არ ჯობია, ბატონო ბაჩანა, ის კი არა, მომენატრება ხანდახან და სპეციალურად მივდივარ სანახავად. ისე კარგად დახატა იმ მამაძაღლმა. ლეონარდო და ვინჩი რად უნდა მაგას? მე რომ მინდა, ისე ნუ დახატავს, მაინცდამაინც, მამაცხონებული. როგორც უნდა, ისე დახატოს, მაგრამ მე რაც მინდა, ის დახატოს... ხომ ვარ მართალი, ბატონო ბაჩანა? – ჰკითხა ხუტამ.

– ალბათ, მართალი ხართ, ბატონო ხუტა, მაგრამ მხატვარს თავისი მოსაზრებები აქვს, ხელოვნება ძალიან რთული საქმეა...
– რთული რომაა და ძნელი რომაა, იმას ვამბობ მე, თორემ

ძროხის ხატვა მეორე კლასში მასწავლა ანტონა გუგუნავამ. ხატვის მასწავლებელი იყო მაგი ჩემი... ისე ხატავდა თვითონ ძროხას, მოწველა მოგინდებოდა. დაუჩემებია ახლა მაგას, როლანდიზე გეუბნებით, გინდა თუ არა, თოფიან კაცს გავაკეთებო. თოფიანი კაცი რომ მინდოდეს, მე მთლად ცოცხალ კაცს დავაყენებ იქ, ნამდვილი თოფით ხელში. მე შენ გეტყვი და უსაქმო კაცს ვერ იშოვი სოფელში... – ხუტა შელიამ ისევ გააბოლა სიგარეტი, ამჯერად ბაჩანამაც მოსწია.

როგორც ჩანს, ახალგაზრდას გარეთ ყოფნა მობეზრდა, თუ წყენამ გადაუარა, კუპეში შემოვიდა და თავის ადგილას დაჯდა უხმოდ.

– მოდი, ბიძია, საწყენი არაფერი არ მითქვამს მე შენთვის, – მოეფერა ხუტა შელია და თავზე გადაუსვა დაკოჟრილი ხელისგული, –

ახლანდელ ახალგაზრდობას, ბატონო ბაჩანა, ყველაფერი მზამზარეული უყვარს, ჩემმა შვილმა სკოლა რომ დაამთავრა იმ წელს, ორბავშვიანი ქალი მოიყვანა ცოლად. ბავშვის გაკეთება კიდო ეზარებათ, ამ, ბოდიში მომითხოვია და, მამაძაღლებს... თქვენ რამდენი შვილი გყავთ, ბატონო ბაჩანა? – ჰკითხა ხუტა შელიამ.
– მე უცოლშვილო გახლავართ.
– ხოხ, ვერ მოგიწონეთ მაგი საქციელი თქვენ, ბატონო ბაჩანა.
– თქვენ რამდენი გყავთ, ბატონო ხუტა?
– მე ის ერთი მყავს, წეღან რომ გითხარით, მაგრამ ჩემი ბრალი

არ არის, ომიდან დაბრუნებულს აღარ დამხვდა უბედური ჩემი მეუღლე. ეს ბიჭი კიდომ არ არის ცუდი ბიჭი, მაგრამ გამრავლების საკითხში არ მეთანხმება მაგი, ვეუბნები, ბიჭო, ეს ორი სხვისია და ერთი შენი გააჩინე, საქონელმა როგორ უნდა გაჯობის-თქვა. აგერ ჩვენს თხას სამი თიკანი გაუჩნდა ერთად.
– ხუტამ სიგარეტი ამოიღო და გააბოლა.

– ბოდიში, ბატონო! – თქვა ახალგაზრდამ, ადგა და კუპედან გავიდა.

– ბატონო ხუტა, თავის მხრივ ეს ახალგაზრდაც მართალია, თუკი

მცირე თანხით არის დაფინანსებული მემორიალი, რა ქნას ამ კაცმა?
– გამოექომაგა ბაჩანა.
– თქვენი გვარი და სახელი მაჩუქეთ, თუ შეიძლებოდეს, ბატონო!..
– ბაჩანა რამიშვილი!

– ცოტა ფული რას ნიშნავს, ბატონო ბაჩანა? ჩვენ მაგას ბევრი ძეგლების გაკეთებას კი არ ვთხოვთ, კარგს ვთხოვთ. ათი შაურის იყოს და კარგი...
– თუკი ვერ აკეთებს, მოეშვით და სხვას მიეცით! – ურჩია ბაჩანამ.
– სხვას კი მივცემთ, მაგრამ ის ფული შეჭმულია უკვე და ხალხს

რა პირით შევხედო მე მერე?.. – თქვა ხუტა შელიამ. – ... ახლა, მომყავს საკიწიაოში და თვითონ ელაპარაკოს ხალხს, მაგისგან ან კაცს

გამოვიყვან და გავაკეთებინებ რაც მინდა, ან არადა კვარაცხელიას ხარს რომ არ უმუშავია, იმდენს ვამუშავებ ჩაიში და თუთუნში, სანამ სულ არ

გამოვუქვითავ იმ ფულს. მაგი კი არა, ტარასი დარასელიას ბიჭი მოვარჯულე მე... – ხუტა შელიას თვითონვე გაეცინა თავის

ნათქვამზე და კმაყოფილმა სიგარეტი მიაწოდა ბაჩანას. ბაჩანამ ჩამოართვა სიგარეტი, მაგრამ არ მოუკიდა.

– თქვენ მაინც როგორი ძეგლი გინდათ, ბატონო ხუტა? – ჰკითხა ბაჩანამ.

– მე ისეთი ძეგლი მინდა, ბატონო ბაჩანა, კაცმა რომ გვერდი ვერ ჩაუაროს, გაჩერდეს და ის კი არ იკითხოს, რა არის ესო, არაფერი რომ არ იკითხოს და ისე რომ გაჩერდეს, ის მინდა მე...
– მართლა ძნელი ამოცანა მიგიციათ, – გაეცინა ბაჩანას.

– ადვილი ის იყო, ბატონო ბაჩანა, ამას წინათ კომპლექსი ავაშენეთ მეცხოველეობის, მოვიყვანე მხატვარი, შესასვლელი გამიფორმე და მომიხატე-თქვა, ვთხოვე. გავიხედე და მთელი კედელი ძროხებით, ღორებით, თხებით და გოჭებით არ მომიხატა?! რა არის ეს-მეთქი, – ვკითხე.

– პირველად ვხედავ თავმჯდომარეს, ღორებს და ძროხებს რომ ვერ ცნობდესო, – ასე მითხრა.
მე ვუთხარი:

– ბოდიში მომითხოვია, შე მამაძაღლო, ძროხები და ღორები შიგ ცოტაა, ვითომ, კედელზე რომ გამოგეტანა-თქვა?
– აბა, რა დავხატოო? – ასე მკითხა.
– ჯერ ის წაშალე, რაც დახატე და მერე ვილაპარაკოთ-თქვა! –

ასე ვუთხარი, ძლივს წაშალა

გახაზირებული უნდა, თორემ პატარა რომ იფიქროს და ტვინი გაანძრიოს, რა დაუდგება მაგათ წინ?!
* * *

ბაჩანა სასწრაფოდ გამოიძახეს მივლინებიდან, რედაქციის საქმეზე.

ცეკას ინსტრუქტორმა დარეკა სასტუმროში.

– მდივნის დავალებით ვრეკავ, ხვალ დილის 10 საათზე მასთან უნდა იყოთ!

– რა საკითხზე? – ჰკითხა ბაჩანამ, მაგრამ იქეთა მხარეს ყურმილი უკვე გაბმულ ზუმერს იძლეოდა.
ძალიან მოკლე საუბარი ჰქონდა ბაჩანას ცეკას მდივანთან.

ამ აუდიენციას არც კი შეიძლებოდა საუბარი დარქმეოდა, რადგან ბაჩანა იჯდა მხოლოდ და ყურს უგდებდა მდივნის მკაცრ ლაპარაკს. კაცმა რომ თქვას, სალაპარაკო არც არაფერი ჰქონდა. მეტი საგანგაშო მდგომარეობის წარმოდგენა ძნელი იყო.

მისმა თანამშრომელმა დღისით-მზისით, ქრთამი აიღო შიგ რედაქციის შენობაში.

დღის ორი საათზე საგანგებო პარტიული კრება მოიწვია ბაჩანამ. რედკოლეგიის წევრების და რედაქციის თანამშრომლების გარდა, კრებას ცეკას ინსტრუქტორი და შინაგან საქმეთა სამინისტროს ის თანამშრომელი ესწრებოდა, რომელმაც აღნიშნული ოპერაცია ჩაატარა.
კრება პარტკომმა გახსნა:
– ვიდრე რომელიმე ჩვენგანი რამეს იტყოდეს, მე ვთხოვ ბატონ

შალვა ხელაიას, აგვიხსნას და მოგვიყვეს, თუ როგორ და რა ვითარებაში მოხდა ქრთამის აღება, ჩვენი თანამშრომლის, შოთა წულაძის მიერ, – პარტკომი დაჯდა.

შალვა ხელაიამ მუშტში ჩაახველა, შავი ჰალსტუხი გაისწორა და დაიწყო:

– ორი თვის წინ, ჩვენმა განყოფილებამ მიიღო სიგნალი იმის შესახებ, რომ თქვენი რედაქციის თანამშრომელი, შოთა წულაძე

ცდილობს ფული გამოსძალოს მოქალაქე კალოიანს, რომელზეც თქვენს რედაქციაში მამხილებელი ანონიმური წერილი იყო შემოსული...
– ორი თვის წინ მიიღეთ სიგნალი და ახლა მეუბნებით ამას,

ამხანაგო ხელაია? – სისხლი აუვარდა თავში ბაჩანას.
ხელაია უხერხულად შეიშმუშნა.

– ჩვენ სიგნალის სისწორეს ვამოწმებდით, ბატონო ბაჩანა, ამიტომ წინასწარ არ ჩავთვალეთ საჭიროდ თქვენთვის გვეცნობებინა, რადგან სიგნალი შეიძლებოდა არასწორი ყოფილიყო, და რედაქციასაც და თანამშრომელსაც უხერხულ მდგომარეობაში ჩავაგდებდით...

– თხა და ძროხა, მამაჩემო, ბალახის მეტს არაფერს არ ჭამს და ტანსაცმელი კიდო არ ჭირდება, პირდაპირ დუბლიონკიან და ჩექმებიან შვილებს ბადებსო და მე საიდან მოვიტანო მაგი, მარტო ერთი ჯინსი ღირს ორას ორმოცდაათი მანეთი სპეკულანტებშიო, – ასე მითხრა...
– სწორი უთქვამს! – ჩაერია ლაპარაკში როლანდი.

– შენ რამდენი გყავს, სხვის დასაცავად რომ იქაჩები?! – მიუბრუნდა

ხუტა შელია.

– მე, ბატონო, ოცდაათი წლისა ვარ, სამი შვილი მყავს და ჩემი ცოლი მეოთხეზეა ფეხმძიმედ! – თქვა ნიშნის მოგებით როლანდმა და ფანჯარაში გაიხედა.

– მალადეც! – ტაში შემოკრა ხუტა შელიამ, – კაცი შენ ყოფილხარ და გმირი მამა. ცოტა ცუდად ვილაპარაკე შენზე წეღან და ახლა ბოდიში უნდა მოგიხადო მაგისთვის!.. – შეწუხდა ხუტა შელია.

– არა უშავს! – თქვა მშვიდად როლანდმა.

– ბოდიში, ბიძიკო, ნამეტანი ბოდიში! – ვეღარ მოისვენა ხუტა შელიამ.

– არა უშავს, ბატონო! – შეწუხდა ახლა როლანდი, – თქვენ სად მიბრძანდებით, ბატონო ბაჩანა? – ჰკითხა უცებ ბაჩანას, საუბარი სხვა თემაზე რომ გადაეტანა.

– სოხუმში მივდივარ მივლინებით!

– ბედნიერი კაცი ხართ, იბანავებთ ზღვაში... – ბაჩანამ თავი დაუქნია და გაუცინა.

– ახლა როგორ იქნება ჩვენი საქმე, ჩემო როლანდი? – ჰკითხა ხუტა შელიამ.

– რომელი საქმე? – ისე ჰკითხა როლანდმა, თითქოს ვერ მიხვდა, რას ეკითხებოდნენ.

– ძეგლის საქმე.

– მოვიფიქრე, ბატონო, მოვიფიქრე, მაგრამ თქვენ რომ გინდათ

ისე კი არა, მე რომ მინდა, ისე! – თქვა გაბრაზებულმა როლანდმა და ისევ ფანჯარაში გაიხედა.

– როგორ? – ჰკითხა დადარაჯებულმა ხუტამ.

– როგორ და მაინც თოფიან კაცს გავაკეთებ, თოფიან და მუზარადიან ჯარისკაცს, რომელსაც მხარში ახალგაზრდა დედა ედგომება ფეხშიშველი და კაბის კალთაზე ოთხი ტიტლიკანა, შეშინებული ბავშვი ეყოლება ჩამოკიდებული. ასე გავაკეთებ... – თქვა სახეგაწითლებულმა როლანდმა, შეკრული მუშტები მაგიდაზე დააწყო და საჩხუბრად მოემზადა.

– აბა, მე რას გთხოვდი შენ? – თქვა გახარებულმა შელიამ, მერე

წამოდგა, მაგიდაზე გადაიხარა და გაკვირვებულ მოქანდაკეს შუბლზე აკოცა, მერე ბაჩანას მიუბრუნდა, – მე რა გითხარით, ბატონო ბაჩანა, თქვენ? ფიქრი ეზარება ახლანდელ ახალგაზრდობას და ყველაფერი

572 573

ქუჩაზე, იმავე ნომერში მცხოვრები, მისი საყვარელი ქსენია გაბრიელის ასული ვართაგავა (იმავე მაღაზიის მოლარე) მეთოდურად სწამლავენ სიკვდილის მიზნით (საკვებ ნივთიერებაში სხვადასხვა დროს, სხვადასხვა დოზით, სხვადასხვა საწამლავის სისტემატური გამოყენების გზით) კალოიანის ცოლს, ლილი გერასიმეს ასულ ამანათიძეს (ამჟამადაც

მოწამვლის გამო საავადმყოფოში
მწოლიარეს). პატივცემულო რედაქტორო!

როდემდე უნდა იბოგინონ ქვეყანაზე გარყვნილმა ტერორისტებმა? როდემდე უნდა იყოს წყვდიადით მოცული ეს შავბნელი საქმე? გთხოვთ იჩქაროთ და თქვენი ბასრი კალმით ამხილოთ ორი ზნედაცემული და გათახსირებული მკვლელი.

პატივისცემით ჰუმანისტი!
პარტკომმა კითხვა დაამთავრა.

– რედაქტორის რეზოლუცია თუ ადევს? – იკითხა ისევ რედკოლეგიის წევრმა.
პარტკომმა წაიკითხა:

– ამხ. შ. წულაძეს! გთხოვთ წერილი რეაგირებისათვის გადაუგზავნოთ შინაგან საქმეთა სამინისტროს. ბაჩანა რამიშვილი. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ბაჩანამ პარტკომს წერილი გამოართვა და ხელაიას დაუბრუნა.

– წულაძემ აღნიშნული წერილი არ გადაუგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს, – ხაზგასმით თქვა ხელაიამ. ბაჩანამ არაფერი უპასუხა. იგი ყველაფერს მიხვდა. მან წინასწარ იცოდა უკვე, რას მოყვებოდა ხელაია, მაგრამ იძულებული იყო, ყველაფერი დაწვრილებით მოესმინა. ხელაიამ განაგრძო:

– ... შოთა წულაძემ არ გადაუგზავნა წერილი შინაგან საქმეთა სამინისტროს. იგი თავად ეწვია კალოიანს სახლში და ანონიმური წერილის შინაარსი გააცნო. კალოიანმა, რა თქმა უნდა, ქვა ისროლა და თავი შეუშვირა. იგივე ქნა ქსენია ვართაგავამაც, მაგრამ წულაძემ

მოახსენა ორთავეს, რომ რედაქცია მოვალეა საქმეს მსვლელობა მისცესო და წავიდა.

ამ გარემოებით დამფრთხალმა კალოიანმა იმისათვის, რათა არასასიამოვნო პროცედურისათვის თავი აერიდებინა, წულაძეს ხუთასი მანეთი შესთავაზა იმ პირობით, რომ წულაძე წერილს

გაანადგურებდა. წულაძეს ეს თანხა ეცოტავა, მაშინ კალოიანი კიდევ ხუთას მანეთს შეჰპირდა. წულაძეს ეს თანხაც ეცოტავა და კალოიანს ორი ათასი მანეთი სთხოვა...

როგორც ჩანს, ეს თანხა კალოიანისათვის მიუწვდომელი აღმოჩნდა და ამიტომ მან ჩვენ, ორგანოებს, მოგვმართა განცხადებით, რომ გაზეთის ლიტმუშაკი წულაძე მას და მის თანამშრომელ ქალს შანტაჟს უწყობს
– აბა, ის ჯობია ახლა ციხეში რომ ზის ის კაცი და მთელი

რედაქცია ლაფშია ამოსვრილი? – ჰკითხა ბაჩანამ. ხელაიამ ისევ უხერხულად ჩაახველა.

– ასე გამოვიდა... ფაქტი ფაქტად რჩება... წულაძეს ფული ხელში დავუჭირეთ, – თქვა ხელაიამ.

– თქვენ რა გაინტერესებთ, ამხანაგო ხელაია, კაცმა ქრთამი რომ არ აიღოს, თუ როგორმე დაიჭიროთ კაცი? – ბაჩანა ძლივს იკავებდა თავს.

– ამხანაგო რედაქტორო, მე ძალიან დიდ პატივს გცემთ, მაგრამ რატომ იცავთ ასე თქვენს მექრთამე თანამშრომელს? – ტონში უპასუხა ბაჩანას ხელაიამ.

– აბა, ვინ უნდა დაიცვას, მე თუ არა? – გაუკვირდა ბაჩანას.

– იმ შემთხვევაში უნდა დაიცვათ, თუ მართალია, – უთხრა ხელაიამ.

– როგორი მტყუანიც არ უნდა იყოს წულაძე, ის, რაც თქვენ ჩაიდინეთ, უკვე შეცდომაა. – თქვა ბაჩანამ.

– ამხანაგებო, მე აქ ინფორმაციისათვის ვარ მოსული მგონია და თუ წულაძის მაგივრად მე მიპირებთ პარტიიდან გარიცხვას, მითხარით...

– წყენით თქვა ხელაიამ და კრების მონაწილეებს შეხედა.

– უკაცრავად, ცოტათი ავღელდი, – თქვა ბაჩანამ და სიგარეტი ამოიღო. ხელაიამ საქაღალდე გახსნა და იქედან ერთი ფურცელი ქაღალდი ამოიღო.

– აი, ის ანონიმური წერილი, რომელიც შემოვიდა რედაქციაში თქვენს სახელზე, ბატონო ბაჩანა.

– თქვენთან საიდან გაჩნდა? – გაუკვირდა ბაჩანას.

– დაკავებული წულაძიდან ამოვიღეთ. ქრთამის აღების შემდეგ კალოიანის თვალწინ უნდა დაეხია.

– მათხოვეთ! – ხელი გაუწოდა ბაჩანამ, ხელაიამ წერილი გადასცა.

– ხმამაღლა წაიკითხეთ თუ შეიძლება, ბატონო ბაჩანა, – სთხოვა რედკოლეგიის ერთ-ერთმა წევრმა.

ბაჩანამ, როგორც კი დახედა, იმ წუთშივე იცნო ანონიმური წერილი და თავისი რეზოლუციაც. წერილი მოკლე იყო და ოთხკუთხედი ასოებით დაწერილი, მაგრამ იმდენად ღელავდა, მიხვდა, რომ თვითონ ვერ მოახერხებდა წაკითხვას და წერილი პარტკომს გადასცა.

– წაიკითხე! – უთხრა. პარტკომმა წერილი ჩამოართვა და ხმამაღლა დაიწყო:

ძვირფასო რედაქტორო!

ურბნელის ქუჩაზე ძალიან ბნელი საქმეები კეთდება. [1] 571-ში მცხოვრები გაიოზ კოსტას ძე კალოიანი (მაღაზიის გამგე) და იმავე

– ბატონო შალვა, – თქვა დიდი ხნის დუმილის შემდეგ ბაჩანამ, –

თქვენ ბრძანეთ, რომ სამჯერ ვცადეთ ფული გადაგვეცა წულაძისათვისო და მხოლოდ მესამედ აიღოვო, ამიხსენით თუ შეიძლება, რატომ გაუმეორეთ გამოცდა, თუკი ერთხელ არ აიღო ფული, იქნებ გონს მოვიდა კაცი და ხელი აიღო ბოროტმოქმედებაზე, ამაზე არ გიფიქრიათ?

– ბატონო ბაჩანა! თქვენ არ იცნობთ ჩვენი მუშაობის სპეციფიკას,

ამიტომ ცდილობთ, ყველაფერი კეთილშობილური მოსაზრებებით ახსნათ, მაგრამ ყველაფერი ისე როდია, თქვენ რომ გგონიათ. წულაძეს თავიდან ვაჭრობა რომ არ დაეწყო კალოიანთან, იქნებ ჩვენც ასე გვეფიქრა, მაგრამ იგი აშკარად მაზანდას უწევდა საქმეს.

– როგორ უწევდა მაზანდას საქმეს, ბატონო შალვა, თუკი კალოიანმა ზუსტად იმდენი ფული მიუტანა, რამდენსაც სთხოვდა წულაძე?! – ხელაია შეიშმუშნა.

– და მე მაინც მგონია, რომ მაზანდას უწევდა, – თქვა ხელაიამ, – მაზანდას უწევდა და ამიტომ გამოვცადეთ სამჯერ.

– მე არ ვიცი, თქვენ რას ეძახით გამოცდას, მე მგონი, თქვენ აცდუნეთ წულაძე.

– ჩვენი მიზანია მოვსპოთ ბოროტმოქმედება! – თქვა ხელაიამ მტკიცედ.

– მე კი მეგონა, რომ თქვენი მიზანი იყო მხილება და არა ცდუნება,

– თქვა ბაჩანამ, – თქვენ რომ ჩემთვის დროზე გეცნობებინათ ყველაფერი, მე მას მოვხსნიდი სამსახურიდან და ბოროტმოქმედება თავისთავად აღიკვეთებოდა.

– ბატონო ბაჩანა, ჩვენ არ გვაქვს დრო და საშუალება, მექრთამეებს ველოლიავოთ და ვეფეროთ.

– კალოიანს? – ჰკითხა ბაჩანამ.

– კალოიანის საქმეს სხვა ოპერატიული ჯგუფი სწავლობს, ბატონო ბაჩანა, და თუ დადასტურდა წერილში აღნიშნული ფაქტი, თქვენ იცით, რა მოელის კალოიანს.

– გმადლობთ, ბატონო შალვა, ინფორმაციისათვის... – უთხრა

ბაჩანამ და ფეხზე წამოდგა. ხელაიაც წამოდგა. კრებას დაემშვიდობა და ჩქარი ნაბიჯით გავიდა კაბინეტიდან.

– რას იტყვით, ამხანაგებო? – იკითხა პარტკომმა.

– მე მაქვს სიტყვა, – თქვა მოულოდნელად ბაჩანას მოადგილემ.

– ბრძანეთ! – სთხოვა პარტკომმა. მოადგილე ფეხზე წამოდგა. წინ ქაღალდები ეწყო, ეტყობა, სიტყვა წინასწარ ჰქონდა მომზადებული. სახე გაფითრებული ჰქონდა, ღელავდა.

– ჩვენ აქ, დღეს, გვესწრება, – დაიწყო მოადგილემ, – ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი, ამიტომ მე არ შემიძლია, როგორც კომუნისტმა გულწრფელად არ ვილაპარაკო. ფულის გამოძალვის მიზნით...

დაინიშნა ოპერატიული ჯგუფი, დანომრილი ორი ათასი მანეთი მიეცა კალოიანს, წულაძისათვის გადასაცემად. ხოლო თავად წულაძე აყვანილ იქნა მეთვალყურეობის ქვეშ. შალვა ხელაიამ ახლა სხვა საბუთი ამოიღო საქაღალდედან და წაიკითხა.

– 17 სექტემბერს უნივერსალურ მაღაზია „გოლიათთან“, დღის

სამ საათზე, კალოიანმა ფული მიუტანა წულაძეს. შეხვედრა და საუბარი [1]21 სადარბაზოში შედგა. კალოიანის განცხადებით წულაძემ ფულზე უარი თქვა იმ მოტივით, რომ რედაქტორი დაჟინებით თხოულობს მასალის შესწავლასა და გამოქვეყნებასო.

– უკაცრავად, ბატონო შალვა, თქვენთვის ცნობილი იყო თუ არა, რომ რედაქტორი ამას არ ითხოვდა? – ჰკითხა ხელაიას გაზეთის პასუხისმგებელმა მდივანმა.

– არა, რადგანაც ხელთ არ გვქონდა წერილი, რედაქტორის რეზოლუციით.

– გამოდის, რომ მთელი ამ ოპერაციის განმავლობაში თვითონ რედაქტორიც ეჭვის ქვეშ იმყოფებოდა?

– არა, არც ერთი წუთით, რადგან წულაძე ამბობდა, რედაქტორი დაჟინებით მოითხოვს მასალის შესწავლასა და გამოქვეყნებასო.
– როგორ ფიქრობთ, რისთვის სჭირდებოდა ეს სვლა წულაძეს?

– მაზანდის ასაწევად! – თქვა ხელაიამ. პასუხისმგებელი მდივანი დადუმდა.
ხელაიამ განაგრძო:

– ზუსტად ათი დღის შემდეგ ჩვენ გავიმეორეთ ცდა. პაემანი დაინიშნა კუს ტბის ტერიტორიაზე. ღია ცის ქვეშ არსებული ეთნოგრაფიული მუზეუმის ერთ-ერთ შენობაში.
წულაძემ არც ახლა გამოართვა ფული კალოიანს, იმავე მოტივით...

თუმცაღა შეჰპირდა, იქნებ რედაქტორს როგორმე გადავათქმევინო და ეს წერილი შინაგან საქმეთა სამინისტროში გადავაგზავნინოვო და იქ შენ თვითონ მიხედე შენს საქმესო...

27 ოქტომბერს, იმ მოსაზრებით, რომ რედაქტორი მივლინებაში იმყოფებოდა და წულაძეს ხელ-ფეხი გახსნილი ჰქონდა, ჩვენ გამოცდა გავიმეორეთ. ჩვენი ვარაუდი გამართლდა, დილის ათ საათზე რედაქციის შენობაში, წულაძემ ფული აიღო!..
– და ეს დადასტურებულია? – იკითხა ცეკას ინსტრუქტორმა.
– დადასტურებულია. ფული ამოღებულია. დამნაშავემ აღიარა

თავისი დანაშაული, თუმცაღა გუშინ გადათქვა, და ახლა ამბობს, აღნიშნული თანხა ვისესხე კალოიანისაგანო, – თქვა ხელაიამ და საქაღალდე დაკეცა. თავზარდაცემული ბაჩანა მკვდარივით იჯდა მაგიდასთან და ხმას ვერ იღებდა.
576 577

– კიდევ ვის სურს აზრის გამოთქმა? – იკითხა პარტკომმა.
– მე მაქვს შეკითხვა ამხანაგ გივისთან! – ხელი ასწია ლიტმუშაკმა.
– რა შეკითხვა? – გაუკვირდა მოადგილეს.

– აი, შენ, რომ ამბობ, ვიცოდი, რომ წულაძე მექრთამე იყოვო, მაინც რამდენი წელია, რომ იცი?

– ხუთი, ექვსი! – დაუფიქრებლად უპასუხა მოადგილემ.

– მაშინ, ერთი წლის წინ რატომ მიეცი წულაძეს პარტიაში რეკომენდაცია? – მოადგილე გაფითრდა, მერე ნერვიულობისაგან გამშრალი ტუჩები აილოკა და ლიტმუშაკს მიუბრუნდა.
– ეს რა შეკითხვაა? ჯერ ერთი, მე არ მახსოვს, ვის და როდის

მივეცი რეკომენდაცია და მერეც მეორე, პარტიაში მისაღებ და უცხოეთში წასასვლელ რეკომენდაციებს ჩვენ, უმეტეს შემთხვევაში, ფორმალურად ვიძლევით...

– ბატონო გივი, ხუმრობთ თუ მართლა ამბობთ? – ჰკითხა განცვიფრებულმა ცეკას ინსტრუქტორმა.

– თქვენ რა, ყველა გახსოვთ, ვისაც რეკომენდაცია მიეცით?
– შეუბრუნა კითხვა ინსტრუქტორს მოადგილემ.
– რა თქმა უნდა! – ხელები გაშალა ცეკას ინსტრუქტორმა.

– მე მაქვს ერთი შეკითხვა, – თქვა პარტკომმა, – კარგი, რეკომენდაცია არ გახსოვს როდის მიეცი, მაგრამ თუ იცოდი, რა ყაჩაღი იყო, ერთი თვის წინ რატომ წაყევი ბათუმში მივლინებაში?
– მოადგილე ისევ დაიბნა.
– მე არ შემეძლო, რედაქტორის ბრძანება არ შემესრულებინა! – ნახა გამოსავალი მოადგილემ.

– სად იყო მაშინ რედაქტორი, რედაქტორიც შენ თვითონ იყავი და მივლინებაც შენ თვითონ გამოწერე, რედაქტორი შვებულებაში იყო, – გაახსენა პარტკომმა.

– იმიტომ წავყევი, რომ ქრთამი არ აეღო! – იქვე მოიგონა პასუხი მოადგილემ. ლიტმუშაკს ძალიან ხმამაღლა გაეცინა.

– მე მაქვს ერთი შეკითხვა, ბატონო გივი! – მიუბრუნდა მოადგილეს რედკოლეგიის ერთ-ერთი წევრი, – თქვენ ბრძანეთ, რომ თავის დროზე განვაცხადე ცეკასა და შინაგან საქმეთა სამინისტროში წულაძის მექრთამეობის შესახებო, ხომ ვერ ამიხსნით, რატომ მაშინ არაფერი რეაგირება არ მოახდინა არც ცეკამ და არც შინაგან საქმეთა სამინისტრომ?
– მაშინ ძველი ხელმძღვანელობა იყო, ბევრი მათგანი აღარ არის ახლა თავის პოსტზე და ზოგიერთი ცოცხალიც აღარ არის...
– ახალ ხელმძღვანელობას რატომ არ მოახსენეთ?
– რატომ მეკითხებით მაგას? – ჰკითხა დადარაჯებულმა მოადგილემ.
– იმიტომ, ჩემო გივი, რომ თუ ხელმძღვანელობამ იცოდა და

ჩვენ დღეს, რა თქმა უნდა, გავრიცხავთ წულაძეს კომუნისტური პარტიის რიგებიდან, რაც გაცილებით ადრე უნდა მომხდარიყო, მას ძლიერი მფარველი და პროტეჟე რომ არ ჰყოლოდა ჩვენი რედაქტორის სახით.

წულაძემ ლაფში ამოსვარა საბჭოთა ჟურნალისტის წმიდათა-წმიდა

სახელი.

დღეს, ჩვენი რედაქცია კომპრომეტირებულია მთელი საზოგადობის თვალში, ამიტომ ვიმეორებ: მე, როგორც კომუნისტს, არ შემიძლია პირუთვნელად არ ვთქვა, რომ მთელი პასუხისმგებლობა მომხდარი ამბის გამო უნდა დაეკისროს ამხანაგ რამიშვილს...

რამიშვილმა თვითონ მოიყვანა წულაძე რედაქციაში ყოველგვარი დამსახურების გარეშე, როგორც მისი მეგობარი, მფარველობდა მას უკანასკნელ დღემდე და თუ ატყობთ, ახლაც... სწორედ ჩვენი რედაქტორის ამ „აღმზრდელობითმა“ მუშაობამ ჩაგვყარა ჩვენ ყველანი ამ დღეში...
ვინ იყო, ბოლოს და ბოლოს, წულაძე?

ცუდი მეგობარი, თუმცა მე მისი მეგობარი არასდროს არ ვყოფილვარ, ცუდი შვილი, ცუდი ძმა, ცუდი მამა, უნიჭო ლიტერატორი და, რაც მთავარია, მექრთამე...

მე ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი მისი რედაქციაში მიღებისა და ეს არ მოხდებოდა, მე რომ რედაქტორი ვყოფილიყავი... მე თავის დროზე განვაცხადე ცენტრალურ კომიტეტში და შინაგან საქმეთა

სამინისტროში, რომ წულაძე მექრთამეა... ამიტომ მე ვიხსნი ყოველგვარ პასუხისმგებლობას და კატეგორიულად მოვითხოვ, მთელი პასუხისმგებლობა ამხანაგ რამიშვილს დაეკისროს, – მოადგილემ შარვლის ჯიბიდან ქათქათა ცხვირსახოცი ამოიღო, ოფლით გაზეთილი შუბლი და ნიკაპი მოიწმინდა, ფრთხილად აიწია დაუთოვებული შარვლის ტოტები, მუხლებთან რომ არ გამობერვოდა და ჭარხალივით სახეალეწილი დაჯდა.

ვიდრე იგი ლაპარაკობდა, ბაჩანას თვალწინ მთელმა მისმა სტუდენტობის ხანამ გაირბინა. ბაჩანას გაახსენდა, როგორ მეგობრობდნენ ის, მისი მოადგილე და წულაძე, როგორ გამოდიოდნენ ერთად

უნივერსიტეტის სცენაზე, როგორ იკრიბებოდნენ უნივერსიტეტის კლუბში, როგორ იყოფდნენ უნივერსიტეტის სასადილო – „რესტორან ნაუკაში“

– უკანასკნელ ლუკმას, როგორ უტოვებდნენ ერთმანეთს პაპიროსის ნამწვავებს, როგორ დადიოდნენ ერთად ექსკურსიაზე უძოსა და შიომღვიმეში, როგორ უყვარდა სამთავეს ერთი გოგო, როგორ მიაღწიეს ყველაფერს იმას, რასაც დღეს მათი სახელი ერქვა; ყველაფერი ეს გაახსენდა ბაჩანას და უცებ ტირილი მოუნდა, ისე ხმამაღლა ტირილი, რომ ყველას გაეგონა, ყველას, ვისაც მათი ახალგაზრდობა ახსოვდა...

– მამაო! – უთხრა მოკითხვის შემდეგ მნახველმა, – თქვენს

მეგობრებს, რომლებმაც იმ ღამით სიკვდილს გადაგარჩინეს, ძალიან გაუხარდებოდათ, თუ თქვენ მათ გვარსა და სახელს დაივიწყებდით!

მოსული ზურგით იჯდა ბაჩანასაკენ და იგი მისი სახის გამომეტყველებას ვერ ხედავდა, მაგრამ მამა იორამის სახის გამომეტყველების მიხედვით ხვდებოდა, რომ მღვდელს თავზე მკვლელი და ავაზაკი ადგა.

– ჯვარი? – ჰკითხა მამა იორამმა.

– მისამართსაც, მამაო! – უპასუხა სანახავად მოსულმა.

– მისამართი, ალბათ, სასწრაფო დახმარებამ იცის, – თქვა გაფითრებულმა მამა იორამმა.

– სასწრაფო დახმარებამ თქვენ ქუჩაში აგიყვანათ, მამაო, სასწრაფოში კი ავტომატიდან დარეკეს.

– ესე იგი, ყველაფერი საათივით გაქვთ აწყობილი, არა? – ჰკითხა მღვდელმა.

– საათივით, მამაო! – დაუდასტურა მოსულმა.

– ჯვარი? – ისევ ჰკითხა მღვდელმა.

– არ ვიცი, მამაო, რომელ ჯვარზე ლაპარაკობთ.

– კი იცით! – თქვა მამა იორამმა.

– მე მხოლოდ ის ვიცი, რასაც გეუბნებით, – თქვა მოსულმა.

– ესე იგი, ქვეყანა ჩალით ყოფილა დახურული, არა? – მწარედ გაიღიმა მამა იორამმა.

– კრამიტით, მამაო, მარსელის კრამიტით! – გაუსწორა მოსულმა.

– თქვით, რამდენად იყიდეთ ჯვარი იმ არამზადასაგან! – მამა იორამს ხმა აუკანკალდა.

– გულახდილად რომ გითხრათ, მამაო, ეს თქვენი აკვიატებული ჯვარი ჩემთვის სრულიად გაუგებარია. თუ ეს თქვენი ავადმყოფობის რაიმე სიმპტომია ან პერსევერაცია გახლავთ, მე ვერაფერს გიშველით

და თუ რამე ჯვარი გჭირდებათ ან ჯვრის გაყიდვა გნებავთ და პირდაპირ თქმას ვერ ბედავთ, მითხარით და დაგეხმარებით, ნუ მომერიდებით, ჩვენ ფულს არასდროს არ ვითვლით, – მშვიდად უპასუხა მოსულმა.

– ვინ თქვენ? – ჰკითხა დაბნეულმა მღვდელმა.

– ჩვენ! – მოკლედ უპასუხა მოსულმა.

– თქვენ თვითონ ვინ ბრძანდებით?

– მოციქული ვარ, მამაო, მოციქული...

– მე არ მსურს თქვენთან საუბარი.

– არც მე, მამაო!

– მაშინ, ნახვამდის, – თქვა მამა იორამმა და მოსულს თვალი აარიდა.

– ჩვენი ხელმეორედ შეხვედრა არ ივარგებს, მამაო, იძულებული ვარ, დაგემშვიდობოთ, – თქვა მოსულმა და ფეხზე წამოდგა.

თავის დროზე არ მოახდინა რეაგირება, იქნებ ცოტათი მაინც შეგვიმსუბუქდეს პასუხისმგებლობა, მეტი არაფერი, – თქვა რედკოლეგიის წევრმა.

– მე არაფერი პასუხისმგებლობა არ მეკისრება და აქედან გამომდინარე, არც რაიმეს შემსუბუქება მჭირდება! – ცივად უპასუხა მოადგილემ.

პარტკომი ისევ წამოდგა და იკითხა, ვინმეს ხომ არ გაქვთ კიდევ აზრის გამოთქმის სურვილიო.

რედაქციის ყველა თანამშრომელმა და კოლეგიის წევრმა გამოთქვა თავის მოსაზრება. ყველამ უზომო წუხილი გამოთქვა მომხდარი ამბის გამო და ყველამ ერთხმად მოითხოვა შოთა წულაძის კომუნისტური პარტიის რიგებიდან გარიცხვა.

ჯერი ბაჩანაზე მიდგა. ბაჩანა წამოდგა.

იგი ძალიან მშვიდად, მაგრამ გაბზარული ხმით ლაპარაკობდა:

– მეგობრებო, აქ რაც ითქვა, თითქმის ყველაფერი მართალია,

შოთა წულაძე ჩემი სიყრმის მეგობარია... ჩვენ ერთად გავატარეთ ჩვენი ახალგაზრდობა უნივერსიტეტში, ვაკეში და ვერაზე, იგი ყოველთვის კარგი მეგობარი იყო ჩემი, მოსიყვარულე მამა თავისი შვილისა და კარგი შვილი თავისი მშობლებისა. მე იგი რედაქციაში მოვიყვანე არა

მეგობრობისა გამო, არამედ თავისი ცინცხალი გონებისა და ნიჭიერების გამო... მაგრამ, როგორც ჩანს, არ მეყო არც უნარი, არც გამოცდილება, არც ავტორიტეტი, ზემოქმედება მომეხდინა მასზე. თვალყური ვერ

მივადევნე მის საქმიანობას... გულახდილად რომ გითხრათ, მისი საქციელი მე ფსიქიურ ანომალიად მიმაჩნია... მე არ მინდა ამით როგორმე შევიმსუბუქო პასუხისმგებლობა...

სწორად თქვა აქ ჩემმა მოადგილემ. მთელი პასუხისმგებლობა მე უნდა დამეკისროს და მე ვკისრულობ მას.

ბაჩანა დაჯდა და მდივანს წყალი სთხოვა...

... ტკივილი მარჯვენა მხრიდან დაეწყო, უცებ გულის ფიცრისაკენ დაიძრა და მარცხენა ძუძუს ქვეშ გაჩერდა. მერე თითქოს ვიღაცამ მკერდი გადაუხსნაო, შიგ დაკოჟრილი ხელი ჩაუყო და გული ყურძნის მტევანივით დაუწურა... ისე დაუწურა... სისხლის ნატამალი აღარ დატოვა შიგ და ასე დამშრალი და დაჭყლეტილი მიაგდო კუთხეში – გული გაჩერდა...

18

სულ უპატრონო არც მამა იორამი აღმოჩნდა. ერთი მნახველი მასთანაც მოვიდა. მათი საუბარი მოკლე, ბუნდოვანი და შემზარავი იყო..

580 581

ხოლო მისი ზურმუხტის პატიოსანი თვლებით გაწყობილი ოქროს ჯვარი, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე გულზე ეკიდა, იმავე ეკლესიის ღვთისმშობლის ხატისთვის შეეწირათ.

საურმაგ ამირეჯიბის შვილიშვილმა
ქეთევან ანდრონიკაშვილმამიროლუბსკაიამ

შეუსრულა ნოსტალგირებულ დიდ პაპას ანდერძი, თბილისში ჩამოასვენა, პარაკლისი გადაუხადა, საქართველოს მიწას

მიაბარა კუკიის სასაფლაოზე მისი ნეშტი, ხოლო ზურმუხტის ჯვარი მამა იორამს გადასცა ანდერძისა და სათანადო ანოტაციის თანხლებით. ჯვრის ანოტაციაში, გარდა მისი აღწერილობისა და ფასისა, საოცარი რამ ეწერა, კერძოდ ის, რომ:

– ჯვარი იგი, ვახტანგ გორგასლის დაის, მირანდუხტის საკუთრებას წარმოადგენს და რომ 16 წლის გორგასალმა, როდესაც ალანები და ხაზარები დალაშქრა, ტყვეობიდან იხსნა თავისი დაი მირანდუხტი და კვლავ შეუყენა ქრისტეს რჯულს, თავად დაჰკიდა მაშინ ეს ჯვარი გულზე დას.

არავინ იცის, რამდენად შეეფერებოდა ეს ამბავი სინამდვილეს ან საიდან იქცა იგი ამირეჯიბთა საგვარეულო რელიქვიად, ყოველ შემთხვევაში ჯვარი უძვირფასესი განძი იყო ორთაჭალის სამების ღატაკი ეკლესიისათვის და ამიტომ მამა იორამმა იგი, როგორც ღვთის განუზომელი წყალობა, ისე მიიღო.
ჯვარმა სახელი და მრევლი გაუმრავლა ეკლესიას.

იმ დღიდან, ყოველ წელს, მარიამობას თეთრი ხავერდის უსპეტაკეს ბალიშზე დასვენებული ზურმუხტის ჯვარი მამა იორამს სასოებით გამოჰქონდა სეიფიდან და ღვთისმშობლის ხატის წინ დებდა.

მლოცველები მუხლმოყრილი მიდიოდნენ ჯვართან და ათრთოლებული ტუჩებით ეხებოდნენ მეხუთე საუკუნის სკვარამიდან, ულამაზესი მწვანე თვლებით მზირალ საოცრებას. მამა იორამი და მისი დიაკვანი, აბელი არჯევანიძე კი მთელი ამ ცერემონიალის დროს გაფაციცებით ადევნებდნენ თვალ-ყურს მლოცველებს, რათა რელიგიურ ექსტაზში შესული რომელიმე მლოცველის მრუდე ხელს ზედმეტი მორწმუნეობისა

და გულმოდგინებისა გამო, თან არ გაჰყოლოდა საფრანგეთის ისტორიულ სიძველეთა შემსწავლელი და შემფასებელი ექსპერტის მიერ ორას ორმოცდაათი ათას დოლარად შეფასებული ეს ზურმუხტის რელიქვია. ასე გრძელდებოდა 1973 წლის მარიამობამდე.

ერთი წლით ადრე, მარიამობის მეორე კვირას, როდესაც მამა იორამი თავის სენაკში იჯდა და თვალზე ცრემლმომდგარი მეასედ კითხულობდა მშვენიერი იოსებისა და ძმათა მისთა თავგადასავალს, სენაკის კარი დიაკვანმა აბელი არჯევანიძემ შემოაღო და თვალებდაელმებულმა რატომღაც რუსულად მიმართა მამა იორამს.

– ðèâåò, òîðæì÷èê! – მერე მხარზე ხელი დაჰკრა იორამს,

– მაშინებთ?! – ჰკითხა მღვდელმა და ხმაზე შეეტყო, რომ უკვე შეშინებული იყო.
– გაფრთხილებთ, მამაო!

ბაჩანა მთელი ამ მისთვის თავიდან ბოლომდე გაუგებარი საუბრის განმავლობაში დუმდა, მაგრამ მოსულის ბოლო სიტყვებმა სასტიკად გააღიზიანა და თავი ვეღარ შეიკავა.

– ახალგაზრდავ, ერთი აქეთ გამოიხედეთ! – სთხოვა მან მოსულს. ბაჩანას მისი სახის დამახსოვრება უფრო აინტერესებდა ამ წუთში, ვიდრე მასთან საუბარი. მოსული ძალიან მძიმედ შემობრუნდა ბაჩანასაკენ.

– ბატონო? – იკითხა მან საშინლად გამაღიზიანებელი ტონითა და მოგონილი თავაზიანობით.

ბაჩანა განცვიფრებული მიაშტერდა მოსულს. მას სახე არ გააჩნდა. არც ერთი ნაკვთი, არც ერთი ნაოჭი, არავითარი ფერი, არავითარი გამომეტყველება. მოსული უსახო იყო. თითქოს ყველაფერი თავის ადგილზე ჰქონდა: თვალი, ყური, ცხვირი, ტუჩი, ნიკაპი და მაინც უსახო იყო. აბსოლუტურად უსახო. ბაჩანა ისე შეაძრწუნა ამ უსახო სახემ, რომ ხმის ამოღება ვერ მოახერხა. ბაჩანა მიხვდა, რომ ასეთი ადამიანების დამახსოვრება შეუძლებელია, ისინი თავად მოგნახავენ, თუ ოდესმე საჭირო შეიქნა.

ბაჩანამ თვალები დახუჭა და ახლა ასე სცადა მის წინ უზარმაზარ კითხვის ნიშანივით დარჭობილი კაცის დამახსოვრება და როდესაც არაფერი გამოუვიდა, კვლავ გაახილა თვალი, მაგრამ უსახო კაცი პალატაში აღარ იყო.

– ვინ იყო, ბატონო იორამ, ეს კაცი, ადამიანის სახე რომ არ ჰქონდა და ადამიანს რომ ჰგავდა? – ჰკითხა ბაჩანამ ენაჩავარდნილ მღვდელს.

– სატანა! – ძალიან დიდი ხნის შემდეგ უპასუხა მღვდელმა და კედლისკენ გადაბრუნდა.

* * *

მამა იორამისთვის ეს ინფარქტი, რიგით მეორე იყო. გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს პირველი ინფარქტი მას „დეკამერონის“, ხოლო მეორე ბალთაზარ კოსას ბიოგრაფიის კითხვის დროს დაემართა. მამა იორამი მისთვის სრულიად მოულოდნელი შემთხვევის მსხვერპლი გახდა.

1970 წელს საფრანგეთში, კერძოდ, პარიზში, 90 წლის ასაკში გარდაიცვალა ემიგრაციაში მყოფი თავადი საურმაგ ამირეჯიბი. იგი თავის ანდერძში ითხოვდა, რათა მისი ნეშტი საქართველოში წაესვენებინათ, ორთაჭალის ეკლესიაში მისთვის პარაკლისი გადაეხადათ, 582 583

გაუძლო ელდას, ეს ჯერჯერობით მხოლოდ და მხოლოდ შოკი იყო. ინფარქტი ცოტა მოგვიანებით ესტუმრა მამა იორამს. კერძოდ, 1973 წლის მარიამობის დღესასწაულის წინღამით, როდესაც სასოებით გახსნა ეკლესიის სეიფი და ხავერდის ქათქათა თეთრ ბალიშზე მირანდუხტისეული ზურმუხტის ჯვრის ნაცვლად წითელი ბოლოკი

დახვდა. ცხადია, მამა იორამს ეს ღვთის მიერ ჩადენილ მორიგ სასწაულად არ ჩაუთვლია, ამიტომ იგი კვლავ იპოვეს სეიფის წინ ქვის იატაკზე გაშხლართული, ოღონდ არა გულშეღონებული, არამედ ინფარქტით გულგაგლეჯილი.
* * *

პირველ ინფარქტს, რასაკვირველია, ნადიაკვნარი არჯევანიძის დაპატიმრება მოჰყვა თან, მაგრამ საქმე სასამართლომდე არ მისულა. ყველაფერი მამა იორამისა და აბელი არჯევანიძის დაპირისპირებისთანავე დამთავრდა.

საავადმყოფოდან გამოწერის ერთი კვირის თავზე, გამომძიებელმა თავგადახოტრილი ნადიაკვნარი ერთი მილიციელის თანხლებით სახლში მოუყვანა მღვდელს. მილიციელს უბრძანა, გარეთ მოეცადა, ეჭვმიტანილი საწოლის წინ დაუსვა მღვდელს, თვითონ საწერ მაგიდას მიუჯდა და დაპირისპირება-დაკითხვის ოქმის შედგენას შეუდგა:

– ამხანაგო კანდელაკო, რამე დასაზუსტებელი ან შეკითხვა ხომ არ გაქვთ ეჭვმიტანილ არჯევანიძის მიმართ? – ჰკითხა მან მღვდელს და კალამი მოიმარჯვა.
მამა იორამს ნიკაპი აუკანკალდა და თვალები ცრემლით აევსო.

– სატანის კერძო და ქრისტეს ძვალის მტკვერელო, თქვი, ვის მიჰყიდე ზურმუხტის ჯვარი?! – ჰკითხა მამა იორამმა აბელს.
– პატივცემულო გამომძიებელო, რაც ახლა მაგან ჩვენს ენაზე

მითხრა, თქვენს ენაზე დედის სულის გინებაზე უარესია, ამიტომ გთხოვთ, პიროვნების შეურაცხყოფისა და საზოგადოებაში უწმაწური სიტყვების ხმარებისათვის, წვრილმანი ხულიგნობის მუხლი მიუყენოთ და თხუთმეტი დღის პატიმრობა მიუსაჯოთ ამ კომუნისტური იდეოლოგიის ძირგამომთხრელს!
– დაავალა გამომძიებელს შეურაცხყოფილმა ნადიაკვნარმა.

– არჯევანიძე, მოწმე თუ გყავს, რომ ის ჯვარი თქვენ არ მოგიპარავთ? – არ ათხოვა ყური გამომძიებელმა.

– ღმერთია მოწამე! – წამოიძახა არჯევანიძემ და ცაში აღაპყრო ხელები.

– არ ახსენო ღმერთის სახელი, შე უწმინდურო! – იბღავლა მღვდელმა და ვალიდოლი ამოიდო ენის ქვეშ.

– თავს ნუ იგდებთ, არჯევანიძე, ღმერთის მოწმედ გამოძახების დაასლოკინა და ყოველგვარი გამოცხადების გარეშე ჭკუიდან გადასული მღვდლის წინაშე სტრიპტიზი დაიწყო. ჯერ ჩაჩი მოიხადა არჯევანიძემ და ქვის იატაკზე დაანარცხა, მერე სტიქარი მიაყოლა, სულ ბოლოს უზარმაზარი ვერცხლის ჯვარი მოიგლიჯა გულიდან, მამა იორამს კალთაში ჩაუგდო და მეფისტოფელივით გადაიხარხარა.

– განვედ ჩემგან, სატანავ! – თქვა ჩურჩულით შეშინებულმა მამა იორამმა და დიაკვანს მიაფურთხა.

– ეხლავე! – დაჰპირდა არჯევანიძე და ვიდრე მღვდელი პირჯვარს ისახავდა, მთელი საქრისტიანო ანათემას გადასცა:

– წყეული იყავი შენც მღვდელო, შენი მამაც, შენი ძეც, შენი სულიწმიდაც და ეს თქვენი ბალავერდამპალი ეკლესიაც. მიჩუქნია თქვენთვის ეს ჩემი მყრალი სული! – არჯევანიძემ, რაც შეეძლო ღრმად ჩაისუნთქა და მერე შხუილით ამოუშვა ფილტვებიდან ჰაერი. სენაკი ხინკლისა და ნარინჯოვანი არყის გულისამრევი სუნით აივსო,

– ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ, ვნახოთ, ერთი რაში გამოიყენებთ. მივდივარ მე ახლა თქვენგან და გიტოვებთ ამ ყვავის ჩოხა-ახალუხს,

– მან ჯერ დააფურთხა ჩაჩსა და სტიქარს, მერე წიხლი ამოჰკრა და ჰაერში ააფრიალა, – ეს ოროყიანი ჯვარი კი შენ ჩამოიკიდე, მამაო

იორამ, და ისე შედი მტკვარში, რამდენი კენჭია ფსკერზე, იმის დათვლაში მოგეხმარება...

– გონს მოდი, ბრიყვო, ღმერთმა არ გაგიგონოს და არ დაგამუნჯოს!

– სცადა მღვდელმა გადელებული დიაკვნის გაჩერება.

– ოცი წელიწადია არ ეყურება ჩემი და რაღა დღეს გამოიფხიკავს

ყურებს. ყრუა, მამაო, შენი ღმერთი, ყრუ! რომ დამჯდარა სადღაც ღრუბლებში და იბრიქება ზევიდან, ის ურჩევნია, ჩამოვიდეს და პროფესორ ხეჩინაშვილს ეჩვენოს, იქნებ დააყენოს საშველი... შენც გირჩევ, მამაო, გაიხადე ეგ ანაფორა და ხორცს მიხედე, ხორცს...

მივდივარ ახლა მე, სესხი არ მაქვს თქვენი და ვალი, სული გინდათ ჩემი? მიირთვით, ბატონო... – არჯევანიძემ ისევ ამოუშვა ფილტვებიდან ჰაერი შხუილით, – ხორცი კი ჩემია, ჩემი და თან მიმაქვს, არივედერჩი! დიაკვანმა ხელი დაუქნია მღვდელს, ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა, მერე რიგრიგობით ყველა ხატსა და ფრესკას, სიცხისაგან გაწითლებული და არყისაგან გაბიჟვინებული ენა გამოუყო, ჯიბეებში ჩაიწყო ხელი და არხეინი ღიღინით გამოვიდა ეკლესიიდან:

„აინშტაინზე მეტი ჭკუა ჰქონიაააა
ვისაც რომა ღვინო მაუგონიიიაააა!“

მამა იორამი გულშეწუხებული იპოვეს საკუთარ სენაკში, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო ინფარქტი, მისმა კაჟივით გულმა ამჯერად

თუმცა არ მიაჩნდა ეს კითხვა საფუძველმოკლებულად, მაგრამ ვერ იკადრა, რაც არ იცოდა იმის თქმა და თავი გაიქნია უარყოფის ნიშნად.

– თქვი, ვის და რამდენად მიჰყიდე წმინდა ჯვარი, იუდავ, თუ სულ არ დაგიკარგავს ადამიანის სახე და პირუტყვად არ ქცეულხარ!

– უკანასკნელად სცადა მღვდელმა ნადიაკვნარის გონს მოგება.

– პირუტყვის ხმა მესმის, – ნიშნისმოგებით უპასუხა არჯევანიძემ.

– რა სახსრებით აიშენე სახლი გლდანში, როცა მე ეკლესიისათვის ორი კრამიტი ვერ გამომიცვლია.

– ის ჩემი სიმამრის სახლი გახლავთ, ბატონო და რაც შეეხება ეკლესიას, თქვენისთანა ყაჩაღის ხელში, რაც აქვს, ის კრამიტიც რომ

შერჩა, ისიც გასაკვირია. – მღვდელი გალურჯდა, გამომძიებელი შეშინდა და ნადიაკვნარს მიუბრუნდა:

– ეჭვმიტანილო არჯევანიძე, კიდევ ერთი მაგისდაგვარი რეპლიკა

და... – გამომძიებელი დაფიქრდა, რა შეეძლო იმის მეტი გაეკეთებია პატიმრისთვის, რაც სჭირდა და ვერაფერი რომ ვერ მოიფიქრა, თითი დაუქნია.

– თქვენ თვითონ ხომ შეამოწმეთ იმ სახლის საბუთები, პატივცემულო გამომძიებელო? – ჰკითხა ნადიაკვნარმა.
გამომძიებელმა უხალისოდ დაუქნია თავი, – აბა რაღას მემუქრებით, იმის მაგივრად, რომ პატიოსანი კაცის ინტერესები დაიცვათ, ეკლესიას ექომაგებით? – გამომძიებელი დაიბნა.
– მანქანა? – ჰკითხა იორამმა, ფერი რომ დაუბრუნდა.

– ამხანაგო კანდელაკო, გამოძიებამ ყველაფერი დაწვრილებით შეისწავლა, თქვენ საქმის გარშემო ჰკითხეთ არჯევანიძეს რამე თუ გაინტერესებთ! – მიუბრუნდა მღვდელს გამომძიებელი.
– ეს საქმეს არ ეხება? – იკითხა დაღონებულმა მოძღვარმა.

– გამოძიება ჯვრის გარშემო მიმდინარეობს და აქ მანქანა არაფერ შუაშია, მით უმეტეს, რომ იგი ეჭვმიტანილის ცოლისძმის საკუთრებაა.
– მამა იორამმა სინანულით დაიქნია თავი.

– აღარ მაქვს შეკითხვები, ბატონო გამომძიებელო, – თქვა მამა იორამმა და ახალი ვალიდოლი ამოიდო ენის ქვეშ.
– თქვენ ხომ არ გაქვთ რამე შეკითხვა ამხანაგ კანდელაკის მიმართ?
– ახლა არჯევანიძეს მიუბრუნდა გამომძიებელი.
– შეკითხვა მაქვს კი არა, დღევანდელი დაპირისპირების შემდეგ,

მე, როგორც ათეისტთა საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი, რომლის სურათიც, როგორც ქრისტეს მოძღვრების ნებაყოფლობით დამგმობისა, ჩვენი ორგანიზაციის სადარბაზო შესასვლელის მარჯვენა კუთხეში წითელ დაფაზეა გაკრული, კატეგორიულად მოვითხოვ, რათა მღვდელი კანდელაკი, ეს ცრუმორწმუნეობისა და ბნელეთის წვერცანცარა მოციქული, გაუგონარი ცილისწამებისათვის დაუყოვნებლივ იქნას საშუალება ჩვენ არ გვაქვს, ვინმე ცოცხალი კაცი დაასახელე, – გაუჯავრდა გამომძიებელი.
– მღვდელი იორამ კანდელაკი! – თქვა ნადიაკვნარმა.
– მეე?! – გაკვირვებისაგან თვალები შუბლზე აუვიდა მღვდელს.
– თქვენ, მამაო! – ირონიულად უპასუხა არჯევანიძემ.
მამა იორამს ნადიაკვნარის თავხედობისაგან თმები ყალყზე დაუდგა.

– ჰკითხეთ ერთი, პატივცემულო გამომძიებელო, მაგ ბრიყვსა და ცილისმწამებელს, მე რომ მაგას და ეკლესიას მივაფურთხე, რამდენი

ხნის შემდეგ დაკარგა ჯვარი? – გამომძიებელი მღვდელს მიუბრუნდა.

– როდის შეამჩნიეთ, ამხანაგო კანდელაკო, ეკლესიის სეიფის გაძარცვა?

– დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, რაც ამ ნაძირალას მძორში სატანა ჩასახლდა, მაგრამ ეს არაფერს არ ნიშნავს, ჯვრის მოპარვა მაგას მანამდეც შეეძლო.

– ახლა ის ჰკითხეთ, პატივცემულო, – ჩაერია ლაპარაკში არჯევანიძე, – სად ინახავს სეიფის გასაღებს?

– სად ინახავთ, ამხანაგო კანდელაკო, სეიფის გასაღებს? – ჰკითხა გამომძიებელმა.

მამა იორამმა მკერდზე დაიდო ხელი და ყელზე ჩამოკიდებული გასაღები მოსინჯა.

– აი, აქ, – თქვა მან, უბეში ხელი ჩაიყო, გასაღები ამოიღო და ხელისგულზე დაიდო. გამომძიებელს არც კი გაუხედავს გასაღებისაკენ, ისე ჩაწერა ოქმში:

– ყელზე აქვს ჩამოკიდებული.

– ახლა ის მითხარით, სეიფი გატეხილი დაგხვდათ თუ გაღებული?

– დაკეტილი! – თქვა მღვდელმა.

– ესე იგი თქვენ გააღეთ?

– ჩემით!

– გითხოვებიათ თუ არა ოდესმე არჯევანიძისათვის სეიფის გასაღები?

– არასდროს! – თქვა მამა იორამმა და უცებ მიხვდა, რომ ყველაფერი დამთავრებულია.

– ფიქრობთ თუ არა, რას ლაპარაკობთ, მამაო, იქნებ ცუდად

გრძნობთ თავს, იქნებ შევწყვიტოთ და სხვა დროისათვის გადავდოთ დაპირისპირება, – შეეცოდა მღვდელი გამომძიებელს.

– არავითარ შემთხვევაში! – წამოხტა ნადიაკვნარი.

– მაშინ ის მაინც მითხარით, განშორებიხართ თუ არა ოდესმე სეიფის გასაღებს? – მამა იორამი დუმდა ისე, როგორც სამარე, რადგან სეიფის გასაღებს იგი აბანოშიც კი არ იშორებდა ყელიდან.

– იქნებ სიმთვრალეში მოგეპარათ ვინმე და გასაღების ყალიბის გადაღება მოახერხა? – მამა იორამმა ვერ გაიხსენა ასეთი შემთხვევა, 586 587

მღვდელს ლეკური მეორედ აღარ დაუქნევია.

– წადით! – თქვა მან შემზარავი ხმით. მერე მუხლმოკვეთილი დაეშვა იატაკზე და ბავშვივით ატირდა...

... და გამომძიებელი მიხვდა, რომ ახლა დაპირისპირება-დაკითხვის ოქმზე ხელის მოწერის დრო არ იყო, იგი ან უნდა წასულიყო სასწრაფოდ, ან ამ ხატებით გაჭედილ წმიდა ოთახში ადამიანის სისხლი დაიღვრებოდა. მიხვდა ამას გამომძიებელი და ეჭვმიტანილთან ერთად სასწრაფოდ

დასტოვა ორთაჭალის სამების გაძარცვული ეკლესიის მწყემსის ბინა.
* * *

მეორე ინფარქტი, რომლის გამოც იგი ახლა ბაჩანას გვერდით იწვა, მამა იორამს ზუსტად ორი თვის წინ დაემართა, ერთი დიდად

სახელგანთქმული კაცის ოჯახში, როდესაც იგი ამ სახელგანთქმული კაცის გარდაცვლილი სიმამრის სულის საცხონებლად და წესის ასაგებად მიიწვიეს ღამის პირველ საათზე არალეგალურად.

ინფარქტმა მიცვალებულის სარეცელთან მისვლაც კი არ აცალა მღვდელს, მას გული სწორედ მაშინ გაუჩერდა, როდესაც კარი გაუღეს

და ჭიპამდე დეკოლტირებული დიასახლისის ყელზე ვახტანგ გორგასლის დაის, მირანდუხტის ზურმუხტით გაწყობილი ოქროს ჯვარი დაინახა...

როდესაც თვალი გაახილა მამა იორამმა, მირანდუხტისეული ზურმუხტის ჯვრის ნაცვლად სასწრაფო დახმარების ექთნის თეთრ ყუთზე გამოსახული უზარმაზარი წითელი ჯვარი შერჩა ხელში. და ვიდრე საავადმყოფოში მიაგრიალებდნენ, საკმევლის სასიამოვნო სუნის ნაცვლად ნიშადურისა და ქაფურის შემაზრზენი სუნი ახრჩობდა. პირველი ინფარქტის მწარე გამოცდილების შემდეგ თავისი მეორე ინფარქტის მიზეზი მამა იორამს არ გაუმხელია. როგორც მორწმუნე კაცმა, მან ზურგი შეაქცია მართლმსაჯულებას და მოთმინებითა მისითა, სულითა და ხორცით მიენდო უზენაესის განაჩენს, მას სჯეროდა, რომ სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაჰკარგავდა და ადრე თუ გვიან ღმერთი თავად მოჰკითხავდა ცოდვილს თავის მოსაკითხავს.

ერთი რამ ჰკლავდა და აწვალებდა მხოლოდ მამა იორამს. რატომ მაინცდამაინც იგი და არა სხვა გაიმეტა ასე უმოწყალოდ ღმერთმა და რატომ მიუჩინა ასეთი მძიმე სატანჯველი და გამოცდა.
* * *

ბაჩანა განცვიფრებული აკვირდებოდა მამა იორამს. უსახო კაცის გამოჩენის შემდეგ იგი საოცრად გამოიცვალა, თითქმის დამუნჯდა. შიში იყო ეს, აპათია, მელანქოლია თუ სხვა რამ, ამაში ბაჩანა კი არა, მიცემული პასუხისგებაში და სასტიკად დაისაჯოს, მე კი, როგორც განუკითხაობის და ცილისწამების უმწიკლო მსხვერპლი, აგრეთვე დაუყოვნებლივ ვიქნა განთავისუფლებული, პირდაპირ აქედან და ჩემი დანაკარგი, ანუ გაცდენილი დღეების საფასურის ანაზღაურება ბოროტმოქმედ კანდელაკს დაეკისროს! – არჯევანიძემ პირზე მომდგარი ქაფი სახელოთი მოიწმინდა და დაჯდა.

– ამას თქვენ არავინ არ გეკითხებათ, ვის როგორ მოექცევა და რას დააკისრებს სახელმწიფო, ეს მართლმსაჯულების საქმეა, თქვენ შეკითხვა მიეცით, თუ გაქვთ, ამხანაგ კანდელაკს!

– კარგი, ბატონო! – ხელები ასწია მაღლა ნადიაკვნარმა და კვლავ ფეხზე წამოდგა, – მაშინ ადგეს და თქვას ამ ღვთის პირიდან გადავარდნილმა, თუ ჯერ კიდევ სწამს ღმერთი, რა უყო ქართველი

ხალხის საკუთრება, უნიკალური რელიქვია, მირანდუხტის ზურმუხტის ჯვარი?! – თქვა პათეტიკურად არჯევანიძემ და დაჯდა.

გამომძიებელი მამა იორამს მიუბრუნდა, მაგრამ მისი სახე რომ დაინახა, აღარაფერი ჰკითხა, მხოლოდ კითხვით სავსე თვალები მიაპყრო. მამა იორამს უცებ თავისი ყრმობა გაახსენდა, სტადიონზე მიმავალს, დეზერტირის ბაზართან, ათ ნომერ ტრამვაიში, როგორ ჩაუყო ხელი ჯიბგირმა ჯიბეში, როგორ დაიჭირა იორამმა იგი და ვიდრე რამეს მოისაზრებდა, როგორ დაასწრო ჯიბგირმა. როგორ გააწნა სილა და როგორ უთხრა ხმამაღლა მგზავრების გასაგონად:

– არც კი გრცხვენიათ, ახალგაზრდავ, ვინმემ რომ შეგხედოთ, კეთილშობილი ყმაწვილი ეგონებით და თქვენ ჯიბეში მიძვრებით?! არადა ვინ იცის, როგორი წესიერი ოჯახიდან ხართ გამოსული?! იორამს გაახსენდა, როგორ შემოტრიალდა მისკენ მთელი ვაგონი. ისიც გაახსენდა იორამს, როგორ ჩამოხტა ტრამვაიდან შერცხვენილი და თავლაფდასხმული. გაახსენდა ეს ყოველივე მამა იორამს და ის ლოყა აეწვა, ყმაწვილკაცობის დროს შერცხვენილი ლოყა და თვალები ცრემლით აევსო.

– რას იტყვით? – ჰკითხა გამომძიებელმა, პასუხი რომ დაუგვიანდა. მამა იორამი უხმოდ წამოდგა ლოგინიდან, მეორე ოთახში გავიდა ფეხშიშველი და ნიფხავ-პერანგის ამარა. კედლიდან პაპამისის ნაქონი ორარშინიანი სატევარი ჩამოიღო, პირჯვარი გამოისახა, ქარქაშიდან ამოაძრო, ორთავე ხელი მაგრად ჩასჭიდა ვადაში, მაღლა აღმართა და გიჟივით გავარდა იმ ოთახში, სადაც ნადიაკვნარი და გამომძიებელი ისხდნენ.

– მოკვდი, სატანავ! – იკივლა მან და რაც ძალი და ღონე ჰქონდა,

დაიქნია სატევარი. ნადიაკვნარი გვერდზე გადავარდა. ლეკურმა შხუილით გააპო ჰაერი. სკამი, რომელზეც წამის წინ არჯევანიძე იჯდა, შუაზე გადაიხსნა ყველივით და ხმაურით გადაცვივდა აქეთ-იქით.

588 589

შენთან შემოსვლას რა უნდა? – გაეცინა ამბოკაძეს.

– მაინც საიდან, ვახო? – ამბოკაძემ მღვდელს გახედა. – გაიცანი, ეს ჩემი პალატის მეგობარი, ორთაჭალის სამების ეკლესიის მოძღვარი, ბატონი იორამ კანდელაკი გახლავს, – გააცნო მღვდელი ბაჩანამ.

– ვა, მღვდლებსაც ემართებათ ინფარქტი? რასაც მაგათ ღმერთი თავზე ხელს უსვამს, რატომ ორი გული არ აქვთ! – გაეცინა ამბოკაძეს და ლოგინზე წამომჯდარ მღვდელს ხელი ჩამოართვა.

– ვახტანგ ამბოკაძე! – თქვა მან.

– ძალიან სასიამოვნო! – გამოეხმაურა მოძღვარი.

– დაჯექი და მოყევი, საიდან, როგორ ან ჩემი თავი რამ გაგახსენა...

– ამბოკაძემ სკამი ბაჩანას საწოლთან მოშორებით დაიდგა, დაჯდა,

ბაჩანას უყურა, უყურა, თავი გადაიქნია და დაიწყო:

– მოკლედ, ჩამოვედი თუ არა, უბნის ბიჭებმა მითხრეს, ქსივი მიაქვსო...
– რაო? – ჰკითხა ბაჩანამ.

– კვდებაო! – აუხსნა ამბოკაძემ, – მე ვთქვი, როგორ თუ კვდებამეთქი! აი, ეგრეო, აფშირნი ინფარქტი დაირტყა, გულზე ხელები დაიკრიფა და კვდებაო. მე ვთქვი, მიჰქარამთ, სიაფანდობს, ეგ ჩემს უნახავად არ მოკვდება-მეთქი და წამოვედი. მალხაზამ წამომიყვანა, გარეთა დგას, არ უშვებენ.
– შენ როგორღა შემოგიშვეს?

– პირდაპირ პროფესორთან მივედი, ვეუბნები, პატივცემულო პროფესორო, ბაჩანა რამიშვილი უნდა მაჩვენოთ, თხუთმეტი წელია არ მინახავს-მეთქი! – შენ ვინა ხარო, მკითხა. მე ვუთხარი, არავინაც არა ვარ-მეთქი. – თუ არავინაც არა ხარ, მიდიო. ავდექი და მოვედი. კაცი ეგ ყოფილა. ეგეთი გამგებიანი პროფესორი ჯერ არ შემხვედრია...
– შენ კიდევ რამეს ეტყოდი, – დაეჭვდა ბაჩანა.

– ობოლი ვარ-მეთქი და ჩემი კვერი რომ გამოცხვება, ცოტას მოგიტეხავ-მეთქი, დავპირდი, – ბაჩანას გულიანად გაეცინა.
– თათარი ხარ!
– ვიცი, რომ თათარი ვარ. ეხლა ის მითხარი, გული როგორა გაქვს, ხომ აღარ კვდები?
– მგონი, გამოვძვერი, ვახო...

– ერთად გამოვმძვრალვართ და ეგ არის, ეხლა ყური მიგდე, პროფესორმა სულ სამი წუთი მომცა სროკი. აი ეს წამლები...
– ამბოკაძემ შეფუთული აიღო მაგიდიდან.

– მოიცა, თუ ძმა ხარ, რა დროს წამლებია, – სიტყვა გააწყვეტინა ბაჩანამ, – სამ წუთს მე გაძლევ, ჩემი ფონდიდან, დაჯექი და მოყევი, სად იყავი, რას აკეთებდი, რამდენი ხნით ჩამოდი, რას აპირებ, ჩემი დახმარება ხომ არ გინდა?..

თავად მღვდელი ვერ გარკვეულიყო წესიერად. ერთი რამ კი მოხდა სასწაულის მაგვარი. მამა იორამს მართლა დაავიწყდა იმ ოჯახის მისამართიც, მის ბინადართა სახელებიცა და გვარიც. ისე დაავიწყდა, თითქოს მის გონებაში ის ადგილი, სადაც ეს ამბავი იყო მოკალათებული, იმ უსახო კაცმა დიდი კოვზით ამოფხიკა და მის ადგილას აბსოლუტური სიცარიელე დატოვა.

თავისი ავადმყოფობის ნამდვილი ისტორია, რომელიც აღსარებას უფრო ჰგავდა, მამა იორამმა საავადმყოფოდან გაწერის ერთი კვირით ადრე მოუყვა ბაჩანას. რა ღონე არ იხმარა ბაჩანამ, რამდენი არ ეხვეწა, რა ნამუსზე არ შეაგდო მღვდელი, მაგრამ ვერა და ვერ ათქმევინა იმ

კაცის გვარი და სახელი, სადაც ზურმუხტის ჯვარი ნახა.

დაავიწყდა მამა იორამს იმ ოჯახის გვარიცა და სამყოფელიც...
დაავიწყდა და მორჩა.
* * *

თბილისში გრიპის საშინელი ეპიდემია ბობოქრობდა. საავადმყოფოში ოცდღიანი კარანტინი გამოაცხადეს. პროფესორის ბრძანებით უცხო მნახველებს კი არა, ახლო ნათესავებსაც აუკრძალეს ავადმყოფებთან შესვლა.

დოლბანდით ცხვირ-პირ აკრული საავადმყოფოს თანამშრომლები, მოჩვენებებივით დაბორიალობდნენ კორიდორებსა და პალატებში. თვითონ პროფესორიც დოლბანდაკრული დადიოდა და დღეში სამჯერ ამოწმებდა პალატებს.

საავადმყოფო მნახველთა აურაცხელი ჯარით ალყადარტყმულ ციხესიმაგრეს დაემსგავსა. ჩიტი რომ ჩიტია, ისიც ვერ ახერხებდა შიგ შეფრენას.

ბაჩანას გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც პალატის კარი გაიღო და შიგ ყურებამდე გაღიმებული, მისი სიყრმის მეგობარი, ვახტანგ ამბოკაძე შემოვიდა.
– ვახო! – წამოიწია საწოლზე განცვიფრებული ბაჩანა.
– ჰარიფების პრეზიდენტს, ბაჩოს გაუმარჯოს! – თქვა ამბოკაძემ,

საერთო მაგიდაზე რაღაც შეფუთული დადო, ბაჩანასთან მივიდა, მხრებზე უზარმაზარი ტორები დაადო და ლოგინზე დააწვინა ფრთხილად, – არ გაინძრე, პროფესორმა თქვა, მაგის ბევრი მოძრაობა არ შეიძლებაო. თქვენც გაგიმარჯოთ, ბატონო! – მიუბრუნდა იგი საწოლზე ტანსაცმლით წამოწოლილ მღვდელს.
– იცოცხლეთ, ბატონო! – მიესალმა მღვდელი.
– როგორ შემოხვედი, ბიჭო? – ბაჩანა თვალებს არ უჯერებდა.

– შე კაცო, სახელმწიფო ბანკში შედიან და მაყუთი გამოაქვთ, 590 591

ყველაფერს და ხომ არ გავიდე პენსიაზე. დავიღალე, იუზგარ...
– ამოიოხრა ამბოკაძემ.

– მაგაზე უკეთესს რას იზამ, ვახო, ოღონდ შენ პენსიაზე გადი და როგორც გინდა, მიმსახურე, კაცი არა ხარ, გეყო რა, ბიჭო! საფლავში ჩამოგყვები, ვისთანაც გინდა მიგყვები, სახლი არა გაქვს? ჩემს სახლში იცხოვრე... მაინც მარტო ვაგდივარ, მოდი, რა, ვახო, გადი რა, პენსიაზე...
შენი ჭირიმე! – ბაჩანას მღელვარებისაგან ხმა აუკანკალდა.
– რა დროს მაგის პენსიაა, ბატონო ბაჩანა, კაცი აწყვეტილ ბუღას ჰგავს! – გადაირია მღვდელი.

– ძალიან მძიმე პროფესია მაქვს, მამაო, ორმოცდახუთი წლიდან ოცდაათი დახურულში და მიწის ქვეშ მაქვს გატარებული, – მწარედ გაეღიმა ამბოკაძეს.
– ძნელი პროფესიაა გვირაბთმშენებლობა, ბატონო, მაგრამ დიდად

კეთილშობილი და სასახელო საქმეა, – შეუქო მღვდელმა ხელობა.
– არ იზამთ, მამაო, თორემ სიამოვნებით გაგიცვლიდით ხელობას.
– გაეცინა ამბოკაძეს.
– ვახო, უკვე მეორედ ამბობ მაგას... – გაახსენა ბაჩანამ.
– მორჩა, ბაჩან, დავიღალე, ამჯერად, მგონი, მართალს ვამბობ. იეთიმ გურჯის არ იყოს, თბილისში სიკვდილი მომინდა. გამარჯობა, ჩემო თბილის ქალაქო, დაკარგული შენი შვილი მოვედი... – თქვა ამბოკაძემ და ფეხზე წამოდგა.
– სიტყვა სიტყვაა, ვახო! – თქვა ბაჩანამ.
– სიტყვა სიტყვაა, ბაჩო! – თქვა ამბოკაძემ და უცებ წამოდგა, – მორჩა ბაზარი. ახლა წამლები, – ამბოკაძემ ფუთა გახსნა და ბაჩანას საწოლზე უამრავი ფერად-ფერადი წამლები გადმოახვავა. ახვავებდა, თან ასახელებდა: – ეს კორდარონი, ეს პერიტრატი, ეს ათეროიდი, ეს ინტენსაინი, ეს პერსანტინი, ეს ერალდინი, ეს პულსნორმა, ეს გილურითმანი, ეს პანანგინი, ეს სუსტაკი, ესეც გიჟების წამალი, ვალიუმი, მორჩა! – ამბოკაძემ ხელი ხელზე გაუსვა კმაყოფილებით.
– გაგიჟდი, ვახო, საიდან ასეთი წამლები?! – პირი დააღო ბაჩანამ.
– ერთი ჩემი ცხოვრება ისე ვერ ავაწყვე, მამაო, რომ ეგ მურტალი შეკითხვა არ მომცენ, – მიუბრუნდა მღვდელს ამბოკაძე სიცილით, – თხუთმეტი წლიდან სულ იმას მეკითხებიან, საიდან და საიდანო?! მე რა ვიცი საიდან, საიდან და საქულას დუქნიდან!
– ამას ძალიან ბევრი ფული უნდა, ვახო! – თქვა გაკვირვებულმა ბაჩანამ და წამლებში ისე ამოურია ხელი, თითქოს წინ აურაცხელი განძი ეყარა და არ იცოდა, რომელი ერთი ამოერჩია.
– ეგ იმან იდარდოს, ბაჩო, ვინც ფული მისცა, შენ სხვა რამე დარდი მითხარი, – სიტყვა ბანზე აუგდო ამბოკაძემ, – თქვენც ინფარქტი გჭირთ, მამაო? – მიუბრუნდა უცებ იგი მღვდელს.
– რა უნდა მინდოდეს, ბიჭო, შენი ჯანმრთელობა და სიცოცხლე მინდა, მეტი არაფერი, ვახო ამბოკაძის დამხმარე კაცი ჯერ არ დაბადებულა დუნიაზე...
– კარგი, ისე დაჯექი მაინც, ცოტა გიყურო მინდა, კაცი არა ხარ? – თხოვა ბაჩანამ.
– იცოდე, პროფესორი რომ მოვა, შენ ელაპარაკები, – გააფრთხილა ამბოკაძემ.
– მიდი, პროფესორს მე ველაპარაკები, – დათანხმდა ბაჩანა.
– ... ის საქმე გახსოვს შენ... – ამბოკაძემ ისევ გახედა მღვდელს ირიბად.
– მიდი, მიდი, ჩვენია! – გაუცინა ბაჩანამ.
– ესე იგი, ის საქმე გახსოვს, ლოტკინზე რომ გვირაბი გავიყვანე...

– ბაჩანამ თავი დაუქნია.

– რა ადგილას? – ჰკითხა გაკვირვებულმა მღვდელმა, რადგან თბილისში იყო გაზრდილი და ასეთი გვირაბი არ გაეგონა ადრე.

– თქვენი ეკლესიიდან არა ჩანს, მამაო, – აუხსნა ამბოკაძემ. ბაჩანას ხმამაღლა გაეცინა.

– იმ საქმეში ექვსი ათასიდან თორმეტამდე იყო დანიშნული პრემია და რადგან ორნი ვიყავით, მე და ბაჯაჯღანა, ამიტომ ექვს-ექვსი

მოგვცეს, თავისი საგზურებით ჩრდილოეთში. ოთხი წელიწადი იქ ვიყავით, ტყუილა რა გამაჩერებდა, ნახევარი ტაიგა გავჩეხე... ძალიან დიდი შეღავათი მივეცი ხე-ტყის დამამზადებელ მრეწველობას. ოთხი წლის თავზე მარათონულ სირბილში მივიღე მონაწილეობა. ათნი ვიყავით. გავიქეცით და კარაგანდამდე ვირბინეთ.

– ფეხით? – გაუკვირდა მამა იორამს.

– ზოგი – ფეხით, ზოგი – მატარებლით, – უპასუხა ამბოკაძემ.

– მაინც, ყოჩაღ! – შეაქო მღვდელმა.

– უკან სტოლიპინის ვაგონებით დავბრუნდით. ფინიშთან სამი

კაცი მივედით. ამ საქმეში ორ-ორი ათასი პრემია მივიღეთ. იქ ექვსი და აქაც ორი, რვა. მერე მოსკოვში გადმოვედი სამუშაოდ. როგორც გვირაბების სპეციალისტი, ამხანაგებმა ერთ ძალიან დიდ საქმეზე მიმიწვიეს. იქაც გავთხარე, მაგრამ სულ ცოტა რომ აკლდა, გვირაბი ჩამოინგრა. სამი ჩემი ამხანაგი მოყვა შიგ. მე ერთი დავრჩი ცოცხალი,

ამიტომ, რაც პრემია იყო დანიშნული, სულ მე მერგო. თავის საგზურიანად ციმბირში შვიდი ათასი... შვიდი და იქაც რვა, თხუთმეტი. გამოდის ანგარიში? – ჰკითხა ამბოკაძემ ბაჩანას.

– გამოდის! – თავი დაუქნია ბაჩანამ.

– ეხლა თბილისში ვარ. სულ სამი დღეა, რაც ჩამოვედი. ჯერ საქმეში არ ჩავმდგარვარ. ამბობენ, ძალიან ბევრი სამუშაოა ჩემი პროფესიის კაცისათვის... მაგრამ ვფიქრობ, ხომ არ მივაფურთხო

592 593

ვეებერთელა თეთრი და წითელი ვარდებით მოქარგული შალი ჰქონდა შემოხვეული. შორიდან საოცარი სანახავი იყო, გეგონებოდათ, უზარმაზარ ყვავილს ფეხი აუდგამს და თოვლში მიაბიჯებსო. ბაჩანა სიამაყისა და სიხარულის გრძნობით უცქერდა თოვლიან ველზე მოსიარულე ამ ცოცხალ ყვავილს, რადგან იცოდა, რომ ეს ვეებერთელა თოვლზე მოსიარულე ყვავილი მას ეკუთვნოდა და სხვას არავის.

მარიამი უცებ დაიხარა, ორთავე ხელი თოვლში ამოურია და თავზე გადაიყარა.

– ბაჩანა, მოდი! – დაუძახა მან.

ბაჩანამ ქურქი გაიხადა და მარიამის კვალს გაჰყვა, რომ მიუახლოვდა, მარიამმა ისევ ამოურია თოვლში ხელი და ახლა ბაჩანას შეაყარა სახეში. თოვლმა გახურებული სახე დაუსუსხა ბაჩანას. მას უცებ

ბავშვივით მოუნდა გუნდაობა და თოვლში კოტრიალი. იგი წელში ეცა მარიამს, ჯერ მაღლა აიტაცა, დაატრიალა, მერე კი მარიამიანად გაგორდა თოვლში და თოვლმა შთანთქა ორთავე. კვლავ რომ გამოჩნდნენ,

თვალები, ყურები, თმები, უბე, პირი, სახე, ყველაფერი თოვლით ჰქონდათ სავსე და ოხშივარი ასდიოდათ. დიდხანს გორაობდნენ თოვლში. შემდეგ დაიღალნენ, დაიქანცნენ, არაქათი გამოელიათ და გულაღმა გადაცვივდნენ. მარიამს თავშალი გადაძრობოდა, მკლავები აქეთ-იქით გადაეყარა, მკერდი გაღეღოდა, ყორანივით შავი თმა გაშლოდა, თოვლზე გადაფენოდა და ახლა იგი ნადირისაგან დევნილ, თოვლიან ველზე გავარდნილ და დაცემულ შველს ჰგავდა...

ბაჩანამ ვერ გაუძლო მის ცქერას, ნიჟარებივით პატარა, სიცივით გათოშილ ყურებზე ხელისგულები დააფარა და გავარვარებულ ტუჩებზე დააკვდა. ახლა ისინი ერთმანეთის ფილტვებით სუნთქავდნენ და ერთმანეთის სიცოცხლით ცოცხლობდნენ. ასე იწვნენ დიდხანს გატრუნულები და ყურს უგდებდნენ ერთმანეთის გადარეული გულების ბაგაბუგს.

– ადექი! – თქვა უცებ მარიამმა და ბაჩანა ორთავე ხელით მოიცილა მკერდიდან.
ბაჩანა გაკვირვებული წამოდგა.

– შებრუნდი! – უთხრა მარიამმა. ბაჩანა შებრუნდა და როდესაც კვლავ შემოტრიალდა მარიამისაკენ, მარიამი დედიშობილა იდგა მის წინაშე, თოვლზე უსპეტაკესი და ანგელოზივით ღვთიური და დაუჯერებელი.

ბაჩანამ თვალებზე აიფარა ხელი და როდესაც მოიშორა, მკლავებგაშლილი და თვალებდახუჭული მარიამი გულაღმა იწვა თოვლზე.

ბაჩანამ დაიჩოქა მარიამის წინ, ათრთოლებული ხელები ბეჭებქვეშ ამოუდო, მკერდი დაუკოცნა და ჩურჩულით უთხრა:
– რას შვები, მარიამ, გაცივდები, გოგო!
– თუ რამე უბედურებაა მსოფლიოში, ყველაფერი მჭირს, ბატონო!
– უპასუხა მღვდელმა.
– მაშინ ეგრე, ბაჩან, წესი წესია, რადგან ერთ პალატაში ზიხართ

და პურს ერთადა სჭამთ, პატივცემული მოძღვარი წილში უნდა გაიყვანო, ნახევარი წამლები მისია... აბა, წავედი! – ტაში შემოჰკრა ამბოკაძემ, – ჩემი დრო ამოიწურა, გრიპი-მრიპი არ ვიცი მე! – თქვა და ისე მხურვალედ ჩაიკრა გულში ბაჩანა, მამა იორამს გული აუჩუყდა და თვალები ცრემლით აევსო.

– მშვიდობით, მამაო! – მიუბრუნდა მღვდელს ამბოკაძე და კარებისაკენ წავიდა. კარებთან რომ მივიდა, ერთი წამით შეჩერდა,

მერე ბაჩანას მიუბრუნდა. საოცრად ლამაზი, სევდიანი და გაღიმებული თვალები ჰქონდა.

– ჰა, ფუღუ, არ მოკვდე თორემ... ხომ იცი, უბანში ერთი მწერალი გვყავხარ! – ამბოკაძემ ხმამაღლა გაიცინა და პალატის კარი გაიხურა.

– ვინ იყო, ბატონო ბაჩანა, ეს კეთილშობილი ქრისტიანი, მადლობის თქმა რომ არ მაცალა? – ჰკითხა ბაჩანას გაოგნებულმა მღვდელმა.

– ქურდი, მამაო, პროფესიონალი ქურდი! – უპასუხა ბაჩანამ და ნერწყვთან ერთად ცრემლიც გადაყლაპა.

პალატაში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. 19

ბაჩანამ მანქანა გზის პირას გააჩერა.

სამადლოს ბორცვები და მინდვრები გაღმა-გამოღმა მუხლამდე თოვლით იყო გადაპენტილი. გარშემო კაცის ჭაჭანება არ იყო. შორს, სოფელში ბუხრის საკვამურებიდან კვამლის თეთრი ქულები ამოდიოდა და სარკესავით კამკამა ცაზე ბილიკებად ისე მიიკლაკნებოდა, თითქოს სახლების ბინადართა სული სადღაც უსასრულობაში მიაქვსო. მინდვრებში აქა-იქ საჩრდილობლად დატოვებული გაძარცული ხეები

თოვლის ამ თეთრ ზეწარზე ერთმანეთს მონატრებულ და ერთმანეთისაკენ ხელებგაწვდილ, დარდისაგან ჩამომხმარ შეყვარებულებს ჰგავდნენ, ვიღაცა რომ ხელს უშლის და ერთმანეთთან მისვლის უფლებას და საშუალებას არ აძლევს.

ბაჩანა მანქანიდან ჩამოვიდა და საბურავებს დაუწყო თვალიერება. მარიამმა მანქანის კარი გააღო, ქურქი გაიხადა, კაბინაში დატოვა, გზიდან გადავიდა და თოვლიან ველზე გაიქცა.
– სად მიდიხარ?! – დაუძახა ბაჩანამ.

მარიამმა ყური არ ათხოვა. შუა მინდვრისკენ დაიძრა. გარბოდა, თან თოვლს მიარღვევდა, წითელი, მაღალყელიანი ჩექმები ეცვა. ზემოდან 38.
ნ. დუმბაძე, ტ. II

- ორი წელია ამ დღეს ველოდები, ძლივს ვეღირსე, გიუნე, ახლა მზესთან ვწევარ და რა გამაცივებს... - თქვა თქვა მარიამმა და ბაჩანას ყელზე მოხვია ხელი.

- მერე მზე ჩამოვიდა ფეხად დედამიწაზე. სამადლოს დიდ, თოვლიან მინდორზე გამოიარა, ადამის ორ ნაშიერს თეთრი, თბილი ზეწარი გადააფარა, სასთუმლად

დაუწვა და მათთან იყო, ვიდრე უნეტარესი ზილი არ მოჰგვარა, შემდეგკვლავ დაუბრუნდა სარკესავით გამჭვირვალე ცის კაბადონს.

ბაჩანა ადგა და შეშინებულმა გახედა მზის გულზე თეთრად აელვარებულ მინდორს.

დედამიწაზე არავინ იყო მისი და მარიამის
გარდა. და მზე იყო მათთან ერთად.

ბაჩანამ გიჟივით გაარღვია მუხლამდე თოვლი, მანქანიდან ქურქი გადმოიღო, უკან დაბრუნდა, შიგ მარიამი გაახვია და ასე ხელში ატაცებული მიიყვანა მანქანასთან.

მანქანა თბილისისკენ დაეშვა, თოვლიანი, უკაცრიელი და თავისავე გაკვალული გზით.

გზაში ბაჩანას მარიამის ლოცვა გაახსენდა რატომღაც. შავნაბადას წინ მუხლმოყრილმა რომ თქვა პირველად:

მზეო, ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები მთას,

ლამაზი ქალი დამზრალა,
მიუალერსე მას.
მიუალერსე, უთხარი, რომ
სიყვარული გკლავს,
თორემ ქალია, იცოდე,
წავა, გაჰყვება სხვას...

მარიამი უკან იჯდა და ტიროდა, მაგრამ ეს არ იყო უბედური და შერცხვენილი ქალის ტირილი. ეს იყო სულ სხვა რაღაც, იყო ბაჩანასათვის ჯერ უცნობის, გაუგებარისა და

მიუწვდომელის სამუდამო გამოტირება. ბაჩანამ არ იცოდა ეს, მაგრამ გუმანით გრძნობდა რაღაცას და ამიტომ არც უცდია მარიამის დამშვიდება.

ერთი საათის შემდეგ კოჯრის ინტერნატიდან მომავალი, ზურგზე ჩანთებგადაკიდებული პატარა გოგო და ბიჭი განცვიფრებულები შედგნენ სამადლოს თოვლიან მინდორთან.

- შეხედე, ნათია! - თქვა ბიჭმა და მინდვრისკენ ხელი გაიშვირა. სამადლოს ველზე თოვლი იწვოდა. თოვლი იწვოდა ლურჯი და გამწვირვალე ალით.

სახლში დაბრუნებულ ბაჩანას წერილი დახვდა კარის სახელურში გაჩრილი. რედაქტორის ალღომ უკარნახა ბაჩანას რატომღაც, რომ წერილი ანონიმური იყო.

ბაჩანა არ აჩქარებულა, წერილი სახელურიდან გამოაძრო, ჯიბეში ჩაიდო, კარი გააღო და ოთახში შევიდა. საწერ მაგიდას მიუჯდა.

ალღოს ბაჩანასთვის არ უღალატნია. წერილი ანონიმური აღმოჩნდა. პორნოგრაფიული ფოტოდოკუმენტებით ილუსტრირებული. ათასმა ანონიმურმა წერილმა გაიარა ბაჩანას ხელში, მაგრამ ეს, რომელსაც ახლა ბაჩანა კითხულობდა,

აღვირახსნილობისა და უსაზღვროების იმ საზღვარსაც კი იყო გადასული, რომელსაც ჩვეულებრივ ანონიმურ წერილებშიც იცავენ ხოლმე.

„ბატონო ბაჩანა!“-ასე იწყებოდა წერილი.

მოგვილოცავს თქვენი სახლის კარზე წითელი ფარნის ჩამოკიდება. მთელი თბილისელი როსკიპების რეპეტიტორმა, მრუშმა დედაკაცმა კიდევ ერთი მეწველი რქიანი ძროხა იშოვა თქვენი სახით. (ბუღაო თქვენზე ვერ იტყვის კაცი), არ

გაგიკვირდეთ რომ ეს ვენერიულ დაავადებათა თაიგული ასე გულუხვად გკვებავთ „სიყვარულით“. სიყვარული მისთვის ის კომბინირებული საკვებია, რომლითაც

მეცხოველეობის ფერმებში თქვენისთანა პირუტყვებს კვებავენ, რათა რაც შეიძლება მეტი რძე გამოიწველონ. გაგითავდებათ „რძე“, ბატონო

ბაჩანა, მერე გვიანი იქნება იმ წითელი ფარნის ჩამოხსნა, რომელიც ახლა თქვენ სახლზე ჰკიდია და რომლის შუქზეც თქვენ ახლა ანონიმურ, მაგრამ სულის სიღრმიდან

კივილად ამოვარდნილ წუხილს კითხულობთ. გაუფრთხილდით ავტორიტეტს...“ მანამ ბაჩანამ წერილი გადადო და შუბლიდან ცივი ოფლი მოიწმინდა, საოცარი რამ

ხდებოდა ბაჩანას გონებაში. იგი კითხულობდა წერილს და ყურში ხმა ესმოდა, უსაშველოდ ნაცნობი ხმა. წერილი თითქოს ქალის ხელით იყო დაწერილი, მაგრამ ბაჩანას ზურგს უკან მამაკაცი ედგა და მძიმე ჩაქუჩით ლურსმანივით აჭედებდა

თითოეულ სიტყვას ტვინში. ისე მძიმედ და ისე ღრმად, რომ ბაჩანას ეს ტკივილი და სატანჯველი ვეღარასოდეს ვეღარ ამოეღო შემდეგ გონებიდან. ღმერთო, სად

გაუგონია ეს ხმა ბაჩანას, გაახსენე, ღმერთო... და ვერ გაიხსენა ხმა ბაჩანამ და სურათების თვალიერება დაიწყო.

უფრო პორნოგრაფიული და შემზარავი სურათები ბაჩანას თვალით არ ენახა. სურათების ორიგინალობაში ეჭვის შეტანა გენიალური ფალსიფიკაციის აღიარებას ნიშნავდა. ბაჩანამ არ იცოდა რომელ ერთთან ჰქონდა საქმე...

ბაჩანას თვალები დაუბნელდა და როდესაც ეგონა, რომ სიკვდილის ჟამი დადგა, სწორედ მაშინ განათდა, სწორედ მაშინ მოვიდა იმედი. სურათზე დედიშობილა

მარიამი იდგა და სწორედ ეს დოკუმენტი გახდა ბაჩანას დღესასწაული და

ფალსიფიკატორის გაუთვალისწინებელი სავალალო შეცდომა. ბაჩანამ ერ იცნო ერთი საათის წინ სამადლოს თოვლიან ველზე ნანახი მარიამის ტანი. ეს არ იყო მარიამი...

ბაჩანამ სურათები მაგიდაზე დაყარა. ჯერ ღვთსმშობლის წინ დაჩოქილი მარიამი წარმოუდგა თვალწინ, შემდეგ სამადლოს უსპეტაკესი ველი და ბაჩანას კაცობრიობა

შესძულდა. იგი ცოცხალმკვდარი წამოდგა და ტელეფონთან მივიდა, რათა ვინმე მეგობრისთვის დაერეკა, მაგრამ ბაჩანას ერთი ნომერი არ გაახსენდა დედამიწის

ზურგზე. არც ის გაახსენდა ბაჩანას, ჰყავდა თუ არა საერთოდ მეგობარი... და ბაჩანამ ყურმილი დაკიდა.

ანონიმური წერილის მიღების ერთი კვირის თავზე მარიამი და ბაჩანა სოღანლუღის დუქნის პატარა კუპეში ისხდნენ.

მაგიდაზე ორი ბოთლი ღვინო, შემწვარი კარტოფილი და ნიგოზი ეწყო, მეტი არაფერი. ეწყო ის, რაც მარიამს უყვარდა.

ბაჩანა ხმას არ იღებდა. ლაპარაკობდა მარიამო, ლაპარაკობდა ყველაფერზე: ხელოვნებაზე, პოეზიაზე, ისტორიაზე, ცხოველებზე, დელფინებზე, ვარსკვლავებზე, მფრინავ თეფშებზე, სიყვარულზე, უკვდავებაზე, სულთა გადანაცვლებაზე. მარიამი თამადა იყო.

ბაჩანა უხმოდ სვამდა მარიამის მიერ წარმოთქმულ სადღეგრძელოებს, თუ ეთანხმებოდა თავს უქნევდა, თუ არადა მაინც სვამდა, არ ეკამათებოდა. უბრალოდ შესცქეროდა მის სიყვარულით აბრიალებულ თვალებს და სვამდა. მარიამს

შეუმჩნეველი არ დარჩენია ბაჩანას ასეთი განწყობილება, მაგრამ არც რამეს იმჩნევდა, არც რამეს ეკითხებოდა, მხოლოდ ლაპარაკის დროს თუ ჩაურთავდა ხანდახან.

- მისმენ, გიუნე?

ბაჩანა თავს დაუქნევდა, გისმენო და მარიამი ლაპარაკს განაგრძობდა.

ბაჩანას ნახევრად არ ესმოდა მარიამის ნალაპარაკები. იგი თავისას ფიქრობდა. არ ფიქრობდა არც მარიამის წარსულზე, არც აწმყოზე, არც მომავალზე, არც მის

გულწრფელობაზე, არც ორგულობაზე, არც ერთგულებაზე, არც სილამაზეზე, არც ნიჭიერებაზე. იგი მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობდა, ერთი შემაძრწუნებელი აზრი

უბურღავდა ტვინს. ეჩვენებინა თუ არა მარიამისთვის ანონიმური წერილი, რომელიც ახლა გულის ჯიბეში ედო და მკერდს უწვავდა.

მარიამმა ჭიქა აავსო.

- რატომ არაფერს არ მეკითხები ჩემს წარსულზე, გიუნე? - ჰკითხა უცებ მარიამმა.
ბაჩანა ფიქრებიდან გამოერკვა:

- რა მითხარი? - თქვა მან, თუმცა კარგად გაიგონა, რაც ჰკითხა მარიამმა, მაგრამ ეს დრო პასუხის მოსაფიქრებლად სჭირდებოდა ბაჩანას.

- რატომ არაფერს მეკითხები - მეთქი ჩემსწარსულზე? - უკვე მესამე წელია გვიყვარს

ერთმანეთი და არც ერთი სიტყვა არ დაგცდენია ჩემი წარსულის შესახებ,
- გაუმეორა კითხვა მარიამმა.

- არ მაინტერესებს და იმიტომ! - უპასუხა ბაჩანამ და თვალი აარიდა.
- სტყუი, გიუნე, კვდები, ისე გაინტერესებს, მაგრამ არ მეკითხები.
- რატომ? - ჰკითხა ბაჩანამ და თვალებში შეხედა.
- ელოდები მე თვითონ როდის მოგიყვები, ხომ მართალია?
ბაჩანამ თავი ჩაღუნა.

- გეშინია, გიუნე, გეშინია და მართალი ხარ... შენ კი არა, მეც მეშინია... მარიამმა ღვინო მოსვა, მღელვარებისაგან გამშრალი პირი რომ გაელბო, - მე შენზე უფრო მეშინია, იმიტომ კი არა, რომ მიმატოვებ, არა, გახსენების მეშინია...
- ნუ გავაფუჭებთ საღამოს, მარიამ, - სთხოვა ბაჩანამ.

- იგი დილიდანვე გაფუჭებულია, გიუნე, მითხარი, რა მოხდა, მე ყველაფერს ვგრძნობ და ვხედავ.

- არაფერი, შენს თავს გეფიცები!

- ადვილად მიფიცებ, - გაეღიმა მარიამს. ჭიქაში ღვინოს ჩააშტერდა, ერთხანს უყურა, მერე უცებ ასწია და სადღეგრძელო თქვა:

- მე და შენს შორის ვინც პირველი მოკვდება, იმას გაუმარჯოს, გიუნე!

- მარიამ თუ გიყვარვარ, პანაშვიდად ნუ გადააქცევ ამ საღამოს.
მშვენიერ ხასიათზე იყავი და რა მოგივიდა? - ჰკითხა ბაჩანამ.

-დალიე!-სთხოვა მარიამმა. ბაჩანამ დალია. მარიამმა მეორედ დაასხა. -ახლა ყური მიგდე, გიუნე...-თქვა მარიამმა და ისე დაიწყო, თითქოს თავის თავს ელაპარაკებოდა: - ...მე ხუთჯერ გარდავიცვალე და ხუთჯერ მოვბრუნდი ამ

ქვეყანაზე... პირველად მე გარდავიცვალე შიშით და აღვსდექი სიმარტოვეში...

მეორედ მე გარდავიცვალე სიმარტოვით და აღვსდექი თვალთმაქცობაში...

მესამედ მე გარდავიცვალე თვათმაქცობით და აღვსდექი უდარდელობაში... მეოთხედ მე

გარდავიცვალა უდარდელობით და აღვსდექი სიძულვილში... მეხუთედ მე გარდავიცვალე სიძულვილით და აღვსდექი სიყვარულში... მე ახლა ვცხოვრობ უზომო, განუსაზღვრელი სიყვარულით და ვიცი, რომ სიყვარულით გარდავიცვლები... და ეს იქნება ჩემი უკანასკნელი გარდაცვალება, მე აღარაფერში აღარ აღვსდგები. მე დავრჩები მარადიულ სიყვარულში. ამიტომ ჩემთვის აღარ აქვს

მნიშვნელობა, როდის მოვკვდები... მე აღარ მეშინია სიკვდილის... მე ჩემი მეექვსე და უკანასკნელი გარდაცვალების სადღეგრძელოს ვსვამ, გიუნე!...

მარიამმა ჭიქა გამოსცალა და ბაჩანას თვალებში შეხედა. ბაჩამა გაოგნებული უცქერდა ამ გასაოცარ ქალს და არ იცოდა რა ეპასუხა მისთვის. ძალიან უხერხული და

შემაძრწუნებელი სიჩუმე ჩამოვარდა. ბაჩანას მოეჩვენა, რომ კუპე ორად გაიყო: მაგიდის იქითა მხარედ, სადაც მარიამი იჯდა და მაგიდის აქეთა მხარედ, სადაც თვითონ იჯდა. მან იგრძნო, რომ მარიამის მხარე სავსე იყო ჰაერით, სითბოთი,

სიცოცხლით და სიყვარულით, მისი მხარე კი უსაშველოდ ცარიელი-ვაკუუმი...

და ბაჩანას უცებ სული შეეხუთა და უჰაერობისგან რომ არ დამხრჩვალიყო, სწრაფად

წამოდგა, მარიამის მხარეს გადაჯდა, შემოეხვია, როგორც სიცოცხლის ხეს და მკერდზე დაადო თავი... მარიამმა თმაზე აკოცადა ძალიან მშვიდად ჰკითხა: - თქვი, რა გაწუხებს?

ბაჩანამ გულის ჯიბიდან ანონიმური წერილი ამოიღო და ათრთოლებული ხელით დაუდო წინ. მარიამმა დიდხანს უყურა წერილს, მერე გახსნა. ბაჩანასგან

განსხვავებით, მან ჯერ სურათები დაათვალიერა, შემდეგ წერილი წაიკითხა...

მთელი ამ ხნის განმავლობაში ბაჩანას თვალი არ მოუცილებია მარიამის სახისათვის, ნაკვთი არ გაქანებული მარიამის სახეზე და როდესაც მარიამმა წერილის კითხვა

დაამთავრა და ბაჩანას ახედა, ბაჩანა მიხვდა, თუ რა საბედისწერო შეცდომა დაუშვა.

მარიამის თვალებში აღშფოთების, ზიზღისა და სიძულვილის ნაცვლად მან ორი საოცრად პატარა ადამიანის, მისი და იმ წერილის ავტორის უზომო სიბრალული

დაინახა.

მარიამი წყნარად წამოდგა.

- ქალს მარტოობა ამრუშებს, გიუნე, ქალსაც და კაცსაც, ამიტომ ეცადე, მარტო არასდროს არ დარჩე...

მარიამი კუპედან გავიდა.

***

ერთი, ორი, სამი საათი ელოდა ბაჩანა მარიამს, მაგრამ მარიამი უფრო ამაყი აღმოჩნდა, ვიდრე ბაჩანას ეგონა.

- თქვენი ქალბატონი დიდი ხანია წაბრძანდა, ბატონო! - უთხრა ცოცხალმკვდარ

ბაჩანას ოფიციანტმა და უხერხულად შეიშმუშნა.

- ვიცი! - უპასუხა ბაჩანამ დაკარგული ხმით.

- თუ არ შეწუხდებით, ვხურავთ აწი რესტორანს და... - ოფიციანტი ისევ შეიშმუშნა.

- უკაცრავად, ახლავე წავალ! - ქვითარზე არ დაუხედავს, დანახარჯი ისე გადაიხადა.

ოფიციანტი გავიდა, ბაჩანამ ანონიმური წერილი და პორნოგრაფიული სურათები საფერფლეზე დაყარა და ცეცხლი წაუკიდა, ჯერ პორნოგრაფიულ სურათებს მოედო

ალი. ბაჩანა თვალს არ აცილებდა უცნაურ სანახაობას, როგორ ლღვებოდნენ, დუღდნენ, ქრებოდნენ და ფერფლად იქცეოდნენ ფიგურები. საფერფლე მინიატურულ ჯოჯოხეთს დაემსგავსა და როდესაც ალი წერილს მოედო, ბაჩანამ

კვლავ გაიგონა წერილის დამწერის ამაზრზენი ხმა და უცბად გაშტერდა. მან იცნო ხმა, ალმოდებული წერილი სანდრო მაღლაფერიძის ხმით ლაპარაკობდა. 20

მამა იორამი ორშაბათს გაწერეს, მაგრამ სამშაბათამდე საავადმყოფოდან ფეხი ვერ მოაცვლევინეს.

ის ღამე დაუვიწყარ და წარუშლელ ღამედ დარჩა ბაჩანას ცხოვრებაში. შუაღამისას მამა იორამი ფრთხილად ადგა და ბაჩანას საწოლთან მივიდა. ბაჩანამ თავი

მოიმძინარა, მაგრამ თვალები ოდნავ გააღო, ისე რომ მამა იორამს არ შეემჩნია.

- ბატონო ბაჩანა! - ჩურჩულით თქვა მღვდელმა. ბაჩანა გაიტრუნა. იგი მიხვდა, რომ მღვდელს მასთან საუბარი კი არ სურდა, არამედ ამოწმებდა, სძინავს თუ არაო.

როდესაც დარწმუნდა მოძღვარი, რომ ბაჩანას ეძინა, მან მუხლი მოიყარა მის საწოლთან.

- მამაო ღმერთო! - წარმოთქვა მან ჩურჩულით და პირჯვარი გამოისახა, - მაცხოვარო და წმინდაო მარიამ. აჰა, მონა თქვენი ბაჩანა რამიშვილი წევს თქვენს წინაშე და

თავად არ უწყის, რომ არის ძე თქვენი, სული თქვენი და სათნოება თქვენი. ნუ უწყენთ მას, რამეთუ იგი საქმეს თქვენსას სჩადის სხვისი სახელით. ნუ უწყენთ მას, რამეთუ

თავად არ უწყის, რომ ღმერთი იგი, რომელიც მან იწამა თქვენს წიაღშია აღმოცენებული და არ არს ნებისა თქვენისა გარეშე. ღმერთო ძლიერო, გადააფარე შენი მფარველი კალთა და გაუგრძელე ვადა შენთან ხლებისა, რამეთუ, რაც უფრო

მეტ ჟამს დაჰყოფს იგი ამ ქვეყანაზე მეტ სათნოებას და სიკეთეს დასთესს შენს მიერ შექმნილ ქვეყნიერებაზე და განა ღვთისთვის სულ ერთი არ არის ვისი სახელით

ივლის სიკეთე, პატიოსნება, სათნოება, უმანკოება და სამართალი დედამიწაზე

?! და უცილობელ არს უარყოფილ იქნას შენი სახელი, ხოლო საქმენი შენი უკვდავ ქმნილი,

დაე მოხდეს ასე... განა შენ, წმინდაო სამებავ, პატივმოყვარეობისა გამო დასთესე თესლი სიცოცხლისა და ჩაუდგი სული უკვდავი ადამიანს, რათა მხოლოდ და

მხოლოდ შენი სახელი ეტარებინა?! განა უარყოფილ არის შენ მიერ, ღმერთო, ადამის ძის სულისა და გონების განახლება?

ძლიერი არს ღმერთი, რომელსაც იგი ემსახურებ,ა რამეთუ შეუძლებელია რწმენა იმ საქმისა, რომელსაც შესდგომია იგი, ღვთიური ძალის გარეშე... და აჰა, წევს ახლა იგი

შენ წინაშე, მე კი მტვერი შენი და მისხალი შენი უსასრულო სულგრძელობისა, მუხლმოდრეკილი გევედრები, შეიწყნარო იგი, აჯანყებული მონა შენი, ბაჩანა რამიშვილი და თუ მაინც განწირული გყავს იგი განსაკითხავად, აჰა, მიიღე სული ჩემი და ხორცი ცემი მისი სულისა და ხორცის სანაცვლოდ, რამეთუ ვერ შევძელ

დათრგუნვა მასში სხვა ღმერთისა და შემოქცევად შენდა!

მამა იორამი წამოდგა, ბაჩანას სამჯერ გადასახა პირჯვარი, მერე გულიდან პატარა ჯვარი მოიხსნა, ფრთხილად ამოუდო სასთუმალს და დაწვა.
ბაჩანას არ ახსოვს, როდის დაიძინა, მაგრამ როდესაც გაიღვიძა, მამა იორამი

პალატაში არ დახვდა. იგი უთენია წასულიყო.
***

ბაჩანა მამა იორამის წასვლის ერტი კვირის თავზე გაწერეს საავადმყოფოდან. გულის ამაჩუყებელი და ღიმილის მომგვრელი იყო მისი გამოთხოვება სამედიცინო პერსონალთან, ჟენია ექთანი და პალატის ექიმი ისე იცრემლებოდნენ, თითქოს
ენანებოდათ ბაჩანას საავადმყოფოდან გაწერა და გამოჯანმრთელება.

წინა ღამით, ვიდრე გაიწერებოდა, ბაჩანასთან ჟენია ექთანი შემოვიდა. მან სამი თეთრი მიხაკი შემოიტანა, ბაჩანას მაგიდაზე, ქილაში ჩააწყო და მოშორებით დაჯდა, ბაჩანამ იფიქრა, ჟენია გამოსამშვიდობებლად მოვიდაო, ამიტომ საწოლზე წამოჯდა

და მოთმინებით ელოდა, რას იტყოდა ჟენია, ჟენია უხერხულად შეიშმუშნა.
- დაიწყე, ჟენია - გაუღიმა ბაჩანამ, ჟენია შეყოყმანდა.

- მაშინ მე დავიწყებ, - თქვა ბაჩანამ. ფეხზე წამოდგა, ჟენიასთან მივიდა და ხელზე აკოცა, - ჩემო ძვირფასო ჟენია, თუ სადმე სამართალია,ეს ყვავილები მე უნდა

მომერთმია შენთვის, მაგრამ, იმედია, ჩემი კეთილი მოწყალების და აპატიებს მის გაუტლელ და უმადურ ავადმყოფს ენით აუწერელ უტაქტობას...

- ბატონო ბაჩანა! - გააწყვეტინა სიტყვა ჟენიამ, - ვიდრე თქვენ ავად იყავით, ბატონო

ბაჩანა, აქ ერთი ქალი დადიოდა ყოველდღე... ძალიან ლამაზი ქალი და თქვენს ჯანმრთელობას კითხულობდა... დიახ...
ბაჩანას გული შეუქანდა და სუნთქვა შეეკრა.
- ვინ ქალი, ჟენია? - ჰკითხა, თუმცა მისთვის ყველაფერი ნათელი გახდა.
- ხატზე მაფიცებდა, ბატონო ბაჩანა, თქვენთვის რომ არ მეთქვა...
- რა ჰქვია? - მაინც ჰკითხა ბაჩანამ.

- არ ვიცი, ბატონო ბაჩანა, მოდიოდა და ტიროდა, იქნებ თქვენ იცით, ვინ არის?..
- ვიცი, ჩემო ჟენია!

- ძალიან უყვარხართ, ბატონო ბაჩანა, წერილი მომცა, მთხოვა, საავადმყოფოდან გამოწერის დღეს გადმომეცა თქვენთვის.

ჟენიამ ჯიბიდან წერილი ამოიღო და ბაჩანას გადასცა. ბაჩანამ წერილი ჩამოართვა და მღელვარება რომ დაეფარა, მიხაკებს დაუწყო ყნოსვა...
- ძალიან უყვარხართ, ბატონო ბაჩანა!
- ძალიან ლამაზი და კარგი ქალია, ბატონო ბაჩანა...

ჟენიას რატომღაც ცრემლები მოადგა თვალებზე და შავად შეღებილი აპრეხილი

წამწამები ააპარპალა.

- შენ ყველაზე ლამაზი და კარგი ქალი ხარ ქვეყანაზე, ჟენია! - უთხრა ბაჩანამ და აკოცა ხელზე. ჟენია სწრაფად წამოდგა და გავიდა პალატიდან. ბაჩანა საწოლზე წამოწვა და ათრთოლებული ხელით გახია კონვერტი.

„ჩემო ბაჩანა! ახლა, როდესაც ღმერთმა ისმინა ჩემი ვედრება და კვლავ მაჩუქა შენი სიცოცხლე, არა შებრალებად, არა შეწყნარებად და არა მოწყალებად მინდა, შენს

გასაგონად დავიტირო ჩემი ტკივილი, რომელსაც მთელი კაცობრიობის უბედურებათა საწყაული ვერ დაიტევდა, მეგონა და, ამ პატარა ქაღალდმა კი დაიტია...

ყველაფრის გახსენება და დავიწყება ისე ადვილი როდი ყოფილა, ჩვენ რომ გვგონია და გვეჩვენება ხოლმე...

ამ ოციოდე წლის წინ ულამაზესი და უნიჭიერესი ბავშვი ვიყავი, მაგრამ ცუდად გაზრდილი. ჩემს მშობლებს მილიონი ჰქონდათ და სულ იმაში დახარჯეს, რომ მე

გავეუბედურებინე... არავინ, არასდროს მცველად არ გამყოლია, არსად, არც სკოლაში, არც ქუჩაში... და იმ ერთხელ, როდესაც ჩავუჯექი ჩემს „გამცილებლებს“ მანქანაში,

წაიშალა ჩემი ცხოვრება და არარაობად იქცა სიცოცხლე ჩემი... მერე, რაც მოხდა, ამის შესახებ არც ლაპარაკი შემიძლია დალაგებულად, არც წერა... დღეს პირველად ვყვები

შენსა და ღმერთის წინაშე ამ ამბავს... ცივგომბორის პირმოქცეულ ტყეში ჯვარზე გამაკრეს და ახლაც იქ ჰკიდია გადარუჯულ ხეზე ჩემი ჩამომხრჩვალი

ყმაწვილქალობა...

...მერე მე ძალიან ბევრი ვიცინე, ხელგაშლილი როკვით მოვყევი აქამდე გზას და უცებ შევდექი. ღმერთი გამახსენდა და პირჯვარი გამოვისახე. შენ წინ ვდგავარ ახლა

ორთავე მუხლზე დაცემული... შეიწირე ყველა ჩემი სანთელი და მიიღე სული ჩემი...

მე ახლა ვხვდები, რომ მთელი ამ წლების მანძილზე შენსკენ მოილტვოდა ქარბორბალასავით დატრიალებული და ჯოჯოხეთში გამოვლილი ჩემი სული... და მე ვლოცავ იმ ჯოჯოხეთს, რადგან გზა შენსკენ იმ ჯოჯოხეთზე იდო თურმე...“

იმ წუთში ვინმე ექიმი რომ შემოსულიყო და ბაჩანასათვის გულის კარდიოგრამა

გადაეღოთ, ალბათ ბაჩანას კიდევ დიდხანს მოუწევდა საავადმყოფოში წოლა. ბაჩანამ ორი აბი სედუქსენი მიიღო და ისე სთხოვა საკუთარ გულს დამშვიდებულიყო, თითქოს ძალიან დიდი ხნის დაკარგულ და უნახავ ნათესავს ეხვეწებოდა მუხლმოდრეკილი, აღარ წახვიდე, აღარ მიმატოვოო...

ნახევარ საათში ბაჩანამ კვლავ ვარდისფერ ბურუსში შესცურა... და ეს იყო მისი პირველი უსიზმრო ძილი მთელი ავადმყოფობის მანძილზე.
***

დილით, ყველას რომ გამოემშვიდობა, ბაჩანა პროფესორთან ჩავიდა გამოსამშვიდობებლად.

პროფესორი უზარმაზარ საწერ მაგიდს უჯდა და რაღაცას ათვალიერებდა ლუპის ქვეშ გულმოდგინედ. ბაჩანა ჯერ ვერ მიხვდა, რას ათვალიერებდა პროფესორი და

როდესაც მიხვდა, საქციელი წაუხდა. პროფესორს მაგიდაზე ათამდე სხვადასხვა კონსტრუქციის, ფერისა და ზომის ხელოვნური გული ეყარა... ბაჩანა, გული რომ არ

შეღონებოდა, იქვე კართან მდგარ სკამზე ჩამოჯდა. სკამი გახმაურდა. პროფესორმა თავი ასწია და გაკვირვებულმა შეხედა ბაჩანას. უცებ იცნო, პლასტმასის გული
მაგიდაზე დადო და ბაჩანასკენ გამოეშურა.

- ფრიად მოხარული ვარ, ბატონო ბაჩანა, რომ ჩემს კაბინეტში თქვენი ფეხით მოსული გიხილეთ, გამარჯობათ! - თქვა მან და ბაჩანას ხელი გაუწოდა. ბაჩანამ პროფესორს

ყინულივით გაციებული ხელი ჩამოართვა.
- რა მოგივიდა? - ჰკითხა შეშფოთებულმა პროფესორმა.

ბაჩანა თვალს ვერ აცილებდა პროფესორის მაგიდაზე გაგორებულ ხელოვნურ გულებს. პროფესორმა მაგიდას გახედა, მიხვდა, რაშიც იყო საქმე, სწრაფად მივიდა საწერ მაგიდასთან, შუა უჯრა გამოაღო, ხელის ერთი მოსმით გულები მაგიდიდან

მოხვეტა და უჯრაში ჩაყარა.

- თუ შეიძლება, ვალერიანის წვეთები... - სთხოვა ბაჩანამ.
პროფესორმა თაროდან წამალი გადმოიღო, პატარა ჭიქაში დაასხა და ბაჩანას მიაწოდა.

- დალიეთ და, თუ ღმერთი გწამთ, ყურადღებას ნუ მიაქცევთ! - ბაჩანამ წვეთბი მიიღო. პროფესორმა მაჯა გაუსინჯა.
- ნუ გეშინიათ, ახლავე გაგივლით, - გაუღიმა მან.
ბაჩანა თანდათან მობრუნდა და ფერი მოუვიდა.

- რა არის ეს, პატივცემულო პროფესორო? ჰკითხა ბაჩანამ, ცოტა სული რომ მოითქვა.
- არაფერი განსაკუთრებული, როგორ ხართ?
- მგონი, გამიარა.
- ძალიან კარგი, აი აქ დაბრძანდით და სხვა რამეზე ვისაუბროთ.

პროფესორმა ბაჩანა უზარმაზარ გადაწოლილ და რბილ სავარძელში გადმოსვა.

- ნუთუ მივა, პატივცემულო პროფესორო, კაცობრიობა მაგ ზომამდე? - ვერ გაექცა ბაჩანა ხელოვნურ გულებზე ფიქრს.

- მისულია, ბატონო ბაჩანა, უკვე ოთხი წელია, ხბო ხელოვნური გულით ცოცხლობს, ასე რომ ეს ფაქტი გულს კი არ უნდა გიღონებდეთ, პირიქით, უნდა გამხნევებდეთ.

საქმე იმაშია, რომ ცოცხალი გულის ტრანსპლანტაციამ, მაინცდამაინც არ გაამართლა.

თქვენი ავადმყოფობა, ძირითადად გულის დაავადება კი არა, სისხლძარღვთა დაავადებაა, ამიტომ გარკვეული დროის შემდეგ, ნებისმიერი გადანერგილი ჯანმრთელი გული შეიძლება დაავადდეს მიოკარდის ინფარქტით და კორონალური უკმარისობით. ხელოვნური გული ჯერჯერობით ერთ-ერთი ყველაზე საიმედო გზაა,

ეს თვით ქრისტიან ბერნარმაც აღიარა... მაგრამ იმაზე სხვა დროს, ცოტა უფრო რომ მოღონიერდებით, - ხელი აიქნია პროფესორმა. - გულახდილად რომ გითხრათ, მე

უკვე წასული მეგონეთ და სადღაც გულში, მეწყინა კიდევაც, რატომ წასვლის წინ არ მინახულა მეთქი, - პროფესორმა გაიცინა და ბაჩანას მუხლზე ხელი დაადო.

- სწორედ მაგისთვის გეახელით, პატივცემულო პროფესორო, ჯერ ერთი, უზომო მადლობა მინდა გადაგიხადოთ გულისხმიერებისათვის, შემდეგ ბოდიში

მოგიხადოთ იმ უძილო ღამეებისათვის, რომლებიც ჩემს გამო გაგიტარებიათ და ბოლოს, მინდა დაგილოცოთ პროფესია და ოქროს ხელები, - ბაჩანას უცებ ადგომა და

ამ კაცის კოცნა მოუნდა, რომლის მკაცრ და უხეშ სახეს სათნოებით სავსე ჭკვიანი თვალები ამშვენებდა, მაგრამ რატომღაც თავი შეიკავა.

- სამადლობელი არაფერი გჭირთ, ბატონო ბაჩანა, ქებისთვის კი მადლობა მომიხსენებია.
- არც კი ვიცი, როგორ და რითი გადაგიხადოთ. ხანდახან ვფიქრობ ამაზე და იმ

დასკვნამდე მივდივარ, რომ რაც თქვენ ჩემთვის გააკეთეთ, იმის გადახდა არ შეიძლება, ამიტომ თუ ნებას მომცემთ, უბრალოდ მეყვარებით, როგორც ძმა და ძვირფასი ახლობელი...

- გმადლობთ! - თქვა პროფესორმა და უხერხულობა რომ დაეფარა, მაგიდის შუა უჯრა გამოაღო, თითქოს რაღაცას ეძებდა, მაგრამ წუთის წინ მომხდარი ამბავი

გაახსენდა და უჯრა სასწრაფოდ მიხურა. ბაჩანას გულიანად და ხმამაღლა გაეცინა.

- აი, ხომ ხედავთ, უკვე შეეჩვიეთ, - უთხრა ნიშნის მოგებით პროფესორმა და მანაც გაიცინა.

- სხვა რა გზა მაქვს! - ხელები გაშალა ბაჩანამ.

- თქვენ ეს არ დაგჭირდებათ, ბატონო ბაჩანა, თუ რასაც გეტყვით, პირნათლად და

უყოყმანოდ შეასრულებთ, - თქვა პროფესორმა და მაგიდას, იმ ადგილას, სადაც ხელოვნური გულები ეგულებოდა, ვეებერთელა ტორები დაადო.
- გისმენთ! - მორჩილად თქვა ბაჩნამ.

- სიგარეტი - არა! ღვინო - არა; არაყი - არა; ცხიმიანი საკვები - არა; ყავა - არა; ღამის თევა - არა; ქალები - არა ...

- სიცოცხლე? - ჰკითხა დაღონებულმა ბაჩანამ.

- მიოკარდის ინფარქტი, მინუს ზემოჩამოთვლილი მამაძაღლობები, უდრის სიცოცხლეს! - ჩამოუყალიბა პროფესორმა ბაჩანას მისი წილი დარჩენილი სიცოცხლის უმარტივესი ფორმულა.

- როდემდე, ექიმო - ჰკითხა წყალწაღებულმა ბაჩანამ, რომ გზაში სადმე ხავსს მოჰკიდებოდა.

- ორ წელიწადს, როგორც კანონი, შემდეგ ორ წელიწადს, როგორც რჩევა-დარიგება, შემდეგ ორ წელიწადს - ნებაყოფლობით... კი არ გაშინებთ, ბატონო ბაჩანა, უბრალოდ

გახსენებთ, რომ თქვენ გავრცობილი ინფარქტი გქონდათ, მაგრამ თუ მოეფერებით, გული მთლიანად აღსდგება და ერთ იმდენს კიდევ გემსახურებათ, რამდენიც
გემსახურათ, ოღონდ მოეფერეთ გულს, გულს მოფერება უყვარს...
- ნახვამდის, ბატონო პროფესორო! - ბაჩანა ფეხზე წამოგა.

- მშვიდობით, ბატონო ბაჩანა, დაივიწყეთ ჩვენი საავადმყოფოს კარი, ღმერთმა ჩემი თავი ნუღარ დაგაჭირვოთ, - პროფესორიც წამოდგა.

- უზომო კმაყოფილების გრძნობით მივდივარ, ბატონო ნოდარ. თქვენთან გატარებული ეს ორი თვე ჩემთვის მთელი სიცოცხლის ბადალი აღმოჩნდა.
- არ მესმის, ბატონო ბაჩანა?!

- როგორც ჩანს, ერთი მძიმე ავადმყოფობა ყველა ადამიანმა უნდა გადაიტანოს ცხოვრებაში, რომ მთელ თავის განვლილ ცხოვრებას ანალიზი გაუკეთოს და მის მიერ განვლილი გზა ხელმეორედ გაიაროს უკვე დადინჯებული გონებით. ამ მხრივ
თქვენმა საავადმყოფომ დიდი სამსახური გამიწია...

- არა მგონია, ბატონო ბაჩანა, თქვენი ცხოვრების გზა განმეორებით ანალიზს საჭიროებდეს. - უთხრა პროფესორმა.

- ეს ორი თვე ჩემთვის განსაცვიფრებელი აღმოჩენების დრო იყო.

- ისეთი რა აღმოაჩინეთ, ბატონო ბაჩანა, რაც ადრე არ იცოდით?!

- მარადისობის კანონი! - გაიმეორა ბაჩანამ.

- რა ბრძანეთ? - გულწრფელად გაუკვირდა პროფესორს.

- მარადისობის კანონი! - გაიმეორა ბაჩანამ.

- რაკი მარადისობის კანონი აღმოაჩინეთ, ალბათ რამე ფორმულაც აქვს ამ კანონს, - გაეცინა პროფესორს.

- დიახ, აქვს.

- ხომ არ გამანდობთ, ბატონო ბაჩანა, ჩემი იმედი გქონდეთ, არც მოგპარავთ, არც ავტორობაში შეგეზიარებით, - გაეხუმრა პროფესორი.

- ამ კანონის აზრი იმაში მდგომარეობს, პატივცემულო პროფესორო, რომ...

ადამიანის სული გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხეული, იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს

მისი ტარება არ შეუძლია, ამიტომ, ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკვდავყოთ ერთმანეთის სული. თქვენ ჩემი, მე

სხვისი, სხვამ სხვისი და ასე დაუსაბამოდ, რამეთუ იმ სხვისი გარდაცვალების შემდეგ არ დავვობლდეთ და მარტონი არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე...

პროფესორი გაკვირვებული უგდებდა ყურს ბაჩანას. ბაჩანა რომ დადუმდა, დიდხანს იდგა დაფიქრებული.

- ძალიან რთული კანონი აღმოგიჩენიათ, ბატონო ბაჩანა. - თქვა დუმილის შემდეგ პროფესორმა.

- რთული! - თავი დაუქნია ბაჩანამ.

- და თქვენ იმედი გაქვთ მისი განხორციელებისა?

- ეს რომ ასე არ იყოს, მე მკვდარი ვიქნებოდი ახლა, ბატონო ნოდარ! - ბაჩანამ ხელი

გაუწოდა პროფესორს, პროფესორი სულ ახლოს მივიდა ბაჩანასთან, ბაჩანამ თავი ვერ შეიკავა და გულში ჩაიკრა პროფესორი.

- დიახ... - თქვა დაბნეულმა პროფესორმა, - ...თქვენ ხელოვნური გული არ გამოგადგებათ, ხელოვნური გულით თქვენ ვერ იცოცხლებთ...

...და როდესაც ბაჩანამ საკუთარ ბეჭებზე პროფესორის ვეებერთელა ტორების ალერსიანი თათუნი იგრძნო, მიხვდა, რომ მარადისობის კანონი მოქმედებდა...
***

ბაჩანამ მის წასაყვანად მოსული მანქანა გაუშვა.

კლარა ცეტკინის ქუცაძე ტრამვაის ლიანდაგი გადაჭრა და ოცდახუთი თებერვლის ქუჩით პლეხანოვზე დაეშვა.

ქუჩაში სიარულს გადაჩვეულს, თავბრუ ესხმოდა და მუხლები უთრთოდა ოდნავ.
მიდიოდა ძალიან წყნარად და ფრთხილად.

თბილისი გუგუნებდა, ხმაურობდა, ყაყანებდა, ყვიროდა, იცინოდა, წუხდა, ღელავდა, ოხრავდა და გრიალებდა.

პლეხანოვის გამზირი ორ პარალელურ მდინარესავით მიედინებოდა აღმა-დაღმა.

მოქალაქეები დაცურებული მორებივით მიჰყვებოდნენ მდინარეთა ამ თავაწყვეტილ დინებას. ერთმანეთს გვერდს უქცევდნენ, ეხეთქებოდნენ, აჩერებდნენ, რაღაცას

უხსნიდნენ ერთმანეთს ხელებით, მერე კვლავ სცილდებოდნენ ერთმანეთს და კვლავ მიჰყვებოდნენ ამ აბობოქრებულ მდინარეს.

ბაჩანა ფრთხილად გადავიდა გადასასვლელზე და თვითონაც შესცურა ამ მდინარეში.

იგი ცდილობდა, არავის დასჯახებოდა, არავის გაეჩერებინა და არავის შეეწყვიტა მისი მოძრაობა. მან პლეხანოვიდან მარჯანიშვილის ქუჩაზე ჩაუხვია და ახლა

უზარმაზარი მდინარის ამ შენაკადს გაჰყვა. იგი გრძნობდა, ამ ორი თვის მანძილზე ქალაქის საერთო რიტმიდან ამოვარდნილი მისი გული როგორ უწყობდა თანდათან

თავის არითმიას ქალაქის მაჯისცემას, როგორ ცდილობდა, არ ამოვარდნილიყო კალაპოტიდან და ნაპირზე არ გარიყულიყო. და ბაჩანამ იგრძნო, როგორ იპოვა

გულმა, ბოლოს და ბოლოს, რიტმი, როგორ ჩადგა მდინარის მთავარ კალაპოტში და

როგორ გასცურა კვლავ. მართალია, ჯერ ფრთხილად, ძალიან ფრთხილად, მაგრამ გაბედულად და მონდომებით.

მარჯანიშვილის თეატრთან შეჩერდა. აფიშა წაიკითხა. თეატრი ხვალ თავის სეზონს იწყებდა ახალი სპექტაკლის პრემიერით: „წმინდანები ჯოჯოხეთში“ - პიესა მისი

მეგობრისა იყო. ბაჩანას რაღაც გაულღვა მკერდში და სხეულში მაცოცხლებელმა სითბომ დაუარა.

- წმინდანები ჯოჯოხეთში! - გაიმეორა თავისთვის და გაიღიმა.

ხიდთან დაღლილობა იგრძნო, მაგრამ ავადმყოფური და შემაწუხებელი კი არა, რაღაც უცნაური, საამო დაღლილობა.

ბაჩანამ ტაქსი გააჩერა და უკან დაჯდა, მარჯვენა კართან.
- საით? - ჰკითხა მძღოლმა და მრიცხველი ჩართო.
- მარიამთან! - თქვა ბაჩანამ.
- ვისთან?! - ჰკითხა გაკვირვებულმა მძღოლმა.
- მარიამთან!
გულრიფში, 1977წ.__